

უღმერთოების მოლი

ჭეშმარიტების
ჩვენეული ძიება

„ამ ცხოვრების შემდეგ არაფერი არ გვიშველის ჩვენ, მხოლოდ ჭეშმარიტება.“

თქვენს წინაშე ეგვიპტელი _ ისლამის ინტელექტუალური ცენტრის მკვიდრი _ მუსლიმების მიერ მოყოლილი ამბებია. ჩვენ ვხედავთ, რა თავგამოდებულნი იყვნენ ისინი თავიანთ მიუხეობაში, სანამ ბოლოს და ბოლოს არ აღმოაჩინეს ჭეშმარიტება.

მუსლიმი ფანატიკოსი იჭრება ქრისტიანთა მაღაზიებსა და სახლებში და მარცვავს მათ. მისი სიძულვილი ქრისტიანებისადმი კულმინაციას აღწევს მაშინ, როცა ის უტევს ეკლესიებს. შემდეგ... ის სწავლობს ბიბლიას, რათა გამოაშკარავოს მისი „ცრუ სწავლება.“ მაგრამ ის, ვინც წარმოჩენილია წერილებში, მზესავით მკვიდრდება მის გულში, და მას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ მიიღოს ახალი სახელი, პავლე.

მათ კარგად ესმით, რომ ძალიან ადვილია რომელიმე რელიგია სწორად ანდა მცდარად გამოაცხადო, მისი გულმოდგინე კვლევის გარეშე. ამიტომაც ორი მუსლიმი მეგობარი სვამს ზოგად კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი რწმენაა ჭეშმარიტი. ისინი ღმერთს ეძებენ, ამიტომაც იწყებენ პატიოსან და ობიექტურ კვლევას. მრავალი უძილო ღამის, რომელთა განმავლობაშიც, უპასუხო კითხვები ხანდახან ზღვასავით მოეძალებოდათ ხოლმე, ისინი ბოლოს და ბოლოს პოულობენ თავიანთი სურვილების უმთავრეს ობიექტს.

ახალგაზრდა ქალმა, ლეილამ, რომელიც სულიერ კითხვებს სვამდა, მამისგანაც მიიღო ფიზიკური შეურაცხყოფა და მასწავლებლისგანაც. თუმცა ყველაფრის მიუხედავად ის პოულობს პასუხს ამ კითხვებზე.

უღმერთოების მოლი

ჭეშმარიტების
ჩვენეული ძიება



უღმერთობის სახლი
ჰემპარიტების ჩვენეული ძიება

მთარგმნელი. ლუხუმ მაისურაძე
რედაქტორი. ელგუჯა გიუნაშვილი
გამომცემელი. ლალი ჰანმერი
Into the Den of Infidels
Living Sacrifice Book Company
P.O. Box 2273 Bartlesville, OK 74005-2273


© 2003 by VOM. All rights reserved. No part this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any form or by any means, without prior permission in writing from the publisher.

Georgian edition © 2012 by Voice of the Martyrs, USA. All rights reserved.

Graphics by OM EAST
Translated by Luxum Maisuradze
Edited by Elguja GiunaSvili. Lali Hanmer

This project is a joint production by Voice of the Martyrs and OM EAST.

ქართული გამოცემა 2012 წელი. წამებულთა ხმის მიერ.
ყველა უფლება დაცულია
გამოიცა წამებულთა ხმის მიერ
გრაფიკა OM EAST
თარგმანი: ლუხუმ მაისურაძე
რედაქტორი. ელგუჯა გიუნაშვილი



ჩვენი მამის, აბრაამის, ძენო,
ძენო ისმაელისა და ძენო ისაკისა,
მშვენიერი ჰაგარისა და საყვარელი სარას ძენო.

დროა აბრაამის გაფანტული ძენი შეგროვდნენ და
გაერთიანდნენ.

და ვის შეუძლია დაქსაქსულთა გაერთიანება?
ვის შეუძლია შეცვალოს გულები და განაახლოს
სულები?

ვის შეუძლია მშვიდობა, წყალობა და სიყვარული
მოგვანიჭოს?

ვის შეუძლია შეარიგოს ცა და მიწა?

შეარიგოს კაცი თავის თავთან?

შეარიგოს კაცი თავის მოყვასთან?

ვინ არის ის დიდებული კაცი, რომელსაც ყოველივე ამის
გაკეთება შეუძლია?

ძენო აბრაამისა, მოდით და დავადგეთ გზას!

აღვდგეთ, განვადიდოთ, აღვაშენოთ და შევიყვაროთ.

შესავალი

ისევე როგორც უძღვები ძე დაუბრუნდა მამას, მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყანაში უძიზნოდ და უსაგნოდ იხეტიალა, ასევე უბრუნდება ისმაელიც თავისი მამის, აბრაამის, კერას, მეტიც, ქრისტეს კერას, რომელიც აბრაამზე ადრე იყო. ის ამ ქვეყნის გაჩენამდეც იყო.

ისმაელი უბრუნდება მას, რომელიც ზეციდან ჩამოვიდა და განკაცდა მისთვის. ასეა, ჩემო ღმერთო და ჩემო მხსნელო, შენ მოხვედი, რათა ახარო გლახაკებს, მალამო სცხო გულშემუსვრილებს, თავისუფლება მოუტანო მათ, ვინც ტყვეობაში არიან და სიბნელიდან გამოიყვანო პატიმრები. თავზე დაადგა მათ მშვენების გვირგვინი, ნაცვლად ნაცარ-მტვრისა, სცხო სიხარულის ზეთი, ნაცვლად მწუხარებისა, შემოსო დიდების სამოსლით ნაცვლად უსასოობისა და სევდისა.

შენ მოხვედი იმისათვის, რომ აღაშენო ჩამოქცეული თაღები და აღადგინო გავერანებული ბაღები; განაახლო თაობათაგან მიტოვებული, ნანგრევებად ქცეული ქალაქები და გამოაცხადო თავისუფლება, მშვიდობა, კურნება და სიყვარული. ჩემო ღმერთო და ჩემო მხსნელო, შენ მოხვედი იმისათვის, რომ იხსნა ყველა ერი.

ჩვენ, ძენი ისმაელისა, საუკუნეების მანძილზე ვცხოვრობდით უშენოდ, არაფერი ვიცოდით შენზე და ხშირად ჩვენ არა მხოლოდ უარგყოფდით შენ და ვიბრძოდით შენს წინააღმდეგ, არამედ მტრულადაც ვიყავით შენს წინააღმდეგ განწყობილნი. მაგრამ

შენი სიყვარული, რომელიც ყოველგვარ გონებასა და წარმოსახვას აღემატება და რომელმაც გადმოლახა მტრობის უღრანები ჩვენს საპოვნელად; შენმა სიყვარულმა გვიწინამძღვრა, შეგვიწყალა და გაგვწმინდა.

შენმა სიყვარულმა ჩემო მხსნელო, დაგვაბრუნა უკან შენთან, ისევე როგორც უძღვები ძე დაბრუნდა მამასთან, ისევე როგორც ალერსმონატრებულნი ჩვილი უბრუნდება თავისი დედის მკლავებს და როგორც ტალღებთან ბრძოლით ღონემიხდილი ადამიანი უბრუნდება გადარჩენის გემს.

ჩემო ღმერთო და ჩემო მხსნელო, აქ ვართ ჩვენ, გეძებდით და შენ გვიპოვე; ხელებს ვიწვდიდით და შენ გვიპასუხე; ვლოცულობდით და შეისმინე ჩვენი ლოცვა. პირველად შენ შეგვიყვარე.

და ახლა ჩვენ ძეები გავხდით და არა მონები, თავისუფლები და არა ტყვეები. გავხდით მართლები ნაცვლად უკეთურებისა; ჩვენ შენ დაგემსგავსეთ ყველა ერის სიყვარულში.

ჩვენ ისმაელის შვილები ვართ, ძეები ჩვენი მამა აბრაამისა, რომელსაც „ღმერთის მეგობარი“ ეწოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გამოვაცხადოთ ყველა ერის წინაშე ჩვენი სიყვარული, აღტაცება, მორჩილება და ერთგულება შენდამი. ჩვენ რტოები ვართ, შენ კი ვაზი; ჩვენ სასძლო, შენ კი სიძე; ჩვენ შენი ქალაქი ვართ, შენ კი ჩვენი ღმერთი, მხსნელი და მეფე.

თქვენი ისმაელის შვილები

მონანიება მეჩეთის წინ

ეს ქრისტიანობაზე ჩემი მოქცევის ამბავია. ჩემი სახელი აბრაამია. ძალიან ვამაყობ ჩემი არაბული სახელით, იმიტომ რომ ეს სახელი დიდი პატრიარქის სახელია. ახალი სახელი კი ტიმოთეა, თუმცა ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მე აბრაამი ვარ, უფრო შინაურულად აბუ-ჰალილი, ძე ერთი უბრალო, სოფელში მცხოვრები ცოლქმრისა. უბრალო ადგილას ვიზრდებოდი, სადაც ხალიჩის მაგივრად ლელი გვეფინა, სინათლის მაგივრად ნავთის ლამფა გვენთო და საკვების ნაცვლად გამხმარ კალტს ვჭამდით. გაკვეთილებს პატარა ნაკადულის პირას ვსწავლობდი, ვატარებდი თეთრ ჰალაბიას (არაბული სამოსელი). მე ახლაც ჰალაბიას ვატარებ.

როდესაც პატარა ბავშვი ვიყავი დედაჩემმა წამავლო ხელი და მიმიყვანა კოტაბში (ისლამური სასწავლო ადგილი), სადაც შეიხი გვასწავლიდა კითხვას, წერასა და ყურანის ზეპირად წარმოთქმას. ყოველი კვირის ბოლოს ის აბაზს გვთხოვდა. კოტაბში ჩემი გონება და გული აივსო ღვთის მორჩილებით, ცისა და ქვეყნის შემოქმედის მოშიშებით.

როდესაც სწავლის შემდგომ საფეხურზე გადავედი, უფრო მეტად დავინტერესდი იმ შეკრებებით (მისტიური თაყვანისცემა), რომლებიც მეჩეთში იმართებოდა. დავიწყე სოფელში მცხოვრები სუფიების ჯგუფის მისტიურ შეკრებებზე დასწრება. ჩვენ ვაქებდით წინასწარმეტყველ მუჰამედს და არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რა ხდებოდა ჩვენს ირგვლივ, მხოლოდ ვიმეორებდით: „ო, ღვთის მაცნევ, შეგვეწიე!“

ერთ დღესაც, როდესაც მწუხრის ლოცვებმა ჩაიარა მეჩეთში, ორი კაცი მოვიდა ჩემთან და გამეცნო. ერთს მუჰამედი ერქვა, მეორეს სოლომონი. ისინი სათნოდ, მეგობრულად მომესალმნენ. მათში საოცარი სიკეთე და ღმერთის მორჩილების ნამდვილი სურვილი დავინახე. მათ სხვა მეგობრებიც გამაცნეს. ამ ადამიანებს უყვარდათ ერთმანეთი და მხარში ედგნენ ერთმანეთს ღვთის გზაზე სვლისას. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა ერთობამ. ისინი ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობის ელიტას წარმოადგენდნენ. მათ შენიშნეს ჩემი თავგამოდება ღმერთის თაყვანისცემისადმი და უნარი საჯარო საუბრისა.

ჩვენი ჯგუფი ყოველი თვის პირველ ორშაბათს იკრიბებოდა. მე, ემირის (ჯგუფის წინამძღოლი) მიერ წარმოთქმული დამოდგრის შემდეგ, სიტყვის თქმა მევალებოდა. ფაქტიურად, ეს საქმიანობა მაშინ დავიწყე, როდესაც მხოლოდ თოთხმეტი წლისა ვიყავი. ვხვდებოდი, რომ ეს ძალიან კარგი იყო; რადგანაც იმამი შაფაი ფატვას (რელიგიურ რჩევა-დარიგებას) ექვსი ან ცხრა წლის ბავშვობის ასაკში იძლეოდა. მახსოვს ჩემი პირველი წარმოთქმული სიტყვა მეჩეთში; სიტყვა ეძღვნებოდა წინასწარმეტყველის დაბადების დღის აღნიშვნის იდეალურ გზას. ჩვენ ერთად ვმარხულობდით და ერთად ვჭამდით მეჩეთში და ვცდილობდით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაგვემეორებინა მუჰამედის გზა; ვბაძავდით მას სიარულში, ლაპარაკში, ლოცვაში, ჭამაში, სმაში, ჩაცმაში და ა.შ.

თავს მოვალედ ვთვლიდი ამ ადამიანების წინაშე, რადგანაც ისინი მამხნევებდნენ და მეხმარებოდნენ კითხვასა და ძიებაში. ამ ფაქტორებმა, ფაქტიურად, განაპირობეს ჩემი ყოფნა იქ, სადაც ვარ დღეს. ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა უთხრა მამაჩემს: „აბრაამი სუნის ჯგუფის ერთ-ერთი საჯარო გამომსვლელია; ის ყველა მათ საჯარო და საიდუმლო შეხვედრას ესწრება“. გაოცებული და შეძრული ვიყავი ამით, ვინაიდან ეს ის ადამიანი იყო, რომლის ზემოქმედებითაც გადავწყვიტე ცხოვრება ისლამისათვის მიმეძღვნა და შევერთებოდი მუსლიმი ძმების ჯგუფს. ჩვენ ერთი მეჩეთიდან მეორეში მივდიოდით და ვაცხადებდით ისლამის განახლების შესახებ. ყოველთვის მსურდა, რომ მამაჩემი დასწრებოდა იმ ღვთისმსახურებას,

რომელზედაც სიტყვით გამოვდიოდი. მას შემდეგ, რაც გამჟღავნდა ჩემი საიდუმლო, მამა ყოველთვის მაფრთხილებდა და მემუქრებოდა; მას იმედი ჰქონდა, რომ შევიცვლიდი აზრს და დავტოვებდი მუსლიმურ სამოსს. ჩვენი ჯგუფის შესახებ ბევრი ცნობა დაუგროვდა ინფორმანტს, რომელსაც მუჰამედი ერქვა. ის თვალს ადევნებდა ყველა სიახლესა და მოძრაობას, რომელიც ჩვენ შორის ხდებოდა და ინფორმაცია მიჰქონდა სახელმწიფო უშიშროების საგამომიებო ოფისში. ის იწერდა ყველა ჩვენს გამოსვლას და ჩანაწერები მიჰქონდა უშიშროების ადგილობრივ ოფისში. მეამაყებოდა, როცა ვხედავდი მუჰამედს, რომელიც იწერდა ჩემს გამოსვლებს მეჩეთში.

მეორეს მხრივ, არც მამაჩემს და არც მე არ გვსიამოვნებდა ის ფაქტი, რომ უშიშროებაში ჩემი სახელი ფიგურირებდა. მამაჩემი იმდენად იყო შეწუხებული ჩემ მიმართ მოსალოდნელი საფრთხის გამო, რომ წავიდა მუსლიმი ძმების ჯგუფში, მეჩეთში და ყველას თვალწინ, ხმამაღლა სთხოვა მათ, დაენებებინათ ჩემთვის თავი. შემდეგ დაბრუნდა სახლში, დამარტყა და კბილი ჩამიძტვრია. ერთი წინა კბილი ახლაც ჩამტვრეული მაქვს, რაც მახსენებს ჩემ ყოფნას მუსლიმ ძმებს შორის.

მამაჩემმა, პირველად ჩემს სიცოცხლეში, დაწვა ყველა ჩემი რელიგიური წიგნი. ის ძალიან ზრუნავდა ჩემზე და შიშობდა, რომ სუნის ჯგუფთან კავშირს შეეძლო ზიანი მოეყენებინა ჩემთვის. ის იმითაც კი დამემუქრა, რომ გაეყრებოდა დედაჩემს, თუ გავაგრძელებდი სუნის მეჩეთში სიარულს. ვთხოვე მას, იმისი ნება მაინც მოეცა, რომ მეჩეთის გარეთ ვმჯდარიყავი და ისე მესმინა მუსლიმი ძმების შეიხებისთვის. ის დამთანხმდა შემდეგი პირობით, თუ ჩემთან ერთად წამოვიდოდა. ამის შემდეგ ჩვენ მეჩეთის გარეთ ვისხედით და შიგ ადარ შევდიოდით.

მუქარამ ვერ დამაკავა ისლამის მოწოდების იდეების გავრცელებისაგან. სკოლაში ყოველ დღით ვაცხადებდი ისლამურ საჯარო სიტყვას. ვაიძულებდი ჩემს დას ეტარებინა ჩადრი. ქალებს აღარ ვართმევდი ხელს და ვუსმენდი ბალადებს, რომლებიც მოგვითხრობდნენ იმაზე, რომ გვშინებოდა ღმერთის სასჯელისა განკითხვის დღეს, სასჯელისა, რომელიც გამდნარი ტყვიის ყურებში ჩასხმის ფორმით მოვიდოდა. მეზობლები

დამცინოდნენ, რომ ასეთი პედანტური ვიყავი ყურანისა და სუნას ყველა ბრძანების გაგებასა და აღქმაში. ეს არ იყო ჩემი ბრალი; მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ისლამი სადაგი და ქმედითი იყო ყველა ასაკისა და ყველა ქვეყნისათვის და რომ, ის იყო პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზა!

როდესაც თავგამოდებით ვცდილობდი, გამევერცელებინა ისლამი, მქონდა ერთი აზრი. ვფიქრობდი, რომ უნდა შემეძინა ჩემი ქრისტიანი მეგობრები, ანუ ისინი უნდა გამხდარიყვნენ მუსლიმები, რათა ჩვენ ყველა ერთად წავსულიყავით ჯანააჰში (კა). იმ დროს თუ თქვენ შემეკითხებოდით და მთხოვდით, გამომეთქვა ჩემი აზრი ქრისტიანების შესახებ, გეტყოდით, რომ ისინი უღმერთოები და პოლითეისტები არიან, მაგრამ მალევე აღმოვაჩინე ის, რომ თავად ყურანი სზვანაირად ასწავლიდა ამის შესახებ. 5:82 სურაში (*მაგიდა*) ყურანი ამბობს,

ყველაზე უფრო ძლიერი სიძულვილი მართლმორწმუნეთა მიმართ ებრაელებსა და კერპთაყვანისმცემლებს ჰქონდათ და ყველაზე უფრო უყვართ მორწმუნენი იმ კაცთ, რომელნიც თავიანთ თავს ქრისტიანს უწოდებენ; იმიტომ, რომ მღვდლები და ბერები ჰყავთ იმათ და იმიტომაც რომ, ღიდი გული არა აქვთ.

ამ მუხლის თანახმად, ყურანი განასხვავებს ქრისტიანებსა და უღმერთოებს; ქრისტიანები უღმერთოები, რომ ყოფილიყვნენ, ყურანი მათ იმავე კატეგორიაში მოათავსებდა. სურა (*ძროხა*) 2:62 ამბობს:

ქრისტიანებიც და საბეველნიც, ვისაც ალაჰი და უკანასკნელი დღე სწამს და ვინც კეთილი ქმნას, ყველამ საჩუქარი მიიღოს თავიანთი უფლისაგან; შიში არ ეცეს მათ და არც შეწუხდნენ.

მე ვცდილობდი, დამერწმუნებინა ქრისტიანები, რომლებსაც სკოლაში ვხვდებოდი და რომლებიც მეზობლად ცხოვრობდნენ, რომ ისლამი ჭეშმარიტი რელიგიაა. მე მიმოწერასაც კი

ვაწარმოებდი ზოგიერთ ქრისტიანთან იმისათვის, რომ ისინი ისლამზე მომექცია. შედეგად კი მწველი სურვილი გამიჩნდა გულში, ერთმანეთთან შექმედარებინა ისლამი და ქრისტიანობა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მეპოვა, რომელი იყო სწორი და რომელი მცდარი, რომელი იყო ღმერთის გზა და რომელი – ეშმაკისა.

ორი წლის მანძილზე ვიბრძოდი. მრავალჯერ გადავწყვიტე, ბოლო მომეღო ამ შინაგანი დაპირისპირებისათვის და შეემწყვიტა ქრისტიანული წიგნების კითხვა, ყოველ დღით მთელი ყურადღება გადამეტანა ყურანის ციტირებაზე და წინასწარმეტყველ მუჰამედის მაგალითს მივყოლოდი. მინდოდა მეპოვა მშვიდობა და დავმორჩილებოდი ღმერთს ჭეშმარიტი რელიგიის საშუალებით. წავიკითხე ყველა ჩემი ქრისტიანული წიგნი იმისათვის, რათა გავმხდარიყავი ნამდვილი მუსლიმი და ჩემი ცხოვრება მიმეძღვნა ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთისათვის, ალაჰისათვის.

მაგრამ ღმერთმა არ დამტოვა მარტო, მისი სულიწმიდა მალეღებდა ძილში. როდესაც მივდიოდი დასაძინებლად, მოუსვენრობა მიპყრობდა, სინდისი მქენჯნიდა. ღამეებს თეთრად ვათენებდი. ვფიქრობდი, თუ მუჰამედი მართლაც წინასწარმეტყველთა ბეჭედი, რატომ არ უნდა მოვიდეს ის დღეთა დასასრულს, ქრისტეს ნაცვლად, როგორც ცეცხლით მსაჯული? მე მაკვირვებდა ის საიდუმლო, რომელიც ქრისტეს უზენაესობის უკან იდგა, ყველა წინასწარმეტყველს სჭარბობდა და იმდენად მაღალი იყო, რომ ის გახდა ისტორიის ცენტრი. განა არ ვამბობთ, რომ კონკრეტული ისტორიული მოვლენა მოხდა ან ქრისტემდე ანდა ქრისტეს შემდეგ? რა არის შენი დიდების საიდუმლო, ისა, მარიამის ძევ?

ეს და სხვა მრავალი კითხვა მაიძულებდა, ერთმანეთისათვის შექმედარებინა ქრისტე და მუჰამედი. ეს კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს მივხვდი, რომ ეს შედარება არ იყო სამართლიანი და ამისი მტკიცებულება ყურანშიც ჩანს. ყურანში ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ ისეთ ქრისტეს, რომელიც ღმერთს პატიებას სთხოვს რაიმე ცოდვის ანდა დანაშაულისათვის, განსხვავებით დანარჩენი წინასწარმეტყველებისა და მაცნეებისაგან. ქრისტე

მართალი იყო, როდესაც გამოიწვია იუდეველთა წინამძღვრები და უთხრა: „რომელი თქვენგანი მამხილებს ცოდვის გამო?“ მან გაკიცხა იუდეველები მათი ყალბი ღვთისმოსაობის გამო, როდესაც მათ მრუშობაზე წაასწრეს ქალს: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან დაჰკრას ქვა“ (იოანე 8:7).

მეორეს მხრივ კი, თავად ყურანში აღმოვაჩინე, რომ მუჰამედი ისეთივე ადამიანი იყო, როგორებიც არიან სხვები, საკუთარი ცოდვებით, მტრობით ულმერთო ადამიანებისადმი და საკუთარი სიკვდილით. ყურანი ამბობს შენის (მუჰამედის)

ცოდვებისა და მორწმუნე კაცთა და ქალთა ცოდვების მიტევებას ევედრე მას.

სურა (მუჰამადი) 47:19

რათა ღმერთს (ალაჰს) დაემტკიცებინა, რომ ძველსა და ახალს შეცოდებას გაპატიებს...

სურა (გამარჯვება) 48:2

სარწმუნოებით, რომ არ გაგვემტკიცებინე, დაუთმობდი, ვინადგან გული ცოტად კიდევ გქონდა იმათკენ.

სურა (ღამეული გადაყვანა) 17:74

ყურანის კომენტარებში იმამი ელ-სიუოტი განმარტავს იმ მიზეზებს, რომლებიც ამ (17:74) სურის უკან დგას;

მუჰამედის თანახმად, ქააბის ძისა, კარზის ტომიდან, წინასწარმეტყველი მუჰამედი ხმამაღლა იმეორებდა 53 სურას, სანამ იტყოდა: „იხილე 'ელ-ლატი' და 'ალ-ოცა'“. (კერპების სახელები), შემდეგ უმაკმა აიძულა, ეთქვა, რომ მუსლიმებს შეეძლოთ მათი მსახურება და რომ, კერპთა შეამდგომლობა მოძიებული იქნება. ასე გახდა ის ყურანის მუხლი.

წინასწარმეტყველი მუჰამედი ძალიან წუხდა იმის გამო რაც მოხდა, სანამ ღმერთმა არ შთააგონა ის სხვა მუხლით: „ერთი

მოციქული, ან მოვლინებული არ წარმოგვიგზავნია შენს უწინარეს უიმისოდ, რომ სატანას მათ ვედრებათა შორის არ გაეხიდა ცოდვილი რამ განზრახვა; ხოლო ღმერთი გააქარწყლებს მას, რასაც სატანა განიდავს და თავის სასწაულთაც (მუხლთა) განამტკიცებს“ სურა („ჰაჯი“ მოლოცვა მექასი) 22:52.

ეს გახლდათ მიზეზი 17:73,74 (ღამით მგზავრობა) სურისათვის: „ურჯულოებმა მაცდურებით კნინლა დაგამორეს მას, რაც შენ გამოგიცხადეთ და ჩემთვის სხვა გამოცხადება მოგაკუთვნებინეს. მაშინ ხომ თავიანთ ამხანაგად ჩავთვლიდნენ შენ. სარწმუნოებით, რომ არ გაგვემტკიცებინე, დაუთმობდი, ვინაიდან გული ცოტად კიდევ გქონდა იმათკენ“.

ბიბლიაში მე ვერ შევძელი ისეთი მუხლის პოვნა, რომელიც ამბობს, რომ ქრისტე თითქმის შეუერთდა უღმერთოებს, თუ ეს არ იქნება ღმერთის განგებულებით. მიზეზი, რომელიც ამ ფაქტის უკან დგას და რა დასკვნაც გამოვიტანე ჩემი სწავლებიდან, შემდეგია: რომ ქრისტე ღვთის სიტყვაა. ახალი აღთქმა, რომელიც პირველად ბერძნულ ენაზე დაიწერა, ხაზს უსვამს იმას, რომ ქრისტე ღვთის სიტყვაა შემდეგი აზრით: „ის არის ღმერთის მოლაპარაკე გონება“. ქრისტე არის ღმერთის გონება. ღმერთი და ღმერთის გონება ერთი და იგივე არსობაა, ერთი და იგივე არსია, განსხვავების, გაყოფის ანდა განცალკევების გარეშე. ქრისტე არის განკაცებული სიტყვა, ღმერთი, რომელიც სხეულით მოვიდა. მისი ღვთაებრივი ბუნება, არასოდეს დაშორებულა მის ადამიანურ ბუნებას, არც ერთი წუთით, არც ერთი წამით.

ასეთი აზრები გონებას მიშფოთებდა და გულს მიძვერებდა. მაშინებდა რისხვა ღმერთისა, რომელიც უღმერთოებს თავს დაატყდებოდა. როდესაც მუხლს ვიყრიდი სალოცავად, გული მიკვნესდა და ვევედრებოდი უზენაესს: „ღმერთო, დამანახვე ჭეშმარიტება. თუ მუჰამედია მართალი, სიკვდილამდე მისი მიმდევარი ვიქნები; თუ ქრისტეა მართალი, სამარის კარამდე მისი მოწაფე ვიქნები. მთელ ჩემს ცხოვრებას, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, შენ მოვიძღვნი და შენ გემსახურები“.

მანამდე ვიმეორებდი ამ ლოცვას, სანამ ქრისტე არ გამომეცხადა სიხმარში და თავისი კეთილი ხმით არ მითხრა:

„მე შენ მიყვარხარ“. ვსუნთქავდი და ვჭვრეტდი ქრისტეს დაუსრულებელ სიყვარულს, ვფიქრობდი მის თავგანწირვაზე, მის ჯვარცმაზე, რამაც ხსნა და თავისუფლება მოგვიტანა. დადგა დღე და თვალცრემლიანმა ვუთხარი ქრისტეს: „მე შენ მიყვარხარ. მე შენ გიცნობ, მე ვიცი, რომ შენ ხარ ალფა და ომეგა. მე ვიცი, რომ შენ ხარ მარადიული და ხარ დასაწყისი და დასასრული“.

რარიც ბედნიერი ვიყავი, პატარა ბავშვივით ვხტოდი და ვადიდებდი ღმერთს. იყო რა ცეცხლით მსაჯული, ღმერთმა განუხაზღვრა თავის ძეს, მოძკვდარიყო ჩვენს ნაცვლად, რომ მარადიულობა ჯოჯოხეთში არ გაგვეტარებინა. ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს ცოლისაგან ჰყავს ძე – ღმერთმა გვაშოროს! ჩვენ უღმერთოდ ჩავთვლით ყველას, ვინც ამას იტყვის. ღმერთს არასოდეს არ ჰყოლია ცოლი და არც ფიზიკური ძე. ჩვენ ვამბობთ, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა და ისევე იშვა, როგორც ნათელი იშობა სინათლისაგან. ეს სულიერი ძეობაა. ჩვენ, ეგვიპტელებს: „ნილოსის ძეებს“ გვეძახიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნილოსმა ქორწინების შედეგად გვშვა.

ნიკეის კრების მრწამსში ჩვენ ვაცხადებთ: „გვწამს ... ერთი უფალი იესო ქრისტე, მხოლოდშობილი ძე ღვთისა, მამისგან შობილი საუკუნეთა უწინარეს, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი, ჭეშმარიტი ღვთისაგან, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლის მიერაც შეიქმნა ყოველივე“; ამავე დროს ჩვენ ვამოწმებთ, რომ არ არის სხვა ღმერთი გარდა ერთი ღმერთისა და რომ, ჩვენ მხოლოდ მას ვცემთ თაყვანს.

რამდენიმე კვირის შემდეგ, 1987 წლის 6 სექტემბერს მოვინათლე სახლში. ჩემს გულში, ჩემი ნათლობა დაბადების მეორე თარიღი იყო. და აი ახლა, უკვე თექვსმეტი წელია, ქრისტიანი ვარ. ჩემს ცოლს ვუთხარი, რომ როცა მოვკვდები, მინდა, ჩემს საფლავთან წაიკითხონ „ქრისტეა ძლევაძმოსილი!“

ყველა ცოცხალი არსება ამ მიწაზე მოკვდავია. მხოლოდ ქრისტეა უკვდავი. ყველა წინასწარმეტყველი დამარხულია საფლავში, რომლებიც ჩვენ ვიცით და ვნახულობთ კიდევ ამ საფლავებს, მაგრამ ქრისტეს საფლავი ცარიელია, ვინაიდან ის ცაშია; ის გამარჯვებული მეფეა. თავისი სიკვდილით ჯვარზე,

ქრისტემ დათრგუნა სიკვდილი. ქება და დიდება შენ, ჩემო საყვარელო იესო!

ჩემმა მეგობარმა მოიპარა ჩემი დღიური და მისცა ის სოლომონს, მუსლიმთა საძმოს წევრს. სოლომონმა და მისმა ამხანაგებმა მოილაპარაკეს, ჩემთვის ხაფანგი დაეგოთ. გააკეთეს ჩემი დღიურის ასლები და სოფლის მოსახლეობაში გაავრცელეს. დღიურში საუბარი იყო იმაზე, თუ რატომ ვირწმუნე ქრისტე. მოსალოდნელი იყო, ამას დიდი სკანდალი მოჰყოლოდა, მაგრამ როგორც იოსებმა თქვა: „...თქვენ ბოროტება განიზრახეთ ჩემთვის, მაგრამ ღმერთმა სიკეთედ მოაქცია იგი“ (დაბ.50:20). ღვთის სიტყვა ამბობს: „ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს ყოველივე ეწევა სასიკეთოდ“ (რომ.8:28).

ჩემი ოჯახის წევრები შერცხვენილები იყვნენ. დედაჩემს აღარ შეეძლო ხალხში გამოჩენა. ადამიანები თითოთ აჩვენებდნენ მასზე, რადგანაც მისმა ვაჟიშვილმა შეარცხვინა ის, რაკი ქრისტიანი გახდა. მან მითხრა, რომ უარს იტყოდა ჩემზე განკითხვის დღემდე. არაფერს ისე არ უტკენია გული, როგორც ჩემი ოჯახის დამოკიდებულებას ჩემდამი; დამცირება და ტკივილი, რომელიც მივიღე მათგან, განსაკუთრებით კი დედისაგან, ძნელია გამოსახატავად. თუმცა, რა შემდეგლო გამეკეთებინა? მე, მართლაც, მიყვარდა დედაჩემი, მაგრამ შეუძლებელი იყო მისი გულისათვის მიმეტოვებინა ჩემი ახალი რწმენა. ერთხელ თავისი ფეხსაცმელი თავში ჩამცხო, შემდეგ ჩაიცვა შავები და ყველას გამოუცხადა, რომ გლოვობს თავის შვილს, აბრაჰამს. ერთ დღესაც ჩემი სოფლის მკვიდრები მოვიდნენ ჩემთან, უნდოდან ჩემი ცემა და წამება იმისათვის, რომ კვლავ ისლამზე გადავსულიყავი. ოჯახის თვალწინ მცემდნენ წიხლებით და დამყვიროდნენ. დედაჩემი დაემხო მუხლებზე მათ წინაშე და ევედრებოდა სერიოზული ზიანი არ მოეყენებინათ ჩემთვის, მაგრამ მასაც იგივე დღე დამართეს. საწყალი დედაჩემი მიწაზე ეგდო და ტიროდა, ისინი კი დაჰყვიროდნენ ჩემ ოჯახს: „თქვენ შეგვარცხვინეთ!“ ამ საშინელების ჟამს, სოფლის ერთ-ერთი შეიხი ადგა და ხმამაღლა მიმართა ხალხს: „რა ბრალი მიუძღვის ამ საწყალ ქალს იმაში, რომ მისმა ვაჟმა უღმერთობის გზა აირჩია?“ მაღლობას ვწირავ

უფალს. მისი მოწყალეობა, რომ არ ყოფილიყო, უკვე კარგა ხნის წინ გარდაცვლილი მოწამე ვიქნებოდი.

ყოველივე ამის შემდეგ მეგობრებმა მიმატოვეს, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩემთან მეგობრობა მათ რეპუტაციას შელახავდა ქალაქში. ცნობილი „სტუმარი“ გავხდი ადგილობრივი პოლიციის განყოფილებასა და უშიშროების ოფისში. მრავალი ღამის გატარება მომიხდა იქ იმისათვის, რომ დამეცვა ჩემი სიცოცხლე. ერთ ღამეს სოფლის მცხოვრებლები შეიყარნენ ჩემი სახლის ირგვლივ და სურდათ მისი დაწვა. დაწვეს კიდეც ზოგიერთი ჩემი ქრისტიანული წიგნი, დანარჩენები კი პოლიციამ წაიღო; ისინი ისე მომეპყრნენ, როგორც ნარკოტიკებით მოვაჭრის ქონებას ეპყრობიან.

პოლიციამ მუდმივი მეთვალყურეობა დააწესა ჩემს სახლზე, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ არანაირი ქრისტიანული მასალა არ მოსულიყო ჩემამდე. თუმცა, ღვთის სიტყვამ ჩემამდე მაინც მოაღწია იმ გაზეთის ერთ-ერთი გვერდით, რომელშიც ჩემი სენდვიჩი იყო გახვეული! ამ გაზეთის წინა გვერდზე მოთავსებული იყო კოპტური ეკლესიის პატრიარქის შენოუდას სტატია. სტატიაში მრავალი ბიბლიური ციტატა გვხვდებოდა; აი ერთ-ერთი მათგანი: „ნუ გეშინია, რადგან შენთანა ვარ“ (დაბ. 26:24). მეორე: „თავად უფალი წავგიძღვება შენ, იგი იქნება შენთან, არ დაგაგდებს და არ მიგატოვებს. ნუ შეგეშინდება და ნუ შედრკები“ (მეორე რჯ. 31:8).

სასწაული და ციური ნიშანი იყო ის, რომ ჩემამდე მოაღწია ამ გაზეთმა, ვინაიდან მან გამოარღვია პოლიციის რიგები, რომლებიც ჩემს სახლს მეთვალყურეობდნენ. ამან გამამხნევა და ძალა შემმატა იმ დროს, როდესაც დიდ გასაჭირში ვიყავი ჩავარდნილი და მჭირდებოდა ღვთის შეწევნა. ჩავამთავრე თუ არა გაზეთის ამ გვერდის კითხვა, კარებზე პოლიციის ოფიცერმა დააკაკუნა. ჩემი სიცოცხლის საფრთხის გამო, ჩემი ოჯახის ერთ-ერთმა ოჯახის წევრმა ხელი სტაცა გაზეთს და დაწვა. ძალიან დავლონდი, რომ დავკარგე ჩემი ნუგეშისცემის ეს წყარო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მომდევნო დღეს, როდესაც სახლიდან გავედი, კუთხესთან იმავე გაზეთის იმავე გვერდის სხვა პირი აღმოვაჩინე მიწაზე დაგდებული! ყოველდღე დილის 4 საათზე

მეღვიძებოდა. მეღვიძებოდა დედაჩემის ხმაზე, რომელიც ალაჰს შესთხოვდა, რომ მე უკან, ისლამში დავებრუნებინე.

ქრისტიანები ჩემთვის დედაჩემზე ძვირფასები არ არიან. ფაქტია, რომ ის ჩემთვის გაცილებით ძვირფასია, ვიდრე რომელიმე მუსლიმი ან თუნდაც ქრისტიანი. მეორეს მხრივ კი, მე მყავს უფრო ძვირფასი და ახლობელი არსება, ვიდრე დედაჩემი, ანდა თუნდაც ჩემი სიცოცხლე – ეს არსება უფალი იესო ქრისტეა! ის საკუთარ თავზე მეტად, რომ არ მყვარებოდა, არც მექნებოდა წილი მასში.

დედაჩემმა ყველა ხერხს მიმართა იმისათვის, რომ მე უკან, ისლამში დავებრუნებინე. წავიდა შემლოცველთან, რომ ჩემზე შეჰკითხოვდა და რაიმე ეღონა გავლენის მოსახდენად. მუსლიმებს სჯერათ, რომ ჯინებს სწამთ ყურანისა. ცხადია, ჯადოსანი ისეთს ვერაფერს იღონებდა, რომ ზიანი მოეყენებინა ჩემთვის. მე ხომ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ვიდექი და ვლოცულობდი იესო ქრისტეს სახელით, იმ სახელით, რომელიც თავზარს სცემს ყველანაირ დემონებსა და ჯინებს. უცნაურია! შემლოცველმა უთხრა დედაჩემს: „შენი ძე იმ გზაზე დგას, რომელსაც არასოდეს მიატოვებს!“

ღმერთმა მრავალი სასწაული და ნიშანი მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ვმხნეველები, როცა რომელიმე მათგანს ვიხსენებ. ისინი მინიშნებასავით არიან ღმერთის მამობრივი სიყვარულის გზაზე. დასაწყისიდანვე მიბატრონა მან და მომიყვანა ამ ადგილზე თექვსმეტი წლის წინ; არასოდეს მიუტოვებია, არც ერთი წამით!

აბრაამი

კურთხეულია ერი ეგვიპტისა

ჩემი სახელია მოზაფარი. დავიბადე 1969 წელს. ვარ პირმშო საშუალო კლასის ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა ლამაზ, წყნარ ქალაქში. ვიზრდებოდი იმ პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, რომელიც აკისრია საერთოდ ადამიანს. არ ვგავდი სხვა ბავშვებს, ვინაიდან არც დიდხანს ვთამაშობდი მათთან ერთად და არც ქუჩაში დავყვალვოდი მათსავით.

მამაჩემი მეზობელ ქალაქში მუშაობდა, ამიტომ მე მიხდებოდა ზრუნვა ჩემს ორ ძმაზე – ჰასანზე, რომელიც შუათანა იყო და ანვარზე, რომელიც ნაბოლარა გახლდათ. ნებსით თუ უნებლიეთ მიწევდა სახლიდან გასული მამის როლის თამაში კვირაში რამდენიმე დღის მანძილზე. მრავალმა წელმა გაიარა ასეთ ყოფაში, არაფერი გვიჭირდა. ფინანსურად კარგად გვქონდა საქმე. ვსწავლობდი კერძო სკოლებში. როგორც მუსლიმები, ვლოცულობდით და ვმარხულობდით; ზომიერად ვიცავდით რელიგიურ მითითებებს, შორს ვიდექით ფანატიზმისა და ფუნდამენტალიზმისაგან.

თუმცა დაღვა დრო და მრავალი კითხვა ამოტივტივდა ჩემს გონებაში, რამაც სრულად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ის ჩვეულებრივიდან სიურპრიზებითა და ცვლილებებით საგსედ გარდაიქმნა. ეს ის დღე გახლდათ, როცა მე უმაღლეს სკოლაში შევედი. ჩემი აზრით, ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში იწყებს ადამიანი საკუთარი თავისა და ირგვლივ არსებული რეალობის აღქმას.

თითოეული ჩვენგანი მემკვიდრეობით იღებს რელიგიას, ენას, რასას და სქესს. ვერავინ ვერ აირჩევს ამ ფაქტორთაგან რომელიმეს განყენებულად, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან და ეფექტურ როლს თამაშობენ პიროვნების ფორმირების საქმეში. ჩვენ გვიწევს ამ სავალდებულო მემკვიდრეობის საკუთარ თავთან, ღმერთთან და სხვებთან მიმართებაში გააზრება. მაგალითად, ჩვენ, როგორც მუსლიმები, დავიბადეთ და გავიზარდეთ ისეთ გარემოში, რომელიც გვასწავლიდა ებრაელებისა და ქრისტიანების სიძულვილს და იმაში გვარწმუნებდა, რომ მუსლიმები მსოფლიოში საუკეთესო ხალხია. არავის იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ სხვები (ებრაელები, ქრისტიანები და სხვა) შეიძლება მართლები ყოფილიყვნენ ოდესმე. სხვათა გამართლებულობის ეს აზრი არც არასოდეს არსებულა ჩვენი მუსლიმური მთვარის შუქზე. მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები ბედავდნენ და იკვლევდნენ იმ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ანდა სვამდნენ კითხვას: რამდენად სწორი და სამართლიანია ეს მემკვიდრეობა. თუ ჩვენ ვთხოვთ სხვებს (ებრაელებსა და ქრისტიანებს), გამოიკვლიონ თავიანთი მემკვიდრეობა და შეასწორონ ის, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დარწმუნებულები ვართ მათ მცდარობაში და ვთვლით მათ ბრმებად და გზააბნეულებად, ვინაიდან თავიანთ მემკვიდრეობას ისინი ყოველგვარი სჯა-ბაასისა და გამოკვლევის გარეშე იღებენ. ამიტომ მართებული იქნებოდა, თავად გაგვეკეთებინა ის, რასაც სხვებს ვთხოვთ. (ლოგიკურია, ისე მიუდგე ადამიანებს, როგორც შენ გინდა, რომ ისინიც შესაბამისად მოგიდგნენ). მიმაჩნია, რომ ჩვენი მემკვიდრეობის გამოკვლევა და ჭეშმარიტების აღმოჩენის მცდელობა უფრო ღრმად დაგვაკავშირებდა არსებულ კეთილ სფეროებთან და მოგვამზადებდა იმისათვის, რომ დაგვეძლია უმეცრებისა და პატივმოყვარეობის სფეროები. მართლაც, ჭეშმარიტ ღმერთს უყვარს ის ადამიანები, რომლებიც ესწრაფვიან ჭეშმარიტებას, ნათელს, სიკეთესა და უკეთეს ცხოვრებას.

უმაღლეს სკოლაში ცხოვრება ახალი ნაცნობებით, ახალი თავგადასავლებითა და ახალი ჭეშმარიტებებით იყო სავსე. ვფიქრობ, რომ ჩემი თაობა გამოკვეთილად დარჩება ამ სკოლის

ისტორიაში. იქ ყოფნის დროს გავიცანი ათეისტი სტუდენტები, რომლებსაც არ სწამდათ ღმერთის არსებობა; გავეცანი სტუდენტებს, რომლებიც ღრმად ფუნდამენტალისტური ისლამური თემებიდან იყვნენ და კიდევ სხვებს, რომლებიც ტკბებოდნენ თავისი ყმაწვილკაცობის პერიოდით და გოგონების გარდა სხვა არაფერი აინტერესებდათ. ეს ჩემთვის ძალიან მრავალფეროვანი და კომპლექსური გარემო გახლდათ. ეს იყო ნახტომი ნორმალური, თითქმის მოსაწყენი ცხოვრებიდან, რაოდენობრივად და ხარისხობრივად ძალიან მდიდარი ცხოვრებისაკენ.

დავიწყე ამხანაგების შეძენა და გავიცანი ერთი პიროვნება, რომელიც სულ მალე გახდა ჩემი ახლო მეგობარი. ჩვენი მეგობრობის თექვსმეტი წლის შემდეგ, მივხვდი, რომ ყველა, ვინც ვერ გამოცადა მსგავსი მეგობრობა, მარტოსული დარჩება მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე, ვინაიდან არაფერი ეცოდინება თბილი ურთიერთობების, ურთიერთდახმარების, პატიოსნებისა და ერთგულების შესახებ.

ასეთი პიროვნება, ვერასოდეს შესძლებს სხვებთან დაახლოვებას, ვინაიდან ის ვერ ახერხებს საკუთარ თავთან გულახდილობას. მომიტევეთ; ძალიან ფანატიკურად ვუყურებ მეგობრობას. ჩემს ახალ მეგობარს, ბასილს, ისეთივე აზრები ჰქონდა ადამიანურობასა და მის უმთავრეს წყაროზე, რაც სათავეს ჩვენი საერთო მამიდან, ადამიდან და ჩვენი საერთო დედიდან, ევადან, იღებს. მას ისიც მტკიცედ სწამდა, რომ ძმობა და მეგობრობა ის გრძნობებია, რომლებმაც უნდა მართონ ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობები. ეს ის ერთადერთი გრძნობაა, რომელიც ძლევს რწმენა-წარმოდგენების, ენის, კანის ფერის, სქესისა და სოციალური კუთვნილების ილუზიებსა და რეალურ ბარიერებს. ბასილი ხშირად ამბობდა შემდეგს: თუ ყველა ადამიანი აღიარებს, რომ ყველა ჩვენგანს გააჩნია ერთი და იგივე საწყისი, მსოფლიო გაცვილებით ბედნიერი გახდებოდა, ომების, შიმშილისა და ქიშპის გარეშე. მსოფლიო გახდებოდა დიდი ოჯახის პატარა სახლი, რომელშიც მშვიდობა, სამართლიანობა, თანასწორობა და თავისუფლება დამკვიდრდებოდა.

ეს პრინციპები იყო ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩვენს ემოციურ ურთიერთობებშიც კი. ჩვენ პლატონური სიყვარულით ვიყავით დაკავშირებულნი – სიყვარულით, რომელიც აღამაღლებს სულს და უპატიოდ ჰყოფს ხორცის სურვილებს. ის წუთები, დღეები და წლები, მართლაც, მშვენიერი იყო; ვიყავით გულიანები და უბიწონი, ვიყავით ანცები და ბავშვური ცნობისმოყვარეობით სავსენი. უტოპია იყო ჩვენი ოცნებები, ჩვენი დღეები და ღამეები.

ღამეებს ვათენდებდით კითხვასა და სჯა-ბაასში. ჩემ ოჯახს კიდევ ჰქონდა სხვა სახლი გარდა იმისა, რომელშიც ვცხოვრობდით. ეს სახლი იქცა იმ ადგილად, სადაც მე და ბასილი ვწერდით, ვმეცადინებდით, ვუსმენდით საყვარელ სიმღერებს, ვკითხულობდით ნებადართულსა თუ აკრძალულ წიგნებს. ვფიქრობ, რომ აკრძალულ წიგნებს გარკვეული მიმზიდველობა გააჩნიათ. ეს არ იყო სიგარეტი ანდა ნარკოტიკები, რომლებიც აღამიანს მავნე ჩვევად ექცევა ხოლმე, ეს იყო აკრძალული წიგნები და აი ერთ-ერთი მათგანი: *„ღმერთო, ნუ შემიშვებ ცაში, თუ მას კედლები აქვს!“* სალაჰ ჯაჰინის წიგნი. ბასილმა მრავალი კითხვა წამოჭრა. მან თქვა, ისლამის მტკიცება, რომ იუდაიზმი და ქრისტიანობა გახრწნილია, ლოგიკურად განაპირობებს ყველა რელიგიის გაქრობას, მათ შორის, თავად ისლამის გაქრობასაც. მე შევეკითხე: „როგორ, ისლამი ხომ ერთადერთი რელიგიაა, რომელიც დაცულია?“ და მოვიხმე ცნობილი მუხლი ყურანიდან:

უწყება გადმოვავლინეთ და მისი მცველნიცა ვართ.

სურა (ალ-ჰიჯრი) 15:9

მან მითხრა: „ჩვენ ამ სიტყვებისა იმიტომ გვჯერა, რომ მუსლიმები ვართ. არც ერთი ჩვენგანი არ ცდილობს გახრწნილობის შემთხვევას ნეიტრალური, ობიექტური კუთხით შეხედოს. მაგალითად, ღმერთმა გამოგზავნა თორა (მველი აღთქმა), ზაბურა (ფსალმუნები) და ბიბლია (ახალი აღთქმა)?“ როდესაც ვუპასუხე: „ღიას“. შემდეგ მკითხა: „არის ვინმე ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლია ან შეცვალოს ანდა შეასწოროს ღმერთის სიტყვები?“

მოვიყვანე ის მუხლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არ არსებობდა არც შემსწორებელი და არც შემცვლელი ღვთის სიტყვისა. არც ერთ ძე ხორციელს, ანგელოზსაც კი არ შეუძლია ამისი გაკეთება, რადგან ღმერთი ყოვლისშემძლეა, ყოვლადძლიერია და მას შეუძლია თავისი წიგნების დაცვა.

შემდეგ ბასილმა თქვა: „შენ გვამს, რომ ღმერთი ყოვლისშემძლე, ყოვლადძლიერი და დიდებულია და რომ, არავის არ შეუძლია მისი სიტყვების შეცვლა; მაგრამ როგორ დაუშვა მან, რომ დამახინჯებულიყო არა მხოლოდ ერთ-ერთი თავისი წიგნი, არამედ სხვებიც, ერთის გარდა? როგორ დაუშვა მან, რომ მოსესთვის მიცემული თორა დამახინჯებულიყო? როგორ დაუშვა მან, რომ დავითისთვის მიცემული ზაბური (ფსალმუნები) შეცვლილიყო? და ბოლოს, როგორ დაუშვა ღმერთმა, რომ ისასთვის მიცემული ახალი აღთქმა შეცვლილიყო? ნუთუ შესაძლებელია, რომ თითქმის ექვსასი წლის შემდეგ, რომელთა განმავლობაშიც თაობები იცვლებოდა, რომელთა განმავლობაშიც წმიდა წიგნები იცვლებოდა და ყალბდებოდა – ღმერთმა გამოგზავნა წიგნი, რომლის დამახინჯებაც არავის შეეძლო?“

„რა გამოდის, ერთ მშვენიერ დღეს ღმერთი იქცა ყოვლისშემძლედ, ყოვლადძლიერად, რათა დაეცვა თავისი სიტყვა დამახინჯებისგან! და ეს მოხდა საუკუნეების შემდეგ, რომელთა განმავლობაშიც მისი წიგნები დამახინჯდა და მისი მორჩილები გზას ასცდნენ – ისრაელი, რომელიც ღმერთის რჩეული ერი იყო და მისი მღვდლები, რომლებიც იმოწმებდნენ წიგნს, ადგენდნენ იმას, რაც სწორი იყო და კრძალავდნენ იმას, რაც არასწორი იყო! ნუთუ შესაძლებელია, რომ ყველა მათგანი მცდარ გზას დადგომოდა? შეგიძლია წარმოიდგინო ღმერთი, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას თავისი წიგნი დამახინჯების, გაყალბებისა და შეცვლისაგან და რომელიც შესძლებს დაიცვას თავისი თაყვანისმცემელნი?“

მე ბევრს ვფიქრობდი ამ საკითხებზე, თუმცა პასუხს ვერ ვპოულობდი. ვხვდებოდი, რომ საქმე ის კი არ იყო, მეპოვა გამოსავალი ანდა პასუხი იმისათვის, რომ გამომეყვანა ღმერთი იმ ჩიხიდან, რომელშიც თავად მან შეიყვანა თავისი თავი, არა!

იმასაც ვხვდებოდი, რომ ბასილის დასმული კითხვები ლოგიკური და ბუნებრივი იყო. ვიცოდი, რომ ის გულწრფელი იყო ღმერთის ძიებაში და არ ესწრაფოდა სოფლის სიამეებს. მეკითხებოდა ხოლმე, რატომ ვამტკიცებთ ჩვენ მუსლიმები, რომ წმიდა წიგნები დამახინჯებულია, მაგრამ ამავე დროს, იმასაც ვამტკიცებთ, რომ ყურანი დაცულია ამისაგან – თითქოსდა, მხოლოდ ყურანია ღმერთის ერთადერთი წიგნი. ნუთუ ღმერთი უფრო კეთილმოსურნეა ზოგიერთი წიგნების მიმართ სხვებთან შედარებით, ანდა ამ წინასწარმეტყველებს უფრო კარგი თვალთ უყურებს, ვიდრე სხვებს? ნუთუ ღმერთი არ ზრუნავდა იმ ადამიანებზე, რომლებიც დაიხოცნენ თავიანთ ცრუ სარწმუნოებაში, თუმცა დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი რწმენა ჭეშმარიტია? თუ ეს წიგნები, მართლაც, დამახინჯებული იყო, როგორ დაუშვა ღმერთმა ის, რომ ასეთმა ადამიანებმა თავისი ცხოვრება სიწრფოებით მიუძღვნეს ასეთ წიგნებს? არ მჯერა, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არჩევს თავის წიგნებს ანდა წინასწარმეტყველებს. მან არ უნდა გაარჩიოს არაბები და სხვა ხალხები; მან მხოლოდ მათი გულის ზრახვები უნდა გაარჩიოს. ამიტომ ჩვენ ეს კითხვები არა მხოლოდ ებრაელებსა და ქრისტიანებს უნდა დავუსვათ, არამედ თავად ყოვლისშემძლე ღმერთსაც.

ვგრძნობდი, რომ ბასილი ყველა ნათქვამ სიტყვაში გულწრფელი იყო. მახსოვს, მრავალი დამე გავატარეთ სამი წიგნის – თორას, ბიბლიისა და ყურანის კითხვაში – ვცდილობდით, გვეპოვა მსგავსებანი და სხვაობანი მათ შორის. დიდებული ჟამი იდგა, მიუხედავად იმისა, რომ მენტალურადაც და ემოციურადაც ეს დრო ძალაგამომცლელი გახლდათ. ნეიტრალურობა და ობიექტურობა კვლევაში არასოდეს არ არის ადვილი თემა. არაფერია იმაზე ადვილი, რომ ერთი რელიგია ჭეშმარიტად გამოაცხადო, მეორე კი ყალბად, რეალური კვლევის გარეშე, იმ კვლევის გარეშე, რომელიც დააკმაყოფილებს მაძიებელსა და მწყურვალს.

ბასილმა ერთხელაც იკითხა: „რა იყო პირველად, ნამდვილი ფული თუ ყალბი კუპიურები?“ ვუპასუხე: „ცხადია, პირველად ნამდვილი ფული იქნებოდა და შემდეგ გამოჩნდებოდა ყალბი“.

„მართალი ხარ, ეს ლოგიკურია, ამიტომ ვკითხულობ, რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ თავისი სამი პირველი წიგნი დამახინჯდა და მხოლოდ თავისი მეოთხე წიგნი (ყურანი) დაიცვა დამახინჯებისაგან? რომელი სტანდარტის მიხედვით შეგვიძლია, დავადგინოთ გაყალბება: ადრეული წიგნებისა თუ გვიანდელი წიგნების მიხედვით?“ ბასილი მიწვევდა: „მომიტევე, მეგობარო, მაგრამ როგორ შეუძლია მას, რომელმაც დაუშვა თავისი სხვა წიგნების გაყალბება, მოგვთხოვოს, ჩვენ ვენდოთ მის მეოთხე წიგნს?“, ალბათ, არ დამიჯერებთ, რომ ვთქვა, რომ ბასილისაგან დასმული ეს გაბედული კითხვები, მე იმ განცდის გარეშე მივიღე, რომელსაც ღვთისა და ყურანისადმი უდიერი მიდგომა ჰქვია? ვიცოდი, რომ მას ნამდვილად უყვარდა ღმერთი და პატივს სცემდა ადამიანებს. ის პირდაპირ ღიად და ობიექტურად მსჯელობდა. უყვარდა იმის თქმა, რომ სიცოცხლის შემდეგ, სხვა ვერაფერი გვიშველის ჩვენ ჭეშმარიტების გარდაო. ბასილი აყენებდა ზოგად კითხვებს, როგორებიცაა: როგორ დამახინჯდა წმიდა წიგნები? როდის? სად? და ვინ ჩაიდინა ეს?

ეს იყო კითხვები არა, მაინცდამაინც, მუსლიმებისადმი, ანდა წარსულის, ანდა აწმყოს, ანდა იმ პირისადმი, რომელიც ძალისხმევას ახმარდა პასუხებს.... დამახინჯების საკითხი ისეთივე ამკარაა, როგორც ღღის სინათლე; მხოლოდ უმეცარ ადამიანს შეუძლია მისი უგულებელყოფა. ბასილს ჩემზე მეტად აინტერესებდა რელიგიისა და სიკვდილის შემდგომი ცხოვრების საკითხები. ერთ საღამოს, როდესაც საუბარი დავიწყეთ, მოულოდნელად ბასილსაც და მეც ერთდროულად გაგვიჩნდა აზრი („ტელეპათიის“ მსგავსად, რომლის შესახებაც გაგვეგონა). აზრი შეეხებოდა იმ ბუკლეტის შედგენას, რომელშიც ჩამოწერილი და ჩამოყალიბებული იქნებოდა ჩვენი პრინციპები, ოცნებები, ფიქრები, დიალოგები და მშვენიერი მოგონებები.

ეს გახლდათ განსაკუთრებული, 1986 წლის ერთ-ერთი საღამო – მშვენიერი საღამო გასახსენებლად! ბუკლეტის სათაური უნდა ყოფილიყო „ჩვენ არ გვჯერა“. მისი მთავარი იდეა იყო, აგვეხსნა, რა არ გვჯერა ჩვენ და რატომ! მახსოვს ერთი წინადადება ბუკლეტის შესავლიდან: „ჩვენ ჩვენი წესების,

ტრადიციების, ზოგადი გრძნობებისა და უუნარობის ტყვეები ვართ.“

ერთ დღეს ბასილი მოვიდა ჩემთან. მის თვალებში ისეთი რამ დავინახე, რაც ადრე არასოდეს შემიინიშნავს. ის ისეთ პიროვნებას ჰგავდა, რომელიც ინახავს საიდუმლოს, რომლის შენახვის ძალაც უკვე აღარ გააჩნია. ვგრძნობდი, რომ მისი თვალები უკვე მზად იყვნენ ამ საიდუმლოს გასაცხადებლად მანამდე, სანამ ის პირს გახსნიდა. წინ და უკან დაიწყო სიარული ოთახში, ლაპარაკობდა თავისთვის, ისეთ ადამიანს მაგონებდა, რომელიც ვერ ხედავს ოთახში მყოფ სხვა ადამიანს და თავისთვის ხმამაღლა ფიქრობს. ეს უნიკალური სიტყვა იყო!

„შენ იცი, რომ დიდი ხნის მანძილზე ვიკვლევდი და ვკითხულობდი ყველა წმიდა წიგნს და საერო წიგნებს. ყოველთვის ვცდილობდი, ობიექტური ვყოფილიყავი. მხოლოდ ღმერთის ძიების წყურვილი მქონდა. არა მქონია იმისი განზრახვა, რომ რომელიმე რელიგია სხვებზე მაღლა დამეყენებინა რაიმე მიზეზის გამო“.

„სწავლის, კვლევისა და უძილოდ გატარებული მრავალი ღამის შემდეგ, როცა ვიკვლევდი სახლში მობრუნებული უძღები მის შესახვედრად გამოქცეული მამის გულს, მინდა ვთქვა, რომ ძიების გზა არ იყო იოლი. პირიქით, მრავალჯერ მიგრძენია თავი უპასუხო კითხვებში ჩაძირული კაცით. დროდადრო ისიც მინდოდა, რომ ყველაფრისათვის წიხლი მეკრა და რომელიმე რელიგია ამერჩია, იმ კაცის მსგავსად, რომელიც იხრჩობა და აღარ უყურებს, რას ეჭიდება. მაგრამ არ შემეძლო იმის უარყოფა, რომ ყოვლისშემძლის ძალით ვიყავი გარემოცული. როდესაც ჩიხში მოვექეცი და სრულიად იმედგაცრუებული ვიყავი, ვიგრძენი ახალი იმედი, რომელიც სწმენდა ჩემს სულს, მაძლევდა ახალ ძალას იმისათვის, რომ ავმდგარიყავი და ნაბიჯები გამემართა“.

„ყოველ დილით ვაახლებდი ჩემს ვალდებულებას, მომეძია მიზანი და შეუპოვრად მევლო მისკენ, სანამ არ აღმოვაჩენდი ჭეშმარიტებას, სანამ არ ვიპოვიდი ღმერთს, რომელიც შემარიგებდა ზეცასთან, საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან – ყველასთან, როგორც მეგობრებთან, ასევე მტრებთან, მე

ვეძებდი ისეთ ღმერთს, რომელიც შესძლებდა ჩემი გულის შეცვლას, უფრო მეტიც, რომელიც მომცემდა ახალ გულს – გულს, რომელსაც ეცოდინებოდა მისი განდიდება, ეცოდინებოდა მოწყალება, მიტევება, ზრუნვა, ბრწყინვა და მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლა!“

„გჯერა შენ, ჩემო მეგობარო? მე ვიპოვე ეს მშვენიერი ღმერთი, დიდებული ღმერთი! ის ჩემი მხსნელია, ჩემი ღმერთია, ჩემი გვირგვინია, ჩემი ძალაა, ჩემი უფალია, ჩემი საფუძველი და წყაროა – ის იესო ქრისტეა!“

ძალიან კარგად ვიცნობდი ბასილსა და მის პროგრესულ შეხედულებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შოკირებული დავრჩი იმით, რომ მან უარყო ისლამი და გახდა განდგომილი. ჩემმა ახლო მეგობარმა, რომელიც მიყვარდა, უარყო ისლამი და უღმერთო გახდა. აღარ შემიძლო მასთან ლაპარაკი. მან დაინახა შოკირებული, რომ ვიყავი და დამტოვა მარტო, რომ გადამეხედა ჩვენი მეგობრობისათვის და ჩემი საკუთარი კვლევა ჩამეტარებინა.

ვწუხდი და ვგრძნობდი, რომ ეს ეჭვი აღწევდა ჩემს მემკვიდრეობით მიღებულ სარწმუნოებაში. ვგრძნობდი, რომ ჩემი ფესვები ირყეოდა. რატომ უნდა მაწუხებდეს და ძვლებს ეჭვები, ალბათ, იმიტომ, რომ სათანადოდ არ ვსწავლობდი და არ მივდევი ჩემს რელიგიას; ასე ვფიქრობდი გულში. მიმაჩნდა, რომ თუ შევისწავლიდი ისლამს და აღვასრულებდი ყველა მის მცნებას და არასავალდებულო წესს, მივიღებდი პასუხს ყველა ჩემს კითხვაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაქრება ეჭვები ჩემი გულიდან და მის ნაცვლად იქ, ღრმად დამკვიდრდება ისლამური სარწმუნოება, ჩემი და ჩემი მამების რელიგია. ამის შემდეგ, უკვე შემიძლება, ვიყო ჩემი მეგობრის ბასილის წინამძღოლი, რომელმაც დატოვა სიმართლის გზა და უღმერთო გახდა.

შედეგად, ვეწვიე ბასილს და ვუთხარი ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი. მისი პასუხით კვლავ შოკირებული დავრჩი. მან არ უარყო არც ის, რაც ვთქვი და არც შორს დაიჭირა ჩემგან თავი. პირიქით, ძალიან გახარებული ჩანდა იმით, რაც მე ვილაპარაკე, თითქოსდა უნდოდა მას, რომ შემესწავლა და გავყოლოდი ისლამს და გავმხდარიყავი ნამდვილი მუსლიმი, ამ სიტყვის

სრული გაგებით. ფაქტიურად, ბასილმა გამამხნევა მე, როდესაც თქვა: „ჭეშმარიტება ადამიანებს არ ეკუთვნის, არამედ ადამიანები ეკუთვნიან ჭეშმარიტებას. ღმერთი არასოდეს არ დაუშვებს იმას, რომ მის გულწრფელ მაძიებელს გზა აებნეს. ამიტომ მე არ ვშფოთავ შენზე და არც ჩემზე. მიჰყევი შენს გეგმებსა და ისლამს და დაე, ღმერთმა მოგცეს წარმატება! მაგრამ იყავი ფრთხილად, მოზაფარ! კეთილი ზრახვები საკმარისი არაა იმისათვის, რომ ჭეშმარიტების ნაპირს მიაღწიო. კეთილი ზრახვები ობიექტურ და სამართლიან კვლევასთან ერთად, რომელიც შეერთებულია გულმოდგინე სწრაფვასთან, უსაფრთხოდ გატარებს გზაზე. და ღმერთი გაჩვენებს შემდეგ გზასაც, ჭეშმარიტებასაც და უკეთეს სიცოცხლესაც“.

ასე რომ, შეგუდექი ისლამის ღრმა შესწავლას. შევეუერთდი ისლამურ ჯგუფს, რომელსაც სახელად „წინაპრების ჯგუფი“ ერქვა. ყველა ერთად ვიცავდით სავალდებულო ლოცვებს მეჩეთში, ვესწრებოდით დოქტრინალურ სწავლებებს და გავდიოდით გარეთაც, რათა ახალგაზრდებისათვის მოგვეწოდებინა, მიჰყოლოდნენ ისლამური ცხოვრების წესს. დასაწყისიდანვე და შემდეგაც ძმები და მე, უნდა განვმარტოებულებიყავით რამდენიმე დღით, ხანდახან კვირითაც, რათა თავყანი გვეცა და გველოცა სხვადასხვა ქალაქებში განლაგებულ მეჩეთებში.

ჩვენ ვმართავდით ბანაკებს იმისათვის, რომ ხმამაღლა გვეკითხა ყურანი და გვემსჯელა ჩვენი ჯგუფისათვის მნიშვნელოვან თანამედროვე რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე. ამ მოქმედებებს ხელმძღვანელობდნენ უნივერსიტეტის პროფესორები და უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალები (ფიზიკოსები, ინჟინრები, სამართალმცოდნეები, მასწავლებლები და ა.შ.) მიუხედავად ამ ახალი შეხედულებებისა და იმ დიდი ცვლილებისა, რომელიც განიცადა ჩემმა ცხოვრებამ სხვადასხვა მიმართებით: მშობლიურ სახლში გატარებულ ძველ ცხოვრებასთან მიმართებით, მეზობლებთან, სკოლის ამხანაგებთან მიმართებით, მე კვლავაც ვკრძალავდი ტელევიზორის ყურებას, სიმღერების მოსმენას, ანდა რაიმე ფორმით თავისუფალი დროის გატარებას.

დედასაც და ნათესავ ქალებსაც ვაიძულებდი, ეტარებინათ ის ჩაცმულობა, რომელსაც ისლამი უწესებდა მათ. მეგობრებსაც ბრძანების კილოთი ვახსენებდი, რომ ზუსტად დათქმულ დროს ელოცათ. მეგობრებთან ჩემი ურთიერთობები შეიცვალა, გამონაკლისი მხოლოდ ბასილი გახლდათ. ჩვენ სხვადასხვა პოლუსებზე ვიდექით, განსაკუთრებით კი ჩვენს რწმენა-წარმოდგენებში. რელიგიურად თუ მივუდგებოდით, ის იყო უღმერთო და გზასაცდენილი, ხოლო თუ ადამიანურად მივუდგებოდით, ის იყო ჩემი ერთადერთი მეგობარი, რომლის მიტოვებაც არ შემიძლო.

ჰო, ის უღმერთო იყო იმიტომ რომ ქრისტიანი ვახდა, თუმცა ის კვლავ პატიოსანი, გულწრფელი, ერთგული და ყველასადმი მოსიყვარულე დარჩა. ღმერთს ვთხოვდი, რომ ბასილი კვლავ ისლამის გზაზე დაებრუნებინა. ძმები წინაპართა ჯგუფიდან ყოველთვის მთხოვდნენ, თავი დამენებებინა მისთვის და შევბრძოლებოდი, ვინაიდან ის ახლა უღმერთო იყო. იმ დროს ქალაქში შეიტყვევს, რომ ბასილი ქრისტიანი ვახდა. შედეგი კი დევნა და შევიწროება იყო.

ყველაფრის მიუხედავად, ბასილი ურყევი და მეგობრული დარჩა. ის თავისი მღევნელებისადმიც კი სიყვარულსა და მიტევებას ამჟღავნებდა. გაოცებული და გაკვირვებული ვიყავი. რამდენი კითხვა აწვალებდა ჩემს გონებას: როგორ შეუძლია უღმერთო პიროვნებას, რომ სავსე იყოს ასეთი სიმშვიდით და სიყვარულით? რატომ არ მიაგებს ის ბოროტს ბოროტის წილ, თვალს თვალის წილ, კბილს კბილის წილ?

ის ხშირად ამბობდა, რომ მიჰყვება თავისი საყვარელი ქრისტეს გზას იმით, რომ უყვარს თავისი მტრები და მიუტევებს მათ, ვინც სასტიკად ექცევა. ასეთი სიყვარულის წინაშე, ისლამური რწმენა-წარმოდგენებისა და ფუნდამენტალიზმის ჩემუელი მცდელობანი, ის, რაც თითქოსდა ძალას მაძლევდა მის შეხედულებებთან დასაპირისპირებლად, ყოველგვარ ძალას კარგავდა.

ეს სიყვარული მეწინააღმდეგებოდა მე და ყველა ჩემს მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი რელიგია იყო ჭეშმარიტი რელიგია, რომ ალაჰი იყო სამყაროს ღმერთი,

რომ ჩვენ, მუსლიმები, საუკეთესონი ვართ მთელს მსოფლიოში და რომ, ჩვენი წინასწარმეტყველი მუჰამედი გახლდათ წინასწარმეტყველთა ბეჭედი და ღვთის მაცნე. ყველა ეს მტკიცებულება წინააღმდეგობას ვერ უწევდა სიყვარულის იმ ყოვლისმომცველ მდინარეს, რომელიც მის არსებაში ჩანდა. ამან მაიძულა, დავბრუნებოდი ჩემს რიტუალურ ვალდებულებებს და იმ იმედით გამეგრძელებინა ცხოვრება, რომ ერთ მშვენიერ დღეს შევიცვლებოდი და გავხდებოდი უფრო ძლიერი, ვიდრე ბასილი და მისი ღმერთი. შემდეგ შევხვდებოდი მათ და დავამარცხებდი. გავიდა ორი წელი. ისლამური წესით ცხოვრებისა და გულწრფელი კვლევის შემდეგ დავინახე ისეთი რაღაცეები, რამაც გააოგნა მთელი ჩემი არსება და ისეთი ეჭვები ჩამინერგა, როგორიც ადრე არასოდეს მქონია. აღმოვაჩინე, რომ თაყვანისცემის ყველა ისლამური წესი გახლდათ არა ისლამური ღვთაებრივი შთაგონების ნაყოფი, არამედ ეს ვალდებულებები არსებობდა არაბეთში მუჰამედისა და ყურანის წინ. ისიც აღმოვაჩინე, რომ შარიათი (ისლამური რჯული) და ყველა სასჯელი ისლამამდე გამოიყენებოდა. მრავალი ისლამური სწავლება იყო აღებული თორადან, ისეთები, როგორებიცაა: მრუშების ჩაქვავება, ქურდებისათვის ხელის მოკვეთა და ასე შემდეგ.

აგრეთვე აღმოვაჩინე, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა სრულად განსხვავდებოდა იმ სურათისაგან, როგორსაც ისლამი გვიხატავდა მას. ისლამმა შეუტია ქრისტიანობას და ამტკიცებდა, რომ ქრისტიანებს სწამთ სამი ღმერთი და რომ, ღმერთმა იქორწინა მარიამზე, რომელმაც შვა იესო, ღმერთების ძე. ისლამი იმასაც ამტკიცებდა, რომ ქრისტიანები თაყვანს სცემენ იესოსა და მარიამს, როგორც ღმერთებს, გარდა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა. აღმოვაჩინე, რომ ეს ყველაფერი სრული სიცრუეა; რომ ეს მტკიცებულებები აღებულია იმ რელიგიური ცრურწმენებიდან, რომლებიც ბატონობდნენ არაბეთში მუჰამედის ცხოვრების ჟამს და მასზე უწინარეს.

ნამდვილ ქრისტიანობას სწამდა ერთი ღმერთი ისლამამდე ექვსი საუკუნით ადრე და ისეთი ამაღლებული პრინციპები და სწავლება დაამკვიდრა, რომელთაც ვერც ერთი ადამიანი ვერ

დაუპირისპირდებოდა და პირიქით, პატივსაც კი მიაგებდა. წინაპართა ჯგუფში სწავლის, მსჯელობის, კვლევისა და ვალდებულებათა ათვისების ოთხი წლის შემდეგ, რომელთა განმავლობაშიც მრავალი უძილო ღამე და ცრემლი მხვდა წილად, როდესაც ვევედრებოდი ღმერთს, გამძღოლოდა სწორ გზაზე, გადავწყვიტე, გავჩერებულყავი და ხელახლა გამეაზრებინა ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. მეორეს მხრივ, კიდევ ერთი პრობლემა მქონდა. ვალდებულება მქონდა აღებული, ცყოფილიყავი ჩემი ჯგუფის გვერდით ყოველდღე მეჩეთში ლოცვებისა და სწავლისათვის. როგორ უნდა მომეხერხებინა მათთან მოულოდნელი დაშორება? როგორ უნდა გამეპარსა წვერი და მიმეტოვებინა ისლამური სამოსი (გალაბია)? და კიდევ მრავალი სხვა რამ...

რას იფიქრებდნენ ისინი, ალბათ, იმას, რომ მე ბასილთან მაქვს ურთიერთობა, რომელიც ქრისტიანი გახდა? ისინი, ალბათ, იტყოდნენ, რომ მეც ქრისტიანი უნდა გავხდე მის მსგავსად. ეს კი ჩემს თავზე მრავალ დევნასა და დამცირებას მოაწვედა. არ მქონდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ დამეძლია შიში და შევეგებებოდი ჭეშმარიტებას იმ დროის ლოგიკისა და სიბრძნის შესაბამისად. ოთხწლიანი კვლევის შემდეგ, ადამიანმა აღარ უნდა იყოყმანოს, უნდა მოიკრიბოს სიმამაცე და შეეგებოს გარდაუვალს, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს!

ასე რომ, შევწყვიტე მოქმედება და ვთხოვე ღმერთს, ეჩვენებინა სწორი გზა. ამ დროისათვის მე გაცილებით მეტად მაწუხებდა ეჭვები ისლამთან დაკავშირებით და გაცილებით მეტად მომეძალა რწმენა ქრისტესთან მიმართებით. ოთხი წლის მანძილზე, ჩემი მეგობარი ბასილი თავს იკავებდა და არ ცდილობდა ჩემთვის ყველა ის საკითხი და პრობლემა დაენახვებინა, რომელთაც წავაწყდებოდი, თუ ქრისტიანი გავხდებოდი. ის მხოლოდ ცრემლებითა და დარწმუნებით მელაპარაკებოდა ქრისტეს შესახებ. თითქმის მზად ვიყავი მიმელო ქრისტე, როგორც ღმერთი და როგორც მხსნელი, მაგრამ იყო რაღაც ჩემში, რაც მაკავებდა ამ რწმენის მიღებისაგან. მე ჯერ კიდევ არ ვიყავი ქრისტეს რწმენით სავსე. ვუთხარი ბასილს, რომ არ ვიცოდი რა იყო ამისი მიზეზი, რა იდგა ამის უკან. მან

თქვა: „მე ჯერაც არ ვიცი, მაგრამ შენ გწამს, რომ ღმერთმა იცის ყველაფერი და რომ, მხოლოდ მას შეუძლია გიპასუხო და დააკმაყოფილოს შენი შიშნატი ჭეშმარიტებისათვის?“ მე ვუპასუხე: „დაიან!“ მოდი თვითონ და ვთხოვთ ღმერთს, რომ უფრო მკაფიოდ გამოგიცხადოს თავისი თავი. ღმერთი, რომელიც ჩვენ გვწამს ნამდვილია და ახლოსაა. მას ესმის ჩვენი ლოცვები და გვესაუბრება კიდევ. ის ცოცხალია და შეუძლია ჩვენზე ზემოქმედება. ის არ არის ილუზია“.

დავეთანხმე ბასილს და დავიწყე ლოცვა. ღმერთს ვთხოვდი, რომ უფრო მკაფიოდ გამოგიცხადებინა საკუთარი თავი ჩემთვის, გამხდარიყო ჩემი წინამძღოლი და დაერწყულებინა ჩემი წყურვილი ჭეშმარიტებისათვის. 1988 წლის მარტის თვის ერთ-ერთი ცივი ღამე ცრემლებსა და ლოცვაში გავატარე. გული გადავუშალე ღმერთს და ვკვნესოდი ტკივილისა და ბრძოლის ოთხ წელზე. გუშინდელ დღესავით მახსოვს თერთმეტი წლის წინანდელი ღამე. ეს იყო ღამე წმიდათა წმიდაში, ოთხწლიანი უსასოობისა და მშფოთვარების შემდეგ. ყოველთვის ვცდილობდი, მესიამოვნებინა ღმერთისთვის, რათა მეგრძნო მისი თანყოფნა და სიანლოვე, თუნდაც პატარა, მცირე მომენტში. მაგრამ რაც უფრო მეტად ვეძლეოდი ისლამს, უფრო მეტ მარტოობას ვგრძნობდი; რაც უფრო მეტად ვემორჩილებოდი, უფრო მეტად მიპყრობდა შფოთი; რაც უფრო ღვთისმოსავი ვხდებოდი, უფრო მეტად მიპყრობდა შიში. ოთხი წელი მშვიდობის, დაცულობისა და უსაფრთხოების გარეშე. ჩემი მტკიცება, რომ ისლამის ღმერთი უფრო ახლოს იყო ჩვენთან, ვიდრე ჩვენ მასთან, უსაფუძვლო გამოდგა.

მიუხედავად იმისა, რომ მე ჯერაც არ მიღიარებია ქრისტე ჩემს ღმერთად და მხოლოდ მიუჯახლოვდი და შევეხე მის სწავლებას, მან აწაღმართა ჩემი გული და აავსო ის ნუგეშით, გაჭირვების, მარტოობისა და სიმწრის განვლილი წლების მიერ მოტანილი უსასოობის ნაცვლად. მან აავსო ჩემი არსება სიხარულით, მშვიდობითა და მოსვენებით, რომლის ახსნაც არ შემიძლია და რაც არასოდეს არ განმიცდია ჩემს წინანდელ ცხოვრებაში.

მაშინ, გამთენიისას, მინდოდა, წამოემხტარიყავი, მივვარდნოდი ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს მეგობრებს, ნაცნობებს და

მომეყოლა მათთვის იმ საგანძურის შესახებ, რომელიც აღმოვაჩინე – ცოცხალი ღმერთი, რომელიც აღმოვაჩინე იესო ქრისტეში, რომელმაც შემეიყვარა მე მანამდე, სანამ მე შევიყვარებდი მას.

გავიქეცი ბასილთან და ყველაფერი მოვუყევი. მისმენდა და ცრემლებმა დაუსველა მას სახე. მან განაღვიძა ღმერთი ჩემ გამო ისე, როგორც დედა აკეთებს ამას მაშინ, როდესაც გულში იკრავს თავის გადარჩენილ შვილს ანდა მამა ცდილობს ცრემლების დამალვას მაშინ, როდესაც ხედავს სახლში დაბრუნებულ, წლების წინ გაუჩინარებულ, თავის შეცლომილ ძეს.

თქვენი მოზაფარი

ჩადრის უკან

თითოეულ ჩვენგანს გააჩნია ცხოვრებისეული მოგონებები, ადრეული ბავშვობის ოცნებები და ხასიათის ჩამოყალიბების ზიგზაგები. მართლაც, მე ყველა წუთი მახსოვს; თითქოსდა ჩემი დაბადების წუთიც მახსოვს. ეს მომენტი ჩემს გონებაში იმიტომ აღიბეჭდა, რომ დედა მომიყვა ამის შესახებ. ეს იყო 1971 წლის ერთ-ერთ ოთხშაბათს. მე ჩემი მშობლების პირველი გოგონა ვიყავი. მათი პირველი სინარული, პირველი ჩვილი, რომელმაც აახმაურა მათი სახლი.

მე უძრწევესი ვარ ოთხ დას შორის. ჩვენი ფინანსური მდგომარეობა საშუალოდ ითვლებოდა ყველა ჩვეულებრივი ოჯახის მსგავსად. მამაჩემი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა ჩვენი საჭიროებანი. მისი ოცნება იყო, კარგი განათლება მოეცა ჩვენთვის, განსაკუთრებით კი ჩემთვის. მე საზოგადოებრივ სკოლებში ვსწავლობდი. ჩვენ ყველანი გოგონები ვიყავით, ამიტომ მამას სურდა, რომ მე ჰყოლოდა. რაც შეეხება რელიგიას, ყველა ჩვენთაგანი იზრდებოდა მორალური ფასეულობებისა და რელიგიური მიძღვნილობის ნიშნით.

მამა ნამდვილი მუსლიმია. იზრდებოდა რა სოფლად, ის იცავდა ყველა რელიგიურ რიტუალსა და ტრადიციას. რაც შეეხება დედაჩემს, ის ნაკლებად კონსერვატორი იყო, ვიდრე მამაჩემი. ყოველთვის ლოცულობდა და ახლაც ლოცულობს. მახსოვს, მასაც და მამასაც ყოველთვის ჰქონდათ არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ სურდათ, რომ ორივე მათგანი

კარგი მაგალითი ყოფილიყვნენ ჩვენთვის ყველა რელიგიურ საკითხში. მამაჩემი ყოველთვის ადრე დგებოდა, რათა ელოცა უახლოეს მეჩეთში. დროდადრო მეღვიძებოდა აზანის (მოწოდება ლოცვისათვის) ხმაზე. გაოცებული ვიყავი მამაჩემის გულმოდგინებით, რომ ხუთივე სავალდებულო ლოცვა დროულად შეესრულებინა მეჩეთში. ვერაფერი აბრკოლებდა მას ამის კეთებაში – ვერც ცივი ზამთარი, ვერც ცხელი ზაფხული და ვერც სნეულება.

ერთხელაც კკითხე: „რატომ არ ლოცულობ სახლში, როდესაც ცივი დღეა?“ მან მიპასუხა, რომ რაც უფრო გულმოდგინე იქნება მეჩეთში სალოცავად წასვლისათვის ასეთ ამინდში, მით უფრო მეტ ჯილდოსა და წყალობას მიიღებს ღმერთისაგან. კონსერვატორი მამაჩემი ნამდვილად იყო ისლამის ერთგული და ის ახლაც ასეთია.

როდესაც შვიდი წლის ვიყავი, მამაჩემმა შემაგონა, შემენახა რამადანის მარხვა (რამადანი ისლამური კალენდრის თვეა, რომლის განმავლობაშიც ყველა მუსლიმი ვალდებულია იმარხულოს) მთელი თვის მანძილზე. შემდეგ მან ერთ-ერთი ჰადისი (წინასწარმეტყველთა ტრადიციები) მითხრა: „ასწავლეთ მათ შვიდ წლამდე, სცემთ მათ ათ წლამდე“.

მომშვივებოდა ხოლმე მარხვის გრძელი დღის მანძილზე, განსაკუთრებით კი იმ წლებში, მაგრამ ერთგული და მორჩილი ვიყავი დღის დასასრულამდე. შევძელი და მთელი თვის მანძილზე შევინახე მარხვა. მამაჩემი ძალზე გახარებული იყო ამით და ეს ამბავი ჩვენი ოჯახის წევრებს შეატყობინა. ის ძალიან ამაყობდა ჩემი რელიგიური შემართებით.

ბედნიერი ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ ღმერთი დამაჯილდოვებდა თავისი აღთქმის თანახმად. თუმცა უფრო მეტ სიხარულს ის მანიჭებდა, რომ ბოლომდე მივიყვანე ეს ძნელი ამოცანა. თორმეტ წლამდე რეგულარულად არ ვლოცულობდი, ამიტომ მამაჩემი ყოველთვის გველაპარაკებოდა ამის საჭიროებაზე. დისციპლინა სწავლაშიც და ლოცვაშიც ძალიან მნიშვნელოვანი თემებია, ამიტომ საწინააღმდეგო ქცევა მრავალ გაუგებრობასა და კამათს იწვევდა ჩვენს ოჯახში.

მამას ჰქონდა თავისი მეთოდი ჩვენს დასასჯელად, რასაც მე ძალიან ვეწინააღმდეგებოდი. თუ ერთ-ერთი ჩვენთაგანი არ ლოცულობდა რაიმე სხვა მიზეზის გამო, გარდა კანონიერი მიზეზისა, ის უარს ამბობდა ჩვენთან ერთად ერთ მაგიდასთან ჭამაზე, წინასწარმეტყველთა ტრადიციის თანახმად. მიკვირდა, როგორ შეეძლო წინასწარმეტყველს ესწავლებინა ისეთი პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ოჯახის დასუსტებას. საინტერესოა, რა სახის ერთგულებასა და ნაყოფს ელოდა მამაჩემი მსგავსი სასჯელის შედეგად?

ჩვენ ვიზრდებოდით იმ აზრით, რომ ქრისტიანები უღმერთოები და პოლითეისტები არიან და ამიტომ არ არიან ღირსნი ჩვენი მეგობრობისა და კომპანიონობისა. ამ წესს მხოლოდ ერთი გამონაკლისი ჰქონდა. მამაჩემის ერთ-ერთი მეგობარი იყო ქრისტიანი, სახელად ფაუზი. მამა მას ბავშვობიდანვე იცნობდა და მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. როდესაც ის, მისი ცოლი და მათი ძე მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან დღესასწაულებისა და მარხვის დღეებში, ყოველთვის მიკვირდა შემდეგი: როდესაც ისინი წავიდოდნენ, მამაჩემი ეუბნებოდა საკუთარ თავს: „ოჰ, ფაუზი, რა დასანანია, რომ ქრისტიანი ხარ. მინდა, რომ მუსლიმი იყო!“

როდესაც ცამეტი წლისა გავხდი, დაწყებით სკოლაში შევედი. როგორც წესი, პირველსავე დღეს ყველა მოსწავლე თავქუდმოგლეჯილი გარბის და ცდილობს საკლასო ოთახის საუკეთესო ადგილი ჩაიგდოს ხელში. გოგონა, რომელსაც მარსელა ერქვა და რომლის სახელიც ჩემთვის უცხო გახლდათ, ჩემ გვერდით დაჯდა. ძალიან საინტერესო იყო ეს ყოველივე ჩემთვის, ვინაიდან მთელი წელი უნდა გამეტარებინა ამ უღმერთო ქრისტიანის გვერდით. მალე ის უფრო ახლოს გავიცანი და აღმოვაჩინე, რომ მოხიბლული ვიყავი მისით. ჯერაც მახსოვს მისი, თითქოსდა, შუქით განათებული სახე. ახლაც მახსოვს მისი გულკეთილობა, თითქოსდა, ეს გუშინ იყო და არა მრავალი წლის წინ.

ერთხელ შემეკითხა, როგორი სენდვიჩი მქონდა სადილობისთვის. ვუთხარი, რომ რომაული ყველის სენდვიჩი მქონდა. მარსელამ თქვა, რომ მას ხორცის სენდვიჩი ჰქონდა და

შემომთავაზა, გაგვეცვალა ჩვენი სენდვიჩები. მე შევწუხდი მისი შემოთავაზებით და ავუხსენი, რომ მუსლიმები არ ჭამენ-მეთქი ღორის ხორცს, ვინაიდან ეს აკრძალულია ისლამის მიერ. შემეკითხა, რატომო. ვუთხარი, რომ ღმერთი გვიცავდა ამ ხორცის ჭამისაგან, რადგანაც ეს არ იყო კარგი ჩვენი ჯანმრთელობისათვის. შემომხედა, თვალეებში გაოცება გამოეხატა და გაჩუმდა. დავეფიქრდი, თუ ჩემი პასუხი სწორი და ლოგიკური იყო, მაშინ საკითხავია, რატომ არ აზიანებს ღორის ხორცის ჭამა ქრისტიანებს წლების მანძილზე? პასუხი არ მქონდა და არც ჩავძიებულვარ; მალე ყველაფერი დავივიწყე.

სკოლის პირველმა წელმა გაიარა; ჩვენი უბრალო, გულითადი მეგობრობა უფრო მყარდებოდა. მომდევნო წელს, ერთ-ერთ დღეს, როდესაც მარსელა რალაცას ეძებდა თავის ჩანთაში, ამოიღო მთელი წიგნები და მაგიდაზე დააწყო. მე ხელში ავიღე მისი წმიდა წიგნი (ბიბლია). ცნობისმოყვარეობა მწვავდა. ეს ცეცხლი დღითიდღე მემატებოდა. შევეკითხე, თუ შემეძლო მისი წმიდა წიგნის ხელში დაკავება. როდესაც ვფურცლავდი ამ წიგნს, ჩემს თვალეებს უნებლიეთ შემოეფეთა სიტყვები: „იესო ნაზარეველი დადიოდა გარემო სოფლებში და ახარებდა“. შევეკითხე, ვინ იყო იესო. პიროვნება იყო? მისი სახელი პირველად გავიგონე.

მარსელამ მიპასუხა, რომ ის ქრისტე იყო. დავხურე წიგნი და გავუწოდე. ეს ფრაზა შემოიჭრა ჩემს გონებაში და ძალიან მომინდა, გამეგო მისი მნიშვნელობა. „პიროვნება, რომელიც დადის გარემო სოფლებში და ახარებს“ – რა მშვენიერი ადამიანი უნდა იყოს, რომელიც სიკეთეს ახარებს! შინ მიმავალს დიდი წყურვილი გამიჩნდა, მქონოდა ბიბლია და გამეგო უფრო მეტი იმ პიროვნების შესახებ. დიდი მოკრძალებით ვთხოვე მამას, ეშოვა ჩემთვის ბიბლია და ისიც ვუთხარი, თუ რატომ მინდოდა ბიბლია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მოხდა! საშინელმა მრისხანებამ ამოხეთქა და აავსო ჩვენი სახლი. მამაჩემმა კარგად დამალილავა და თან განუწყვეტლივ იმეორებდა ამ ორ წინადადებას: „ქრისტიანები ულმერთოები არიან... ბიბლია დამახინჯებულია“. ვტიროდი და წუხილსა და სინანულს გამოვთქვამდი მომხდარის გამო. მიუხედავად ამისა, მცირე ხნის გასვლის შემდეგ იგივე

სურვილი გამიჩნდა გულში. ვთხოვე მარსელას, რაიმე მოეყოლა იესოს შესახებ. მან მითხრა, რომ იესოს ყველა უყვარდა და სასწაულებს ახდენდა ადამიანების დასახმარებლად.

ერთ დღეს ჩვენს ისლამურ რელიგიურ კლასს დავესწარი. მასწავლებელი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც შუბლზე ლოცვის ნიშანი ჰქონდა. გამიჩნდა სურვილი, დამესვა მისთვის კითხვა, რომელიც კარგა ხნის მანძილზე მაწვალებდა. თუმცა მაინც ვყოყმანობდი, რადგანაც ვიცოდი, რომ ასეთი კითხვების დასმა აკრძალული გახლდათ, მაგრამ თავის შეკავება უკვე აღარ შემიძლო. ბოლოს მხნეობა მოვიკრიბე და ვუთხარი: „მასწავლებლო, შეიძლება გკითხოთ?... თუმცა ენა დამება და რაღაცეები წავიბურტყუნე. მაგრამ მალევე მოვახერხე და დავსვი კითხვა: „უფრო გონივრული არ იქნებოდა, თუ წინასწარმეტყველი მუჰამედი დაეხმარებოდა რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალებს გათხოვების გარეშე? განა უფრო გონივრული არ იქნებოდა, თუ ის დაეხმარებოდა მათ და დახმარების პირობად ქორწინებას არ დაადგენდა? განა უფრო გონივრული არ იქნებოდა, რომ ის პოლიგამისტა არ ყოფილიყო?“

პასუხი იყო სილა და სიტყვა „უღმერთოვ!“ პირველად მოხდა ისე, რომ სკოლაში მცემეს. ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. წავედი სკოლის დირექციაში საჩივრულად და მოვუყევი ყველაფერი, რაც მოხდა. ვუთხარი დირექტორს, რომ მქონდა ამ კითხვის დასმის უფლება. ეს ზოგადი კითხვა გახლდათ და ის, როგორც რელიგიის მასწავლებელი, ვალდებული იყო, ეპასუხა. ამიტომ გაცხადებული ვარ იმით, რომ მან უღმერთო მიწოდა. დირექტორი ძალიან ფანატიკოსი იყო. ის ყოველთვის გეკიცხავდა ხოლმე იმის გამო, რომ არ ვატარებდით ჩადრს, თუმცა ამავე დროს ძალიან ბრძენი ადამიანიც გახლდათ. მან მითხრა, რომ თუ წინასწარმეტყველს მათთან მხოლოდ დახმარების აღმოჩენის გამო ექნებოდა ურთიერთობა, ამ შემთხვევაში ის მრავალი ეჭვისა და ჭორის გავრცელების მიზეზი შეიქმნებოდა მათთვის. მე თავი დაუჭინე, თუმცა მისმა პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა. მისმა პასუხმა ვერ გაანელა ის შეურაცხყოფა, რაც განვიცადე. ასეთ მოქმედებას აზრი არ

ჰქონდა, ამიტომ მოვინანიე და კვლავ გადავწყვიტე, აღარ მიმექცია ყურადღება ამ საკითხისათვის.

მამა გვაიძულებდა, მუდმივად გველოცა, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, ჩემი თავი ლოცვისათვის მიმეძღვნა. გავაცნობიერე, რომ კამათი და ფიქრი უსარგებლო იყო, მინდოდა თუ არა, დღეში ხუთჯერ სავალდებულო ლოცვა უნდა აღმესრულებინა. თავს ძლივს ვიკავებდი. ჩემი პირველი უძღურების ჟამს ვთხოვე ღმერთს, დამხმარებოდა, რათა დამეძლია ასეთი მდგომარეობა და თავი დამეღწია შექმნილი სიტუაციიდან. მე არ ვფიქრობდი ღმერთზე და ჩემს ლოცვასაც არ მოჰქონდა შვება და ცვლილება ჩემს ხასიათში. ჩემი დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი კვლავაც მტრული გახლდათ, როგორც შედეგი იმ გზისა, სადაც მან მოგვიყვანა. მხოლოდ მარსელა შეიძლება ჩაგვეთვალა გამონაკლისად. მე იმასაც კი ვცდილობდი, რომ ჩვენი სახლის ახლოს მდგარი ეკლესიისათვის გვერდით არ ჩამეარა.

გადიოდა წლები; სახლში ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. დაპირისპირებამ ჩვენს მშობლებს შორის კიდევ უფრო მძიმე სახე მიიღო, ისინი განუწყვეტლივ კამათობდნენ და ბოლოს, მათ გადაწყვიტეს, გაეკეთებინათ ის, რასაც შეიძლება მათი ცხოვრების კურსის შეცვლა ვუწოდოთ. ეს, როგორც მათ თქვეს, იყო „ლეგიტიმურად რეკომენდირებული“ განცალკევება. ოჯახში ახალი როლი უნდა შემესრულებინა. თექვსმეტი წლისა ვიყავი, როდესაც მამის ფუნქციები დამეკისრა; სამ რამეზე უნდა გამემახვილებინა ჩემი ყურადღება: მაღალი ნიშნები უნდა მიმეღო სკოლაში, უნდა ვყოფილიყავი კარგი დედა ჩემი დებისათვის და უნდა მეკისრა მამის პასუხისმგებლობები.

ცხადია, თავს ვეღარ მივცემდი იმის უფლებას, რომ კიდევ სხვა რამეზე მეფიქრა. დავამთავრე მოსამზადებელი სკოლა მაღალ ნიშნებზე. ჩემი ძველი ოცნება იყო, მიმეღო საუნივერსიტეტო განათლება, მაგრამ ფინანსური მიზეზების გამო მამაჩემმა ნება არ მომცა, წავსულიყავი უმაღლეს სკოლაში. ასე რომ, საქმედ მხოლოდ ოჯახზე ზრუნვადა დამრჩა. მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ იყო. ყოველ წელს უფრო მეტი მწუხარება, ტკივილი და ტანჯვა მოჰქონდა

ჩემთვის. გამოსავალიც არ ჩანდა და წასასვლელიც არსად მქონდა!

ერთადერთი არჩევანი მქონდა, ღმერთი უნდა მომეძებნა. რა სუსტი ვიყავი, რა უძწეო, მისი თავგამოდებული მძებნელი! თავი ლოცვასა და მარხვას მივუძღვენი. დავიწყე ყველა ისლამური მითითების მიყოლა და შესრულება. დავიწყე ჩადრის ტარებაც. ლოცვის დამთავრების შემდეგ მოვუწოდებდი ღმერთს და დიდხანს ვსაუბრობდი მასთან, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი ლოცვა და ვედრება ჭერს ეჯახებოდა და უკანვე მიბრუნდებოდა პასუხგაუცემლად; არც დახმარება ჩანდა და არც პატარა იმედი გამოსჭვივოდა საიდანმე. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ღმერთი ძალიან შორს იყო ჩემგან, „ისე შორს, როგორც აღმოსავლეთი დასავლეთისაგან“.

განათლების დასრულების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, შინ ვრჩებოდი. საშინლად ვიყავი გაბეზრებული ასეთი რუტინული ცხოვრებით და სამუშაოს ძებნა დავიწყე. შევიტყვე, რომ იურიდიულ ოფისის მდივნის ვაკანსია ჰქონდა.

ამ იურიდიული ოფისის ხელმძღვანელი ქრისტიანი კაცი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაჩემი უარს იტყოდა ამანზე, მაგრამ მაინც უნდა მეთქვა მისთვის. მან კატეგორიულად ამიკრძალა. როდესაც გავჯიუტდი, ის დამთანხმდა. რადგანაც იმ საქმეში ვმუშაობდი, რომელიც ქრისტიანს ეკუთვნოდა, ჩემმა ცნობისმოყვარეობამ ქრისტიანობის მიმართ დაიწყო ზრდა.

კითხვები ჩემს უფროსს პირველად, მისი მაგიდის უკან, კედელზე ჩამოკიდებული ქალწული მარიამის გამოსახულებასთან დაკავშირებით დავუსვი. საიდან მოიტანეს მათ ეს? რატომ ამბობენ ისინი, რომ იესო იყო ღმერთი, მაშინ როდესაც ის ჩვეულებრივი ქალისაგან იშვა, თუნდაც მისი შობა სასწაულებრივი ყოფილიყო? დავამთავრე თუ არა კითხვა, ის უცებ აფეთქდა და პირდაპირ მითხრა: „აქ არანაირი კითხვები არ უნდა დაისვას რელიგიის შესახებ. ისიც საკმარისია, რაც ქვეყანაში ხდება ახლა“. ის გულისხმობდა საშინელ ტერორისტულ აქტებს, რომლებიც 1991 წელს მოხდა.

ასე რომ, შიშმა ამ სამართალმცოდნის წინაშე და მისმა უმეცრეობამ თავის რელიგიასთან დაკავშირებით, რელიგიაზე

საუბრის ყოველგვარი საშუალება გააქარწყლა. უმეცრება და შიში საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ დაიძალოს ყველაზე ამაღელვებელი მშვენიერება. ამიტომ გადავწყვიტე ქრისტიანობის შესახებ ძირითადი ინფორმაცია იმ ქრისტიანული წიგნებიდან მიმეღო, რომლებიც ჩვენი ოფისის ბიბლიოთეკაში იყო. დავიწყე კითხვა ჯვარცმის, სამების, ღვთის ძისა და მისი სიყვარულის შესახებ. ალტაცებაში მოვედი იმ დიდი სიყვარულის გამო, რომელიც გამოჩნდა ჯვარზე აღსრულებულ ხსნაში. აღმოვაჩინე, რომ ეს საკმაოდ ლოგიკური იყო გონებისათვის და დამაკმაყოფილებელი სულისათვის. ცუდი წინათგონობა გამიჩნდა ასეთი წიგნების კითხვასთან მიმართებით, ამიტომ შევწყვიტე მათი კითხვა. მინდოდა, ისლამის თეოლოგს ეპასუხა ჩემი კითხვებისათვის და დამხმარებოდა ქრისტესადმი მიზიდულობის დაძლევაში.

წავედი ჩვენი სახლის ახლოს მდგარი მეჩეთის შეიხთან და მოვუყევი მას ჩემს აზრებსა და ჩემს დიდ შიშზე. მან დაუყოვნებლივ გამოიტანა გადაწყვეტილება ცოდნის შეძენის მიზნით მსგავსი კვლევის არაჯანსაღი ბუნების შესახებ და მომცა რეცეპტი, რომელიც შეიცავდა სამ პუნქტს, რომლებიც მკაცრად უნდა დამეცვა:

1. შეემწყვიტა კითხვების დასმა ამ რელიგიის შესახებ და დამეტოვებინა ჩემი სამუშაო.
2. მომენანიებინა, მელოცა და მემარხულა სამი დღის მანძილზე.
3. ყოველდღე მეკითხა ყურანი.

ყველაფერი გავაკეთე, რასაც შეიხი მოითხოვდა ჩემგან, გარდა ერთისა, სამუშაო არ მიმიტოვებია. მეშინოდა, რომ მამა აღარ მომცემდა მუშაობის უფლებას. თანდათან რაღაც იხსნებოდა ჩემ წინ, რამაც გააძლიერა ჩემი ეჭვები და წუხილი. როდესაც დავიწყე წმიდა ყურანის კითხვა რეგულარულად, აღმოვაჩინე, რომ ჩემი სენისაგან ვერ ვიკურნებოდი. ყურანის მიხედვით, ქალს აკლია გამჭრიახობა და რელიგიური სიმტკიცე, ამიტომ კაცის მემკვიდრეობა ორმაგია ვიდრე ქალისა! სასამართლოში ორი ქალის მოწმობა უტოლდება ერთი კაცის მოწმობას (მიიჩნევა,

რომ ქალი ნაკლებად ჭკვიანია). ასე რომ, არც ერთ ქალს არ შეუძლია, იყოს ექიმი, მკვლევარი, მოსამართლე, ფილოსოფოსი, ან თუნდაც გონიერი პიროვნება!

ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც ჯოჯოხეთისათვის არიან განწირულნი, ქალები არიან! მეტიც, მათი უმრავლესობა ჯოჯოხეთის მოგიზგიზე ცეცხლისათვის შეშა იქნება. წარმოიდგინეთ – ჩვენ, ქალები, შექმნილები ვართ მხოლოდ იმისათვის, რომ ვასიამოვნოთ კაცებს და შემდეგ ჩვენი ხვედრი ან ჯოჯოხეთში ანთებული ცეცხლისათვის შეშის ფუნქცია იქნება ანდა ნიმფების ფუნქცია ჯონაჰში (ლამაზი ქალწულები, რომლებმაც უნდა ასიამოვნონ კაცებს ზეცაში).

მუსლიმმა ქალმა არ უნდა მიატოვოს თავისი სახლი, ამ სამიდან ერთ-ერთი მიზეზის გარდა: პირველი, გადავიდეს თავისი ქმრის სახლში; მეორე, შეასრულოს ჰაჯი (პილიგრიმობა მექაში); და მესამე, დაიმარხოს. დაღლილი ვიყავი ყურანის იმ მუხლებით, რომლებიც ლაპარაკობენ ისლამის ბრძოლასა და სისხლის იმ მდინარეებზე, რომლებიც კვლავაც იღვრება რელიგიის სახელით. წარმოიდგინეთ, ოცდაერთწლიანი მყარი რწმენა, რომელიც საბოლოოდ სიყალბე აღმოჩნდება. ეს ყველაზე ძნელი დრო იყო ჩემს ცხოვრებაში. როგორ შეუძლია ადამიანს, რომელიც ცხოვრობდა ისე, როგორც ლტოლვილი ღმერთში, უეცრად ფეხქვეშ გამოეცალოს ყველაფერი და მან მაინც მონახოს ძალა ცხოვრების გასაგრძელებლად? უძილო ღამეები, ტკივილი და ცრემლები; ველოდი ღმერთს, რომელიც ჩამოვიდოდა მიწაზე იმისათვის, რომ ეპასუხა ჩემთვის; არაქათგამოცლილი ვიყავი. კვლავ დავბრუნდი უკან და ხელი მოვიკიდე ყურანს, რომელმაც უფრო მეტად გამიცრუა იმედი. ამიტომ გადავწყვიტე წმიდა ბიბლიის კითხვა, იქნებ მეპოვა ის, რასაც ეძებდა ჩემი სული.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ამბობდნენ, წმიდა ბიბლიის ორიგინალური ვერსია უკვე აღარ არსებობსო, რა უნდა გამეკეთებინა? სხვა არჩევანი არ მქონდა გარდა იმისა, რომ გამეგრძელებინა ბიბლიის დამახინჯებული ვერსიის კითხვა, რათა დამენახა ჭეშმარიტება სტრიქონებს შორის. აი, ასე დავიწყე წმიდა ბიბლიის კითხვა და აღმოვაჩინე იესო, სახელი,

რომელიც დიდი ხნის წინ მქონდა გაგონილი და სახელი, რომელიც მიზიდავდა. დავინახე, როგორ კურნავდა ის სნეულთ, ათავისუფლებდა ტყვეებს, მიუტევა მეძავ ქალს, უყვარდა და ლოცულობდა თავისი მტრებისათვის. პირველად, ჩემი ცხოვრების მანძილზე, აღმოვაჩინე ის, რაც არასოდეს არ განმეცადა – მამობრივი გული ანდა დედობრივი ზრუნვა – იმიტომ, რომ ჩემი მშობლები კარგა ხნის გაყრილები იყვნენ და მე უფროსი ქალიშვილი ვიყავი.

ახლა კი ვგრძნობ, რომ იესო ჩემთვის მამაც არის და დედაც. ისეთი განცდა მაქვს, რომ ბავშვივით ხელში აყვანილი და მკერდზე მიხუტებული ვყავარ. მან მომაშორა ტვირთი, რომელიც ასე მთრგუნავდა. ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ ნამდვილი ქალი ვარ – ნამდვილი პიროვნება, ნამდვილად საყვარელი; არა კაცებისათვის სიამოვნების მომტანი საგანი, არამედ ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი. იმ ადამიანის მსგავსად ვტიროდი, რომელმაც თავი დააღწია ჯოჯოხეთს ანდა სიკვდილს. იმ დღეს ვუთხარი იესოს: „იესო, შენ ჩემი ღმერთი და ჩემი მხსნელი ხარ. შენ ჩემი მამა და ჩემი დედა ხარ. შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის ჩემს ცხოვრებაში“. იმ დღიდან მოვიდა ჩემთან ახალი სიცოცხლე, სავსე მოვლენებით, სასწაულებითა და დევნით, თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

თქვენი ლეილა

ქრისტეს მშობლიური მიწიდან

დავიბადე ქრისტეს მშობლიურ მიწაზე, საყვარელ პალესტინაში. ჩვენ ეგრეთწოდებული „იორდანეს დასავლეთი სანაპიროს არაბები“ ვართ. ამ ქვეყანას ორმოცდაათიანი წლების ბოლოს „ოკუპაციის“ წლებში მოვევლინე. ვცხოვრობდი იმ ქვეყანაში, რომელიც არ იყო ჩემი მშობლიური მიწა, მაგრამ რომელ ჩვენგანს შეუძლია, აირჩიოს საკუთარი დაბადებისა და სიკვდილის დრო ან ადგილი? ჩემი ოჯახი შვიდი ბიჭისა და ოთხი გოგონასაგან შედგებოდა. მამაჩემი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც რვა წლის ვიყავი. გული მწუხარებით მქონდა სახსე: ვინაიდან არც მშობლიური მიწა მქონდა და აღარც მამა მყავდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოსდა ზეცა განეწყო ჩემ წინააღმდეგ. მიმაჩნია, რომ ბავშვობა ისეთი ხანაა, რომლის დროსაც ყალიბდება ღვთის ხატება თითოეულ ჩვენგანში. სწორედ აქედან შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ჩემი ღმერთის მახასიათებლები.

ჩემი სოფელი მდებარეობს ალ-ქუდის (იერუსალიმის) მახლობლად – იერუსალიმის, „რომელმაც დახოცა წინასწარმეტყველნი და ჩაქოლა მასთან წარგზავნილნი“, იერუსალიმის, რომელმაც ჯვარს აცვა ქრისტე. როდესაც შენ ალ-ქუდში ხარ დაბადებული, ძალაუწებურად ხდები გაწვრთნილი კომანდოსი და ბავშვი რომლებიც ჰკვანან რევოლუციონერ ბავშვებს და რომლებიც ქვებს ესვრიან ოკუპანტებსა და მტრებს. მაგრამ ვის შეუძლია სულისა და

გულის დატყვევება? ციხეებსაც კი არ შეუძლია ეს და, ცხადია, „ოკუპაციასაც“ არ შეუძლია ამისი გაკეთება.

ამიტომ, მეც ვატარებდი ისეთ გულსა და სულს, რომელიც შეეფერებოდა იმ გარემოს, სადაც ვიზრდებოდი; მეც ერთ-ერთი „ქვების ბავშვი“ ვიყავი. მიუხედავად ამისა, არასოდეს მინახავს ინტიფადას (ამბოხების) თუნდაც ერთი გამოვლინება ჩემს სოფელში. კარგად მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავი და ბავშვური ოცნებები ამიტაცებდა ხოლმე, ვტკბებოდი ამით და თავს თავისუფალ პალესტინელად ვგრძნობდი. თავისუფლების ეს ოცნებები ჩემთვის ყოველთვის ტანჯვით მთავრდებოდა.

მე ნამდვილად პალესტინელი ბავშვი ვიყავი, ამ სიტყვის სრული გაგებით: „ოკუპანტების“ ცდებისდა მიუხედავად, რომ ტვინი გამოერეცხათ არაბი ახალგაზრდებისათვის, რათა მათ დაევიწყებინათ თავიანთი ფესვები, თავისი სამშობლო და დედების ცრემლი. ფაქტია, რომ კიდევ უფრო მეტი ტკივილის მომტანი გახდა ის ენა, რომელსაც ჩვენ ვსწავლობდით ადრეული ბავშვობიდან. დახმარებას მოკლებულები და ხაფანგში მომწყვდეულები ვიყავით ყოველმხრივ: ჭირდა თავის შესანახი ფულის შოვნა, ჭირდა საცხოვრებელი, სკოლაში სიარული, ქუჩაში გავლა. ჩვენ ებრაელ ბავშვებს არ ვგავდით. დისკრიმინაცია ყველაფერში თვალშისაცემია. თუ „საოკუპაციო“ ძალები დისკრიმინაციას ეწეოდნენ (არჩევდნენ) აღმოსავლელ და დასავლელ ებრალებს შორის, ჩვენ რაღა დღეში ჩაგვაგდებდნენ?

ეს ყოველივე მაყალიბებდა მეც და ჩემს რწმენასაც ღვთისადმი. ღმერთი იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი თავშესაფარი. მე ვლოცულობდი და ვმარხულობდი, სანამ თხუთმეტი წლის შევსრულდებოდი, მაგრამ როგორი იყო შედეგი? რა მოხდა?

მოხდა სასწაული და გავთავისუფლდით?

დაგვიბრუნდა ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი?

ალადგინა ღმერთმა ჩვენი მოწამეები საფლავებიდან?

დაგვიბრუნა ღმერთმა ჩვენი დაკარგული ბედნიერება ანდა დაასრულა ჩვენი სისხლისღვრა?

დააბრუნა ღმერთმა განდევნილები თავიანთ მიწაზე?

მილიონობით კითხვა ჩნდებოდა ჩემში ჩვენს ბედთან დაკავშირებით. ცამ ზურგი შეგვაქცია. რატომ არის, რომ სიკვდილი, გენოციდი, სასჯელი და ციხე გახდა ჩვენი ხვედრი და არა სხვა ერებისა და ხალხებისა? არის ეს ზეცის ნება? გულში დადებითი პასუხი მქონდა ამ შეკითხვაზე.

ამიტომ უარი ვთქვი ამ ბედზე, ამ ხვედრზე და ამ ღმერთზე. ოთხი წლის განმავლობაში ისე ვცხოვრობდი, რომ არანაირი ღმერთი არ მწამდა. საშინელი ათეიზმი იბუდებს გულში და ცხადდება სიტყვებსა და საქმეებში. ასე რომ, ჩემმა ცხოვრებამ დაკარგა აზრი; მთელი მორალი და პრინციპები გაუჩინარდა. ფაქტიურად ყოველგვარ ცოდვას გავუხინჯე გემო, მათ შორის დიდი ცოდვებიც იყო და პაატარებიც.

შემდეგ რაღაც მოხდა! ეს იყო ჩემი ცხოვრების ცვლილების დასაწყისი. როგორღაც შევხვდი ევროპელ ყმაწვილქალს, რომელსაც თინა ერქვა. ის ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ალ-ქუდში (იერუსალიმი). გავიცანით ერთმანეთი და კარგი მეგობრებიც გავხდით. ის არ ჰგავდა ჩვეულებრივ ადამიანს, როგორსაც ყოველდღიურად ხვდები ქუჩაში. პირიქით, ის იშვიათი ტიპის უნიკალური პიროვნება გახლდათ – ისეთი ტიპის, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებ თუ გაგიმართლა და შეხვდი ასეთს. ის იყო ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ადამიანი, რომელიც სიცოცხლესა და მშვენებას ასხივებდა – და რომელიც გაგრძნობინებდა საკუთარი თავის მნიშვნელობას, გაგრძნობინებდა იმას, რომ შენ ცივილიზებული ადამიანი ხარ. საოცარი და დაუვიწყარი დრო იყო! დიახ, ის ნამდვილად იყო ისეთი ქალი, რომლის გვერდითაც გრძნობ და უცბად ხვდები, რომ ყველაფერს აქვს აზრი და მნიშვნელობა!

თინა ადვილად ლაპარაკობდა ოთხ ენაზე. ის ყოველთვის ამბობდა იმას, რომ არ შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს ევროპისა და ალ-ქუდის განაფხული და ზაფხული, აქაური ლამაზი ბაღები და ყვავილებით სავსე ველები. თინამ იგრძნო, რომ მას მუსლიმი კაცი იზიდავდა. ისიც იცოდა, რომ ძალიან კონსერვატორული, ტრადიციული ქრისტიანული ოჯახი ჰქონდა და რომ, ისინი არასოდეს მოიწონებდნენ მსგავს ურთიერთობებს.

თინამ სახლში დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი. უკვე გავიდა

ერთი წელი და ამ ერთმა წელმა ერთ დღესავით გაირბინა! მეც დავიწყე ფიქრი ევროპაში მოგზაურობაზე, რამაც თინა ძალიან გაახარა. 1979 წლის ივლისში ჩავედი მასთან ევროპაში. ის ჩემი გიდი გახდა. მოვინახულე მისი ოჯახი, რომელმაც ძალიან თბილად მიმიღო. ერთხელაც საუბარი ჩამოვარდა ღორის ხორცის ჭამის ტრადიციაზე ევროპასა და დასავლეთის ქვეყნებში. თინამ ისეთი რამ თქვა, რამაც ძალიან გამაკვირვა. მან გაიხსენა იესო ქრისტეს სიტყვები ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, კაცს უწმიდურად ხდის არა საჭმელი და სასმელი, არამედ ის, რაც გამოდის გულიდან და რაც მისი ზრახვებია!

ამ ვიზიტმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი ჩვენს ურთიერთობებში. ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ ვიყავით არა მხოლოდ მეგობრები, არამედ რომანტიკული შეყვარებულებიც. ამიტომ გადავწყვიტეთ გვექორწინა. ქორწინება ჩემთვის ადვილი მისაღები გადაწყვეტილება არ გახლდათ, უფრო მეტად ის იყო პირველი შუალედური რგოლი პასუხისმგებლობების აღების გრძელ გზაზე.

როდესაც დავბრუნდი უკან ალ-ქუდში, რომ მოემზადებულიყავი ქორწინებისათვის, დედაჩემი მღელვარებით შემხვდა. ის კონსერვატორი მუსლიმია მკაცრი პერსონალურობით. მან მითხრა, რომ ეწინააღმდეგებოდა ევროპაში ჩემს მოგზაურობას, ვინაიდან გული უგრძნობდა, რისთვისაც მივდიოდი; ამიტომ ახლა თინა უნდა ჩამოვიდეს ალ-ქუდში, რომ აქ ჩატარდეს ისლამური ქორწინება ღვთის რჯულისა და მისი წინასწარმეტყველის დადგენილი წესების მიხედვით. პალესტინაში ჩვეულებრივი ამბავი იყო ის, რომ თუ დასავლელი ქალი იქორწინებდა მუსლიმ მამაკაცზე, ის ავტომატურად ხდებოდა მუსლიმი, უნდა ეტარებინა ჩადრი და უნდა ესწავლა არაბული ენა და ყურანი.

ამ დროს თინამ მოინანია და განაახლა თავისი ურთიერთობა თავის ღმერთთან და მხსნელთან, იესო ქრისტესთან. ის გახდა ქრისტიანი ამ ტერმინის სრული გაგებით, გახდა ნამდვილად მორწმუნე ადამიანი. როდესაც ყველაფერი მოვამზადე, ჩავედი ევროპაში და ჩვენ ვიქორწინეთ. ჩვენი ქორწინება ყველაზე

მნიშვნელოვანი და მშვენიერი ნაბიჯი იყო, რომელიც მე გადამიდგამს ჩემს ცხოვრებაში.

თინას ვერ მივაკუთვნებდით ტიპიურ ქრისტიან ცოლთა კატეგორიას; იმ ქალებს, რომლებიც ურწმუნო კაცებზე არიან გათხოვილნი და რომლებიც შეიძენენ რა ახალ სტატუსს, თავს აბეზრებენ ქმრებს ქადაგებითა და ჩიჩინით. თინა არ მკიცხავდა ჩემი ბოროტი და ცუდი საქმეების გამო, ის თავსაც კი არ მამეტებდა. იყო ღვთისნიერი ცოლი და დიდი სიმხნევე ჩემთვის.

მემორჩილებოდა, იცოდა, როგორ უნდა მოქცეოდა აღმოსავლელ კაცს, რომელიც ძალზე ამაყი და მგრძობიარეა თავისი აზრის მიმართ, არის თავმოყვარე და მამაცი. ცხადია, რომ მისი ხასიათი და შეხედულებები ზეგავლენას ახდენდა ჩემზე, მაგრამ მთლიანად ვერ მცვლიდა. კვლავ ცოდვილ ცხოვრებას ვეწეოდი: ვითვრებოდი და ღამეებს ბარებში ვატარებდი, რაც ძალიან მოქმედებდა ჩემს ხასიათზე. რამდენი ტანჯვა ჰქონდა თინას ჩემ გვერდით! ეს, ალბათ, ყველანაირ ადამიანურ ძალებს აღემატება, მაგრამ ის, მართლაც, იესოს მსგავსი ქალი იყო. მე არა მარტო ვსვამდი, არამედ ყველა სახის ნარკოტიკსაც ვეტანებოდი. ჩემი წლები ბოროტის მონობაში გამყავდა, მაგრამ ეკალთა და ძეძვთა შორის მყარად იდგა თავისი დაუსრულებელი სიყვარულით – ჩემი ცოლი თინა. ყველას წინაშე სიამაყით ვლაპარაკობდი მის რწმენასა და მორალზე. ხუთი წლის განმავლობაში დაკარგული ვიყავი, თითქოსდა სიკვდილის მომლოდინე, თითქოსდა მისკენ საკუთარი ნებით მიმავალი. თინა ლოცულობდა ჩემთვის, ის სთხოვდა ღმერთს ჩემს გადარჩენასა და გამოხსნას.

მას უკვე აღარ შეეძლო მდუმარედ ყოფილიყო და არც ის შეეძლო, რომ ღმერთი არ „შეეწუხებინა“. მართლაც, ისმინა ზეცამ მისი ვედრება 1984 წლის უკანასკნელ დღეს. ქუჩაში მივხეტიალობდი, სმაში გატარებული გრძელი ღამის შემდეგ. ერთი კაცი შემომხვდა და შემიპატიჟა სახლში ჭიქა ჩაიზე. ნასვამი კი ვიყავი, მაგრამ მაინც დავთანხმდი და გავყევი. დაახლოებით ორი თუ სამი საათი ვისაუბრეთ. მეორე დღით მე მხოლოდ ჩვენი საუბრის პატარა ნაწილი მახსოვდა. შემეკითხა, მწამდა თუ არა ღმერთი; მე გუპასუხე: „ჰო, მე მწამს ღმერთი და

მისი მოციქულები და წინასწარმეტყველები: მოსე, ისა და მუჰამედი“.

მან თქვა: „მე მხოლოდ ერთი გზა ვიცი ცისკენ. ეს ჩვენი ღმერთი და მხსნელი იესო ქრისტეა, რომელმაც მშვიდობა აღადგინა ღმერთსა და ადამიანებს შორის. იესო ქრისტეს გარეშე შენ ვერ შესძლებ ზეცაში მოხვედრას, იმისდა მიუხედავად, რა კეთილი და რა მოწყალების გამღებიც არ უნდა იყო“. შემდეგ მან მთხოვა, წამეკითხა იოანეს სახარება. ისიც მახსოვდა, რომ ძალიან გაბრაზებული ვიყავი მასზე, როდესაც წამოვედი, თუმცა მომეწონა მისი გაბედულება და პატიოსნება. მეც მოვიწვიე ის ჩემთან და მივეცი მისამართი. შეხვედრა შემდეგი პარასკევისათვის დავთქვიით.

ხელი მოვკიდე ჩემი ცოლის ბიბლიას და დავიწყე იოანეს სახარების კითხვა. რამდენჯერმე წავიკითხე. ვცდილობდი, კარგად მომზადებული ვყოფილიყავი პარასკევს ჩვენი შეხვედრისა და საუბრისათვის. მომდევნო პარასკევამდე შევწყვიტე სმა, რომ სრულიად ფხიზლად ვყოფილიყავი საუბრის განმავლობაში. ის კაცი დათქმულ დროს მოვიდა და თან სხვა კაციც მოიყოლა, რომელსაც სახელად ნელსი ერქვა. მათ დაიწყეს საუბარი ღვთის სიყვარულზე ჩემდამი და ყველა ერისადმი; იმაზე, თუ როგორ ზრუნავს ღმერთი თითოეულ ჩვენგანზე, იმაზე, თუ რამდენი ტანჯვა და უბედურება მოაქვს ადამიანთა თავკერძობასა და ბოროტებას ამ დედამიწაზე – დაცემულ დედამიწაზე.

ცხადია, რომ ღმერთს არც კაცთა ბოროტება მოსწონს და არც მის მიერ მოტანილი შედეგები. ღმერთს არ სურს, რომ ჩვენი ტანჯვა, რომელიც ჩვენივე მიზეზითაა, დაუსრულებლად გაგრძელდეს. ადამიანი იმკის იმას, რასაც თესს. ღმერთი, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულია, არავის არ ცდის ბოროტით. ღმერთი სიკეთის, ფასეულობების, სიწმიდისა და განგებულების წყაროა. ყურადღებით ვუსმენდი; ჩემს გულს წყურვილი სტანჯავდა.

ამ კაცებს საკმაოდ ხშირად ვხვდებოდი და რელიგია გადაიქცა ჩემს საქმიანობად ამდენი უაზროდ გაფლანგული დროის შემდეგ. თინას უნდოდა, რომ მე მივსულიყავი ქრისტეს შემეცნებასთან,

ძველი აღთქმის (თორას) ნაწინასწარმეტყველებს მესიასთან. მას უნდოდა, დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ ქრისტეა არა მარტო ახალი, არამედ ძველი აღთქმის ცენტრი, და რომ, ის, ზოგადად, ღვთაებრივი შთაგონების ცენტრიცაა. თინამ იცოდა, რომ ებრაულს, ძველი აღთქმის ენას, ასე თუ ისე, ვფლობდი. მან დაიწყო იმ წინასწარმეტყველებების ციტირება, რომლებიც ქრისტეზე ლაპარაკობდნენ. თითქმის სამასამდე წინასწარმეტყველება საუბრობს ქრისტეზე: მის სასწაულებრივ შობაზე, მის ცხოვრებაზე, მის ტანჯვაზე, მის ჯვარცმაზე, მის სიკვდილსა და მის ღიღებულ აღდგომაზე. მე დავინახე, რომ ეს ყველაფერი ქრისტეს შობამდე ასეული და ათასეული წლების წინ იყო ნათქვამი.

ამ აღმოჩენამ მთელი ჩემი არსება შექმრა. გაკვირვებული ვიყავი იმიტომ, რომ ებრაელებს არ სწამთ ქრისტე (ნაწინასწარმეტყველები) მესია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველდღე კითხულობენ ძველ აღთქმას. ჩანს, რომ ღმერთია ის, ვინც მიგიძღვის და არა უაზრო დეკლამაცია. თანდათან ვხვდებოდი იმას, რომ ქრისტე არ იყო ჩვეულებრივი პიროვნება. ის საფუძველია ძველი აღთქმისა და ებრაელები დღესაც ელიან მას. ჩვენ, მუსლიმებიც ველით მას, როგორც ყველა ერის სამართლიან მსაჯულს. ქრისტიანებიც, ცხადია, ელიან მას, რომ დაბრუნდება მთელი კაცთა მოდგმის განსასჯელად და რომ, იქნება, როგორც მეფეთ მეფე. ვინ არის ეს პიროვნება, რომელსაც ელიან ერები – ებრაელები, ქრისტიანები და მუსლიმები?

იესო, რომ ჩვეულებრივი კაცი ყოფილიყო, ალბათ, იმაზე მეტს აიღებდა, ვიდრე იმსახურებდა, როდესაც ვადარებთ მას სხვა რელიგიებს, რომლებიც გააჩნდათ წინასწარმეტყველებს, მოსეს ძველ აღთქმაში და მუჰამედს ისლამში. ალბათ, უფრო შესაფერისი იქნებოდა ის, რომ ებრაელები ელოდნენ მოსეს, ხოლო მუსლიმები მუჰამედს, თუმცა ეს ასე არ არის, ყველა კვლავ იესო ქრისტეს ელის.

ქრისტეს მიერ მოხდენილი სასწაულებიც კი განსხვავებული იყო სხვა წინასწარმეტყველების მიერ მოხდენილი სასწაულებისგან. განსხვავება მხოლოდ ერთ წინასწარმეტყველურ უწყებაში ანდა მიძღვნილ კი არ იყო, არამედ უფრო მეტად იმაში,

რომ მხოლოდ ქრისტე იყო ის ერთადერთი წინასწარმეტყველი, რომელიც ემსგავსებოდა ღმერთს მის ღვთაებრივ ატრიბუტებსა და ძალაში და ერთი და იმავედ ყოფნის ხარისხში. ასე რომ, როგორ შეეძლო ღმერთს, მიეცა წინასწარმეტყველისთვის, როგორი სტატუსი ანდა უწყებაც არ უნდა ჰქონოდა მას, ასეთი პრივილეგია – პრივილეგია, რომ ყოფილიყო ღმერთის პარტნიორი, არა მხოლოდ მის ატრიბუტებში, ძალაში, ანდა სიწმიდეში, არამედ მის სიყვარულშიც?

მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვარ ფანატიკოსი მუსლიმი, რაღაც შინაგანი ბრძოლა გაიმართა ჩემს გონებაში. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ულმერთო ცხოვრებით ვიცხოვრე. რა ძალუძია რელიგია აღმოსავლეთში! ის ღრმადაა ჩამჯდარი ჩვენს გენებში, სისხლის უჯრედებსა და ძვლის ტვინში. იმაზე ძნელი არაფერია, ვიდრე ის, რომ შეცვალო ადამიანის რწმენა, რომელიც ბავშვობიდანვე ჩაბეჭდილია მასში.

გფიქრობდი, რომ თუ კეთილმა საქმეებმა უნდა გადასწონონ ბოროტი საქმეები, პირადად მე, დამჭირდებოდა კიდევ ერთი სიცოცხლე, რათა იმდენი კეთილი საქმე გამეკეთებინა, რომ წამეშალა ჩადენილი ბოროტი საქმეები. ამიტომ უკვე აღარ არის ჩემთვის ხსნის გზა მხოლოდ კეთილი საქმეებით ანდა მოწყალეების გაცემით. ვინ გამათავისუფლებს ჩემი ცოდვებისა და ამაო საქმეებისაგან? ვინ დამიხსნის? ვინ არის ის პიროვნება, რომლის მოლოდინიც ყველა ერს აქვს? იმ დროს მე არ ვიცოდი, რომ ქრისტეს სიყვარული იზრდებოდა ჩემში და ბოლოს, მე უკვე აღარ შეეძლო შინაგანი ბრძოლის გაძლება, ამიტომ შევლაღადე ღმერთს: „დამანახე ჭეშმარიტება. სად არის ნამდვილი და ჭეშმარიტი რელიგია? ღვთაებრივ რელიგიებს სწამთ, რომ შენ ერთადერთი ხარ, მაგრამ კითხვა სხვა რამეშია, ისევე დაშორებული ხარ ჩვენგან მეშვიდე ცაზე, თუ განკაცდი და ჩვენს გვერდით სუფევ?“

მე ესეც ვუთხარი მას: „იესო ქრისტე, თუ შენ მართლაც ჩემი ღმერთი და მხსნელი ხარ, შეცვალე ჩემი ცხოვრება და ჩემი შავი გული თეთრად აქციე, გული, რომელიც სიძულვილით არის სავსე, სიყვარულით აავსე, რომელიც უწმიდურია განწმიდე, გაასპეტაკე“. იმ დღიდან დაიწყო ჩემი ცხოვრების

ტრანსფორმაცია ისეთი გზით, რომელსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. სიხარულის საოცარი განცდა შემოვიდა ჩემს არსებაში – ეს, ცხადია, არც ნარკოტიკების შედეგი იყო და არც ალკოჰოლის. მთელმა ჩემმა ცხოვრებამ დაიწყო განახლება.

ახლა მკაფიო მიზნები, მყარი პრინციპები და სიცოცხლის ახალი აზრი მაქვს. ახლა არსებობს ისეთი ღმერთი, რომლის გულისათვისაც მზად ვარ ყველაფერი დავთმო; ვინაიდან ის მთლიანად აკმაყოფილებს ჩემს არსებასა და წყურვილს. და ბოლოს, გაიხარა ჩემმა თინამ, ვინაიდან მოიმკა ის მოსავალი, რომლის ნიადაგიც ცრემლებითა და ლოცვით დააღტო. ახლა ჩვენი სახლი ეკლესიად იქცა, ქრისტეს სასძლოდ. ჩვენ ახალი ცხოვრება დავიწყეთ, ცხოვრება, რომელიც იესო ქრისტეს დიდებას ეძღვნება!

მუდამ თქვენი ხალილი

ქრისტეს რჩეულები

როდესაც ჩვენ პატარა ბავშვები ვიყავით, მამა გვასწავლიდა ლოცვას. ის ყოველთვის ერთგულედა ლოცვას. ჩემი მშობლები უბრალო ადამიანები იყვნენ; იყვნენ გულწრფელები თავიანთ თაყვანისცემასა და ცხოვრების წესში. მამაჩემი კლერკად მუშაობდა და მისი შემოსავალი გვეოფნიდა. მე მეტი არაფერი ვიცი ჩვენი რელიგიის შესახებ, გარდა ლოცვისა და ჩადრის ტარებისა. არასოდეს მქონია საქმე ქრისტიანობასთან და ქრისტიანებთან. მეგონა, რომ აკრძალული იყო, გვეფიქრა იმ რელიგიაზე, რომელიც დამახინჯებული გახლდათ.

მედლების სკოლაში დავდიოდი. მისი დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი კერძო ჰოსპიტალში და ვცხოვრობდი შენობაში ქრისტიან მედლებთან ერთად. პირველად ჩემს ცხოვრებაში მქონდა კონტაქტი ამ რელიგიის წარმომადგენლებთან. თვის უმეტეს დღეებს მათ გვერდით ვატარებდი, გარდა რამდენიმე დღისა, რომლებსაც გამოსასვლელად ვიყენებდი. ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ისინი მოსიყვარულედ და მეგობრულად მეპყრობოდნენ. არადა, მეგონა, რომ ზემოდან დამიწყებდნენ ყურებას, ვინაიდან ჰოსპიტალში უმრავლესობას წარმოდგენდნენ, ჩვენ მუსლიმები კი – უმცირესობას.

ძალიან მომეწონა ეს ქრისტიანები. კითხვები და ვუსვი ერთ-ერთ ექიმს ისეთ საკითხებზე, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია, მაგალითად, ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულებაზე. ყველა კითხვაზე მიპასუხა, მე კი უფრო მეტის გაგება მინდოდა.

გადმომცა კასეტები, რომლებზედაც საეკლესიო მსახურებები იყო ჩაწერილი და რომლებიც მრავალ რამეს ჰფენდა შუქს. ისეთი რამეებიც იყო, რაც მესმოდა, მაგრამ აზრს ვერ ვიგებდი. ფარულად ვუსმენდი ამ კასეტებს. თანდათან რაღაცეები გამოიკვეთა. შევამჩნიე, რომ ყურანშიც იყო მოხსენიებული ქრისტე და დავიწყე იმ ადგილების ძებნა, სადაც მასზე იყო ლაპარაკი.

ვკითხულობდი ამ ადგილებს და ვცდილობდი მათი მნიშვნელობის გააზრებას. აღმოვაჩინე, რომ ისინი ქრისტეს მიაწერდნენ ზოგიერთ ისეთ თვისებას, რომელიც არასოდეს ყოფილა მიწერილი წინასწარმეტყველისადმი – ვინაიდან ეს თვისებები ფაქტიურად ღმერთის ატრიბუტებია. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოსდა პირველად ვკითხულობდი ამ მუხლებს. თვალები გამეხსნა, რათა დამენახა ამ მუხლების ღრმა მნიშვნელობა და აზრი, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა იმ ზედაპირული განმარტებებისაგან, რომელთა გავლენითაც ვიზრდებოდი, როგორც მორწმუნე. უფრო გულდაჯებული გავხდი, ამიტომ ექიმს ვთხოვე, აეხსნა ჩემთვის სამებისა და ჯვარცმის მნიშვნელობა. მან კვლავ უპასუხა ჩემს ყველა კითხვას. ყველაფერი, რაც მან თქვა, ხაზს უსვამდა იმას, რომ ქრისტე მართლაც ღმერთი იყო და ამ ფაქტს თვით ყურანიც ვერ ჩქმალავდა.

ჩემი ექიმი მთელი წლით გაემგზავრა შორს, მაგრამ მე მაინც გავნაგრძობდი კითხვასა და კვლევას. დღითი დღე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი იმაში, რომ ქრისტე იყო ღმერთი და ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ, ჩემდა გასაკვირად, მუხლი არ მოვიყარე მის წინაშე და არ ვაღიარე ის ჩემს უფლად! ერთ დამეს, როდესაც მედღების საერთო საძინებელში საწოლზე ვიწექი, ვფიქრობდი ქრისტეზე და იმაზე, თუ რა უნდა გამეკეთებინა ნათლობისათვის და ჩემი რელიგიის შეცვლისათვის. მთელი გულით მსურდა ამ ახალი რწმენით ცხოვრება, მაგრამ მეშინოდა ჩემი ოჯახისა; მეშინოდა, რა მოხდებოდა მაშინ, როდესაც ისინი შეიტყობდნენ ჩემი გადაწყვეტილების შესახებ.

დავიღალე ფიქრით და მოვემზადე დასაძინებლად. ოთახში ბნელოდა, მაგრამ უეცრად დავინახე ქრისტე, რომელიც ფართო

ველზე იდგა და მიწვდიდა თავის ხელს, მე კი ამ დროს ღრმა ზღვაში ვიხრჩობოდი, რომლის ნაპირებზედაც მრავალი ადამიანი იდგა, თუმცა არც ერთ მათგანს არ შეეძლო ჩემი შველა. ეს ხილვა ერთმანეთის მიყოლებით სამჯერ განმეორდა, შემდეგ კი „გონს“ მოვეგე. გაოგნებული ვიყავი. მინდოდა მეყვირა, რომ მე ვნახე ის; ვნახე ქრიტე, რომელიც გამომეცხადა. როდესაც მეგობრებმა მკითხეს რა მოხდაო, ხმა ვერ ამოვიღე, მხოლოდ მელიმებოდა. ვგრძნობდი, რომ ეს ღამე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ისეთი სიხარულითა და სიმშვიდით ვიყავი საგსე, რომელიც არასოდეს განმეცადა მანამდე. შემდეგ გასაჭირი დაიწყო. მე არ შემიძლო ჩემი რწმენის უარყოფა და ოჯახმა შეშლილად გამომაცხადა. სამი წლის განმავლობაში ისინი ცდილობდნენ ჩემს გათხოვებას, მაგრამ უარს ვამბობდი. ერთხელ ერთმა კაცმა მთხოვა ხელი და ჩემი ოჯახიც მაძალებდა, რომ დავთანხმებულიყავი. იმ დროს საზაფხულო კურორტზე ვიყავით ალექსანდრიაში. ვთამაშობდით სანაპიროზე, როდესაც მამაჩემმა და ჩემმა ძმამ შემათრიეს ზღვაში. ისინი ცდილობდნენ ჩემს დახრჩობას. ვტიროდი და ვეკითხებოდი, თუ რატომ აკეთებდნენ ამას. მათ მიპასუხეს: „ჩვენ არ ვაპირებთ შენს მოკვლას, მხოლოდ გაჩვენეთ, რომ შეგვიძლია ამის გაკეთება, თუ იმ კაცს არ მისთხოვდები“.

ზეწოლის გამო, ვიცრუე და ვთქვი, რომ გავთხოვდებოდი იმ კაცზე. შემდეგ დავუბრუნდი ჩემს სამუშაო ჰოსპიტალს. დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც შეიცვლება. გავწყვიტე კავშირი ჩემ ოჯახთან და უკვე აღარ ვიცი რა მოხდა შემდგომ. მხოლოდ ის ვიცი, რომ მიყვარს ქრისტე და ვცხოვრობ მისთვის, როგორ დაბრკოლებებსაც არ უნდა შევხვდე.

ფატიმა

ქრისტიანობიდან ისლამისაკენ და კვლავ ქრისტესაკენ

ჩვენ, უმეტესწილად, ჩვენი ბავშვობისა და ჩვენი მშობლების ცხოვრების წესის ზემოქმედებით აღვიზარდეთ. ბავშვობიდან მრავალი რამ ისე კარგად მახსოვს, თითქოსდა ეს მხოლოდ გუშინ იყო – მრავალი ტკივილიანი წუთი მახსენდება. მამაჩემსა და დედაჩემს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებსაც ხშირად შევსწრებივარ. ერთი და მყავდა. ჩვენ ხშირად ვიძინებდით ცრემლიანი თვალებით და ვანშამიც არ გვქონდა, მამასა და დედას შორის ჩხუბის გამო.

მამაჩემი მდიდარი კაცი იყო და ოჯახსაც კარგად ინახავდა. ჩვენ ქრისტიანები ვიყავით, მაგრამ არაფერი ვიცოდით ქრისტეს შესახებ. ვერ ვიხსენებ მამას ან დედას ოდესმე თუ უსაუბრიათ ჩვენთან ღმერთზე ანდა ქრისტიანობაზე. არც ეკლესიაში წასვლა შემოუთავაზებიათ, თუნდაც ერთი სიტყვით. მე ინტროვერტი (საკუთარ თავში ჩაღრმავებული) ვიყავი, მრავალი ფსიქოლოგიური პრობლემით. როდესაც გავიზარდე, გადავწყვიტე ჩემი საკუთარი ცხოვრება თავადვე მეწარმოებინა და შორს ვყოფილიყავი ოჯახიდან. ჩემი დაც ჩემს მსგავსად აღშფოთებითა და ტკივილით იყო სავსე, თუმცა მას მრავალი ახლო მეგობარი ჰყავდა და უმეტეს დროს მათთან ერთად ატარებდა სახლის გარეთ.

გადავწყვიტე, ჩემი დის მაგალითის მივყოლოდი. მინდოდა, საკუთარი სამყარო მქონოდა, საკუთარი ურთიერთობები. ჩემთვის სულერთი იყო, ეს ურთიერთობები კარგი იქნებოდა თუ

ცუდი. ეს ყოველივე თექვსმეტი წლიდან ოც წლამდე ხდებოდა. დავიწყე მოწევა, სმა, ნადიმებზე სიარული, ქალებთან შეხვედრა. თუმცა, ამ სიამოვნებათა შორის საკუთარ თავს მაინც ვერ ვპოულობდი. ბედნიერების განცდა მხოლოდ რამდენიმე ეფემერულ წუთს გრძელდებოდა. ჩემი ოცნებები განქარდა და თავს უბედურად ვგრძნობდი. თითქოსდა შიზოფრენიით ვიყავი დაავადებული, გაორების განცდა მქონდა: გარეგანი კაცი, რომელიც ერთობა და სვამს და შინაგანი, რომელიც მწუხარე და უსასოა.

მიუხედავად იმისა, რომ შორს ვიყავი ჩემი დისგან, თითოეული ჩვენგანი გრძნობდა მეორის ტკივილს. ჩვენი სახლის სევდა და ტკივილი თან გვდევდა. არანაირი ურთიერთობა არ გვქონდა ღმერთთან. მასზე არც არასოდეს მიფიქრია. არ ვიცნობდი მას და არც არავის არაფერი უთქვამს მასზე. ჩემი წარმოდგენით, ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ და შემდეგ მართო დაგვტოვა. მჯეროდა, რომ ღმერთი შორს, ზეცაში, ცხოვრობდა და არანაირად არ ერეოდა ჩვენ ცხოვრებაში. მან კეთილი და უკეთური განფინა ჩვენ წინაშე, შემდეგ კი გამოიყენებს თავის ძალას, პატივს მიაგებს მათ, ვინც აკეთებდა სიკეთეს და დასჯის მათ, ვინც აკეთებდა ბოროტს. მეც და ჩემი დაც უნივერსიტეტში ვსწავლობდით, თუმცა ჩვენი ცხოვრება მაინც ძველებურად მიდიოდა. მრავალმა კაცმა სთხოვა ხელი ჩემს დას, მაგრამ ის ყოველთვის კატეგორიულად ამბობდა უარს. მშობლებმა არ იცოდნენ ამ უარის მიზეზი და არც ადარდებდათ.

ერთ დღეს შინ დილის 3 საათზე დავბრუნდი. ნასვამი ვიყავი და ვერ შევამჩნიე მშობლების მდგომარეობა. მინდოდა, დამეძინა და ყურადღება არც სხვა რამეზე გამიმახვილებია. ისინი მოვიდნენ ჩემთან, შემანჯღრიეს და ძალით გამაღვიძეს. გამიკვირდა, რადგანაც ჩემი ნასვამობა პირველი არ იყო და ისინი იცნობდნენ ჩემი ცხოვრების სტილს. როდესაც გამოვფხიზლდი, გავიგე, რატომაც იყვნენ ასე ძალიან გაბრაზებული. ჩემი და შინ არ მოსულიყო. დავიწყეთ მისი ძებნა და შევავსეთ დაკარგული პიროვნების ბარათი პოლიციის განყოფილებაში, თუმცა უშედეგოდ. ის უკვალოდ გაქრა.

დის გაუჩინარებამ ძალზე დამამწუხრა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ურთიერთობები ზედაპირული იყო, მე ის ძალიან მიყვარდა. ის ჩემ გვერდით იდგა მაშინ, როდესაც ტკივილიანი ღამეები გვქონდა. ვხედავდი, რომ მამაც და დედაც გულშემუსვრილები იყვნენ, მიუხედავად ჩვეული ჩხუბისა და კამათისა. თითოეული მათგანი მეორეს ადანაშაულებდა ქალიშვილის გაუჩინარებაში. ისინი ბევრს არ ლაპარაკობდნენ ამაზე, მაგრამ მე ზომ ვხედავდი მათ თვალებს.

ერთი თვის შემდეგ ჩემმა დამ დაგვირეკა ჩვენდა გასაოცრად. ის მუსლიმ კაცზე გათხოვილა და თავადაც მუსლიმი გამხდარა! ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო; დავიწყე ფიქრი: ვინ არის ღმერთი! რომელია ჭეშმარიტი რელიგია? რატომ გააკეთა ეს ჩემმა დამ? რაში მდგომარეობს სხვა რელიგიასთან შეერთების ხიბლი? უამრავი კითხვა მაწვალებდა.

როდესაც დამ მეორედ დაგვირეკა, დედამ ტირილი დაიწყო, ხოლო მამამ სთხოვა მას, დაბრუნებულიყო სახლში. მან უთხრა მათ, რომ ის უკვე გარკვეულია თავის არჩევანში, რომ მან უკვე შეიცვალა თავისი ოფიციალური დოკუმენტები და ახლა მუსლიმური სახელი აქვს, ფეხმძიმედაა და სურს თავისი შვილები მუსლიმებად აღზარდოს. გაკვირვებული ვიყავი, როდესაც ეს მესმოდა, მინდოდა შევხვედროდი, ამიტომ მომცა თავისი ახალი მისამართი.

ვეწვიე მას, თბილად შემხვდა, როგორც არასოდეს. მისმა ქმარმაც მეგობრულად მიმიღო. შევეკითხე ისლამის შესახებ და მათ მიამბეს ყველა იმ დადებითი მხარისა და სწავლების შესახებ, რომლებიც ისლამს გააჩნდა. სცადეს ჩემი დარწმუნება, რომ ქრისტიანობა უღმერთოება და პოლითეიზმია. ფაქტიურად არაფერი ვიცოდი ჩემი საკუთარი რელიგიის შესახებ, ამიტომ ვერც შევადარებდი მათ და გარკვეული შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. მათ ადვილად მოახდინეს ჩემზე გავლენა და მე მივიღე მათი იდეები ჩემს ცარიელ გონებასა და სწეულ სულში. ვუთხარი მათ, რომ დარწმუნებული ვარ ყველაფერში, მაგრამ მესაჭიროება დრო იმისათვის, რომ ვიფიქრო რაღაცეებზე, რათა შემდგომში არ ვინანო ჩემი გადაწყვეტილება.

დავიწყე ფიქრი. დავინახე, რა გახარებული იყო ჩემი და თავისი ახალი რელიგიით. კითხვა მაწვალებდა: მართლაც ბედნიერია ის? ნუთუ ამ ახალი რელიგიის რიტუალები აკმაყოფილებს მას? ნუთუ უპასუხა ღმერთმა მის ლოცვებს? ვებრძოდი ამ ფიქრებს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება, ვიძღვრებდი, რომ ვიპოვიდი ღმერთსა და საკუთარ თავს ამ ახალი რელიგიის მეშვეობით. ყველაფერი დავალაგე და ჩემი დოკუმენტებიც მოვამზადე.

სანამ დავწვებოდი, ტელეფონმა დარეკა. დედაჩემმა უპასუხა და გამომძახა, რომ მე მირეკავდნენ. როდესაც ავიღე ყურმილი, მშვენიერი მუსიკა და ქრისტიანული საგალობლები გავიგონე და კიდევ ქალის ხმა: „ნებას მომცემ ახლავე შეგხვდე?“ გავვოცდი და ვკითხე: „მიცნობ? მე არ მეცნობა თქვენი ხმა. ან ვინ მოგცათ ჩემი ტელეფონის ნომერი? რატომ გინდა ჩემთან შეხვედრა?“ მან მიპასუხა, რომ სურდა ჩემთან ერთად ელოცა. ამ დროისათვის უკვე ნათქვამი მქონდა ჩემი ოჯახისა და მეგობრებისათვის, რომ ვაპირებდი ისლამის მიღებას. უკვე აღარ მაშინებდა მშობლების, ეკლესიის, თავად ღმერთის ავტორიტეტიც. ვგრძნობდი, რომ ვიდექი „ჭეშმარიტი“ ისლამური ღმერთის გზაზე. მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ გადამერჩინა ჩემი სული გაფრენილი წლებისა და ამაო ცხოვრების შემდეგ.

ჩემი მეგობრები ბევრჯერ ეცადნენ ჩემთან საუბარს, ჩემთან ერთად ლოცვას, ჩემს წაყვანას ეკლესიაში. მკვანედ ვეუბნებოდი უარს და ვუმტკიცებდი მათ, რომ თავისუფალი ვიყავი საკუთარ გადაწყვეტილებაში. ამ დროს კი ყველაფერი სხვაგვარად წავიდა. უყოყმანოდ დავთანხმდი იმ ქალს, მოსულიყო ჩემთან და მივეცი ჩემი მისამართი. თხუთმეტი წუთის შემდეგ ზარმა დარეკა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მთხოვა, ელოცა ჩემთან ერთად. უჩვეულოდ წყნარი და კეთილმოსურნე ვიყავი. ისიც კი არ მიკითხავს, საიდან გაიგო ჩემზე. ის ლოცულობდა, მე კი ცრემლად ვიღვრებოდი. ევედრებოდა ჭეშმარიტ ღმერთს, დამდგარიყო ჩემ გვერდით და ეწინაძღვრა ჩემთვის სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ამ ქალბატონს თან თავისი ქმარი და პატარა ქალიშვილი ახლდა. გაოცებული ვიყავი, როდესაც ამ პატარა გოგონამ

შემხედა და თქვა, რომ შეუძლია, დაინახოს იესოს გამწმენდი წყალი ჩემზე. მათ ამიხსნეს, რომ ეს არის სურათი ჩემი ნათლობისა, რომელიც წარმოაჩენს იმას, რომ ქრისტეს სურს ჩემ გვერდით ყოფნა, რადგანაც ვუყვარვარ. მთხოვეს, რომ შევხვედროდი მეორე დილით ეკლესიაში წასასვლელად, ვინაიდან მე უნდა დამეწყო პერსონალური ურთიერთობები ქრისტესთან და ყველაფერი შემესწავლა ჩემი რელიგიის შესახებ. შემდეგ წავიდნენ.

მათ დამირეკეს დილით; ვუპასუხე, რომ არ ვარ დარწმუნებული. ისინი მოვიდნენ და წამიყვანეს ეკლესიაში. როდესაც შევედი ეკლესიაში, ქალი მომიახლოვდა და მითხრა: „რადაც უნდა ვითხრა.“.. გაუბედავი ჩანდა. კვლავ შემომხედა და თქვა: „იესო გეუბნება შენ: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. აცრემლებულს მუხლი მომეკვეთა. შეძრული ვიყავი იმ ყოველივეთი, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა. მე არ ველოდი, რომ ღმერთი ასე უპასუხებდა ჩემს ლოცვებს, მე არ ველოდი, რომ მეტყოდნენ, რომ ქრისტეა გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე!

ჩემი ცხოვრება უკეთესობისაკენ შემობრუნდა. რეგულარულად დავიწყე ეკლესიაში სიარული და ღმერთი ახალი გზით გავიცანი. ვფიქრობდი, რომ ღმერთი ძალიან შორს იყო, არ კი ვიცოდი, რომ ის ყოფილა აქ ჩემი ხსნისთვის და ეს გაუკეთებია იმის გამო, რომ კაცთმოყვარე ღმერთია. ყოველივეს ჩამოვშორდი, რაც ჩემს ცხოვრებაში ცუდი და უგვანი იყო. მივატოვე სძა და შევწყვიტე სიძვა. მამასთან და დედასთან ახალი ურთიერთობები დავიწყე. მინდა, რომ მათაც სწორი ურთიერთობები დაამყარონ ღმერთთან. მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ ახლა ერთად დავდივართ ეკლესიაში და ერთად ვლოცულობთ. ჩხუბი და აყალ-მაყალი შეწყდა ჩვენს სახლში, რადგანაც ღმერთი თითოეული ჩვენგანის გულს შეეხო. მხურვალედ ვლოცულობთ ჩვენი დისტვისაც, ვთხოვთ ღმერთს, რომ დაიხსნას ის და დააბრუნოს უკან.

მკვდარი ვიყავი, მაგრამ ახლა ცოცხალი ვარ

თოთხმეტ შვილში მე მეშვიდე ვარ. ვცხოვრობთ ერთ ღარიბულ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილას, სადაც მუსლიმები და ქრისტიანები ერთად ცხოვრობენ. მუსლიმურ ოჯახში ვიზრდებოდი. მამაჩემი ბევრს მუშაობდა, რომ თავი გაგვეტანა, მუშაობდა დღე და ღამე, რომ საკვები გვქონოდა. ჩვენ, ბიჭები, უმეტეს დროს ქუჩაში დავყვიალობდით. ხშირ შემთხვევაში შიმშილი გვაიძულებდა, მოგვეპარა პური და რძე, რასაც დილაადრიანად დაკეტილი მაღაზიების წინ აწყობდნენ

სწავლის საშუალება არ მქონდა. კარგა ხნის წინ გამომიშვეს სკოლიდან. ჯერაც მახსოვს ღვთისნიერი ქრისტიანი ქალი, რომელიც ქუჩის ბავშვებს ერთად შეგვკრებდა ხოლმე იმისათვის, რომ საკვირაო სკოლის გაკვეთილები ჩაეტარებინა. ის გველაპარაკებოდა იესო ქრისტეს სიყვარულზე ყველა ხალხის მიმართ, გვაჩვენებდა სასულიერო თემებზე შექმნილ ფილმებს და გვიკითხავდა ადგილებს ბიბლიიდან. ჩვენი შეხვედრის დასასრულს ის კამფეტებსა და ლიმონათებს გვირიგებდა. ძალიან კეთილად და ნაზად გვექცეოდა; ამიტომ გვრცხვენოდა მის წინაშე რაიმე უღირსი საქციელი ჩაგვედინა!

ჩვენ საცხოვრებელ უბანში არანაირი საბავშვო ღონისძიებები არ ტარდებოდა სახელმწიფოს ან ორგანიზაციების მხრიდან, მხოლოდ ეს საყვარელი ქალბატონი აკეთებდა ამ საქმეს. მე, როგორც ბიჭს, ძალიან მსიამოვნებდა ქრისტიანულ დღესასწაულებზე – შობასა და აღდგომაზე დასწრება. ისინი

სიხარულის მომგვრელი მოვლენები იყო ჩემს ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც სკოლიდან გამომაგდეს, დაქირავებულ მუშად დავიწყე მუშაობა ნავსადგურში და სხვა ადგილებზე. სიცარიელეში ვცხოვრობდი, მარტობა მტანჯავდა, არ მყავდა არც მეგობრები და არც გულშემატკივრები. ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც მხოლოდ ფულის სიყვარული იცოდნენ. მატერიალისტი გავხდი. ფულს ვემონებოდი.

სკოლიდან გამოძევებამ ცუდი გავლენა იქონია ჩემზე. სმას მივეძალე იმისათვის, რომ ჩემი პრობლემები დამევიწყებინა. გამოსავალს აზარტულ თამაშებსა და სმაში ვეძებდი. ცხოვრებას დროსტარებისა და ფულის კეთების ასპარეზად ვთვლიდი. შური მღრღნიდა, ამიტომაც გადავწყვიტე საკუთარი საქმიანობის დაწყება. მოვახერხე და გავხსენი პატარა მაღაზია, ფული გაჩნდა ჩემს ჯიბეებში, თუმცა მშვიდობა და სიწყნარე არ მოსულა.

ასეთ სიცარიელეში გავატარე ექვსი წელი. ოჯახურმა პრობლემებმაც წამოყო თავი. ჩემს ძმებსა და დებს საქორწინო პრობლემები ჰქონდათ, მამა დაბერდა, დედა კი დასნეულდა. მთელი ეს სიმძიმე ჩემს მხრებს დააწვა. სხვადასხვა პრობლემებისაგან გამოწვეულმა მუდმივმა ზეწოლამ საშინელ დეპრესიაში ჩამაგდო. ბოლოს კი კატასტროფაც მოხდა, ეს იყო 1986 წელს.

როდესაც გადავხედავ ხოლმე ჩემს ცხოვრებას კატასტროფამდე, ვხვდები, რომ ალკოჰოლს ვიყავი მიძალბებული. 1982-სა და 1984 წლებს შორის ძალიან ბევრს ვსვამდი. 1984 წელს გავემგზავრე საფრანგეთში მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების სამკურნალოდ. იქ დაახლოებით ერთი თვე დავყავი და დავბრუნდი სახლში. შოკირებული ვიყავი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ჩემ მიერ გახსნილი მაღაზია და წამოწყებული საქმე მთლიანად განადგურებულიყო.

1986 წლის აგვისტოში საშინელი კუჭის წვა ვიგრძენი, მტკიოდა სხეულის სხვა ორგანოებიც. ერთხელ გონება დავკარგე და საავადმყოფოში გადამიყვანეს. ჩემი მდგომარეობა ძალზე სერიოზული გახლდათ; ჩემმა გულმა თითქმის შეწყვიტა მუშაობა. ორი კვირის მანძილზე მეგობრები და ნათესავები მნახულობდნენ ჰოსპიტალში, ეგონათ, რომ მალე მოგკვდებოდი.

ერთ-ერთი მათგანი ქრისტიანი მღვდელი იყო. ძალიან კარგად მახსოვს ის მისი კეთილმოსურნეობისა და თავმდაბლობის გამო. იყვნენ სხვა ქრისტიანი მეგობრებიც, რომლებიც მოდიოდნენ ჩემთან და ლოცულობდნენ ჩემთვის.

ამ დროს მედღები გაიფიცნენ ჩვენს საავადმყოფოში. მათ სახლში გაუშვეს ის პაციენტები, რომლებიც არ იყვნენ სერიოზულად ავად. თუმცა მე მაინც დავრჩი იქ. სამედიცინო მკურნალობის ჩვიდმეტი დღის შემდეგ, დამეწყო ისტერია, ვტოვებდი ხოლმე საწოლს და თავს ვესხმოდი ყველას, ვინც ჩემ გარშემო იყო. ერთხელაც გადავჭერი ჟანგბადის მილაკები და მალევე დავკარგე გონება. ექიმები ფიქრობდნენ, რომ ჩემი აღსასრული ახლოვდებოდა.

გამომიკვლიეს და ერთი საათის შემდეგ დაასკვნეს, რომ მკვდარი ვიყავი! დაურეკეს ჩემ ოჯახს, რათა მოსულიყვნენ და აეღოთ ჩემი გარდაცვალების მოწმობა. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა დავინახე ნათელი მეხებოდა; ამავე დროს გავიგონე ხმა, რომელმაც სამჯერ მითხრა: „აღექი!“ მე იესო ქრისტეს პიროვნება დავინახე. ის დიდი ნათლით გამომეცხადა. ჩემი ოჯახის წევრებმა მოიტანეს კუბო, რომ ჩემი „მკვდარი“ სხეული საავადმყოფოდან წაეღოთ. როგორც არ უნდა ყოფილიყო ჩემი მდგომარეობა, სუსტი თუ მკვდარი, მას შემდეგ, რაც იესო გამომეცხადა, ნათელი შემოიჭრა ჩემს სხეულში და აღმადგინა. როდესაც ექიმები მოვიდნენ და მნახეს, განცვიფრდნენ. მათ შეადგინეს სამედიცინო ანგარიში და ჩემი შემთხვევა აღწერეს, როგორც „ძალიან იშვიათი, სასწაულებრივი, აუხსნელი შემთხვევა!“ დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ იესო ქრისტე იყო ის, ვინც დამაბრუნა სიცოცხლეში. მან თქვა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14:6).

ჰოსპიტალი დავტოვე, თავს, ცხადია, სუსტად ვგრძნობდი, მაგრამ მე მეორედმოხილი განხლდით, ვინაიდან ვირწმუნე იესო ქრისტე, როგორც ჩემი მხსნელი. მე ვუთხარი მას: „უფალო, თუ გინდა, რომ მაჩუქო სიცოცხლე, დაე, ეს სიცოცხლე შენი სახელის დიდებისათვის იყოს!“ კიდევ ერთხელ დავემსგავსე ბავშვს. ყველაფერს ახალი თვალთ შევხედე. მინდოდა, რომ ჩემ ქრისტიან ძმებთან ერთად ვყოფილიყავი. როდესაც ქუჩაში

ვსეირნობდი, ადამიანები თითო იშვერდნენ ჩემკენ და ამბობდნენ: „ის მკვდარი იყო, მაგრამ ახლა ცოცხალია“. მართლაც, უფალმა იესო ქრისტემ შეცვალა ჩემი ცხოვრება. ერთ დღეს წიგნების მაღაზიას ჩავუარე. გარკვეული ყოყმანის შემდეგ კარზე დავაკაკუნე. სანდომიანმა ქალმა გამიღო კარი და მომესალმა. სხვა წიგნებს შორის ბიბლია დავინახე. გამახსენდა ის ქრისტიანი ქალი, რომელიც გვიტარებდა საკვირაო სკოლის გაკვეთილებს და გვასწავლიდა, როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი. ვიფიქრე, რომ ამ ქალს შეიძლება რამე სცოდნოდა მის შესახებ, ამიტომ შევეკითხე. მან მიპასუხა: „რა თქმა უნდა, ვიცნობ მას. ის მედიცინის სახლშია, ანდა შესაძლოა, უკვე გარდაცვლილიცაა“.

გადავწყვიტე, მეორე დღეს მომენახულებინა ის ქალი. შევედი იმ ადგილას და დავინახე იგი. სკამზე იჯდა და თვლემდა. გავიხსენე საკვირაო სკოლის საგალობლები და დავიწყე ერთ-ერთის გალობა. გახსნა თვალები და მკითხა: „ვინ ხარ?“ ვუპასუხე: „მე საიედი ვარ. თუ გახსოვართ. ეს ოცდაათხუთმეტი წლის წინ იყო“. მოვუყევი ჩემი ამბავი და ის, თუ როგორ გავხდი ქრისტიანი.

მან თქვა: „დიდებულია, თუმცა ფრთხილად იყავი, საიედ. უფლის ერთგული დარჩი მთელი შენი სიცოცხლე!“ ჩემი ახალი ცხოვრება იესო ქრისტეზე ჩემი რწმენის დაფუძნებით დავიწყე. შევუდექი ბიბლიის კითხვას. როგორი მოწყურებული ვიყავი, ამიტომ ამ წყურვილის დარწყულება სიცოცხლის სიტყვით დავიწყე. მიუხედავად ჩემი სისუსტეებისა და ნაკლისა, ვხედავ, რომ უფალი მაძლიერებს, მაჯანსაღებს. სწორედ იესო იყო, რომელმაც მოგვცა აღთქმა: „და აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიდან საუკუნის დასასრულამდე“ (მათე 28:20). მან ისიც თქვა: „მე ვარ ნათელი სოფლისა. ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას!“ (იოანე 8:12).

ცოცხალი ურთიერთობა ღმერთთან მართლაც დიდებულია. როდესაც ვეძიებ ღმერთს, წარმოუდგენელი შინაგანი მშვიდობა ავსებს ჩემს სულსა და გულს, ჩემს არსებას. და რეალურად შემიძლია, თავი გავაიგივო მამასთან, რომელმაც თავის გზააბნეულ ძეზე თქვა: „ვინაიდან ეს ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა; დაკარგული იყო და გამოიწინა. და დაიწყეს

მხიარულება“ (ლუკა 15:24). ერთხელ მე მკვდარი ვიყავი, მაგრამ ახლა ცოცხალი ვარ; ერთხელ მე დაკარგული ვიყავი, მაგრამ ახლა გამოვჩნდი.

საიელი

როგორ მივედი ღმერთის შემეცნებასთან.

საუკეთესო გზა ჩემი დამოწმების დასაწყებად არის მაღლიერება ღვთისადმი, რომელიც ჩემი გულიდან მოედინება; მაღლიერება ასეთი დიდებული მოქცევისათვის ჩემს ცხოვრებაში და ყველას ცხოვრებაში, რომლებიც ერთგულად ეძებდნენ მას. ღმერთი მიმიძღოდა თავისი დიადი ძალით და დამიხსნა ლომების ხაროდან. საკმაოდ უცნაურია, რომ ეს მოქცევა არ იყო შედეგი ჩემგან გამომავალი სურვილისა, რეაქცია იმაზე, რაც მე მოვისმინე და რასაც დავესწარი, ვთქვათ, პასტორის ანდა ევანგელისტის მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას. პირიქით, იმ დროს, როდესაც მე დავრბოდი ირგვლივ და ვუტევი მის სიტყვასა და მის ხალხს, ის ამზადებდა ყველაფერს იმისათვის, რომ გავეხილა იმ ბაღეში, რომლიდანაც თავს ვეღარ დავაღწევდი!

ის ცოცხალი ღმერთია, რომელიც ეძებს გზააბნეულ ძეს. ის ხელს იწვდის ყველასაკენ, ვინც მოინანიებს; ის თავის სინათლეს უგზავნის ყველას, ვინც დაკარგულად გრძნობს თავს ამ მსოფლიოში; ის ნაზად აკაკუნებს ყველა ღარიბი და მორყეული სახლის კარზე, რათა აავსოს ის სულიერი სიძლიდრით, სიწმიდითა და სიჯანსაღით. ის უხვად იძლევა და არასოდეს ნანობს გაღებულზე. ის არ მოგვაგებს ჩვენი ქმედებების შესაბამისად, არამედ მოგვაგებს თავისი მოწყალებისამებრ.

ყოველთვის ვყოყმანობდი, როდესაც ვცდილობდი ჩემი დამოწმების დაწერას. მეშინოდა გადაჭარბებისა; არ მსურდა

კვარცხლბეკზე დადგომა. არავითარ პატივისცემას არ ვიმსახურებ; მთელი ღიღება ღმერთს ეკუთვნის. თუმცა მაინც დარჩა ჩემში რაღაც სიამაყე, ამიტომ მივიჩნიე, რომ ღმერთის საქმის გაცხადება ჩემს ცხოვრებაში გარკვეული თავდასხმა იქნებოდა ამ სიამაყეზე. მე ის კაცი ვარ, რომელიც მძვინვარედ ესხმოდა თავს ცოცხალი ღმერთის მიმდევრებს – იმ ღმერთის მიმდევრებს, რომელმაც მიპოვა, ამიხილა თვალი, რათა დამენახა ის ნათელი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი მანამდე.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა; არ მქონდა სხვა ლოგიკური არჩევანი გარდა ერთისა, ფარ-ხმალი უნდა დამეყარა ამ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობდა ჩემში მცხოვრებ დემონსა და წმიდა ღმერთს შორის, რომელმაც შემომთავაზა თავისი ხსნა და გაშალა მკლავები, რომ გულში ჩავეხუტებინე. ამ დროს, მართლაც, შეემძლო იობთან ერთად გამემეორებინა: „ყურმოკვრით მქონდა გაგონილი შენზე, ახლა კი ჩემმა თვალმა გიხილა შენ“ (იობი 42:5), და დავითთან ერთად აღმომეთქვა: „სუფთა გული შეჰქმენი ჩემში ღმერთო და წრფელი სული განაახლე ჩემს სხეულში!“ (ფსალმუნი 50:12).

ეს არის უფალი იესო ქრისტე, ღმერთის საუკუნო სიტყვა. ის არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვინც ირწმუნებს მას, არ მოკვდება; ვინც მივა მასთან, მას აღარასოდეს მოსწყურდება და არც მოშივდება; ის არის პირველი და უკანასკნელი, ალფა და ომეგა, უფალი იესო ქრისტე!

უნდა აღვწერო ჩემი ცხოვრება ქრისტემდე; მიმაჩნია, რომ პირველად ამ ცხოვრებაზე უნდა ვილაპარაკო, რადგანაც ეს წარმოაჩენს იმას, თუ რა ძლიერად ვუყვარვართ მას, მაშინაც კი, როდესაც ვიბრძვით მის წინააღმდეგ. ის გვეძებს ჩვენ იმ მწყემსივით, რომელიც ეძებს თავის დაკარგულ ცხვრებს უდაბნოში.

დავიბადე და ვიზრდებოდი უკიდურესად ფუნდამენტალისტური შეხედულებების მქონე ოჯახში. მე ჩემი ნებით მივყვებოდი მათ მაგალითს, თუმცა, ცხადია, რომ ოჯახი გავლენას ახდენდა ჩემზე. სწავლა დავიწყე პატარა კოტაბში (ისლამური სასწავლო ადგილი), რომელიც ჩვენი პატარა სოფლის განაპირას

მდებარეობდა. ჩვენი სოფელი კი ზემო ეგვიპტეში, კაიროდან 200 კმ-ის დაშორებით იყო გაშენებული.

დასაწყისში, ჩემი ინტერესი მხოლოდ ყურანის პატარა ნაწილების ზეპირად დამახსოვრებაში მდგომარეობდა, რომელიც ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს შეადგენდა. შემდგომში კი ეს ინტერესი უფრო პერსონალური გახდა. ღვთის სიტყვების ჩემუელი სიყვარულით ვიყავი მოტივირებული. ამ დროს ისლამის საქმეთა უზენაესმა საბჭომ გამართა ყოველწლიური სკოლათაშორისი შეჯიბრი ყურანის ზეპირად ცოდნაში და რესპუბლიკის თითქმის ყველა სკოლამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ ასპარეზობაში. დედაჩემმა მთხოვა, მეც მიმეღო მონაწილეობა. მივიღე და უმაღლესი შეფასებაც დავიმსახურე – მოვიგე პირველი პრიზი, ფინანსური ჯილდო, 10 ეგვიპტური ფუნტი. მამაჩემი ამ ამბავმა ძალიან გაახარა. მირჩია, ყოველ წელს მიმეღო მონაწილეობა ამ შეჯიბრში მხოლოდ იმიტომ, რომ მიმეღო ფინანსური ჯილდო.

გულმოდგინედ გავნაგრძობდი ყურანის შესწავლას. მოსამზადებელი სკოლის დამთავრებამდე დავიზეპირე ყურანის თხუთმეტ ნაწილზე მეტი. მთელი ყურანის დამახსოვრება გავასრულე უმაღლეს სკოლაში სწავლის მანძილზე. ამ დროს მე ვცხოვრობდი ჩემს მშობლებთან ერთად იმ სახლში, რომელშიც ჩვენი დიდი ოჯახის გარდა ცხოვრობდნენ ბიძები და ბიძაშვილები. ერთ-ერთი ჩემი ბიძაშვილი ფანატიკოსი მუსლიმი იყო. ის ელ-აზჰარის ისლამურ უნივერსიტეტში სწავლობდა.

ის ყოველთვის მარწმუნებდა, წამეკითხა წიგნები. ხანდახან ჩემთვისაც ყიდულობდა წიგნებს, რათა თავადაც წაეკითხა. ერთხელ ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად ცალკე სახლში გადავიდა და ჩამოშორდა ერთიან დიდ ოჯახს. ჩემი ბიძაშვილიც გაემგზავრა ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში, რათა იქ, ერთ-ერთ მეჩეთში, ისლამის მქადაგებელი ყოფილიყო. იქ ის ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. როდესაც უკან დაბრუნდა, მითხრა, რომ ჩვენ არ ვიცით ნამდვილი ისლამი, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ ჯანააჰში (ზეცა) მოხვედრას, ვინაიდან, ფაქტიურად, ძალიან ცოტა რამ თუ არის ჩვენთვის ცნობილი. მან ისიც მითხრა, რომ იქ ყოფნისას შეხვდა ზოგიერთ ისლამურ

წინამძღოლებსა და იმამებს, რომლებმაც შეძლეს და გაექცნენ აქაურ ტირანულ მმართველობას. მან მთხოვა, რომ უფრო ჩავლრმავებოდი იმამ იბნ ტამემაჰის, შეიხ საიედ კოტბის და იბნ ჰაზემ ალ-ზაჰერის მიერ დაწერილ წიგნებს. მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებიც ამ წიგნებში მხვდებოდა, მე მათით აღტაცებული ვიყავი. ისინი გვთავაზობდნენ ისეთ გზა-სავალს, რომელიც დაუჯერებლად გამომწვევი იყო ყველასათვის, ვინც გადაწყვეტდა მასზე დადგომას. მაგალითად, აღმოვაჩინე ერთ-ერთი ჰადისი, რომელიც ამბობდა: „ვინც შეჭამს ანდა იცხოვრებს ულმერთოსთან ერთად, მისი მსგავსი შეიქმნება“.

ამ წუთიდან ჩემი რელიგიური ცხოვრება ახალ ფაზაში შევიდა. დავიწყე ხალხის გამოკვლევა ჩემ გარშემო, რათა შეემეტყო, ვინ იყო ულმერთო და ვინ იყო მუსლიმი. ასევე დავიწყე ყურანის იმ მუხლების შეკრება, რომლებიც დამეხმარებოდნენ განმესხვავებინა ჭეშმარიტი მუსლიმები და არამუსლიმები; მინდოდა თითოეულ მათგანთან ჩემი ურთიერთობების ხასიათის ჩამოყალიბება. შედეგად ძალიან საჩოთირო სიტუაციაში აღმოვჩნდი, მაგალითად, აღმოვაჩინე, რომ მამაჩემი, იმ ჰადისის კრიტერიუმების თანახმად, ულმერთოთაგანი იყო, ვინაიდან ეწეოდა და არც წვერს იზრდიდა. დედაჩემი არ ლოცულობდა და ადამიანების სახელებსაც წამდაუწუმ იმეორებდა. ჩემი ძმებიც ულმერთოები გამოდიოდნენ, ვინაიდან ისინი უყურებდნენ ტელევიზორს ანდა ეწეოდნენ. ზოგიერთი მათგანი არ ასრულებდა დღის განმავლობაში ხუთ სავალდებულო ლოცვას და არც წვერს იზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ არამუსლიმები, ვთქვათ, ქრისტიანები, ულმერთოებად არიან შერაცხილნი, მე ჯინაზე ჩემი ოჯახის წევრებიც იმავე კატეგორიაში მოვათავსე.

იმდენად შეწუხებული ვიყავი ჩემი ძმების მდგომარეობის გამო, რომ მინდოდა, მათ სწავლა შეეწყვიტათ. ასევე ვთხოვე მამას, გაეყოფა დედას, რადგანაც ის არ მემორჩილებოდა მე, რამაც, როგორც გამოირკვა, მამაჩემი ძალიან განარისხა. იმ დასკვნამდე მივედი, რომ მამაჩემიც, დედაჩემიც და ჩემი ძმებიც – ყველა ულმერთოები იყვნენ. შევეკითხე ჩემს ბიძაშვილს, თავი შორს უნდა დაექცია თუ არა მათგან, რაზედაც მან დადებითი

პასუხი მომცა. ისიც ვკითხე, სად უნდა წავსულიყავი, თუ გავწყვეტდი ურთიერთობას მათთან; თავისთან მიმიწვია და მითხრა, რომ შეემძლო მასთან ცხოვრება. „გაქვს რაიმე ეჭვები ბიძაშენსა და მის ცოლზე, მათ რწმენასთან დაკავშირებით?“ მკითხა მან.

ვუპასუხე: „არა, ისინი ნამდვილი მორწმუნეები არიან!“ „გადმოდი და თან წამოიღე ყველაფერი, რაც გეკუთვნის, იცხოვრე ჩემთან ერთად და შორს შენი სახლის უღმერთობისა და ურწმუნობისაგან!“ შეეკარი ჩემი ბარგი და დავტოვე ჩემი ოჯახი. თვალცრემლიანი დედა და ძმები გამოემშვიდობნენ. მაგრამ მე არ მანალვლებდა მათი ცრემლები. მტკიცედ ვიყავი თავდაჯერებული იმაში, რომ მეტად აღარ მეცხოვრა უღმერთობს შორის. სიხარულისაგან თავდაკარგული ვიყავი, რადგანაც ღმერთის გულისათვის დავტოვე ჩემი სახლი.

ბიძაშვილი დასახლდა კაიროში და დაიქირავა ბინა ელ-აზჰარის უნივერსიტეტის მახლობლად. ის თავისი აკადემიური სწავლების ბოლო წელს გადიოდა. მომიწია მამის სახლში დაბრუნება, სირცხვილნაჭამი და დამცირებული ვიყავი. მანამდე ვკითხე ბიძაშვილს: „არ მიგაჩნია, რომ მამის სახლში დაბრუნება ჩემთვის დანაშაულის ტოლფასია?“

მიპასუხა: „არა, ვინაიდან საჭიროება არ ცნობს კანონს და გაჭირვება ამართლებს აკრძალულს“. მან მოახდინა ციტირება:

ვინც ესა ჰქმნას გაჭირვებით და არა წინააღმდეგობით და სჯულგადამავლობით, დამნაშავე არ იქმნეს. ღმერთი სულგრძელ და შემწყნარებელია.

სურა (ძროხა) 2:173

ამას, რომ ვისმენდი, სიხარულით მეცხრე ცაზე დავფრინავდი. უმაღლეს სკოლას ვამთავრებდი, გადავწყვიტე, ბეჯითად მესწავლა, რათა არავის ეთქვა, რომ რელიგია ხელისშემშლელი მიზეზი იყო ჩემს აკადემიურ მოსწრებაში. წარმატება მოვიპოვე და ზოგადი განათლების ისეთი სერთიფიკატი მივიღე, რომელშიც მაღალი ნიშნები ეწერა; ამის წყალობით კაიროს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში შევედი.

ნელ-ნელა ჩემი გონება იწმინდებოდა იმ ნააზრევისა და ნიმუშებისაგან, რომელთა ხაზგასმაც უყვარდა ჩემს ბიძაშვილს. მრავალი ისეთი წიგნი წავიკითხე, რომელთა კითხვასაც ის კრძალავდა, რადგანაც ამ წიგნებში ისლამური ჯგუფების „ალტაკფერისა და ალ-ჰიჯრას“ აზრები იყო თავმოყრილი. ეს ჯგუფები მეოცე საუკუნის უკანონო გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. მისმა სიტყვებმა მიბიძგა, რომ წავსულიყავი და მენახა, თუ რას ამბობდნენ ეს ადამიანები. სამედიცინო სკოლაში მრავალი პოლიტიკური მოვლენის მოწმე გავხდი. ეს მოვლენები მცირე ლეგალური ჯგუფების აქტივობასთან იყო დაკავშირებული. თავი დავირწმუნე იმაში, რომ შევერთებოდი რელიგიურ ჯგუფს, რათა ბალანსი დამეცვა სხვა ჯგუფებთან. ჯგუფის ხელმძღვანელი ჩვენი ფაკულტეტის წევრი და ამავე დროს გენერალური მდივანიც გახლდათ. ჩვენ კიდევ გვყავდა ერთი კაცი, რომელიც პასუხისმგებელი იყო კავშირზე ჯგუფის წევრებს შორის.

მრავალ სიძნელეს წავაწყდი ჯგუფში. ისინი ტრადიციულ ისლამურ ცხოვრებას მისდევდნენ, რომელიც ძალზე შორს იყო ისლამის მართებულ გაგებასთან, არამუსლიმებთან ურთიერთობის კონტექსტში (მე ვგულისხმობ არა ქრისტიანებს, არამედ უფრო მეტად ნომინალურ მუსლიმებს). ამგვარად, ჩემი რელიგიური ამბიციები უფრო და უფრო იზრდებოდა. ძალიან მსურდა, მიმეღწია ისეთი სტატუსისათვის, რომელიც ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც უპირისპირდებოდნენ მთავრობასა და რეჟიმს. ამიტომ ჩამოვაცაღიბე ბირთვი, პატარა ჯგუფი. მე ვასწავლიდი მათ ისლამს, ისე როგორც მე მესმოდა. ვგრძნობდი მათ მორჩილებასა და ერთგულებას. ჩვენ ვლოცულობდით ერთად მოშორებულ ადგილას, შორს მეჩეთიდან, ვინაიდან მივედით იმ დასკვნამდე, რომ მეჩეთები იყო თანაბარმნიშვნელოვანი იმისა, რაც ებრაელებმა ააშენეს, რათა ხელი შეეშალათ წინასწარმეტყველი მუჰამედისათვის.

ამგვარად, დავიწყე ჩემი ურთიერთობების დახარისხება ადამიანებთან, ისლამის მათეული პოზიციისა და გაგების მიხედვით. თუ ვინმე უარყოფდა იმას, რასაც ჩვენ ვამბობდით, მას დაერქმეოდა ულმერთო და მასთან ასეთი დამოკიდებულებაც გვექნებოდა:

მორწმუნეებმა მეგობრად (მოკავშირედ ანუ მფარველად)
 არ აიყვანონ ურჯულოები უფრო, ვიდრეღა მორწმუნეები.
 სურა (იმრანის სახლეული) 3:28

არ მიჭირდა ამის გაკეთება. ჩვენ მართულნი ვიყავით უმძაფრესი სურვილითა და ენთუზიაზმით მივყოლოდით წინასწარმეტყველ მუჰამედის მაგალითს.

ყოველთვის წარმოვიდგენდით ხოლმე აბუ ობეიდას, გარაჰის ძეს, რომელსაც წინასწარმეტყველი მუჰამედი უწოდებს ერის წინამძღოლს, რომელმაც მოკლა თავისი მამა, როდესაც მან უარი თქვა შეერთებოდა ისლამს; მოსააბს, ომარის ძეს, რომელიც არასოდეს ისმენდა თავისი დედის ვედრებას და დატოვა ის, რომ მომკვდარიყო, რადგანაც მან უარყო ისლამი; აბუ ბაქრს, რომელმაც უთხრა მამას, რომ მოკლავდა თუ ის არ შეუერთდებოდა ისლამს. ყველა ეს სურათი კიდევ უფრო მძვინვარეს გვხდიდა ჩვენ ჩვენს ოჯახებთან და მეგობრებთან მიმართებაში, თუ ისინი უარყოფდნენ ისლამის ჩვენეულ ვერსიას. ასეთი მძვინვარების ჟამსაც კი ტკივილს მგვრიდა ჩემი საქციელი, როდესაც ვუყვიროდი დედას და მამას და ვლანძღავდი ჩემს ძმებსა და დებს და ვემუქრებოდი მოკვლით, თუმცა ჩემი ერთადერთი მოტივი გახლდათ დავმორჩილებოდი ალაჰს და წინასწარმეტყველს. მინდოდა, მიმეღწია იმათი მდგომარეობისათვის, რომლებიც ემორჩილებოდნენ ღმერთს. ყოველთვის ვცდილობდი გამეხსენებინა წინასწარმეტყველ მუჰამედის ჰადისი: „ვერცერთი თქვენგანი ვერ გახდება ჭეშმარიტი მორწმუნე, თუ მას არ უყვარს ალაჰი და მისი წინასწარმეტყველი უფრო მეტად, ვიდრე თავისი ფული, თავისი შვილები ანდა საკუთარი თავი“.

არსებობდა ადამიანების სექტა, რომლებთანაც ჩვენ გვესაჭიროებოდა, განგვესაზღვრა ჩვენი ურთიერთობები ყურანისა და სუნას მიხედვით. ესენი იყვნენ წიგნის ხალხი, უმეტესად ქრისტიანები, ვინაიდან ებრაელები არ ცხოვრობდნენ ეგვიპტეში; ერთი მაინც, რომ ყოფილიყო, მას არანაირი ურთიერთობა არ ექნებოდა ვინმესთან. მას შემდეგ რაც გამოვიკვლიეთ წინასწარმეტყველ მუჰამედის დამოკიდებულება

ქრისტიანებთან, აღმოვაჩინეთ, რომ სურათი ძალზე ბუნდოვანი გახლდათ. მიუხედავად ყველაფრისა, ეს მაინც კარგი იყო ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენ გვშურდა მათი უბრალოებისა, მათი გულისხმიერებისა და მათი მეგობრული დამოკიდებულებისა ნომინალური მუსლიმებისადმი. მათ გააჩნდათ უცნაური უშფოთველობა, როდესაც ჩვენ თავს ვესხმოდით და ვავიწროებდით.

ჩავთვალეთ, რომ ისინი უნდა განცალკევებულიყვნენ, როგორც უმცირესობა მუსლიმურ უმრავლესობათა შორის. ასევე დავადგინეთ, რომ ერთადერთი რამ, რაც მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ, იყო მუსლიმებისადმი გულისხმიერი და კარგი დამოკიდებულება; სხვანაირად, მათ ადგილი არ ექნებოდათ ჩვენ შორის. ეს არის ზუსტად ის, რასაც ყურანი ამბობს მათზე:

თავის დამცრობა და სილატაკე გავრცელდა მათ შორის და ღვთის რისხვა ეწიათ.

სურა (*ძროხა*) 2:61

ჩვენმა სიძულვილმა ქრისტიანებისადმი აშკარად აგრესიული ფორმა მიიღო. თავს ვესხმოდით და ვავიწროებდით მათ, მაგრამ მათი პასუხი მხოლოდ მშვიდობიანი და მოთმინებით აღსავსე იყო. ეს კიდევ უფრო მეტად გვაშმაგებდა, ამიტომ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ მოგვეხერხებინა მათი წამება და შეშინება. ჩვენ გავარკვიეთ, რომ ღმერთმა დაუშვა მათი მოკვლა, მათი ქონების დატაცება და მათი სახლების გაძარცვა. ყურანის თანახმად, მთელი მათი ქონება უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ღვთის „საჩუქარი“ მუსლიმებისათვის.

რაც ალაჰმა თავის მოვლინებულს სხვადასხვა დაბათა მცხოვრებლების ქონება მიანიჭა, ეკუთვნის ღმერთსა და წინასწარმეტყველს.

სურა (*შეკრება*) 59:7

ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელი მათი ქონება უნდა წართმეოდათ მათ ომის გარეშე, როგორც ეს წინასწარმეტყველმა გაუკეთა ბანი

კურაზიას ებრალებს, როდესაც მან ალყა შემოარტყა მათ, დახოცა მათი ყმაწვილკაცები, ტყვედ წამოიყვანა მათი ქალები, დაიპყრო მათი მიწა ყველა პალმის ხესთან ერთად, ხოლო ისინი გაყარა თავისი ქალაქიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვეძლო იმის გაკეთება, რაც წინასწარმეტყველმა გააკეთა, ჩვენ ვახერხებდით, გაგვეტეხა ქრისტიანთა მალაზიები და გაგვეძარცვა ისინი. მტრობამ და სიძულვილმა ჩვენს გულებში მაშინ მიაღწია პიკს, როდესაც თავს დავესხით მათ ეკლესიებს იმ სოფლის სხვადასხვა ადგილას, სადაც მე ვცხოვრობდი. ოპერაციის უმთავრესი მიზანი იყო, შეგვეტია და დაგვენგრია ერთ-ერთი ეკლესია. ამ თავდასხმამ გააღიზიანა ხელისუფლება, ვინაიდან კოპტმა ქრისტიანებმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს ამ ინციდენტის გამო. ამავე დროს, ისე ჩანდა, რომ მთავრობა კმაყოფილი დარჩა მომხდარით, რადგანაც ჩვენ ციხეში ძალიან კარგად გვექცეოდნენ.

როდესაც სასჯელი მოვიხადეთ, სოფლის მცხოვრებნი ისე შეგვხვდნენ, როგორც გმირებს. და ეს იყო სწორედ საუკეთესო მოტივაცია იმისათვის, რომ ჩვენს საქმიანობაში, ანუ ქრისტიანების დვენასა და შევიწროებაში, კიდევ უფრო შორს წავსულიყავით, თუმცა, ცხადია, გაცილებით გონივრულად და გამჭრიახად უნდა გვემოქმედა, რათა დაპატიმრებისა და პოლიციასთან შეხლა-შემოხლისათვის თავი აგვერიდებინა. ყოველივე ეს საკმაოდ მოკლე ხანში მოხდა. უფრო მეტი შემართება მოვიდა ჩემთან; ცნობებიც ჩვენზე მალევე გავრცელდა თანატოლ სტუდენტებს შორის. შედეგი ის იყო, რომ ისლამური ჯგუფის „ალ-ტაკვერი და ალ-ჰიჯრა“-ს ერთ-ერთმა უპირველესმა წინამძღოლმა მოიწადინა დამჯდარიყო ჩემ გვერდით და გამოეხატა თავისი ღრმა მადლიერება ჩემი თვალში საცემი მხნეობისათვის ღვთისა და მისი წინასწარმეტყველის სიყვარულის საქმეში.

მე ვიცოდი, რომ ის მიეკუთვნებოდა შუქრის ჯგუფს. დიდი სიხარული მომგვარა მისმა სიტყვებმა. მინდოდა, ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი. ეს წინამძღოლი დიდ სიფრთხილეს იჩენდა ჩემთან საუბარში. ზაფხულის არდადეგებზე მოვაწყვეთ ბანაკი სამედიცინო სკოლის ისლამური ჯგუფისათვის. ამ

ბანაკის ფინანსური მხარდაჭერა სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველჰყო. ძირითადი მიზანი ისლამური კონცეფციების განხილვა იყო.

ბანაკის დახურვის შემდეგ მეგობარმა მკითხა, რას ვფიქრობდი ისლამურ ჯგუფთან დაკავშირებით და დაინტერესდა, შევუერთდებოდი თუ არა მათ, შესაძლებლობის გამოჩენისთანავე. მან გაიმეორა ჰადისი, ღმერთის, მისი სუნას, მისი წინასწარმეტყველის მიმდევრების ჯგუფთან შეერთების საჭიროებაზე. ერთი მტკიცებულება ასეთი იყო: „ის, ვინც კვდება ერთგულების ფიცის გარეშე, ჰგავს წინა-ისლამურ ულმერთოს“. მან ესეც თქვა: „არ არსებობს ისლამი ჯგუფის გარეშე; და არც ჯგუფი ემირის გარეშე“.

ღვთისა და მისი წინასწარმეტყველის სიყვარულის გამო ვგრძნობდი, რომ საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც შემიძლო, იყო ისლამურ ჯგუფთან შეერთება. ეს განსაკუთრებული ჯგუფი ყველაზე ახლოს იდგა ჩემს წარმოდგენასთან ისლამის შესახებ. ჩემი შეხვედრა ჯგუფის ემირთან ერთ-ერთი წევრის სახლში შედგა. ეს სახლი კაიროში მდებარეობდა. ხელი დავუჭირე ემირ შუქრის და ვუთხარი: „ერთგული ვარ შენი, რათა მოვისმინო და დაგემორჩილო, ყოველთვის და ყველგან და რათა დაგაყენო შენ ჩემ წინ, მანამდე, სანამ საჯაროდ არ დამადანაშაულებ ულმერთობაში“. ერთგულების ფიცი უბრალო სიტყვები არ იყო, რომელთაც მექანიკურად იმეორებდი; ამ ფიცით შენს სიცოცხლეს ემირის ხელთ გადასცემდი. საკუთარი თავი ღვთისა და წინასწარმეტყველისათვის უნდა მიგეყიდა.

რა აღტაცებული ვიყავი იმ დღეს! ერთადერთი დღე, როდესაც უფრო ბედნიერი ვიყავი, ჩემი ნათლობის დღე იყო, მოგვიანებით. ერთგულების ფიცი ემირის მორჩილს მხდიდა შიშის გარეშე. გავაკეთებდი ყველაფერს, რასაც მიბრძანებდა და არც ვიფიქრებდი იმ ტკივილსა და დაბრკოლებებზე, რომელთაც შეიძლება შევხვედროდი, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ ვემორჩილებოდი ღმერთსა და წინასწარმეტყველს. მზად ვიყავი გამეკეთებინა იმაზე მეტი, რასაც დამავალბდნენ. ჩემ ოჯახს კიდევ უფრო სასტიკად ვექცეოდი, შევწყვიტე მათი მისალმება. როდესაც მეკითხებოდნენ მიზეზებზე, ვუპირობებდი ამ სიტყვებს:

გაგაცნოთ თუ არა ისინი, რომელთაც ყველაზე მეტი დაკარგეს თავიანთი ნამოქმედარის გამო; რომელთა ღონისძიება ამ ქვეყნად ნამდვილი წარსაწყმედელი იყო და ეგონათ, კარგად ვირჯებითო?

სურა (გამოქვაბული) 18:103

მამაჩემმა მთხოვა, მეტქვა მისთვის, თუ რა აქცევდა მას ნამდვილ მუსლიმად. ვუპასუხე, რომ უნდა გაეზარდა წვერი და შეეწყვიტა რადიოს მოსმენა. დამთანხმდა. შემდეგ ვუთხარი მას: „დედაჩემი არ ლოცულობს; ამიტომ ის უღმერთოა და შენ არ შეგიძლია მასთან ერთად ცხოვრება“. მამა გამძვინვარდა. მან გაიპარსა წვერი და ქვას დასტაცა ხელი, გამოვასწარი და გავიქეცი.

მინდა ვთქვა, რომ პირველი რამაც აღმიძრა სურვილი, შევერთებოდი ისლამურ ჯგუფს, იყო ის მტრობა, რომელსაც ისინი გამოხატავდნენ ქრისტიანების მიმართ. ქრისტიანები მეც ძალიან მძულდა. ყოველთვის ვიკვლევდი ყურანის ადგილებს იმისათვის, რომ გამემართლებინა ჩემი სიძულვილი და საღ გონებაზე მყოფს მემოქმედა.

შუქრიმ კაიროს გარეუბანში არსებული ერთი პატარა ჯგუფის ემირად დამნიშნა. ის ძალიან ამაყობდა ჩემით და ჩემი ერთგულებით კეთილი საქმისადმი. მან „ბუ ობეიდა“ მიწოდა. ჯგუფის თითოეულ წევრს ზედმეტი სახელი ჰქონდა; ჩვენ არასოდეს არ ვიცოდით მათი ნამდვილი სახელები.

შუქრი უფრო მეტად და მეტად მენდობოდა. გამაგზავნა ზოგიერთ არაბულ და უცხოეთის ქვეყნებში, რათა კავშირები დამემყარებინა ჯგუფის წევრებთან. ჩვენ ერთად ვშრომობდით იმისათვის, რომ მიგვეზიდა ახალი წევრები, რომ შეერთებოდნენ ჯგუფს და მიეღოთ საკუთარი ერთგულების ფიცი ემირ შუქრი მუსტაფას სახელით.

მთავრობა გვდევნიდა; ამიტომ იძულებულნი გავხდით, გაქცეულიყავით მოკლე დროით მენიას, ბადარისა და ასუიტის მთებში. ყოველთვის, როდესაც გვაპატიმრებდნენ, გვგზავნიდნენ კაიროში და შემდეგ გვათავისუფლებდნენ. ყველა ჩვენგანი გრძნობდა ადგილმდებარეობის შეცვლის საჭიროებას, ვინაიდან უკვე აღარ შეგვეძლო გვეცხოვრა უღმერთოებს შორის,

თანახმად წინასწარმეტყველი ჰადისისა: „უარვჭყოფ ყველას, ვინც ულმერთოებს შორის ცხოვრობს“. ვგზავნიდით ხოლმე ვინმეს, რომ მოეძებნა საუკეთესო ადგილი ჩვენთვის, სადაც გადავიდოდით. ვეძებდით მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და უკან მხოლოდ იმისათვის ვბრუნდებოდით, რათა აღვესრულებინა სასჯელი იმ სეკულარულ რეჟიმზე, რომელიც არ მიჰყვებოდა ღმერთის ბრძანებას.

1977 წლის ერთ დღეს, მე და ჯგუფის ერთ სხვა წევრს გვიბრძანეს, მოგვეძებნა ავეჯით გაწყობილი ბინა ღარიბულ, მჭიდროდ დასახლებულ რაიონში. კითხვები არ დაგვისვამს. ვიპოვეთ შესაფერისი ბინა და ვიქირავეთ. კვლავ არ ვიცოდით, რატომ. მომდევნო დღეს შევიტყვეთ, რომ შეიხი მუჰამედი მოუტაციათ ჩვენი ჯგუფის წევრებს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯგუფის სხვა წევრმა მოგვინახულა და მოგვიყვა ყველაფრის შესახებ. შეიხი მუჰამედი ყოველთვის უტყვდა ჩვენს ჯგუფს. წერდა ყალბ სტატიებს, თითქოსდა ერთ ქალს რამდენიმე მამაკაცზე ვაქორწინებთ და ა.შ.

ჩვენმა ჯგუფმა მრავალჯერ გააფრთხილა ის, შეეწყვიტა მსგავსი თავდასხმები, მაგრამ ის ამ გაფრთხილებებს არასერიოზულად ეკიდებოდა. გაგვაფრთხილეს, რომ ამ ოპერაციის მიზანი იყო ზემოქმედება მთავრობაზე, რომ გაეთავისუფლებინათ ჩვენი წინამძღოლები, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ სამხედრო ტექნიკურ აკადემიასთან მომხდარი ინციდენტის დროს. გამოსასყიდიც გვინდოდა, რათა მრავალრიცხოვან ხარჯებთან ზოგიერთი მაინც დაგვეფარა.

რამდენიმე საათის შემდეგ მთელს ეგვიპტეში ჩვენი ჯგუფის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს. ის ადამიანებიც კი დაიჭირეს, რომელთაც შორეული კავშირი ჰქონდათ ჩვენ ჯგუფთან. გადაგვიყვანეს კალას ციხეში, სადაც ორი წელი გავატარეთ. ამ ორი წლის მანძილზე გვაწამებდნენ და გვეკითხებოდნენ „ვეკუთვნოდით თუ არა ანტი-სამთავრობო ჯგუფს“. როდესაც გაგვათავისუფლეს, ქვეყანა დაუყოვნებლივ უნდა დაგვეტოვებინა. გავიყავით და არაბულ ქვეყნებში გადავედით. ველოდებოდით ბრძანებებს შეიხისგან, რომელიც უქპრიმ თავის ადგილზე დანიშნა. ეს იყო ჩვენი ჯგუფის

აღსასრულის დასაწყისი. შემიძლია გულახდილად ვთქვა: რომ არ ყოფილიყო შეიხ მუჰამედის ოპერაცია, ჩვენს ჯგუფს დიდი გავლენა ექნებოდა ეგვიპტეში მიმდინარე პროცესებზე.

ადრეც ვთქვი, ზოგიერთი ჩვენგანი ეძებდა ქალაქს, სადაც შევძლებდით დასახლებას იმისათვის, რათა მოვმზადებულიყავით დიდი ჯიჰადისათვის. გვითხრეს, რომ ასეთი ადგილი აღმოაჩინეს და მრავალი ძმა უკვე იქ იმყოფებოდა, სადაც ჯგუფის დანარჩენ წევრებს შევეუერთდი 1980 წლის დასაწყისში. ეს იყო უკაცრიელი უდაბნო; თითო-ოროლა ბედუინი თუ ჩაივლიდა ხოლმე ხანდახან. მოვამზადეთ საცხოვრებელი ფართი და დავიწყეთ მოქმედება პატარა ჯგუფებით, ვინაიდან მხოლოდ ერთი მანქანა გვქონდა. ჩვენი ჯგუფის მრავალი წევრი გაზრდილი იყო ამ ადგილებში, ამიტომაც ისინი დიდ დახმარებას გვიწევდნენ ადგილობრივი წესებისა და ტრადიციების გაგებაში. ამოვთხარეთ ჭები ჩვენს ბანაკში. გვქონდა საიდუმლო პაროლი შემოსვლისა და გასვლისათვის. ცვლით ვდარაჯობდით ჩვენს ბანაკს. ვვარჯიშობდით მიზანში სროლაში. ყველას გადავეცით ცეცხლსასროლი იარაღი თავის დასაცავად თავდასხმის შემთხვევაში.

პირველი რამდენიმე დღის მანძილზე ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა და საუცხოო განწყობაც გვქონდა. გავიხსენეთ ის დრო, როდესაც წინასწარმეტყველი მუჰამედი გაიქცა მედინაში. ვოცნებობდით იმ დღეზე, როდესაც უკან დავბრუნდებოდით ეგვიპტეში და დავიპყრობდით მას ისევე, როგორც წინასწარმეტყველმა დაიპყრო მექა. ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენ შორის, რომ თითოეულ ჩვენგანს, რომელმაც მიატოვა თავისი უღმერთო ოჯახი და გამოვიდა იქიდან ღმერთის გულისათვის, უნდა გაემეორებინა შემდეგი პოეტური სტროფი:

მშვიდობით, ჩემო სახლო;

შესაძლოა, ეს დიდხანს გაგრძელდეს!

შენმა ხალხმაც და ჩემმაც მიატოვეს ღმერთის წიგნი!

ძალიან მიჭირს წასვლა, მაგრამ მე ჭეშმარიტებას ვეძებ!

ამ სიტყვებს მთელი ჩვენი ენთუზიაზმით ვიმეორებდით. არაფერზე ვზრუნავდით, მხოლოდ ისლამურ მოწოდებაზე. მზად ვიყავით, ღვთის გულისათვის ყოველგვარ სიძნელეს დავპირისპირებოდით. დარწმუნებულები ვიყავით, რომ თუ დავიხოცებოდით, ზეცაში წავიდოდით; სხვა შემთხვევაში, ჩვენ გამარჯვებულები გამოვიდოდით ბრძოლაში. ეს პოეტური სტროფი სიხარულით და სიამაყით გვაგვებდა, თუმცა ჩვენს თვალებს ცრემლებით, სულს კი – ნაღველით, ვინაიდან გვენატრებოდა ჩვენი მეგობრები და ოჯახის წევრები.

ქალაქი, რომელშიც დავსახლდით, იტანჯებოდა შფოთისა და არეულობისაგან, ასევე პარტიზანული ომისაგან. ქალაქში თითქმის ყველა შეიარაღებული დადიოდა, რაც გვიადვილებდა იარაღის ტარებას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩვენი არსებობის შესახებ შეიტყო ბელუნიებისაგან, რომლებიც დროდადრო იკარგებოდნენ უდაბნოს ამ ნაწილში და ჩვეულებისამებრ მოგვმართავდნენ ხოლმე, რათა უკან დასაბრუნებელი გზა გვეჩვენებინა მათთვის. ერთ დღესაც ერთ-ერთმა ბანაკის მცველმა დაინახა ორი სამხედრო მანქანა, რომლებიც ჩვენი ბანაკისაკენ მოემართებოდა. როდესაც მოგვიახლოვდნენ რამდენიმე მეტრზე, მან გააჩერა ისინი და ჰკითხა, რისთვის იყვნენ მოსულები. მათ სურდათ ჩვენთან შეხვედრა, რათა გაეგოთ, ვინ ვართ, რატომ ვართ ამ ადგილას და რომელ ჯგუფს ვეკუთვნით. მათ ეშინოდათ, რომ ჩვენ ადგილობრივი დისიდენტების მხარდამჭერები ვიყავით. დიდხანს ვისაუბრეთ. საუბარში მეც ვმონაწილეობდი. მიხვდნენ, რომ არ ვიყავით ადგილობრივები, არამედ ვიყავით მოსულები ამ რაიონში, რამაც კიდევ უფრო მეტად დააეჭვა ისინი. კამათისა და მსჯელობის შემდეგ მწუხარებით აღვიქვით ის, რომ უნდა წავსულიყავით ამ ადგილიდან, ჩვენი ოცნებები კი აქვე უნდა დაგვეტოვებინა.

ვინაიდან ეგვიპტის მეზობელ ქვეყანაში ვიყავით, უკან დაბრუნება ადვილი და იაფი იყო. ჩვენი გეგმის გაგრძელების არანაირი შანსი აღარ გვქონდა. გადავწყვიტეთ კაიროში დაბრუნება, მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი და მე, გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო კარგა ხანს დავრჩით იქვე.

ამ დროის განმავლობაში გავიცანით ზოგიერთი ძმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ავღანეთის ომში. შეეძელით მათი დარწმუნება, რომ ავღანელები რუსეთის წინააღმდეგ ღვთისა და ისლამის გულისათვის არ იბრძოდნენ. მათ ერთგულების ფიცი მოგვცეს ჩვენ და ძალიან გვეხმარებოდნენ მანამდე, სანამ 1990 წლების დასაწყისში უკან ეგვიპტეში არ დავბრუნდით. როგორც კი კაიროს მივალწიეთ დაგვაპატიმრეს და შინაგან საქმეთა სამინისტროში წაგვეყვანეს. გამოკითხვის შემდეგ გაგვათავისუფლეს, ჩვენ მათთან ერთად, რომელნიც ერთგულნი დარჩნენ. ვცადეთ, კვლავ აღგვედგინა ჯგუფი. თვეში ორჯერ ვხვდებოდით სწავლისა და ჩვენი ჯგუფის მთავარი იდეების ახლებური ფორმულირებისათვის. ყოველივე ეს 1990 წლის თებერვალში დავასრულეთ.

ერთ დღეს ერთ-ერთი ჩვენი ძმა მოვიდა ჩვენთან. მისი ამოცანა იყო მოეძიებინა წიგნები, ჟურნალები და გაზეთები იმისათვის, რომ შეეკრიბა ინფორმაცია ჩვენს მსგავს ჯგუფებზე მთელს მსოფლიოში. დადონებული ჩანდა, სახეც წამოსწითლებოდა, შეგვეკითხა: „წაიკითხეთ დღევანდელი გაზეთები?“ ვუპასუხეთ: „არა, რა მოხდა?“ „მათ დააპატიმრეს მისიონერების ჯგუფი, რომლებიც ნომინალურ მუსლიმებს ფულისა და სექსუალური ურთიერთობების მეშვეობით რჯულს აცვლევინებდნენ“.

გაოგნებულები დავრჩით, მით უმეტეს, რომ რამადანის წმინდა თვე იდგა. წინააღმდეგობა უნდა გაგვეწია მათთვის, რომლებიც ეხმარებოდნენ ბოროტს. მაგრამ როგორ უნდა გაგვეკეთებინა ეს, შიშველი ხელებით თუ სიტყვით. ალბათ, ეს უკანასკნელი უფრო ეფექტური იქნებოდა. როგორ და როდის?

დასაწყისი

როდესაც წავიკითხეთ გაზეთი, თავი დამცირებულად ვიგრძენით, რადგან ვერ გამოვიჩინეთ სათანადო სიფხიზლე ღვთის საქმისათვის. გადავწყვიტეთ ეფექტური როლი გვეთამაშა ქრისტიანული ევანგელიზმის წინააღმდეგ, რათა ის როგორმე შეგვეჩერებინა. მრავალი განხილული არგუმენტის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძალის გამოყენების გადაწყვეტილება

გამოვრიცხეთ. სახელმწიფო უშიშროების სისტემა, კარგად განვითარდა ეგვიპტეში 1970-იანი წლების შემდეგ. ამ დროისათვის სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ სისტემას აქტიურად იყენებდნენ სახელმწიფო საქმეებში. ჩვენი ჯგუფის აქტიური წინამძღოლები, რომლებსაც ფარულად გაჰყავდათ საფრთხეში ჩავარდნილი ძმები ქვეყნის გარეთ, წასულები იყვნენ და ჩვენ არ გვყავდა მათი ღირსეული შემცვლელელები. ზოგიერთი მათგანი სიკვდილით დასაჯეს, სხვები მუდმივ პატიმრობაში მოხვდნენ.

ამიტომ გამოვრიცხეთ ძალისმიერი მოქმედება და სხვა გზების ძიება დავიწყეთ იმისათვის, რომ დავპირისპირებოდით ქრისტიანულ ეგანგელიზმს. ბოლოს, მოვიფიქრეთ „ლოგიკური კონფრონტაციის“ თეორია – სამზეოზე გამოგვეტანა თორას და ბიბლიის ყალბი სწავლებები. ყველა წინამძღოლი მიესალმა ამ მიდგომას. ჩვენ დავიწყეთ იმ პიროვნების ძებნა, რომელიც თავს იდებდა ამ დიდ პასუხისმგებლობას, წარმოეჩინა ჭეშმარიტება და დაემარცხებინა უღმერთობი. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამ ამოცანის შესრულების კანდიდატი ვიქნებოდი, არა უუნარობის გამო, არამედ იმის გამო, რომ ყველამ იცოდა, რა ძალიან მძულდა ქრისტიანები. ხანგრძლივი დამძაბული სიჩუმის შემდეგ ემირმა გამოაცხადა იმ პიროვნების სახელი, რომელიც აირჩიეს ამ საქმის გასაკეთებლად. კინალამ გონება დამიბნელდა, როდესაც ჩემი სახელი გავიგონე. მრისხანებამ შემიპყრო. როგორ მთხოვენ ამ საქმის გაკეთებას! მართალია, წაკითხული მაქვს ებრაული და ქრისტიანული წიგნები, მაგრამ მერე რა? ჩვენმა ემირმა შემომხედა და თქვა: „ეს ბრძანებაა! შენ არჩევანი არა გაქვს გარდა მორჩილებისა, თუ მართლაც გწამს ალაჰი და უკანასკნელი დღე“. მან მოახდინა ყურანის ციტირება:

არ შეჰფერით ორთავ სქესის მორწმუნეებს, აჰყვნენ საკუთარ არჩევანსა, თუ ღმერთსა და მის მოციქულს სხვაფრივ გადუწყვეტიათ.

სურა (დაჯგუფებანი) 33:36

ვცადე ემირის დარწმუნება, რომ ჩემს ნაცვლად სხვა ვინმე აერჩია, მაგრამ ის არ დამეთანხმა. მითხრა: „ვეგრძნობ, რომ შენ საუკეთესო

კაცი ხარ ამ საქმისათვის. თუ შენ ამას კარგად გააკეთებ, ერთი გასროლით ორ კურდღელს მოკლავ. პირველ რიგში, შენ გაანათლებ მუსლიმებს და თვალს აუხელ იმ ფაქტზე, რომელსაც ისინი ვერ ხედავენ; და მეორე, შენ გამოიმუშავებ ბლომად ფულს, ვინაიდან შენი გამოკვლევა გადაითარგმნება და გამოიცემა მთელ მსოფლიოში“.

მისმა სიტყვებმა თითქოს ცეცხლით ამანთო, მინდოდა ამ გამოკვლევის თემასა და ბუნებას ჩავწვდომოდი. ემირმა ამიხსნა: „შენი გამოკვლევა ორი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს. პირველი, უნდა დაამტკიცო თორადან და ახალი აღთქმიდან მუჰამედის, როგორც წინასწარმეტყველის, მოწოდების სარწმუნოება, როგორც ყურანი ამბობს:

ისინი, ვინც შეუდგებიან მოვლინებულს, უსწავლელ წინასწარმეტყველს, მცოდნეს ჰპოვებენ თავიანთ წიგნებში, დაბადებასა (თორაში) და სახარებაში

(ზღუდეები 7:157)

„მეორე: შენ უნდა დაამტკიცო, წინააღმდეგობებისა და შეუთავსებლობების დახმარებით, რომ თორაც და ახალი აღთქმაც, რომლებსაც ადამიანები იყენებენ დღეს, არ წარმოადგენენ ღვთისაგან შთაგონებულ ორიგინალებს – ისინი შეცვლილია და დამახინჯებული.“

ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მივიღე ეს დავალება. ვუთხარი ემირს: „ეს ამოცანა თავისთავად მოითხოვს იმას, რომ ვიყიდო ბიბლია და წავიკითხო“. მითხრა, რომ ჩვენ წავიდოდით კაიროს ცენტრში მის შესაძენად. გავუყევით გომჭორიას ქუჩას და ვიპოვეთ კიდეც წიგნების ის მაღაზია, სადაც იყიდებოდა ეს წიგნი. ჩვენ არ შეგვეძლო შიგნით შესვლა, რადგანაც ვატარებდით ტრადიციულ სამოსს და ეს ძალიან თვალშისაცემი იყო. წიგნის მაღაზიაში მყოფი ადამიანები, პირველ რიგში, იფიქრებდნენ იმას, რომ დასარბევად ვიყავით მისულები და პოლიციას გამოუძახებდნენ. ამ დროს ერთმა კაცმა გამოიარა, გავაჩერეთ და კკითხეთ სახელი. ვთხოვეთ, შესულიყო წიგნის მაღაზიაში და ეყიდა წიგნი ჩვენთვის, რაც მან შეასრულა.

შემდეგ მე და ემირი წავედით ჩემს სახლში, სამხრეთ კაიროში. იქ მისვლამდე ორი-სამი საათი დაგვჭირდა. ამ დროის მანძილზე ვცდილობდი ბიბლიისგან განვთავისუფლებულიყავი. ერთხელ ის ერთ-ერთ სკამზე მივატოვე; მეორედ, თითქოსდა, დამავიწყდა სადღაც, მაგრამ ემირს მოჰქონდა ჩემთან და მახსენებდა, რომ უნდა შეემენახა. ბოლოს, მივედით ჩემთან სახლში. ემირი ძალევე გაემგზავრა თავის ქალაქში და დამტოვა, რომ დამეწყო ნაკისრი საქმე – ბიბლიის შესწავლა.

პირველი დღე ყველაზე ძნელი აღმოჩნდა. მე იმ შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, რომ ბიბლია არ იყო ღმერთისგან და რომ, მას შეეძლო დემონების მოყვანა ჩემს სახლში. ეს თუ მოხდებოდა, ცხადია, ვეღარ ვილოცებდი. ამიტომ მას ჩემი საძინებელი ოთახის გარეთ ვინახავდი. მრავალი დღის მანძილზე ვიყავი პარანოიდულ მდგომარეობაში. მომესმებოდა თუ არა რაიმე ხმა სახლში, ვფიქრობდი, რომ ღმერთმა გამოგზავნა დემონები ჩემს დასასჯელად, რადგანაც ასეთი წიგნი მქონდა შინ. ბიბლიას არც იმ ოთახში ვინახავდი, სადაც ვლოცულობდი, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ანგელოზები აღარ მოვიდოდნენ იქ.

ასეთი შიშები დიდი ხნის მანძილზე მქონდა, სანამ არ გავაცნობიერე ის, რომ ეს წიგნი აქ ჩემი ნებით არ იყო. მე მხოლოდ დავემორჩილე ღმერთს, როდესაც დავემორჩილე ემირს: „ვინც ემორჩილება ჩემს ემირს, მემორჩილება მე, და ვინც არ ემორჩილება ჩემს ემირს, არ მემორჩილება მე“. მივედი იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ღვთისაგან დადგენილი ემირის ბრძანებებს ვასრულებდი, ამიტომ ბიბლია ვერ მომაცენებდა ზიანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჩემს ოთახში შევინახავდი; ალაჰი დამეხმარება.

ჯგუფი მეხმარებოდა ყველაფრით, რაც მესაჭიროებოდა. ისინი მიხდიდნენ 500 ეგვიპტურ ფუნტს ჯიბის ფულად, ასანახლაურებლად იმ დროისა, რომელსაც მე კვლევას ვუთმობდი. ყოველთვის, როდესაც მავიწყდებოდა კვლევის შესახებ, უნდა გამეხსენებინა ჰადისი, „ვინც ემორჩილება ჩემს ემირს, მემორჩილება მე, და ვინც არ ემორჩილება ჩემს ემირს, არ მემორჩილება მე“. ღმერთისათვის დღეში სამჯერ უნდა

მეთხოვა პატიება და შემდეგ მელოცა. არაფერს არ უნდა გაეფანტა ჩემი ყურადღება. საკმაო კავშირები და ინფორმაცია გამაჩნდა იმისათვის, რომ ჩემ მიერ შესრულებული სამუშაო საუკეთესო ყოფილიყო და უნდა ითქვას, რომ უკვე მაქვს ქრისტიანული საკითხების კარგი ცოდნა. მივიღე გადაწყვეტილება და დავადექი ამ შარაგზას.

მაწუხებდა ის, რომ არ ვიცოდი საიდან და როგორ დამეწყო. არ გამაჩნდა სპეციფიკური მეთოდი იმისათვის, რომ გამოკვლევის ორივე მხარე მომეცვა. მაგალითად, მუჰამედის სარწმუნო წინასწარმეტყველად აღიარების მტკიცების საკითხთან დაკავშირებით, მოველოდი, რომ ვიპოვიდი ზუსტად ასეთ სახელს თორაში ანდა ბიბლიაში, ბოლოს და ბოლოს „აჰმედს“ ან „მაჰმუდს“ მაინც. არ ვიცოდი, სად და როგორ დამეწყო. საგნები მეორდებოდა ჩემს გონებაში.

გაოცების გამო გადავწყვიტე ჩემი გამოკვლევის მეორე ნაწილზე გადავსულიყავი: მომეძებნა განსხვავებები და წინააღმდეგობები, რომლებიც დაამტკიცებდნენ იმას, რომ არც თორა და არც ბიბლია არ იყო ღმერთისგან. მაგრამ აქაც მარცხი მელოდა, ვერ განვსაზღვრე ის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც შევამოწმებდი თორასაც და ბიბლიასაც და დავამტკიცებდი მათ სიყალბეს. დავლონდი, რადგანაც ეს ყოველივე რაღაცნაირად სულელურ მდგომარეობაში მაყენებდა. ფარ-ხმალის დაყრა არ შედიოდა ჩემს თვისებებში, შევცვალე მეთოდი, ვთქვი, რომ ჩემი მიზნის მიღწევას ამდენ დროს აღარ დავუთმობ-მეთქი. ემირი და მე თვეში ერთხელ ვხვდებოდით კვლევის შედეგებზე სამსჯელოდ. ყოველთვის ვთხოვდი მას, შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება და ამ საქმისათვის სხვა ვინმე ეპოვა, რომელსაც მე დავეხმარებოდი. შენც არ მომიკვდე, ის დაჟინებით ამტკიცებდა იმას, რომ სწორედ მე ვიყავი ის პიროვნება, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ეს სამუშაო.

ვლოცულობდი და ვთხოვდი ღმერთს ძალას. უცნაური სიმამაცე ვიგრძენი და დავიწყე ბიბლიის კითხვა ყოველგვარი სისტემისა და მეთოდის გარეშე. დავიწყე დაბადების წიგნით. არ ვიცი, რას მოველოდი, რა უნდა მენახა. აღმოვაჩინე უცხო სახელები, რომლებიც მანამდე არასოდეს გამეგონა. შევჩერდი,

გავბრაზდი და წიგნი კუთხეში მოვისროლე: „ეს ებრაელები და ქრისტიანები სულელები არიან. როგორ ამბობენ იმას, რომ ასეთი უცნაური წიგნი, რომელიც უცხო სახელებითაა სავსე, ღმერთისგან არის? ისინი შეშლილები არიან!“ კითხვას თავი დავანებე.

ორი დღის შემდეგ კვლავ ხელში ავიღე ბიბლია. დაბადების წიგნთან აღარ მივბრუნებულვარ, ვინაიდან აღარ მსურდა ამ ძნელი სახელებისა და სიტყვების გაგონება. გამოვტოვე ფურცელები და განვაგრძე კითხვა. რიცხვთამ, გამოსვლამ და მეორე რჯულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. მრავალი რამ შევიტყვე მოსეზე, ფარაონსა და ისრაელიანებზე; ისინი დეტალურად იყვნენ აღწერილები, ამან დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა.

ძველი აღთქმის კითხვა ორ თვეში დავამთავრე, თუმცა ეს იყო ზედაპირული, სიღრმეებს მოკლებული კითხვა. კიდევ ერთხელ წავიკითხე ძველი აღთქმა, ვეძებდი ისეთ სახელს, რომელიც გარკვეულწილად შესაბამისი იქნებოდა მუჰამედისა, აჰმედისა ანდა მაჰმუდისა, თუმცა ვერაფერი ასეთი ვერ ვიპოვე. გადავედი ახალი აღთქმის კითხვაზე. მთლიანად წავიკითხე ის, მაგრამ ვერაფერს მივადწიე, ვერანაირი დასკვნა ვერ გამოვიტანე. გაძლება უკვე აღარ შემეძლო. გარკვეულ მრისხანებას ვგრძნობდი ემირის მიმართ, რომელმაც „დამიჭირა“ და ეს საქმე დამავალა.

როდესაც ემირი მოვიდა ჩემთან, ვუთხარი მას, რომ ვერანაირი ხელჩასაჭიდი ვერ აღმოვაჩინე, რასაც შეეძლო ჩვენი წაყვანა იმისაკენ, რასაც ვესწრაფოდით. წავიკითხე თორაც და ბიბლიაც, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. ემირმა მითხრა, რომ არსებობდა წიგნი, რომელსაც ჩვენ ვსწავლობდით ადრე და რომელიც დიდ დახმარებას გამიწევდა ჩემს კვლევაში. წიგნს სახელად ერქვა *ჭეშმარიტების გამოცხადება*, რომელიც იმ დროისათვის გარდაცვლილი შეიხ ელ-ჰინდის მიერ იყო დაწერილი. მოვძებნე ეს წიგნი ჩემს პირად ბიბლიოთეკაში და ვიპოვე.

„ჭეშმარიტების გამოცხადება“ ნამდვილად ფასეული დახმარება იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც

ვეკამათებოდით ქრისტიანებს, რათა დაგვერწმუნებინა ისინი ისლამის ჭეშმარიტებაში. ის შეიცავდა თორასა და ბიბლიის ადგილების არასწორ ციტირებებს, რომელთაც ჩვენ ისლამზე მოქცეული ქრისტიანებისათვის ვიყენებდით. ეს ხდებოდა მწკრივში მყოფ სამ ადამიანთან. დავიწყე გამოკვლევის ახალი სტადია, ამისათვის სხვა წიგნების დახმარებაც დამჭირდა და ეს წიგნებიც ემირმა გადმომცა. მათ შორის იყო, საჰრისტანის წიგნი *სექტები და დენომინაციები*, იბნ ჰაზმის წიგნი *სექტები და კულტები* და სხვა ისტორიული და ბიბლიოგრაფიული ნაწერები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ქრისტიანობას. ჩავიწერე ყველა მუხლი, რომლებიც იბნ ჰაზიმ მოიყვანა და რომლებშიც მან დაინახა წინააღმდეგობა თორასა და ბიბლიას შორის. დავინახე, რომ ამ მუხლების უმეტესობა განსხვავებულად იყო ციტირებული, ანდა ეხებოდა განსხვავებულ ადამიანებს. ისეთი მუხლებიც ვნახე, სადაც გარკვეული წინააღმდეგობები იყო, მაგრამ თუ ჩვენ ამ მუხლებს გამოვიყენებდით იმის მტკიცების საფუძვლად, რომ თორა არ იყო ჭეშმარიტი, მსგავსი მუხლების აღმოჩენა ყურანშიც შეიძლებოდა და გამოვიდოდა, რომ არც ის იყო ღმერთისგან. (მოგვიანებით ჩემი აღმოჩენების შესახებ დავწერე გამოკვლევაში, რომელსაც ერქვა „პასუხები იბნ ჰაზიმს“).

ვიკვლევდი გულწრფელად და მოტივირებული ვიყავი მხოლოდ ჩემი სიყვარულით ღვთისადმი და წინასწარმეტყველისადმი. ჩემმა ჯგუფმა შენიშნა ჩემი მზარდი აღფრთოვანება ბიბლიით. ისინი ყოველთვის მეკითხებოდნენ ამის შესახებ და მეც ყოველთვის ვცრუობდი. რაღაც უნდა მომეგონებინა თავის დასაძვრენად. ამიტომ ვუთხარი მათ, რომ ჩვენ ვხვდებით ზოგიერთ ახალგაზრდა ქრისტიანს იმისათვის, რომ ისინი ისლამზე გადმოვიყვანოთ, ამიტომ უნდა ვიცოდეთ მათი აზროვნების წესი.

მას შემდეგ, რაც წარუმატებლობა განვიცადე იმ საქმეში, რომ ძირი გამომეთხარა თორასათვის მასში წინააღმდეგობების აღმოჩენის გზით, გადავწყვიტე, მეცადა ჩემი დავალების მეორე ნაწილის გასრულება: თორასა და ბიბლიის მუხლების დახმარებით დამემტკიცებინა ის, რომ მუჰამედი ღვთის

მოციქულია. ჩავიხედე ელ-ჰინდის წიგნში „ჭეშმარიტების გამოცხადება“ და აღტაცებული დავრჩი, ვინაიდან ვიპოვე ის, რაც მსურდა. გახარებული ვლოცულობდი და ვემაღლიერებოდი ღმერთს იმისათვის, რომ მიმიყვანა ამ მუხლებთან. დავიწყე მათი ჩამოწერა შემდეგი თანმიმდევრობით:

დაბადება 17:20; 49:10

მეორე რჯული 18:18-20; 32:21; 33:1-3

ესაია 42:9; 54:1-3; 65:1,2

ფსალმუნები 44:1-3; 149:3

დანიელი 2:31,32

მათე 3:2; 13:31; 20:1; 21:33

იოანე 14:15

გამოცხადება 2:27

მხოლოდ ეს მუხლები არ იყო, რომელთაც ელ-ჰინდი გულისხმობდა, რათა მუჰამედის წინასწარმეტყველება ემტკიცებინა. მე გამოვრიცხე სხვა მუხლები, რადგანაც ისინი ასე მკაფიო არ იყო. დავიწყე ამ მუხლების შესწავლა დიდი ყურადღებითა და ობიექტურობით. ჩვენ, როგორც მორწმუნეთა უნიკალური ჯგუფი, არასოდეს მივიღებდით რაიმე ინფორმაციას მყარი მტკიცებულების გარეშე, რომელიც, ცხადია, სარწმუნო წყაროდან უნდა ყოფილიყო. ეს მუხლები ერთის შეხედვით, ძალზე მიმზიდველი ჩანდა ყოველი მუსლიმისათვის მისაღებად, მაგრამ დეტალური განხილვისას – ფუნდამენტალი მუსლიმების მეთოდი – ადამიანი აღმოაჩენდა, რომ მტკიცებულებასზე დაფუძნებული დასკვნა არასწორი გახლდათ.

ამიტომაც შევკრიბე ყველა ის წიგნი, რომლებიც, როგორც ვიძელოვნებდი, დახმარებას გამიწევდნენ ჩემს გამოკვლევაში. წარმოსახვამ შემიპყრო, წარმოვიდგინე ჩემი მომავალი ჩემი გამოკვლევის წარმატების შემდეგ. ღმერთსა და წინასწარმეტყველს დიდ დახმარებას გავუწევდი და მივიღებდი პატივსა და ბლომად ფულს. ემირი და მე წავედით სუნას დამცველების წიგნის მაღაზიაში და აუუსხენით მათ ჩემი წიგნის მთავარი იდეა. მათ მოეწონათ ეს იდეა. მთხოვეს, ერთი თავი

ნიმუშად და შემომთავაზეს, ეყიდათ მისი გამოცემის უფლება. ჩემი ოცნება ხორცს ისხამდა, გავმდიდრდებოდი და ცნობილი გავხდებოდი ჩემ მიერ დაწერილი წიგნის მეშვეობით, თუმცა, მთავარი მოტივი მაინც ისლამის გამარჯვების გამოცხადება იყო.

კიდევ ერთხელ დავიწყე ბიბლიის კითხვა. ამ წიგნს მივეჯაჭვე. ჩამოვწერე მრავალი ისეთი ადგილი თორაღან და ბიბლიიდან, რომლებიც, ჩემი აზრით ლოგიკისა და დამხმარე მტკიცებულებების მოშველიებით დაადასტურებდნენ მუჰამედის განცხადებას იმის თაობაზე, რომ იგი წინასწარმეტყველთა ბეჭედი. შედეგი არ იყო კარგი, რადგან ძალიან ვწვრილმანდებოდი ჩემს გამოკვლევაში. მუშაობისას მრავალ დამხმარე სახელმძღვანელოზე ვიყავი დამოკიდებული, ისეთებზე, როგორიცაა: იაკობ ელ-ჰამავის *ქვეყნების ლექსიკონი*. მივედი ქალაქთან, რომლის სახელი იყო ხარანი. შევეცადე გამერკვია, სად მდებარეობდა ეს ქალაქი და როგორია მისი თანამედროვე სახელი. ვიყენებდი *არაბული ენის ლინგვისტურ ლექსიკონებს*, ვიყენებდი ებრაულ ლექსიკონებსაც, რათა გამეგო ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა „შელონი“.

ძალიან მსურდა, შემექმნა ისეთი წიგნი, რომელსაც ვერავინ უგულებელყოფდა; ვერ უგულებელყოფდა ამ წიგნის ერთ სიტყვასაც კი. სამწუხაროდ, საქმეები არ მიდიოდა კარგად. მთელი ჩემი ლოგიკა და ლინგვისტური დასკვნები ერთი მეორის მიყოლებით იშლებოდა. ერთი ისეთი მუხლის პოვნაც ვერ შევძელი, რომელიც ხაზს გაუსვამდა ჩემს თეორიას. (ამასობაში კი მოვამზადე სხვა ბუკლეტი, რომელსაც „დამთრგუნველი ჭეშმარიტება“ დავარქვე; რომელშიც ვლაპარაკობდი იმ მუხლებზე, რომლებიც შევისწავლე და იმაზე, თუ როგორ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ ეხებიან წინასწარმეტყველ მუჰამედს.) დავამთავრე ამ მუხლების შესწავლა, თუმცა ვერ აღმოვაჩინე ის, რასაც ვეძებდი. ყველაფერი თანდათან მოვიდა ჩემთან, წუხილი, უსასობა, შფოთი და შეცბუნება. ვერასოდეს ვერ გავივლებდი გონებაში იმას, რომ მუჰამედი არ იყო წინასწარმეტყველი. თავის დამშვიდებას ვცდილობდი და

ვამბობდი, რომ თავად მე ვერ მოვახერხე წინასწარმეტყველის პიროვნებასთან მტკიცებულების დაკავშირება.

გადავწყვიტე, ამ საკითხის მოგვარება სხვა გზით მეცადა. ამ დროს მე ვიყენებდი სხვა წიგნებს, როგორებიცაა: *წინასწარმეტყველების ნიშნები*, *ქვეყნების ლექსიკონი* და *არაბული ენციკლოპედია*. მთელი ჩემი ძალისხმევით ვცდილობდი, რომ ამჯერად მაინც არ დავმარცხებულიყავი. წარუმატებლობა, ამდენი ბრძოლისა და შრომის შემდეგ, ნიშნავდა მთელი ჩემი ცხოვრების დანგრევას. მაგრამ, მეორე მცდელობა არაფრით იყო უკეთესი პირველზე, მეტიც, ის უარესი გამოდგა! მეორე ჯერზე მრავალი ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც ეწინააღმდეგებოდა ჩემს თეორიას.

ხანდახან თვალს შევაკვლებდი ხოლმე ისლამური წიგნებისა და მტკიცებულებების უზარმაზარ გროვას და თავს ვეკითხებოდი, ნუთუ შესაძლებელია ის, რომ ამ წიგნებს შევყავდეთ შეცდომაში და წარმოგვიდგენდნენ წარმოსახვით გმირს. თუ ეს ასეა, მაშინ ღმერთი არ იმსახურებს თაყვანისცემას. მე ვედარ გავეყვები ამ გზას. შემდეგ სწრაფადვე ვილოცებდი ხოლმე და ღმერთს პატიებას ვთხოვდი.

მოულოდნელად თავში მომივიდა აზრი, რომ გადამეხედა ჩემი კვლევის საგნისთვის, ამიტომ დავუბრუნდი ბიბლიის კითხვას მესამედ. უცნაურმა აღტაცებამ მომიცვა ბიბლიის კითხვისას იმდენად, რომ შემეშინდა შელოცვის ქვეშ ხომ არ მოვხვდიმეთქი. ჩვენ, მუსლიმები, ვამბობდით, რომ ქრისტიანები ჯადოქრები არიან და რომ ისინი თავიანთ მაგიურ ძალას თორადან და ბიბლიიდან იღებდნენ. ამ ყოველივეს მიუხედავად, ბიბლიამ უცნაურად ძლიერ მიმიზიდა.

ემირი რეგულარულად მოდიოდა ჩემთან. ყოველ მოსვლაზე ველოდი, რომ დამწუხრდებოდა, რადგანაც ვერ ვალწევდი დასახულ მიზანს და იმასაც ველოდი, რომ გამათავისუფლებდა ნაკისრი ვალდებულებისგან. პირიქით, ის უფრო და უფრო კმაყოფილი ჩანდა და კვლავ მარწმუნებდა იმაში, რომ მე ვიყავი საუკეთესო ამ საქმისათვის.

დავიწყე მათეს სახარების კითხვა და პირველი თავის დამთავრებამდე უკვე ვბორძიკობდი. დავინახე, რომ მოცემული

იყო ქრისტეს გენეალოგია უკან, დავითამდე. ვიფიქრე, რომ ისინი შეიშალნენ. თავი დავიმშვიდე ამ ფიქრით, იმედი მქონდა, რომ ვაპოვიდი, რასაც ვეძებდი. მათეს სახარების 4,5 და 6 თავებმა დამატყვევეს. ეს ნაწილი ორჯერ უკვე მქონდა წაკითხული, მაგრამ ამ დროს ისეთი განცდა მქონდა, თითქოს პირველად ვკითხულობდი. ვგრძნობდი, რომ იღუმალის ხელი მიკაკუნებდა თავში და ხსნიდა ჩემს გონებას. გავივინე შინაგანი ხმა, რომელიც ამბობდა: „ეს ის არის, რომ შენ გაიგო, რასაც კითხულობ და არ იფიქრო იმაზე, თუ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი“. ავცახცახდი.

დავინახე, რომ ბიბლია ლაპარაკობდა იმაზე, რასაც ჩვენ ვუკეთებდით ქრისტიანებს, თითქოსდა მიმდინარე მოვლენებზე წერდნენ. წავიკითხე, რასაც ბიბლია ამბობდა დევნაზე, დამცირებასა და მკვლელობაზე – რომელიც ღვთის მორჩილების ჩვენეულ იდეას შეესაბამებოდა. უცნაურია, რომ ბიბლიამ იცოდა, რასაც ჩვენ ვამბობდით და ვუკეთებდით ქრისტიანებს! განა შესაძლებელია ის, რომ ქრისტიანებმა ახლახან მიუმატეს მას ეს ნაწილი? ქრისტიანულ სიყვარულსა და თავმდაბლობას მუსლიმების წინაშე ყოველთვის შიშად ვნათლავდით, რადგანაც ისინი სუსტ უმცირესობას წარმოადგენდნენ;

როგორც ყურანი ამბობდა, ისინი დაფარულნი არიან დამცირებითა და ტანჯვით.

სურა (ძროხა) 2:61

მრავალი ისეთი მუხლი ვიპოვე, რომლებიც აქებდნენ სიყვარულს, მორჩილებას, თავმდაბლობასა და მტრებისადმი სიყვარულსაც კი. დაბნეული გახლდით, როგორ შეუძლია ვინმეს, დაწეროს თავისი საკუთარი დამცირების მიზეზის შესახებ? როდესაც წავიკითხე ქრისტიანებისათვის მიცემული ქრისტეს მცნება, რომ ყვარებოდით თავიანთი მტრები, გამახსენდა ჩემი უხეში ქცევა მშობლების მიმართ. ძალიან სასტიკი ვიყავი. ყოველთვის ვპოულობდი ახალ გზებს იმისათვის, რომ მათთვის გული მეტკინა. ერთხელ ავად გავხდი და სერიოზული ქირურგია დამჭირდა ჰოსპიტალში. მამაჩემს უნდოდა ჩემი ნახვა, არ დავთანხმდი და

ვთქვი, რომ არ მინდა ულმერთოს ნახვა. დედაჩემი საჭმელს მიგზავნიდა ხოლმე მესამე პირის მეშვეობით, სხვანაირად უარს ვიტყვოდი მის მიღებაზე. ის საათობით იღვა საავადმყოფოს ფანჯარასთან პაპანაქება სიცხეში, რათა თვალი მოეკრა ჩემთვის.

ეს მოგონებები ყოველთვის ცრემლებსა და ტანჯვას მგვრიდა იმ დღიდან, რაც ალაპი გავიცანი. შინაგანი ომი მიმდინარეობდა ჩემში. თავს იმაზე ფიქრით ვიმშვიდებდი, რაც აბუ ობეილამ და აბუ ბაქრმა გაუკეთეს თავიანთ საკუთარ მამებს, მოსააბმა კი თავის დედას. ეს ამშვიდებდა ჩემს გრძნობებს. მე დავამთავრე მათეს სახარების კითხვა, მისი სიტყვები მყარად ჩაიბეჭდა ჩემს ხსოვნაში. ეს სიტყვები დღე და დამ ჩემთან იყვნენ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც რაიმე ცუდის გაკეთება მინდოდა. წავიკითხე დანარჩენი სახარებებიც, მოციქულთა წერილებიც და გაკვირვებული დავრჩი, როდესაც აღმოვაჩინე ყურანისეული ფილოსოფიაც და აღმატებული რიტორიკაც. ვინაიდან ბიბლია ისლამამდე 630 წლით ადრე დაიწერა, როგორ შეგვიძლია იმისი თქმა, რომ ყურანი უნიკალურია რიტორიკაში?

ერთ სუსხიან ზამთრის ღამეს, ვიმეორებდი სურას ყურანიდან, რათა ჩემი გონებიდან ამომეშალა მათეს სახარების სიტყვები. ჩვენი ჯგუფის წევრებს ყოველთვის გვშურდა ქრისტიანებისა, რადგან ისინი დიდ სიამოვნებას იღებდნენ ახლო ურთიერთობით მრავალ ადამიანთან. ამის საპირისპიროდ, ჩვენ ზედაპირული ურთიერთობების გაბმასაც კი ვერ ვახერხებდით ადამიანებთან, იმისათვის, რომ ისინი შეგვეგულიანებინა, შეერთებოდნენ ისლამს. ეს ჩვენს გზაზე უდიდესი დაბრკოლება იყო ვინაიდან ისლამური მოწოდება თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ გვაძლევდა იმ ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, რომელიც ადამიანებთან დაგვაახლოვებდა – ანუ ხელი გვეშლებოდა ზუსტად იმ საქმეში, რომელიც გვესაჭიროებოდა ადამიანების მოსაზიდად ისლამში.

ჩვენი ცხოვრება სავსე იყო ძალადობით, სისასტიკითა და ტერორით. ეს არ იყო ჩვენი ბუნებრივი ქცევა, ვინაიდან მიგვაჩნდა, რომ თუ ასე არ მოვიქცეოდით, არ ვიქნებოდით ალაპის მორჩილები. ალაპმა მიგვითითა ყურანში, თუ როგორ

უნდა მოვქცეოდით უღმერთოებს, ანუ წიგნის ხალხს, პოლითეისტებს, ანდა ყალბ მუსლიმებს. ყურანი წიგნის ხალხზე ამბობს:

მორწმუნენო! ურიებსა და ქრისტიანებს მეგობრებად ნუ გაიხდით; მეგობარ არიან ერთმანერთისა. ვინც ივინი დაიმეგობროს, მათვე დაემსგავსოს და ღმერთიც უკუღმართთა გამძლოლ აღარ იქმნეს.

სურა (მაგიდა) 5:51

ისევე როგორც უღმერთოების სხვა კატეგორიაზე, ისეთებზე როგორებიც არიან ის მუსლიმები, რომლებიც არ ლოცულობენ, მეთედს არ დებენ, არ იზრდიან წვერს, ანდა რომლებიც სცოდავენ და უარს ამბობენ მონანიებაზე, ყურანი ამბობს:

„მორწმუნენო! მეგობრებს ნუ აიყვანთ ურჯულოთა შორის უფრო, ვიდრე მორწმუნეთა შორის“.

სურა (ქალები) 4:144

ისევე როგორც ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის, ყურანი ამტკიცებს

„მორწმუნენო! თქვენს მამებსა და თქვენს ძმებს ნუ დაიმეგობრებთ, თუ სარწმუნოებას ურჯულოება ურჩევნიათ, ვინც იურჩებს, უკეთურ იქმნებიან“.

სურა (სინანული) 9:23

„ვერც ერთი იხილთ მათგანი, ვისაც ღმერთი ჰსწამსთ და უკანასკნელი დღეც, უყვარდეს ურჯულო, რომელიც ღმერთსა და წინასწარმეტყველს მეშფოთარ ექმნება, კიდევ, რომ მამა, ძე, ძმა, მოკავშირე იყვეს იგი“.

სურა (მოჩივანი ქალი) 58:22

თუ ჩვენ ყურანის ამ მუხლებს დავამატებთ ელ-ბოქჰარის, მუსლიმის და ელ-თერმეზის მიერ ნათქვამ ნამდვილ ჰადისს,

ომარის მიხედვით წინასწარმეტყველ მუჰამედს უთქვამს: „ხელი არ გაუწოდოთ წიგნის ხალხს; სალაში არ დაუბრუნოთ მათ; თუ ისინი გზაზე შეგხვდებიან, გადაადგეთ გვერდზე“.

ასეთი მუხლები მრავლად იყო, ისინი განსაზღვრავდნენ ჩვენს ურთიერთობას ჩვენს ოჯახებთან, მეგობრებთან და არამუსლიმებთან. ვერაფერს ვიტყოდით საწინააღმდეგოს და არც არჩევანი გვქონდა ამ ურთიერთობების განსაზღვრისათვის, ვინაიდან ისლამური აზრი ზოგადად და ყურანი გამორჩეულად, არ აძლევდა მუსლიმს იმის საშუალებას, რომ მას თავისი გონება გამოეყენებინა. პირიქით, ყველა ვინც გამოიყენებდა თავის გონებას, რათა აეხსნა რომელიმე მუხლი ანდა ჰადისი, სახელდებული იქნებოდა უღმერთოდ. შენ ისე უნდა მიიღო საგნები, როგორც მუჰამედმა განმარტა ისინი. ხოლო თუ იყო რაიმე ისეთი, რაც მუჰამედს არ უგულისხმია, მათ ახლოსაც არ უნდა გაკარებოდი. ელ-ბოქჰარი გულისხმობდა ჰადისს; იბნ აბასის მიხედვით, წინასწარმეტყველ მუჰამედს უთქვამს: „ვინც გამოხატავს თავის საკუთარ აზრს ყურანზე, ჯოჯოხეთში გაიმზადებს თავის ადგილს!“

ყურანის ამ მუხლებისა და ჰადისების შემდეგ, როგორ შევძლებდით ვყოფილიყავით კეთილმოსურნე და მეგობრული მათლამი, რომლებიც განსხვავდებოდნენ ჩვენგან? ჩვენ არ შეგვეძლო ამისი გაკეთება, როგორც ყურანი ამბობს,

ნუ ენდობით უკეთურებს, შიშით ცეცხლი არ გეწიოსთ.

სურა (ჰუდი) 11:113

ამიტომ ჩემი გული მრისხანებითა და შეურაცხყოფით ივსებოდა, როდესაც ბიბლიაში მხვდებოდა ისეთი მუხლები, რომლებიც სიყვარულსა და მიტევებაზე ლაპარაკობდნენ. ხშირად თავს დარცხვენოდა ვგრძნობდი, როდესაც კვითხულობდი ბიბლიას, რომელიც, როგორც ჩვენ ვამტკიცებდით, დამახინჯებული იყო. მიკვირდა ხოლმე, თუ ქრისტიანებმა შეცვალეს ბიბლია და მაინც აღწევდნენ ადამიანების სიყვარულსა და პატივისცემას, როგორ ხდებოდა, რომ ჩვენ, რომლებსაც არ შეგვიცვლია ღმერთის სიტყვა, წარუმატებლობას განვიცდიდით ამ საქმეში? რაღაც ისე

ვერ იყო. ვცდილობდი, გვერდზე გადამედო ეს ფიქრები, თუმცა ისინი მაინც მოდიოდნენ. ვაითუ ვერ მივალწიო ჩემი გამოკვლევის მიზანს? ეს ყოველივე ისე მაწვალებდა, რომ ყოველთვის, როდესაც ასეთი აზრები მომდიოდა, ხმამაღლა ვყვიროდი: „დაე, ღმერთმა მომიტევეს მე. ვაცხადებ, რომ არ არსებობს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მოციქული მისი“. შემდეგ კი სწრაფად ვლოცულობდი, ამ ფიქრებისგან, რომ გავთავისუფლებულიყავი.

ვუთხარი საკუთარ თავს, რომ მუჰამედი ნამდვილად ალაჰის მოციქულია, თუნდაც ეს ვერ დავამტკიცო თორადან და ბიბლიიდან. ჩემი პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული გახდა. ნაცვლად იმისა, რომ აღმომეჩინა მუჰამედის წინასწარმეტყველების მტკიცებულებები, დავინახე, რომ მოხიბლული ვიყავი თორას და ბიბლიის ტკბილი სიტყვებით. ვფიქრობდი, როგორ შევძლებდი მათი გავლენისგან განთავისუფლებას, როგორ შევძლებდი იმის მტკიცებას, რომ თორა და ბიბლია ღმერთის მიერ არ არიან მოვლინებულნი. მათში ჩაწერილი ყველა აზრი კეთილი იყო და ამიტომ შეუძლებელი იყო ის კაცთაგან ყოფილიყო. როგორ ახერხებდნენ ადამიანები, შეეღწიათ მომავლის სიღრმეებში და ორი ათასი წლის წინ ეთქვათ ის, რაც ხდება დღევანდლობაში? თუ ჩვენ, არგუმენტის გამო დავუშვებთ იმას, რომ თორა და ბიბლია კაცთა მიერაა შედგენილი, მაშინ ადამიანებს დავაყენებდით ღვთის თანაბარ საფეხურზე ცოდნასა და სიბრძნეში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ღმერთი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა და არა ჰყავს მსგავსი. უეცრად თავი დავიჭირე იმაში, რომ ვკითხულობდი ფსალმუნების წიგნს, შემდეგ კი იგავების წიგნს. დავიხეპირე გარკვეული მუხლები 22-ე და 142-ე ფსალმუნებიდან და ვიმეორებდი მათ ჩემს ლოცვებში. ეს მუხლები შეეხებოდა ყველას, ვინც მოისმენდა ჩემს ლოცვას და, ალბათ, მთხოვდა დამეწერა ისინი მათთვის, რათა მათაც გამოეყენებინათ ისინი თავიანთ ლოცვებში. მე ჯერაც ვეძებდი მუჰამედის წინასწარმეტყველებისა და ბიბლიის მცდარობის მტკიცებულებებს, თუმცა ვერაფრის პოვნა ვერ შევძელი. ჩემი არსება ეჭვებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრებს ებრძოდა.

ვცდილობდი მათ იგნორირებას, მაგრამ ისინი ყოველდღიურად ძლიერდებოდნენ. მე მიყვარდა ღმერთი, თუმცა ჩემი აღზრდა, ჩემი სიყვარული ჩემი რელიგიისადმი, ყოველთვის მიცავდნენ იმ ფიქრისაგან, რომ ისლამი შესაძლოა, არ ყოფილიყო ღმერთისაგან მოცემული ჭეშმარიტი რელიგია. შეცბუნებული ვიყავი, ვეღარ ვპოულობდი მოსვენებას, დაკვარვე მშვიდი და ტკბილი ძილი.

ერთხელ, როდესაც მუხლმოყრილი ვლოცულობდი და ვიმეორებდი ყურანს, მოულოდნელად გაჩერდი და ჩემი გონებაც გახევდა. გამიჩნდა კითხვა: „როგორ მოიქცევი იმ შემთხვევაში, თუ ისლამი არ აღმოჩნდა ზეცისაკენ მიმავალი გზა?“ შევეცადე ეს კითხვა თავიდან მომეშორებინა, ვერ შევძელი. ლოცვის დამთავრებაც კი ვერ შევძელი. ცრემლები ჩამომდიოდა, ბოლოს მიმეძინა იქვე ხალიჩაზე. ერთი-ორი საათის შემდეგ დედამ გამაღვიძა. გონებადაფანტული წავედი სამუშაოდ. არ ვიცოდი, სად ვიყავი და ვის ველაპარაკებოდი.

როდესაც შინ დავბრუნდი, ვგრძნობდი ძლიერ სურვილს, წამეკითხა ბიბლია. წავიკითხე იოანეს სახარებიდან, 1-დან 15 თავის ჩათვლით. აშკარად დავინახე უმაღლესი დონის რიტორიკა, ფილოსოფია და იდიომატური გამონათქვამები. გამონათქვამები ძალიან ელეგანტური და ერთიანი იყო – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბიბლია ლაპარაკობს კრავებსა და მწყემსზე; ვაზზე და მევენახეზე; იმ ლერწებზე, რომელთაც ნაყოფი მოაქვთ და მათზე, რომლებსაც არ მოაქვთ და რომლებიც ცეცხლში დაიწვეებიან. უსასობაში ჩავარდნილი, ხმამაღლა ვყვიროდი ცარიელ ოთახში: „ღმერთო, მოწყალე იყავი შენი მსახურის მიმართ! გვედრები, მითხარი სად ხარ და რომელ მხარეზე: ებრაელებისა და ქრისტიანების მხარეზე ხარ, თუ მუსლიმების? გთხოვ, შემიწყალე. მე შენი მსახური ვარ; ჩემი ცხოვრება შენ მოგიძღვენი. მაღლობელი ვარ შენი წყალობებისათვის. მე არ შემიძლია თავი ავწიო შენ წინაშე და შენ არ ჩამოხვალ დაბლა მტვერთან და ნაცართან. შენ ყოვლისშემძლე ღმერთი ხარ, მე კი უსასოთადადმიანი, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია შენი ნებართვის გარეშე. შენა ხარ ყოვლადმოწყალე და შემბრალე, მე კი შენი მსახური ვარ

უღონო და უგუნური. ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია. ბავშვობიდანვე მიყვარხარ შენ. თავი გადავდე ზეცისა და შენი სიყვარულის გულისათვის. არ მადარდებს არც პატიმრობა და არც წამება – მთელი მსოფლიოც კი ვერ აღმიდგება წინ შენსკენ მომავალ გზაზე.

რატომ მექცევი ასე? მე მიყვარხარ და ვცდილობ თაყვანი გცე ისე, როგორც ეს წინასწარმეტყველმა მუჰამედმა გვასწავლა, ახლა კი აქ ვარ – უსასოო და ნაბიჯის გადადგმას ვეღარ ვახერხებ. თითოეული მხარე ამბობს, რომ მათი ღმერთი ხარ. მე არ ვიცი, რომელია მართალი და რომელი მცდარი. ღმერთო, ხომ არ დავიფიცებ, რომ მიყვარხარ? ვფიქრობ, რომ ასე არ უნდა მოვიქცე, რადგან შენ ყველაფერი იცი. რამდენი ვიტანჯე, შენს ძებნაში! დავტოვე ჩემი სწავლა, ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები, ყარბს დავემსგავსე. შენი გულისათვის ციხეშიც ვიყავი და წამებაც მივიღე; რატომ არ მპასუხობ? თუ შენ მუსლიმების ღმერთი ხარ, გაათავისუფლე ჩემი გონება ყველაფრისაგან გარდა ისლამისა, ხოლო თუ ქრისტიანების ღმერთი ხარ, განმანათლე, რომ ფეხზე წამოვდგე და გზა დავინახო“.

ამ აგონიაში ყოფნისას გაჭირვებით დავიძინე, თუმცა ჩემი გონება შფოთავდა: ვაი, თუ არ არის ისლამი ღმერთის გზა? იქნებ ღმერთის გზა თორა და ბიბლიაა! ქრისტიანი უნდა გავხდე? მაცახცახებდა, როდესაც ვფიქრობდი იმაზე, რაც შეიძლება დამმართნოდა, თუ ღმერთი და ადამიანები გამკიცხავდნენ და დამადანაშაულებდნენ. ერთ დღესაც გვერდზე გადავდე ყველა ჩემი შიში და ვუთხარი საკუთარ თავს: „რა გინდა? საკმარისია! შენ უკვე აღარ ხარ ის, ვინც იყავი. ორი გზა გაქვს და ორივე სწორი ჩანს. ნუღარ ფლანგავ დროს და მთელი შენი ძალით მოძებნე ღმერთის გზა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვისი გზა იქნება ეს: იუდეველების, ქრისტიანების თუ მუსლიმების; მთავარი ის არის, რომ ეს ღმერთის გზა იყოს. ეს არის შენი ბედი და უნდა მიიღო ის. დარწმუნებული იყავი იმაში, რომ ღმერთი უპასუხებს შენს გულწრფელობას. დაივიწყე, რომ მუსლიმი ხარ და დაიწყე ახლის ძიება. რამ უნდა დაგაბრკოლოს?“

ასეთ ფიქრებში ყოფნისას აღმომხდა: „ოჰ, ღმერთო, წარმართე ჩემი ნაბიჯები და მომეცი ძალა, ვინაიდან ვიცი, რომ

დიდ გასაჭირს შევხვდები. თუ არ დამეხმარები, დემონები გამგლეჯენ, უმიზნო და მოუსვენარი მოხეტიალე შევიქმნები ამ დედამიწაზე. ღმერთო, შენ მიშველე. გპირდები, რომ გამოგყვები, სადაც არ უნდა იყო, თვით ქრისტიანებთანაც კი, რომლებთან ახლა გვერდით დგომაც კი არ შემიძლია...“. მოულოდნელად ვიგრძენი, რომ სიმშვიდემ აავსო მთელი ჩემი არსება. პირველად დავიწყე ლოგიკური აზროვნება.

დავასკვნინ: ქრისტიანები ასცდნენ გზას და გახდნენ უღმერთოები ორი მიზეზის გამო: პირველი, მათ თქვეს, რომ ქრისტე, მარიამის ძე, ღმერთი იყო; მეორე, მათ თქვეს, რომ ის მოკვდა ჯვარზე და აღდგა და გაათავისუფლა ადამიანები მათი ცოდვებისაგან. რატომ არ უნდა მივმართო ჩემი კვლევა ამ ორ საკითხზე და რატომ არ უნდა გამოვიკვლიო ეს საკითხები ისლამური გადასახედიდან? ცნობისმოყვარეობით ველოდი გამეგო, რას ამბობდნენ ისლამური მკვლევარები ამ საკითხებზე.

დავიწყე ისლამური ისტორიის, ბიოგრაფიებისა და ეგზეგეტიკის წიგნებით. დავიწყე ძებნა ყველაფრისა, რაც შეეხებოდა ქრისტეს და იმ ღვთიურ ატრიბუტებს, რომლებიც მას მიეწერებოდა და როგორც ეს ყურანში იყო ნაგულისხმევი. ვიყენებდი სანდო და ნამდვილ წყაროებს, როგორებიცაა: *იბნ კატჰირის ინტერპრეტაცია; დჰაბაბის ისლამის ისტორია; იბნ კატჰირის დასაწყისი და დასასრული; საჰრისტანის სექტები და დენომინაციები; იბნ ჰაზმის (რომელიც აბუ მუჰამედის სახელითაცაა ცნობილი) საკვანძო სექტები და კულტები; ისლამის წინარე წმიდა წიგნები; და ქრისტიანობა ლოგიკასა და თხრობას შორის*. ჩემი ინტენსიური კვლევის შედეგად ვიპოვე ქრისტეს ზოგიერთი ატრიბუტი, რომელთაც ქრისტიანებიც კი არ აქცევდნენ ყურადღებას თავიანთ წიგნებში. მაგალითად:

1. შექმნის უნარი:

ყურანი ამბობს,

იგია ღმერთი, თქვენი უფალი; არა არს სხვა ღმერთი თვინიერ მისა.

სურა (საქონელი) 6:102

ვინადგან შენი უფალი შემოქმედი, ბრძენია.

სურა (ალ-ჰიჯრი) 15:86

ვისაც ღვთის თანასწორ მოუწოდებთ, ერთ ბუხსაც ვერ გააჩენენ, კიდეც, რომ ყველამ თავი მოიყაროს.

სურა (ჰაჯი) 22:73

ღმერთებს, რომელთაც იგინი მოუწოდებენ, არაფერი შეუძლიათ და თვითონვე გაჩენილ არიან.

სურა (ფუტკარი) 16:20

ვინც აჩენს, განა მსგავს იქმნება მის, ვინც ვერაფერს აჩენს?

სურა (ფუტკარი) 16:17

ეს მხოლოდ ზოგიერთ იმ მუხლთაგანია, რომლებიც გამოკვეთენ შექმნის უნარს ღმერთისათვის. როდესაც ღმერთს სურდა, გამოეცალკეებინა თავისი თავი სხვა ღმერთებისგან, მან გამოყო ეს თავისი ატრიბუტები და აღემატა ყველა სხვა ღმერთებს. მიუხედავად ამისა, ყურანი აღნიშნავს, რომ ქრისტემ შექმნა საგნები:

თიხისაგან ჩიტის ნაკვთი დასახე ჩემის ნებითა „და შთაბერე მათ და იქცნენ ჩიტებად, ჩემის ნებითა“.

სურა (მაგიდა) 5:110

როდესაც წავიკითხე ეს მუხლი, გულში ვიფიქრე: სწორედ ღმერთმა მისცა ეს უნარი ქრისტეს; ეს არ ყოფილა მისი არსის ნაწილი.

თუშეცა მხოლოდ ქრისტე იყო ის არსება, რომელსაც ღმერთმა გადასცა ერთ-ერთი თავისი ღვთაებრივი ატრიბუტი. რატომ ქრისტე და არა მუჰამედი? ღმერთმა უთხრა მუჰამედს,

ვერ შეასმენ ყრუებსა სიძარტლის დაღაღსა.

სურა (ჭინჭველი) 27:80

ყრუსათვის სმენის დაბრუნება გაცილებით ადვილია, ვიდრე ქმნა. ღმერთს მუჰამედისთვის, ვინც მისი ხალხიდან საუკეთესო და წინასწარმეტყველთა ბეჭედი იყო, არ მიუცია ყრუსათვის სმენის დაბრუნების უნარი. ის აღძრავდა ადამიანებს ფრთები შეემართათ, თუმცა ქრისტეს მისცა ჩიტების შექმნის უნარი. ჩიტები მცირე ქმნილებები არიან, თუმცა ეს არ არის ზომის საკითხი, არამედ პრინციპია. ის, რომელიც ქმნის პატარა ქმნილებებს, შეუძლია, დიდებიც შექმნას. და ის არ შეიძლება კაცი იყოს, მხოლოდ ღმერთი.

2. ცოდნა იმისა, რაც დაფარულია.

ღმერთი ყურანში თავისთავზე ამბობს:

თქვი: თვინიერ ღვთისა სხვამ ერთმაც არ უწყის, ზეცას და ქვეყანაზე საიდუმლოები.

სურა (ჭინჭველანი) 27:65

მასა აქვს ფარულ საქმეთა კლიტეები, მარტოკა მან უწყის.

სურა (საქონელი) 6:59

პირველ მუხლში ყურანი ყოველგვარი ეჭვის გარეშე ხაზს უსვამს იმას, რომ ცოდნა იმისა, რაც დაფარულია, ეკუთვნის მხოლოდ ღმერთს და არავის სხვას. მეორე მუხლი კი აღნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ღმერთმა იცის თვალთ უჩინარი და მომავალი. ჩვენ ვიცით, რომ ყურანი გვასწავლის: მუჰამედი კიცხავდა ყველას, ვინც მიაწერდა მას დაფარულის ცოდნის უნარს, უთხარი მათ:

არ გეუბნებით მე, რომ საუნჯე ღვთისა ჩემ ხელთ არის, რომ ფარული საქმეები უწყი მე.

სურა (საქონელი) 6:50

ერთხელ მოაზმა უთხრა მუჰამედს: „... თუ ალაჰს ნებავს და შენც ინებებ,“ მუჰამედმა შეაწყვეტინა მას და უთხრა: „როგორ ათანაბრებ ჩემს თავს ალაჰთან? არავინ ზეცაში და არც

დედამიწაზე არ იცის, რაც დაფარულია, მხოლოდ ალაჰმა“. რაც შეეხება ქრისტეს, ჩვენ ვპოულობთ, რომ ყოველგვარი შეზღუდვა მოხსნილია. მან იცის და აკეთებს იმას, რაც დანარჩენ ადამიანებს არ შეუძლიათ. ყურანი ამბობს,

გითხრათ, რაცა ჰსჭამოთ და დამალოთ თქვენს სახლებში.
სურა (იმრანის სახლეული) 3:49

ძალზე უჩვეულოა ის, რომ ქრისტე ამ მუხლებში პირველი პირით ლაპარაკობს; თავად ღმერთი უნდა იყოს, რომელიც ლაპარაკობს. მეორეს მხრივ, მუჰამედს ყოველთვის ეუბნებოდნენ, რა უნდა ეთქვა. ქრისტე უნიკალური იყო იმიტომ, რომ ის თავად ლაპარაკობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უნარები თავად მისი იყო და არა მიღებული.

იბნ კატჰირის *დასაწყისა და დასასრულში* (ნაწილი 2, გვ. 86), წავიკითხე ამბავი, რამაც დარცხვენილი დამტოვა. ამ ამბავში უყოყმანოდ ამტკიცებენ იმას, რომ ქრისტემ შეიძინა ზებუნებრივი ძალა, სცოდნოდა ის, რაც დაფარულია. (ეს გრძელი ამბავია; ვისაც აინტერესებს, შეუძლია, მიმართოს იბნ კატჰირის წიგნს).

3. სნეულთა განკურნება

ყურანი გულისხმობს აბრაამის სიტყვებს, რომ მხოლოდ ღმერთია მკურნალი,

რომელიც მკურნებს, როცა ავად ვარ.
სურა (მოშაირენი) 26:80

მუჰამედმა თქვა სარწმუნო ჰადისში: „ოჰ, ალაჰ, არ არსებობს კურნება, მხოლოდ შენგან“. ამავე დროს, ყურანში ჩვენ ვპოულობთ ქრისტეს ნათქვამს თავისთავზე,

შობით ბრმა და კეთროვანი განკურნო.
სურა (გვარეულობა იმრანისა) 3:49

4. სიცოცხლისა და სიკვდილის განმგებელი.

მხოლოდ ღმერთია ის, რომელიც განაგებს სიცოცხლესა და სიკვდილს; არავის სხვას არ შეუძლია სიცოცხლის ან სიკვდილის განკარგვა. ყურანი ამბობს,

სიცოცხლეს ვბრძანებთ და სიკვდილს ვბრძანებთ; მართო ჩვენ დავიმკვიდრებთ ყველაფერსა.

სურა (ალ-ჰიჯრი) 15:23

მკვდრებს აღვადგენთ და მათ ნასაქმსა და მათ ნაკვლევს ჩავჰსწერთ.

სურა (ია სინ) 36:12

გამაცოცხლებელ ჩვენ ვართ, მომაკვდინებელიც ჩვენ ვართ; ყოველის ნივთის საზღვარ ჩვენ ვართ.

სურა (კაფ) 50:43

რაც შეეხება ქრისტეს, ყურანი გულისხმობს იმას, რაც ქრისტემ თქვა თავისთავზე,

მკვდრები აღვადგინო ღვთის ნებით.

სურა (იმრანის სახლეული) 3:49

იბნ კატჰირი გვიყვება ამბავს, რომელიც ამტკიცებს იმას, რომ ქრისტეს აქვს ხელმწიფება, განკარგოს სიკვდილი ისევე, როგორც სიცოცხლე. ნათქვამია, რომ ქრისტემ დაინახა ქალი, რომელიც დასტიროდა თავის გოგონას, რომელიც კარგა ხნის მკვდარი იყო. მან ჰკითხა მას: „რა გატირებს, დედაკაცო?“ მან უპასუხა: „ჩემი გოგონა მოკვდა და აღარ მყავს სხვა შვილები“. ქრისტემ ჰკითხა მას: „გინდა, რომ მე აღვადგინო ის მკვდრეთით?“ მან თქვა: „ჰო, სულ ღვთისა!“ ამგვარად, ქრისტე დადგა საფლავის გვერდით და სამჯერ დაუძახა გოგონას. მესამე დამახებაზე პატარა გოგონა გამოვიდა გარეთ და დაელაპარაკა დედას. შემდეგ გოგონამ სთხოვა ქრისტეს, ნება მიეცა მისთვის დაბრუნებულიყო უკან. მან უთხრა მას: „წადი უკან!“ საფლავი დაიკეტა და ის კვლავ მკვდარი იყო (დასაწყისი და დასასრული, ნაწილი 2, გვ. 84).

5. საზრდოს მიცემა.

ყურანი ამბობს,

საზრდოს დამრიგებელი მხოლოდ ღმერთია, მტკიცე და შეუდრეკელი ძალის ღმერთი.

სურა (მიმოძვანტველნი) 51:58

მკაფიოდაა ნათქვამი, რომ მხოლოდ ღმერთია ერთადერთი არსება, რომელსაც შეუძლია საზრდოს მიცემა. ღმერთმა უარყო ყველა, ვინც ამტკიცებდა, რომ ჰქონდა უნარი ხალხისათვის საზრდოს მიცემისა. რაც შეეხება ქრისტეს, იბნ კატჭირი გულისხმობდა, რომ მას ჰქონდა განსაკუთრებული უნარი საზრდო მიეცა იმისათვის, ვისაც მოისურვებდა. ამისი საუკეთესო მაგალითია ხუთი ათასი ადამიანის დაპურება ორი პურითა და რამდენიმე თევზით.

6. აღმატებულობა (შეუდარებლობა).

ყურანი ამბობს ღმერთზე,

არაფერი ჰგავს მას; ყველაფერი ესმის და ხედავს.

სურა (თათბირი) 42:11

რაც შეეხება ქრისტეს, ის არსად არ ამბობს თავის თავზე, რომ შეუდარებელია, თუმცა იშვა ქალწულისგან მამაკაცის გარეშე. ის იყო ერთადერთი, რომელიც აღწერილია, როგორც „ღვთის სიტყვა და სული ღვთისაგან“. ის იყო ერთადერთი, რომელზედაც სატანას არ გააჩნდა არანაირი ხელმწიფება. ის იყო ერთადერთი, რომელსაც გააჩნდა ღვთაებრივი თვისებები.

7. ბრძანებითი ხელმწიფება.

ყურანი ამ ატრიბუტს ღმერთს მიაწერს,

როცა გვნებავს, ნივთი რამ არსებობდეს, ვამბობთ; იყავ და იგიც იქმნება.

სურა (ფუტკარი) 16:40

რის ყოფასაც დააწესებს, იტყვის: იყავო და იგიც იქმნება.
სურა (ძროხა) 2:117

ეს არის ღმერთის უნიკალური ატრიბუტი, რომ შეუძლია არსებობისათვის გამოიხმოს რაიმე. იბნ კატჰირის მიხედვით ქრისტემ წარმოაჩინა ეს თვისება მაშინ, როდესაც წყალი ღვინოდ აქცია (დასაწყისი და დასასრული, ნაწილი 1, გვ. 85).

8. მისი ტახტი წყლებზე:

ყურანი ამბობს ღმერთის ტახტზე,

მისი ტახტი უწინარეს გაჩენისა, წყალზე დამყარებულ იყო:
ღმერთს თავდაპირველად ჰნებავდა, შეეტყო, თუ თქვენ
შორის ვინ მოიქცეოდა უმჯობეს.

სურა (ჰუდი) 11:7

კორტობი და ელ-ჰადათი ამბობენ, რომ ეს მუხლიც ქრისტეს შეეხება, რომლის ტახტიც ღმერთმა წყალზე დააფუძნა, რათა გამოეცადა ხალხის რწმენა. ქრისტე მიდიოდა ტიბერიის ზღვაზე, როდესაც მოწაფეებისაკენ მიემართებოდა, რათა გამოეცადა მათი რწმენა. მან მოგვიანებით უთხრა მათ: „მცირედ მორწმუნენო“ (მათე 8:26).

9. მსაჯულობა და მბრძანებლობა:

ყურანი ამბობს ღმერთზე,

ხელმწიფება მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. იგია ჭეშმარიტების გამაცნობელი, იგია ყველაზედ უფრო მარჯვე ცილობის გადაჭრაში.

სურა (საქონელი) 6:57

ჩვენი სასოება ღმერთზე დაგვიმყარებია. უფალო, ჰსაჯე ჩვენ შორის, ვინადგან შენ ხარ უმარჯვეს მათ შორის, რომელნიც ჰსაჯვენ.

სურა (ზღუდეები) 7:87

ელ-ბოქჰარი ხსნის, რომ მან მოისმინა იბნ-აბასისგან, რომელმაც თავის მხრივ გაიგონა წინასწარმეტყველ მუჰამედის ნათქვამი, რაც მან ქრისტეზე თქვა: „უკანასკნელი დღე არ დადგება, სანამ მარიამის ძე არ დაბრუნდება უკან, როგორც ცეცხლით მსაჯული, რათა განაგოს სამართალი და წარხოცოს უსამართლობა“.

10. ის, ვინც ხედავს.

ყურანი ამბობს ღმერთზე,

კაცთა თვალები ვერ ეწევა მას; ყველას თვალს ეწევა იგი.
კამჭრიახ, მცოდინარეა.

სურა (საქონელი) 6:103

ეს ღვთის კიდევ ერთი ატრიბუტია, რომელიც ქრისტემ გამოაცხადა. იბნ კატჰირი და კორტობი გვიყვებიან ამბავს, რომ ერთ დღეს ქრისტე იყო მთაზე და რომაელებს სურდათ მისი დაპატიმრება. მან გაიარა მათ შორის და მათ ვერ შეძლეს მისი დანახვა, თუმცა ის ხედავდა ყველას (სექტები და დენომინაციები საჰრისტანისგან, გვ. 27).

11. ყოვლადმოწყალე და სახიერი

ყურანი ამბობს,

თქვენი ღმერთი ერთი ღმერთი არს; სხვა როდია, იგია
მოწყალე და შემწყნარებელი.

სურა (ძროხა) 2:163

ყველაფერი, რაც არსებობს ცათა შინა და ქვეყანაზე,
მოწყალის მსახურია.

სურა (მარიამი) 19:93

თავიანთ წიგნებში *სექტები და დენომინაციები და წინასწარმეტყველების მტკიცებულებები*, საჰრისტანი და აზრაკი გულისხმობენ, რომ ქრისტე იყო ხატება ღვთისა. ის იყო თანამგრძნობი და შემბრალები. მან აღადგინა იაიროსის

ქალიშვილი და განკურნა მრავალი სნეული. მან მხედველობა მისცა ერთ ბრძანდშობილ კაცს, როდესაც ტალახი წაუსვა თვალბზე, ვინაიდან ეს არის ის, როგორც ღმერთმა ქმნა დასაწყისში.

12. იგავეებით მეტყველება.

ყურანი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია იგავეებით მეტყველება.

ალაჰი ადამიანთა წინადაუდებს იგავებსა, ვინადგან ყველაფერი უწყის.

სურა (სინათლე) 24:35

ამგვარად, უფალი ხალხს იგავად ელაპარაკება, რათა გულის ხმა ჰყონ.

სურა (იბრაჰიმი) 14:25

ელ-კასჰაფში, იბნ კატჰირი, კორტობი და ზამაკშარი ამბობენ, რომ ღმერთი იგავებს იყენებს იმისათვის, რომ ადამიანები ახლოს მიიყვანოს თავისთან, ამასვე აკეთებდა ქრისტეც. ახალი აღთქმა სავსეა ისეთი იგავეებით, რომლებიც არც ერთ სხვა წინასწარმეტყველს არ უთქვამს.

13. მოციქულების გავზავნა და მათთვის ხელმწიფების გადაცემა.

ყურანი ამბობს,

სამაგალითოდ მათ მოუყევ მცხოვრებლებისა იმ ქალაქში, რომელიც ღვთის მოვლინებულთა მოიარეს. ჯერ ორი გავგზავნეთ, მაგრამ მატყუარებად ჩაჰსთვალეს; მესამით განვამტკიცეთ იგინი.

სურა (ია სინ) 36:13

იბნ კატჰირი და ყველა განმმარტებელი თანხმდებიან იმაში, რომ ნაგულისხმევი ქალაქი იყო ანტიოქია და ეს კაცებიც ქრისტეს

მიერ იყვნენ წარგზავნილნი. მათ გააჩნდათ ხელმწიფება ქრისტესგან. რომელ სხვა კაცებს გააჩნიათ ასეთი ხელმწიფება?

14. თაყვანცემული.

ყურანი ამბობს,

ურიები ამბობენ: ოზაირ ძე ღვთისა არისო. ქრისტიანები ამბობენ: მესსია ძე ღვთისა არისო: ასეთია მათ პირთა სიტყვები, იგინი ემსგავსებიან, ამის მეტყველნი, უმანდელ (უწინდელ) ურჯულოებსა... თავიანთი მწიგნობრები, თავიანთი ბერები და მარიამის ძე მესსია (ქრისტე) ღვთის უმეტეს, თავიანთ ბატონებად მიიჩნიეს.

სურა (მონანიება) 9:30

იბნ კოტაიბა ამას პრობლემატურ მუხლად მიიჩნევს, ვინაიდან ის ღვთისა და ქრისტეს თაყვანისცემას მცნებად აყენებს. ამგვარად, იბნ კოტაიბა ამ პრობლემის თავიდან ასარიდებლად გვთავაზობს შემდეგს: ფრაზა „მარიამის ძე, ქრისტე“ სინტაქსურად უნდა განიძარტოს, როგორც „შემდეგი ობიექტი“ ზმნასთან „იღებენ“ და არა „დამატებად, დანართად“ სიტყვასთან „ალაჰი (ღმერთი)“. ამგვარად, ეს მუხლი აღარ გაამყარებს ქრისტიანების თვალსაზრისს ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ. *(მკითხველი შეამჩნევს, რომ ყურანის ქართულ თარგმანში ეს სიძნელე, რომელზედაც ხსენებული იბნ კოტაიბა ლაპარაკობს, მოხსნილია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ქართული თარგმანი არ ეთანადება არაბულ დედანს, ვინაიდან ყურანის არა მარტო ინგლისურ, არამედ რუსულ თარგმანშიც დგას იგივე პრობლემა).*

15. ღრუბლებზე მომავალი.

ყურანი ამბობს,

ურჯულონი ნუთუ ელიან, რომ ღმერთი მოველინოს მათ წყვილიად ღრუბელთა შორის

სურა (ძროხა) 2:210.

იბნ ელ-ფადლი ელ-ჰადათი ამბობს, რომ ეს მუხლი ეხება ქრისტეს, რომელიც უკანასკნელ დღეს დაბრუნდება ღრუბლებზე მომავალი. მან შემდეგი მუხლიც ქრისტესთან მიმართებაში განმარტა.

ოდეს შენი უფალი მოვიდეს და ოდეს ანგელოზებმა
მწყობრები შეადგინონ.

სურა (განთიადი) 89:22

ფაქტია, რომ გაცილებით მეტი აღმოვაჩინე, ვიდრე ვეძებდი ანდა მსურდა. ჩემი აღმოჩენების შესახებ ცალკე ბუკლეტში დავწერე, რომელსაც თავიდანვე „ქრისტეს ღვთაებრიობის“ ბუკლეტს ვეძახდი, თუმცა მას შემდეგ, რაც დავამთავრე ჩემი გამოკვლევა, შევცვალე სათაური და ვუწოდე „ქრისტეს ღვთაებრიობის გარდუვალობა“. ეს ბუკლეტი ასეთი წინადადებით დავამთავრე: „ქრისტიანები, რომც არ ამტკიცებდნენ ქრისტეს ღმერთობას, ფაქტია, რომ ის ნამდვილად იყო ღმერთი“.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, სახელდობრ, ცოდვილთათვის ქრისტეს მიერ გაღებულ მსხვერპლს: მუსლიმები ყოველთვის უარყოფდნენ ამ იდეას, ყურანის შემდეგი ნათქვამის გამო:

ტვირთვით დამძიმებულმა, არც ერთი სხვისი ტვირთი არ
ჰზიდოს.

სურა (ღამეული გადაყვანა) 17:15

როგორ შეიძლება, რომ უდანაშაულო მოკვდეს ცოდვილთათვის? თუმცა, ჩვენ მეორე დილემაც გვაქვს: მართლა მოკვდა ქრისტე? არ ვიცი რატომ, მაგრამ გულდაჯერებული ვიყავი, რომ ვერ აღმოვაჩენდი ისეთ რამეს, რაც დაამტკიცებდა ქრისტეს სიკვდილს. თუ გამოვიკვლევდი და ვერ ვიპოვიდი რაიმე მტკიცებულებას, ეს დაამშვიდებდა ჩემს სინდისს და გამიძლიერებდა რწმენას ისლამისადმი. ამიტომ მსურდა, მგზნებარედ წარმოემჩინა ქრისტეს ღვთაებრიობა იმის დასამტკიცებლად, რომ ის არ მომკვდარა და არც შეეძლო, მომკვდარიყო ცოდვილთათვის.

ვცდილობდი, უკუმეგდო მსხვერპლად გაღებული სიცოცხლის იდეა, როდესაც შემდეგ მუხლს წავაწყდი ყურანში:

მოსემ უთხრა თავის ერსა: თქვენს თავს უსამართლოდ მოეპყარით ხბოს თავყვანისცემითა. თქვენის გამჩენის მიმართ მოიქეცით, ან სიკვდილი ირჩიეთ; უფრო გამოგადგესთ მის წინაშე. მან მოგხედოსთ თქვენ (გაპატიოსთ), ვინადგან მას უყვარს მოხედვა შემნანებლის მიმართ; იგია შემწყნარებელი.

სურა (ძროხა) 2:54

მე წავიკითხე იბნ კატჭირის განმარტება ამ მუხლთან დაკავშირებით. ის ამბობს, რომ ისრაელიანებს სურდათ, მოენანიებინათ თავიანთი ცოდვა, რომელიც მათ ჩაიდინეს ოქროს ხბოს თავყვანისცემით, მაგრამ ღმერთმა არ მიიღო მათი სინანული. როდესაც მოსე ლოცულობდა, ღმერთმა უთხრა, ეთქვა ისრაელიანებისათვის, რომ მიტევების ერთადერთი გზა იყო შემდეგი: თითოეულ კაცს უნდა მოეკლა ყოველი შემხვედრი. მათ თვალები უნდა აეხვიათ და ისე ემოქმედათ; ასეთნაირად ისინი ვერ დაინდობდნენ თავიანთი ოჯახის წევრებს, არამედ ექნებოდათ გაბედულება დამორჩილებოდნენ ღვთის ბრძანებას. იბნ კატჭირი ამბობს, რომ სულ ცოტა სამოცდაათი ათასი კაცი მოკვდა იმ დღეს და სისხლი მდინარესავით დიოდა. როდესაც ღმერთმა დაინახა, რომ საკმარისი იყო, უთხრა მოსეს, ეთქვა ისრაელიანებისათვის, რომ შეეწყვიტათ. ღმერთმა მიიღო მათი მონანიება იმათი სისხლის მეშვეობით, რომლებიც მოკვდნენ. თუ ვიდაცას თავყვანი არ უცია კერპისათვის და მოკვდა იმის ნაცვლად, ვინც ეს გააკეთა, რატომ უნდა უარყვით ჩვენ ის აზრი, რომ უცოდველი ქრისტე მოკვდა ცოდვილთათვის და რომ, ის კვლავ გაცოცხლდა?

ვგრძნობდი, რომ ღმერთი სულ უფრო მრავალ მტკიცებულებას დებდა ჩემ წინ, და აღარ მრჩებოდა გზა, უარი მეთქვა ქრისტეს მოწოდებისათვის, მივყოლოდი მას. მე ქრისტეს სიკვდილის ბევრი მინიმუზბაც ვიპოვე. წავიკითხე სურა (*ქალები*) 4:157-სა და მე-3 (*იმრანის სახლეული*) სურის რამდენიმე მუხლის, იბნ კატჭირისეული ინტერპრეტაცია. ეს მუხლები ქრისტეს სიკვდილზე ლაპარაკობენ. ფაქტიურად, ადამიანები ვერ თანხმდებოდნენ არა ქრისტეს სიკვდილთან დაკავშირებით, არამედ იმაზე, თუ როდის მოხდა ეს. მონაყოლები

ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სამი საათით, ერთი დღით და ორი დღით. ეს კი ამტკიცებს ქრისტეს ფაქტობრივ სიკვდილს.

კიდევ უფრო მეტად მეუფლებოდა უსასოობა, ვინაიდან მსურდა, მეპოვა რაიმე, რათა დამემტკიცებინა ქრისტიანული რწმენის მცდარობა. მე ვამაყობდი ჩემი რელიგიითა და საკუთარი თავით და მძულდა ქრისტიანები. სხვა არჩევანი აღარ მქონდა, ახალ სიტუაციას უნდა შევგუებოდი, მაგრამ როგორ?

არასოდეს შემიწყვეტია ბიბლიის კითხვა; ის ჩემი მეგობარი გახდა. რაც უფრო მეტს ვკითხულობდი, მით უფრო მეტად ვგრძნობდი მის სიტკბოებას. ერთ დღესაც, კითხვისას, შემძრეს შემდეგმა მუხლებმა:

როცა ლოცულობთ, ნუ იქნებით, როგორც თვალთმაქცი, რომელთაც უყვართ სინაგოგებსა და ქუჩის კუთხეებში დგომა და ლოცვა, რათა ხალხს თავი მოაჩვენონ. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. შენ კი, როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი. და შენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს, მოგიხლავს შენ

მათე 6:5,6

გამაკვირვა იმან, რომ ბიბლიამ ორი ათასი წლის წინ დაწერა ის, რაც აწმყო დროში, ახლა ხდება. მახსოვს, როგორ ვდებდი რაიმე მაგარ საგანს იატაკზე ჩემი შუბლის წინ, როდესაც ვეცემოდი ხოლმე მუხლებზე ლოცვის დროს; და ამას ვაკეთებდი, იმიტომ, რომ შეამაყა ჩემი „სამლოცველო ნიშნით,“ გალურჯებული შუბლით, როცა ვიხრებოდი და თავს ვურტყამდი ამ საგანს. ვამაყობდი აგრეთვე ჩემი მარხვითა და თავყვანისცემით. სპეციალურ სამოსსაც კი ვატარებდი იმისათვის, რომ მეჩვენებინა ჩემი რელიგიურობა.

მე ვიკვლევდი ქრისტეს სიკვდილისა და ჯვარცმის საკითხს და იმას თუ, ფაქტიურად, როდის მოკვდა ქრისტე. შევისწავლე ყველა ქრისტიანული წიგნი და კომენტარები, რომლებიც ქრისტეს შემნაცვლებლურ სიკვდილზე მოგვითხრობენ. შედეგად ჩემი გონება თითქმის მთლიანად დარწმუნდა ქრისტეს

ღვთაებრიობასა და ჯვარცმასში. ზოგიერთებმა შეიძლება იფიქრონ, რომ მე ნასიამოვნები ვიყავი ჩემი აღმოჩენებით. პირიქით, იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი და დაძაბული გახლდით. მსურდა, რომ ღმერთს მანამდე მოვეკალი, სანამ აღმოვაჩენდი, რომ ჩემი გავლილი ცხოვრება ყალბი რწმენა-წარმოდგენებით იყო სავსე. განადგურებული ვიყავი, როდესაც დავინახე, რომ ეს გულისამრევი, საძაგელი ქრისტიანები მართლები იყვნენ, მე კი ვცდებოდი.

ცოტა მეძინა. დავხეტიალობდი ქუჩებში და საკუთარ თავს ველაპარაკებოდი. ფიქრები მტანჯავდა; ეჭვები შემიძაყრობდა ხოლმე, როდესაც ვიწყებდი ლოცვას. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ვთხოვე ძმებს, რომ უფრო იშვიათად მოსულიყვნენ ჩემთან. თავი იმით გავიმართლე, რომ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავი. თანდათან ჩამოვშორდი ჯგუფს. ძილი მერეოდა, როდესაც ყურანს, ჩვეულებისამებრ, ყოველდღე ვიმეორებდი. ბიბლიას კი, პირიქით, გატაცებით ვკითხულობდი. ძალიან მივეჯაჭვე ამ წიგნს. ერთ დღეს ემირი მეწვია და აღმოაჩინა, რომ არანაირი არსებითი პროგრესი არ იყო ჩემს გამოკვლევებში. მან მითხრა: „ეს ალაჰის ნებაა! მოგვეცი ბიბლია და ჩვენ სხვას ვიპოვით, რომელიც შენს ნაცვლად გააკეთებს ამ საქმეს. ჩანს, რომ შენ ამ ამოცანისათვის არ ხარ მზად“. თავი ბედნიერად უნდა მეგრძნო, რადგანაც სწორედ ეს მინდოდა თავიდან, თუმცა ახლა საგნების მდგომარეობა სულ სხვანაირი გახლდათ.

ვთხოვე მას ერთი, თვე კიდევ მოეცა, რადგანაც ახლა რამდენიმე არსებით ძაფს მივაგენი მეთქი. სიმართლე კი ის იყო, რომ არ მინდოდა, დამეკარგა ბიბლიისა და სხვა წიგნების კითხვის ნებართვა და საშუალება. ემირი დამთანხმდა. არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. შემეძლო, დავთანხმებულიყავი, დამებრუნებინა ბიბლია და თავი გადაემერჩინა დაძაბულობისა და გაურკვეველი მომავლისაგან, რომელსაც უნდა დავჯახებოდი. ყოველ წამს, როცა სალოცავად ვდგებოდი, შინაგანი ხმა მეჩურჩულებოდა: „როგორ შეგიძლია, ილოცო იმ ღმერთის მიმართ, რომლის არსებობაში დარწმუნებულიც კი არა ხარ?“ დროდადრო ეს ცრემლებს მგვრიდა. რაღაც დაინგრა ჩემში.

ერთხელაც უკუვაგდე ეს შინაგანი ხმა და დავიწყე ყურანის კითხვა. მივედი ერთ-ერთ მუხლთან, რომელმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება:

ბაასი (ნუ შეეკამათებით) არ გაუბათ წერილის ხალხსა, თუ არ ყოვლად პატიოსანის სახითა, თუ მხოლოდ უკეთური ხალხი არ იქმნეს იგი. ჰსთქვით: ჩვენა გვრწამს წიგნები, ჩვენდა მოვლინებული, ისინიც აგრეთვე, თქვენ, რომ მოგეველინათ. ჩვენი ღმერთი და თქვენი ღმერთი ერთი და იგივეა და სრულიადაც მივინდობილვართ მის ნებასა.

სურა (ობობა) 29:46

მინდოდა ამ მუხლის შესწავლა უფრო ღრმად, ამიტომ მივმართე იბნ კატჰირის, კორტობისა და ზამაკშარის კომენტარებს. პირველი, რაც აღმოვაჩინე, იყო ის, რომ სამივე თანხმდებოდა იმაში, რომ ეს მუხლი იყო ანულირებული ცნობილი „მახვილის“ მუხლით, სურა (*სინანული*) 9. ანულირება პრობლემის მხოლოდ ნაწილი იყო. – დავინახე, რომ ეს მუხლი შემდეგს ამტკიცებდა: ჩვენი ღმერთი და წიგნის ხალხის ღმერთი ერთი და იგივე ღმერთი იყო. გაგრძელება უკვე აღარ შემეძლო; გონება შეჩერდა! მუსლიმების ღმერთმა გააუქმა ყველა წინმსწრები სიკეთე არამუსლიმებისადმი და შეცვალა კაცისკვლით, წამებითა და შეურაცხყოფით. მან შეგვქმნა ჩვენ, მუსლიმები, წამების თავისი ინსტრუმენტებით:

მათ შეებრძოლეთ, რათა ღმერთმა თქვენის ხელით დასაჯოს ივინი და სირცხვილეულ ჰყოს.

სურა (*მონანიება*) 9:14

ყურანში სულ ცოტა 27 მუხლია, რომლებიც ლაპარაკობენ იმაზე, რომ მუსლიმები ვალდებულნი არიან ებრძოლონ არამუსლიმებს.

ამ დროს კი, ქრისტიანების ღმერთი ამბობს:

ხოლო თქვენ, ვინც მისმენთ, გეტყვით: გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს. აკურთხებდეთ თქვენს მაწყევრებს და ლოცულობდეთ თქვენსავე შეურაცხყოფელთათვის.

ლუკა 6:27,28

მე კი გეუბნებით თქვენ: წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე. ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც თან გაატანე მას. ვინც ერთ ნაბიჯზე წაყოლა გაიძულოს, ორზე გაჰყევი.

მათე 5:39-41

მე დავიწყე ამ მუხლების შედარება იმასთან, რასაც ყურანი ამბობს:

თუ ვინმემ შეგავიწროოსთ, შეავიწროეთ იგი, როგორც შეგავიწროათ.

სურა (*ძროხა*) 2:194

ფეხზე დააყენეთ ყველა ჯარები, რაოდენიც თქვენს ხელთ იყოს და მხედრობაც, რომ მით შეაშინოთ ღვთის მტრები და თქვენიცა.

სურა (*ნადავლი*) 8:59

მუჰამად ღვთის მოვლინებულია; მისი ამხანაგები ურჯულთათვის საშინელ არიან, ხოლო ერთმანერთ შორის სიმშვიდით აღსავსე.

სურა (*გამარჯვება*) 48:29

შეუძლებელია, რომ თეთრი და შავი ერთი იყოს; ანდა კეთილი და ბოროტი; ანდა დღე და ღამე! თითოეული მათგანი გამოკვეთილად უნიკალური უნდა იყოს. ასე რომ, უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი ღმერთი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიპოვიდი ამ ღმერთს, ვინაიდან მიყვარდა ის. კერავინ

დამიშლიდა ერთი, ჭეშმარიტი ღმერთის რწმენას, თუნდაც ეს ებრაელთა ღმერთი ყოფილიყო! გონებაში ველაპარაკებოდი მას: „ღმერთო, მჭირდება შენი დახმარება. ნუ მიმატოვებ, რადგანაც ახლა გაურკვევლობაში ვარ და არ ვიცი სად ხარ. თუ არ ვდგავარ სწორ გზაზე, ეს განზრახულად არ ყოფილა. შენ იცი, რა ძალიან მიყვარხარ და რა ძალიან დავიტანჯე შენი გულისათვის. ღმერთო, თუ მსჯი იმ ცოდვებისათვის, რომლებიც ჩავიდინე, გთხოვ, პატიებას! შენა ხარ ერთადერთი ღმერთი, მე კი შენი მსახური, შენი მცნებების დამცველი. ვაღიარებ ჩემს ცოდვებს და ვინანიებ. გთხოვ, მოწყალე იყავი ჩემზე“.

ფიქრები მაშფოთებდა და შიში და ძრწოლა მოდიოდა ჩემზე. ვფიქრობდი, რომ ყურანი და ბიბლია, ორივე ვერ იქნებოდა ღვთის სიტყვა; ერთმა უნდა გააუქმოს მეორე. ძრწოლა მიპყრობდა მაშინ, როდესაც ეს ფიქრი მომდიოდა გონებაში. როცა უცნაურ ხმას გავიგონებდი ხოლმე, ვფიქრობდი, რომ ღმერთი ყურანისადმი ჩემი დამოკიდებულების გამო დაანგრევდა და ძირს დასცემდა იმ სახლს, რომელიც ჩემს გონებაში იყო აღმართული. ჩემი ცხოვრება აუტანელი გახდა! გაცილებით ძნელი, ვიდრე ციხეში ყოფნისას და წამებისას.

მაღევე მინელდა ასეთი განცდები და გადავწყვიტე ყურანის ხელახლა შესწავლა, იმისათვის რათა განმეხილა ყოველი შესაძლო ასპექტი და ყველაფერი ობიექტურად შემიფასებინა:

ღვთის გარდა რო სხვა ვინმე ყოფილიყო მისი მთხზველი,
 ნუთუ შიგ აუარებელ წინააღმდეგ სიტყვებს არ ჰპოებდენ?
 სურა (ქალები) 4:82

ფაქტია, რომ მე არ ვიყავი ობიექტური. მინდოდა ისეთი რამის პოვნა ყურანში, რაც მომცემდა იმის საშუალებას, მერწმუნა, რომ ის ღმერთისგან იყო. ქრისტიანების მიმართ გულში სიმწარე მქონდა. ყველაფერს მივიღებდი, მაგრამ ქრისტიანი, რომ გავმხდარიყავი...! სიტყვა „ქრისტიანი“ მაღიზიანებდა და ჩემში აგრესიისა და შურისძიების ძლიერ სურვილს აღვიძებდა. არ ვიცი, რატომ მქონდა ასეთი განცდები; შესაძლოა იმიტომ, რომ ვიზრდებოდი მკაცრ ოჯახში, რომელსაც უყვარდა ისლამი და

სძულდა ქრისტიანობა, რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი უღმერთობების აღმნიშვნელი იყო. ჩვენი მშობლები გვაფრთხილებდნენ, არ გვეთამაშა ქრისტიან ბავშვებთან, რადგან ისინი მატყუარები იყვნენ და არ გვეჭამა მათი საჭმელი, რადგანაც მათ შეეძლოთ ჩვენი მოწამვლა. იმ შეგნებით ვიზრდებოდით, რომ ქრისტიანებს არ ჰყავდათ ღმერთი, არ ჰქონდათ რწმენა და არც მათი ნდობა შეიძლებოდა.

ღრმად დავიწყე ყურანის შესწავლა და ისეთი საოცარი რამ აღმოვაჩინე, რაც ადრე არასოდეს შემინიშნავს. შევკრიბე ჩემი კვლევის შედეგები და ეს შედეგები მოვაქციე – „არის ყურანი ღმერთის სიტყვა?“ – სათაურის ქვეშ. ამ ბუკლეტის დამთავრებისათვის დაახლოებით ექვსი თვე დამჭირდა.

ერთ დღეს ემირი მოულოდნელად დამადგა თავს. ის როდესაც მოვიდა, ტუალეტში ვიყავი. დედამ ჩემს ოთახში შეიყვანა, ვინაიდან ჩვენი ოჯახის ახლობლად ითვლებოდა და ციხეშიც ერთად ვიყავით. ემირმა დაინახა ოთახში მიმოფანტული ფურცლები და იფიქრა, რომ მე ჩემი დავალების საკმაო ნაწილი შევასრულე. გავიგონე მისი ხმაც: „ალაჰმა გაკურთხოს! ნამდვილი კაცი ხარ! მართალი ვიყავი; სწორედ შენ ხარ ის ერთადერთი, რომელსაც შეეძლო ამის გაკეთება!“ ვიფიქრე, შენ არ იცი, რა ქალაქდება ეს! წუთით გვიან შევედი ოთახში მასთან შესახვედრად. მისი სახე აწითლებულიყო და ზედ გაოცება აღბეჭდოდა. შეეცადა, საყელოში ეტაცა ჩემთვის ხელი და კბილების ღრჭიალით მითხრა: „ეს რა არის? შენ დაწერე ეს ყოველივე? არა, შეუძლებელია, ეს შენი იყოს. ვინ გაცდუნა? ვინ მოგატყუა? ვინ გაიძულა, რომ გაგეყიდა შენი რელიგია?“

ვუთხარი: „თუ სადმე სიცრუეა, ეს შენგან არის; თუ სადმე ცდუნებაა, შენგან არის; თუ მე შევცოდე, ესეც შენს თავში მომწიფდა! შენა ხარ სწორედ ის, ვინც მაიძულა ეს ყოველივე მეკეთებინა. მინდოდა, გავთავისუფლებულიყავი ამ კვლევისაგან მაგრამ უარი მითხარი. შენ კარგად იცი, რა ძალიან მძულდა ქრისტიანობა და ქრისტიანები, მაგრამ მაინც მიმტკიცებდი, რომ წამეკითხა მათი წიგნი.“

„ვფიცავ შენს წინაშე, ძალიან მინდა, რომ ყველაფერი რაც აღმოვაჩინე, სიცრუე იყოს. ახლა ორივე, შენცა და მეც, ჩვენი

ცხოვრების ყველაზე რთულ მონაკვეთზე ვდგავართ, ასე არ არის?“ მიპასუხა: „ჰო, ასეა“. „შენიშნე რამე უჩვეულო?“ „არა“. „მაშ მაპატიე, ეს ჩემი ხელიდან გამოვიდა. ეს მხოლოდ ინფორმაცია არ არის; ეს ჩემი გულია, რომელზედაც არა მაქვს ხელმწიფება. მინდა, რომ შენც წაიკითხო ის, რაც მე წავიკითხე და შეისწავლო, რაც მე შევისწავლე!“

ის მძვინვარე მეომარივით წამოიჭრა და სურდა ნაგლეჯებად ექცია ჩემი ნაწერები (ქრისტეს ღვთაებრიობაზე, არის თუ არა ყურანი ღვთის სიტყვა, ა.შ.) ჩვენს ცხარე კამათზე დედაჩემი შემოვიდა ოთახში. სანამ ჩვენს სახლს დატოვებდა, ემირმა მითხრა: „ახლა ჩვენ ვიცით, რაც გჭირს, თუმცა მაქვს თხოვნა, თუ გინდა, რომ ცოცხალი დარჩე, არასოდეს არ უთხრა შენს ჯგუფს ამ შხამის შესახებ, რაც დაწერე. მე ვეტყვი მათ, რომ შენ განდგომილი ხარ, მაგრამ არ მივცემ არანაირ მიზეზს. თუ ეტყვი მათ რამეს, ძალიან კარგად იცი, რაც მოგივა“. ვუპასუხე: „ის რაც შენ არ იცი, არის ის, რომ საგნები იცვლება; დრო იცვლება. კარგად იცი, რომ არ უნდა მემუქრობოდე, ვინაიდან არ შეგიძლია შენი მუქარის შესრულება. მინდა იცოდე, რომ ერთგული ვიყავი ჩემი ძმებისა, როდესაც ვთხოვე მათ აღარ მოსულიყვნენ ჩემთან. აღარ შემეძლო, გამეგრძელებინა და მათთვის მესწავლებინა ის, რაშიც თავად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჭეშმარიტებაა. იმიტომ დავიჭირე შორს თავი მათგან, რომ ვზრუნავდი მათზე. შენ კი გარწმუნებ, რომ მე მიყვარს ღმერთი და ვლოცულობ, რომ დამაბრუნოს უკან, თუ გზა დამეხნა“.

ცრემლები წამსკდა თვალებიდან, როდესაც გამახსენდა ერთად გატარებული დღეები, ციხეში ერთად ყოფნა, ძნელბედობის ჟამთა ერთად გადატანა. ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის ძალზე ძნელია. მაგრამ თუ ეს ღვთის ნებაა, დავემშვიდობები ყველა მშვენიერ მოგონებას, რომელიც მაშორებს მას და მივესალმები იმ ეკლებს, რომელთაც შევხვდები მასთან ერთად.

ჯგუფმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ჩემთან. წევრები მერიდებოდნენ და აღარ მესალმებოდნენ ქუჩაში შეხვედრისას; აღარც ფულს მაძლევდნენ. მათ თვალში ახლა უღმერთო ვიყავი.

აღბათ, ფიქრობდნენ, რომ ეს ყოველივე გამტეხდა და მაიძულებდა უკან, ჯგუფში დაბრუნებას. ისინი ვერასოდეს გამიგებდნენ მე.

მე და ემირს, კიდეც რამდენიმე კაცს გვექონდა საინვესტიციო კომპანია. ვატრიალებდით ფულის საკმაოდ დიდ რაოდენობას. საზღვარგარეთიდან შემოგვექონდა ტანსაცმელი. კომპანიის ოფიციალური მენეჯერი მე ვიყავი; მე ვაწერდი ხელს ჩეკებს და სხვა დოკუმენტებს. როცა უარი ვთქვი მონაწილეობაზე, მათ შეწყვიტეს თავიანთი წილის გადახდა და საქმე სასამართლოს გადასცეს. ისინი ელოდნენ, რომ ბოდიშს მოვიხდიდი და შევინანებდი უღმერთობის გზაზე დადგომას. სასამართლოს შენობაში ემირი მოვიდა ჩემთან და მიჩურჩულა: „ჩვენ შეგვიძლია, დავწიოთ ხარჯები, თუ გონს მოხვალ, პატიებას სთხოვ ალაჰს და გვეტყვი, ვინ შეგაცდინა“. პასუხი არ გამიცია.

სასამართლომ თვიურად 160 ეგვიპტური ფუნტის გადახდა დამაკისრა. ეს მათთვის დარტყმა იყო, ვინაიდან უნდოდათ, რომ ციხეში წავსულიყავი. ვმადლობ ღმერთს იმისათვის, რომ გასაჭირმა გადაიარა, თუმცა მაშინ ჩემი ნათქვამი სიტყვები, აღბათ, უფრო საყვედურს ჰგავდა: „ღმერთო, რატომ მეტყევი ასე? რატომ უნდა ვიტანჯო? ტანჯვა და ბრძოლა ბავშვობიდანვე არ მაკლია. აღარც მეგობრები მყვანან, აღარც ჩემი ოჯახის სიყვარული მაქვს. ისინი არ გიღებენ. ჩემმა სწავლამაც უშედეგოდ ჩაიარა, რადგანაც მე და შენს შორის დარჩა. კიდეც რა ტკივილი გაქვს ჩემთვის შენახული. გთხოვ, შემიწყალო. სუსტი და უძლური ვარ. ნუ დამტოვებ ამ ტალღებში, რომლებიც ყოველი მხრიდან გარს მერტყემიან. არ ვიცი, საით წავიდე. მითხარი სად ხარ. ქრისტიანების ღმერთი ხარ? მოსეს ღმერთი ხარ? თუ მუჰამედის ღმერთი ხარ? თუ მუჰამედის ღმერთი ხარ, რატომ მტოვებ ტანჯვასა და ეჭვებში შენთან დაკავშირებით? გპირდები, რომ გამოგვევები ყველგან, სადაც არ უნდა იყო!“

მოულოდნელად ჩემი ფიქრებიდან დედაჩემმა გამომიყვანა, გამომძახა, გავსულიყავი და საჭმელი მეჭამა. მე არ ვჭამდი დედასთან ერთად, რადგანაც მჯეროდა, რომ მუსლიმმა არ უნდა ჭამოს უღმერთოსთან ერთად – ჯგუფის აზროვნებიდან გამომდინარე, დედაჩემი სწორედ ასეთი გახლდათ. ამის შემდეგ

ძალიან კრიტიკულ საკითხს მივადექი: თუ ყურანი არ იყო ღმერთისგან, მაშ ვინ იყო მუჰამედი? გამოდის, ცრუ წინასწარმეტყველი. მაგრამ როგორ უნდა დავამტკიცო ეს? უეცრად შევშინდი და გავიფიქრე, არა, ეს შეუძლებელია! მუჰამედი ცრუ წინასწარმეტყველი? მაშ, რაღა უნდა ვთქვათ მის სასწაულებზე, მის იმპერიაზე და იმ ხალხებზე, რომლებიც მას მიჰყვებიან?

ისეთი განცდა დამეუფლა, რომ ღვთის მრისხანება ეს-ესაა დამატყდება თავს. როდესაც დაბლა დავეცი, უცნაური გაბედულება დამეუფლა. ჩემი კვლევის თემა მუჰამედი უნდა გახდეს. ვინ იყო მუჰამედი და იყო თუ არა ის წინასწარმეტყველი. როგორც ვისწავლე მუჰამედის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ის წინასწარმეტყველთა ბეჭედი იყო, ემყარებოდა ორ ასპექტს: 1) ის იყო გაუნათლებელი, თუმცა მიიღო ყურანი; და 2) ის იყო შეუცდომელი – მანამ, სანამ წინასწარმეტყველი გახდებოდა, მას არ შეუცოდავს.

გაუნათლებლობა

არასოდეს გამჩენია კითხვა და არც არასოდეს მიფიქრია ამ საკითხზე: შეეძლო თუ არა მუჰამედს წერა და კითხვა. რაც მე ვიცოდი, იყო შემდეგი: შეუძლებელია, მუჰამედს სცოდნოდა წერა-კითხვა. ამ საკითხმა ცნობისმოყვარეობა გამიღვიძა. კიდევ ერთხელ გადავიკითხე წინასწარმეტყველის ბიოგრაფიები. ჩემდა გასაოცრად მრავალი ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც ადრე არ შემინიშნავს. აღმოვაჩინე, რომ მუჰამედი მიდიოდა ხოლმე იმავე ადგილას, სადაც ელ-ნადრ იბნ ელ-ჰარეტი, ვარაკა იბნ ნოფალი და იბნ სა'ედა, კარგად ცნობილი მღვდელი, დადიოდნენ. ისიც აღმოვაჩინე, რომ მუჰამედი წარმართავდა მდიდარი ქალის ჰადიჯას საქმეებს და მრავალი კონტრაქტი და შეთანხმება გააფორმა იემენისა და დიდი სირიის ვაჭრებთან. ისიც ნათქვამი იყო, რომ მუჰამედს თან დაჰქონდა ბეჭედი, რომელსაც ხელმოწერის ნაცვლად იყენებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა განათლება. თუმცა ბეჭდის ტარება მაინცდამაინც არ ნიშნავს იმას, რომ მან არ იცოდა წერა-კითხვა, ვინაიდან იმ დროისათვის ვაჭრებს

შორის ჩვეულებრივი ამბავი იყო, დაეწერათ კონტრაქტი მყიდველთან ერთად, შემდეგ კი დაემოწმებინათ ბეჭდით, ისე, როგორც ეს ჩვენს დღეებში ხდება.

აღმოვაჩინე, რომ ალ-ჰუდაიბიას სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, მუჰამედმა თავისი ხელით შეადგინა თანხმობის ხელშეკრულება, რომ ის იყო თავისი ბიძის აბუ ტალების მეთვალყურეობის ქვეშ და რომ, ის უფრო ასაკოვანი იყო, ვიდრე ალი. ალის შეეძლო წერაც და კითხვაც, ამიტომაც წარმოუდგენელია, რომ მუჰამედს არ ესწავლა წერა-კითხვის საფუძვლები.

ისიც ვნახე, რომ მუჰამედს იასსარ ალ-ნუსრანისთან (ქრისტიანთან) უყვარდა ხოლმე მასლაათი და მისგან ბიბლიის ტექსტების აღება და კითხვა. გავიგე, რომ მუსლიმი მწერლების მიხედვით, როდესაც ანგელოზი გაბრიელი მივიდა მუჰამედთან და სთხოვა, მას წაეკითხა, არ იყო ლოგიკური მისი მხრიდან, მუჰამედისათვის ეთხოვა წაკითხვა, იცოდა რა, რომ ის გაუნათლებელი იყო! თუ თქვენ ყველა ამ ზემოხსენებულ საკითხს მიამატებდით იმას, რაც მე აღმოვაჩინე მუჰამედის წინასწარმეტყველების უტყუარობასთან დაკავშირებით, გააცნობიერებთ, რომ მუჰამედი არც წინასწარმეტყველი იყო და არც მართალი კაცი. ყველა ამ დეტალს, ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ აღმოაჩენთ ჩემ მიერ მომზადებულ წიგნში, რომელსაც *მუჰამედი თორასა და ბიბლიაში* დავარქვი.

შეუცდომლობა

რაც შეეხება მუჰამედის შეუცდომლობას, მრავალი ბიოგრაფი, როგორებიც არიან ალ-სეერა ალ-ჰალაბია, ალ-ტაბაკაათ ალ-კუბრა და სეერატ იბნ ჰიშამი და ის კომენტარებიც, რომლებიც განმარტავენ მე-16 (ფუტკარი) სურას, გვამღევენ მკაფიო სურათს:

ნაყოფთა შორის, გაქვთ ინდის ხურმა და ყურძენი,
რისგანაც აკეთებთ მათრობელ სასმელსა?

სურა (ფუტკარი)16:67

არსებობს მრავალი სარწმუნო ჰადისი, რომლებიც მკაფიოდ მეტყველებენ იმაზე, რომ მუჰამედი სვამდა ღვინოს და ურჩევდა მეგობრებს, რომ ცოტა წყალი დაემატებინათ მაგარი ღვინისათვის. ის ჭამდა კურაიშებისაგან ელ-ქააბას, კერპისათვის მსხვერპლად შეწირული ცხოველების ხორცს. ის ნებადართულად აცხადებდა აკრძალულს და კრძალავდა ღმერთისაგან ნებადართულს. ათვალიერებდა მეგობართა ქალებს და არასოდეს იხევდა უკან, თუ რომელიმე მათგანი მოეწონებოდა. ქეიბარის დღეს, საფიას, იეჰია იბნ აკტაბის ქალიშვილს, რომელიც აბდლაჰ იბნ უმარს ეკუთვნოდა, მუჰამედმა წაავლო ხელი, წაჰკვარა მას და იქორწინა მასზე. ასევე მოხდა ზეინაბთან, გაშის ქალიშვილთან, ზაიდის (მისი ნაშვილები ვაჟის) ცოლთან, რომელიც მუჰამედმა თავის ერთ-ერთ ცოლად დაისვა.

ყოველივე ამან წაშალა მუჰამედის წმინდა ხატი, რომელიც ჩემში იყო აღბეჭდილი და ძირს დასცა მისი სახელი. გულახდილი, რომ ვიყო, ვიტყვი იმას, რომ დიდ ტკივილს განვიცდიდი, როდესაც ყოველივე ეს აღმოვაჩინე.

ამ ყველაფერთან ერთად, რაც მუჰამედის შესახებ აღმოვაჩინე, ჯერ კიდევ ველოლიავებოდი იმედს, რომ ვიპოვიდი რაიმე ფასეულს ისლამში, რომელსაც მოვეჭიდებოდი, რათა მუსლიმად დავრჩენილიყავი. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის, დამეტოვებინა ბავშვობის რელიგია. როდესაც ასეთი აზრი მომდიოდა თავში, შიშის, შეცბუნების, განგაშის უცნაური განცდები მეუფლებოდა და მიმღვრევდა გონებას. როცა რომელიმე დიდებულსა და აზრიან ტექსტს წავიკითხავდი ხოლმე ბიბლიაში, სიძულვილი, სიშმაგე და სისასტიკე მეძალეობდა ქრისტიანებისადმი. ყოველთვის, როდესაც რაიმე მშვენიერს ვიპოვიდი ბიბლიაში, ჩემი მრისხანება აზვირთდებოდა ხოლმე და ვანადგურებდი ჩემი ქრისტიანი კოლეგის საგნებს, რათა განვთავისუფლებულიყავი უსასოობისგან. ფულსაც კი ვუხდიდი სხვებს, რათა მახე დამეგო მისთვის. ცრუ საჩივრებსაც ვწერდი მაღალი თანამდებობის პირებთან. ერთ დღეს მთელი მისი ტანისამოსი ცეცხლში ჩავყარე, რის გამოც ის იძულებული გახდა სახლში უნიფორმით დაბრუნებულიყო. ეს გავაკეთე, თუმცა ნამდვილი ცეცხლი ჩემს გულში ტრიალებდა.

ერთი მაღაზიის წინ ვჩერდებოდი. ეს მაღაზია ქრისტიანს ეკუთვნოდა. ხალხს ვაფრთხილებდი, არ ეყიდათ იქ არაფერი და, თანაც, ვადანაშაულებდი ქურდობაში. ქუჩაში მოსიარულე ადამიანებს ვეუბნებოდი: „არაფერი არ შეიძინოთ ქრისტიანებისგან; ისინი ცრუპენტელები და მატყუარები არიან. მათ ისლამის დანგრევა სურთ. ყურანი ამბობს, „მათ არა აქვთ რწმენა“. ეს მოხუცი ქრისტიანი კაცი მეუბნებოდა ხოლმე: „ჩემო შვილო, რა დაგიშავე? შემიბრალებ, ფული ხომ უნდა ვიშოვო იმისათვის, რომ გავზარდო შვილები“.

გარდა ამისა, ვაფრთხილებდი კიდევ ჩემს მეგობრებს, ხელი არ ჩამოერთმიათ ქრისტიანებისთვის. ვიცავდი ჰადისს, რომელიც ამბობს: „არ ჩამოართვათ ხელი წიგნის ხალხს; ნუ მიესალმებით მათ და შეაკვიროვთ მათი სავალი“. ხშირად ვამბობდი ხმამაღლა: „ისინი ბოროტი ადამიანები არიან, გვაჩვენებენ ყალბ სიყვარულს, სინამდვილეში კი ალაჰისა და ჭეშმარიტი მორწმუნეების ცბიერი მტრები არიან. ნუ მოტყუვდებით მათი ყალბი თავმდაბლობით. ღმერთმა თქვა: „დამცირება და ტანჯვაა მათი ხვედრი“.

ერთ-ერთ ასეთ გადარეულ დღეს, როცა ასეთივე გადარეული საქმეებით ვიყავი დაკავებული ქრისტიანების წინააღმდეგ, თითქოსდა გული მიმეწურა. შინაგანმა ხმამ წამჩურჩულა: „იყავი გულწრფელი. გგონია, რომ ასეთი ოინბაზობა წაშლის ყველაფერს, რაც შენ მათი წიგნებიდან ისწავლე? შენ თქვი, რომ გაჭყვები ღმერთს, სადაც არ უნდა წაგიყვანოს მან; ამიტომ, როდესაც ღმერთი გიცხადებს გარკვეულ ნათელსა და შთაგონებას, რატომ ცდილობ მისგან გაქცევას? პატიოსანი იყავი საკუთარ თავთან, რათა სუფთა სინდისი გქონდეს. დაუკვირდი შენს შინაგან აღძვრებს. მართლა გსურს ღმერთთან ყოფნა? თუ არა, მაშ რა გსურს სინამდვილეში? ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ყოველივე შენს ხელშია და ვერავინ ვერ დაგაძალებს რაიმეს“.

გულდამძიმებული დავბრუნდი შინ. შევეცადე მელოცა, თუმცა ვერ შევძელი. დავიწყე ბიბლიის კითხვა და მივადექი ქრისტეს ლოცვას მათეს სახარებაში. როდესაც წავიკითხე ეს ლოცვა, მოულოდნელად უცხო მშვიდობა შემოვიდა გულში.

სიმშვიდემ და სიწყნარემ მომიცვა. თითქოსდა ვიღაცამ გადამასხა წყალი, რათა ჩემი მახსოვრობა რაღაცისგან გაეწმინდა. გულში ვთქვი: „ჩემო უფალო, თუ ზუსტად ისე ვილოცებ, როგორც ბიბლიაშია დაწერილი, შეგიძლია, ამავსო ისეთი მშვიდობით, მოთმინებით, სიყვარულითა და გამძლეობით, როგორიც ქრისტიანებს აქვთ?“

სიხარულმა მომიცვა, თითქოსდა მოვისმინე პასუხი: „დაიხ“. მთვრალივით გავხდი და განვეწყე იმისათვის, რომ მამაო ჩვენო რეგულარულად წარმომეთქვა. როგორც წესი, ავღვები ადრე, როგორც რიტუალური ლოცვების დროს, თუმცა, ამჯერად, მათ ნაცვლად უფლის ლოცვას წარმოვთქვამ. გავმლი სამლოცველო ხალიჩას მწვანეზე, ღავდგები მასზე და ვიტყვი:

*მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი
შენი.*

*მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა
შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.*

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს.

*და მოვკრებვე თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ
მივუტევეთ თანამდებთა ჩვენთა.*

*და ნუ შეგვიყვან ჩვენ გასაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ
ბოროტისაგან.*

და ბოლოს, რწმენათა შორის ამ ძნელ მოგზაუროებაში, შემეძლო, გამეკეთებინა დასკვნა და მეთქვა: „მშვიდობა შენდა და მოწყალება ღვთისა; მშვიდობა შენდა და მოწყალება ღვთისა“ (ლოცვების ისლამური დასკვნა). ასე ვაგრძელებდი საკმაო ხანს, თუმცა ვერ შევნიშნე ცვლილება ჩემს ხასიათში. კვლავაც აგრესიული ვიყავი ჩემი ოჯახისა და ქრისტიანების მიმართ. ამიტომ გადავწყვიტე ყოველგვარ რელიგიას ჩამოვშორებოდი. არც ისლამი და არც ქრისტიანობა. რა გამოდის, ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ სავსებით შესაძლებელია, ხელში ავილო რომელიმე წიგნი სხვა უკეთესი რელიგიის აღმოსაჩენად და ასე რელიგიებს შორის სიარულში გავლიო ჩემი სიცოცხლე? ასეთ შემთხვევაში საუკეთესო რამ, რაც შეიძლება გააკეთო, ჩემის აზრით, ნორმალური

ცხოვრებით ცხოვრებაა სხვების მსგავსად, ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად. რატომ უნდა გადავტვირთო ჩემი გონება ამ რელიგიებით? ჯობია, დავტკბე უზრუნველი ცხოვრებით, ხოლო როცა მოვკვდები, დაე ისე მომქცეს ღმერთი, როგორც მას სურს!

თუმცა ეს არ იყო რეალური გადაწყვეტილება. უეცრად ერთი იდეა მომივიდა თავში. საკუთარ თავს ვუთხარი: ჩემი პრობლემებისა და შფოთვის წყარო სწორედ წიგნია – თორა და ბიბლია (ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა) – ასე რომ, ჯობია, დავზიო ისინი და ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩე ამას. მზად ვიყავი ამის გასაკეთებლად, მაგრამ ავცახცახდი, შინაგანმა ხმამ წამჩურჩულა: „გაჩერდი, არ გააკეთო, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ის დაგჭირდეს. რატომ უნდა განთავისუფლდე მაინცდამაინც ამ წიგნისაგან? ყურანმა ხომ უფრო მეტი უსიამოვნებები შეგამთხვია: რატომ არ აპირებ მის დახევას და ნაკუწებად ქცევას?“

როდესაც მანქანით ვმოძრაობდი, ვლოცულობდი, რომ ავარია მომხდარიყო და ჩემ გარდა ყველა გადარჩენილიყო. ისიც მსურდა, რომ სახლი ჩამოქცეულიყო და მხოლოდ მე დამცემოდა, რათა მოვმკვდარიყავი. „უფალო, – ვამბობდი, – თუ არ გინდა ჩემი წინამძღოლობა, უკეთესია, დაამთავრო ჩემი სიცოცხლე და გამომიყვანო ამ დილემიდან“.

ასეთ ურთიერთსაპირისპირო ფიქრებში ვიყავი. ივლისის დღე იდგა, შუადღის ოთხი საათი. მარტო ვიყავი, ვიხსენებდი ჩემს ხანგრძლივ ყოფნას ისლამში, ისლამურ ჯგუფებში. ვიხსენებდი თავს გადახდენილ ამბებს. ბოლოს გავიხსენე ჩემი შეხება ახალ აღთქმასთან და თორასთან. ვლოცულობდი: „ღმერთო, შენ იცი ეს, მთელი ამ ხნის მანძილზე, შენ გეძებდი. ნუთუ კარგია ასეთ მღვთმარებაში ჩემი დატოვება? სად არის შენი სამართლიანობა და სიყვარული? თუნდაც გინდოდეს ჩემი დასჯა იმ დანაშაულებისათვის, რაც მე ჩავიდინე, ვფიქრობ, რომ უკვე დავისაჯე და საკმარისია. რომელი დანაშაული იმსახურებს ასეთ სასტიკ სასჯელს? გთხოვ, ღმერთო, ნუ დამტოვებ მარტო ასეთ ბრძოლაში!“

მოულოდნელად ჩემი ოთახის კარი გაიღო. ვიფიქრე, რომ დედა იყო და რაღაც მოჰქონდა წასახემსებლად. არა, ასე არ იყო.

შემოვიდა ერთი მაღალი კაცი გრძელი თმით და ხშირი წვერით და თეთრი სინათლის სვეტით, რომელიც მის უკან ელვარებდა. ეს წააგავდა იმ სინათლეს, რომელსაც მრავალი, ერთად შეერთებული ჭადი ასხივებს. თვალს ვერ ვუხსოვრებდი და სახესაც ვერ ვწევდი მაღლა. მომესმა მისი ხმა, რომელიც მეძახდა: „ადექი, ქრისტეს სჭირდები“. წამოვიჭერი და გამოვვარდი ოთახიდან. გაკვირვებული ვუხმობდი მამას, დედას, ჩემს ძმებს, მოსულიყვენ და ენახათ ქრისტე (ჩვენი ბატონი ისა) ვინაიდან დაწერილია ალ-ბუქჰარის წიგნში, რომ მან ვინც იხილა წინასწარმეტყველი, იხილა „წინამძღოლობა,“ ვინაიდან დემონები არ იღებენ წინასწარმეტყველთა ხატებას. მეგონა, რომ ჩემი ოჯახი ირწმუნებდა, თუ ისინი დაინახავდნენ ქრისტეს.

დავბრუნდი ოთახში, ვედარავინ ვნახე. შეძრული ვიყავი; როგორ შევძლებ, რომ ეს ყოველივე ჩემ ოჯახს დავუმტკიცო? ვკიცხავდი ღმერთს იმისათვის, რომ არ დამეხმარა: „რატომ არ დამელოდე ოთახში, გნახავდნენ ჩემიანები და ირწმუნებდნენ! ახლა ისინი იფიქრებენ, რომ ჭკუაზე შევიშალე“.

მართლაც ასე მოხდა. ჩემი ოჯახის ყველა წევრი შემოვიდა ჩემს ოთახში, თუმცა უჩვეულო არაფერი დაუნახავთ. დედაჩემმა თქვა: „ო, უფალო [ალაჰ], რატომ უშვებ, რომ ასეთი რამეები დაგვემართოს? გახარებულები ვიყავით იმით, რომ შვილი დაგვიბრუნდა და ახლა ნებას აძლევ, რომ გაგაჟღეს!“ ატირდა მწარედ და გულში ჩამიკრა.

ჩემმა ძმამ მითხრა: „ნუ სწუხარ, ეგვიპტეში საუკეთესო ფსიქიატრთან მიგიყვან“. დებმა თქვეს: „ეს ყველაფერი, იმის გამო მოხდა, რაც ამ ღამით დაწერე. ამ ყველაფრის ბოლო სიგიჟეა. ღმერთო, გვედრებით, გადაარჩინე“. როდესაც ყველამ დაამთავრა, მამას შევეკითხე: „ხომ ხარ მამაჩემი?“ მან თქვა: „ჰო“. შემდეგ მივედი დედასთან და ვკითხე: „ხომ დედაჩემი ხარ?“ მიპასუხა: „ჰო, დედაშენი ვარ“. იგივე გავაკეთე ჩემს ძმებთან და დებთან, შემდეგ ვუთხარი მათ: „თუ გონებაარეული ვარ, როგორც თქვენ ფიქრობთ, საიდან მეცოდინებოდა ყველა თქვენგანის სახელი? რატომ არ გჯერათ ჩემი? მე ვიხილე ის, როგორც დიდებული ნათელი. ის დამელაპარაკა“. თუმცა მათი თვალსაზრისი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ჩემი არგუმენტი.

ბოლოს და ბოლოს, მეც ეჭვი შემეპარა და ვთქვი, ალბათ ისინი არიან მართლები. იქნებ მართლაც გიჟი ვარ. ჩავწექი საწოლში. ჩემი ძმები მოვიდნენ ჩემს დასაწყნარებლად, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. თავი მდუმარებას შევაფარე.

მომდევნო დილას ჩემმა ძმამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფსიქიატრთან წამიყვანა. შევედით მის კლინიკაში, დაველოდეთ რიგს. როგორც იქნა დამიძახეს ექიმთან. დაჯვჯექი მის წინ, შემეკითხა: „როგორ შემიძლია შენი დახმარება?“ ვუპასუხე: „არ ვიცი. ჩემმა ძმამ გადაწყვიტა ჩემი აქ მოყვანა“. „შენმა ძმამ თქვა, რომ შენ იხილე ჩვენი ბატონი ქრისტე!“ „ღიას, მე ნამდვილად ვიხილე ის“. „შეგიძლია, ამიწერო?“ შევეკითხე: „ოდესმე გინახავს ის?“ „არა“. „თუ არ იცი როგორ გამოიყურება, როგორ გაიგებ, მართალს ვამბობ თუ ტყუილს?“ მან მიპასუხა: „შენი შემთხვევა ძალზე მძიმეა“.

მან მოუხბო ჩემს ძმას, რომელიც მოსაცდელში მელოდებოდა. როდესაც შემოვიდა შესამოწმებელ ოთახში, ექიმმა უთხრა, რომ დებრესის მძიმე ფორმა მქონდა და სასწრაფოდ მესაჭიროებოდა ელექტრო შოკით მკურნალობა. უნდა დამეწყო მკურნალობის ექვსი კურსით, რომელიც თანდათან ორზე ჩამოვიდოდა. სთხოვა ჩემს ძმას, რომ კვირაში ორჯერ მივეყვანე ჰოსპიტალში. ჩემმა ძმამ უთხრა მას, რომ ეს გაძნელებოდა, რადგანაც ჩვენ კაიროდან მოშორებით ვცხოვრობდით და მანქანით აქამდე ჩამოსვლას ორსაათ ნახევარი დასჭირდებოდა. შემდეგ ძმამ კიდევ ჰკითხა, თუ შეიძლებოდა ჩვენს ქალაქში სხვა ექიმთან ჩატარებულყოფილ მსგავსი მკურნალობა. ის დაგვთანხმდა და მეც ასე მოვიქეცი. ვუთხარი მას, რომ არ მეშინოდა შოკური მკურნალობისა; უკვე მქონდა ამისი გამოცდილება, როდესაც საკონცენტრაციო ბანაკში ვიმყოფებოდი და მაწამებდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ სამედიცინო მკურნალობა ნაკლებად სასტიკი იქნებოდა, ვიდრე ის ელექტრო შოკები, რომლებსაც წამების ოთახებში ვიღებდით.

ვერ ვპოულობდი რაიმე მიზეზს იმისათვის, რომ უარი მეთქვა შოკურ მკურნალობაზე. თუ მე მართლაც შეშლილი ვიყავი, ეს დამეხმარებოდა ჯანსაღი გონების აღდგენაში. თუ არა და, ეს ტკივილი დაემატებოდა ტკივილთა იმ რიგს, რომლებიც

გამოვცადე ღმერთის ძიებაში; იმედი მქონდა, ღმერთი მხედველობაში მიიღებდა ამას და მოწყალებას მოიღებდა ჩემზე.

მოკლედ, დავასრულე სამკურნალო კურსები და მივიღე ის წამლები, რომლებიც ექიმმა დამინიშნა. იმედი მქონდა, რომ განვიკურნებოდი და დავივიწყებდი გადატანილ განცდებს, რომლებიც მტანჯავდნენ თუ ისინი გამოწვეული იყო ჩემი შეშლილობითა და ფსიქოსომატური დაძაბულობით. თუმცა შევამჩნიე, რომ ბიბლიის წაკითხვის დაუძლეველი სურვილი კვლავ მომეძალა. არ შეემძლო დაძინება, თუ რაღაც ნაწილს მაინც არ წავიკითხავდი ბიბლიიდან. გადავწყვიტე, ჩემთვის შემენახა ჩემი აღმოჩენები და არავისთვის არაფერი მეთქვა იმ გამოცდილების შესახებ, რომელსაც ამის შემდეგ შევიძინდი. ასევე გადავწყვიტე ქრისტიანივით მეცხოვრა და დამენახა ღმერთის მოქმედება. თუ ეს იყო გზა, ნაყოფებსაც უეჭველად დავინახავდი. მინდოდა, დამენახა ღმერთის მხარდაჭერა ამ არჩევანში; თუ ეს არ მოხდებოდა, ყველაფერს გვერდზე გადავლებდი.

როგორც უკვე ვთქვი, ვაგრძელებდი რეგულარულ ლოცვას ხუთჯერ დღეში: გარიჟრაჟზე, შუადღეს, სამხრობისას, მზის ჩასვლისას და ძილის წინ. არაფერს არ ვკითხულობდი ლოცვის დროს, მხოლოდ მამაო ჩვენოს ვამბობდი. თუმცა მაცბუნებდა შემდეგი გარემოება; რომელი რელიგიური წესები უნდა შემესრულებინა იმისათვის, რომ ჩემი ლოცვები უფრო სრულყოფილი და მისაღები გამეხადა, რათა მიმედწია გარკვეული დამსახურებისათვის ღმერთის წინაშე. ვიფიქრე, რომ საჭირო იყო ეკლესიაში წასვლა იმის შესასწავლად, თუ როგორ უნდა მეცა თაყვანი ღმერთისათვის. გულში ეკლესიაში წასვლის იდეა არ მომწონდა. როგორ უნდა წავიდე ეკლესიაში ამგვარ მდგომარეობაში მყოფი? როგორ უნდა წავიდე ეკლესიაში და თავი მოვაჩვენო მორჩილად და შემწყნარედ, მე ხომ ძალიან ანტაგონისტურად ვიყავი განწყობილი ქრისტიანობისადმი წარსულში? არა, არ წავალ ეკლესიაში. შესაძლოა, სხვა დროს მოხდეს ეს, მაგრამ ახლა არა.

ვცადე, ზოგიერთი ქრისტიანისათვის მეთხოვა დახმარება, მაგრამ ვინ დათანხმდებოდა ჩემთან საუბარს, ვინ მომეკარებოდა

ახლოს? ყველა მათგანი უარს ამბობდა ჩემთან შეხვედრაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ მე ან მათ მოკვლას ვაპირებდი ანდა მათ გადაყვანას ისლამზე. ბოლოს, ერთი მათგანი დამთანხმდა, შემხვედროდა ერთი თვის შემდეგ. უნდა დამეცადა. გადავწყვიტე, ეს დრო ქრისტიანული წიგნების კითხვისათვის გამომეყენებინა. მინდოდა, მცოდნოდა უფრო მეტი ქრისტიანობასა და ქრისტიანულ კონცეფციებზე.

უპირველეს ყოვლისა, გავიპარსე წვერი, რათა ნორმალური გამომეტყველება მქონოდა. ვითხოვე პერანგი და შარვალი და გალაბიას (ისლამური სამოსი) დავემშვიდობე. წავედი იმ წიგნის მაღაზიაში, სადაც შევიძინე ჩემი წმიდა ბიბლია. იმ მაღაზიაში არც ერთი წიგნი არ მომეწონა, ამიტომ წავედი მეორეში, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა. გარედანვე დავიწყე თაროების თვალიერება, რათა მენახა რა სახის წიგნები ჰქონდათ. წინათ ვერ ვბედავდი „ქრისტიანული“ წიგნების მაღაზიაში შესვლას. ახლა კი აქ ვიდექი და ვაპირებდი შიგნით შესვლას, მაგრამ მეშინოდა, რომ ისინი მომთხოვდნენ პირადობის მოწმობას (ეგვიპტეში პირადობის მოწმობაში მითითებულია ადამიანის რელიგია) და დაუძახებდნენ პოლიციას. შემდეგ კი ჩავვარდებოდი სახელმწიფოს საიდუმლო დაზვერვის ხელში, რაც მგლების ხახაში ჩავარდნის ტოლფასი იყო.

კარგა ხანს ვყოყმანობდი, გავბედე და შევედი შიგნით. ზოგიერთმა წიგნმა დამაინტერესა. არ ვიცოდი, რა სახის წიგნები უნდა წამეკითხა. თვალიერებისას წავაწყდი წიგნს, რომელმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება; გადავწყვიტე ამ წიგნის შეძენა. ბოლოს ვიყიდე რამდენიმე წიგნი, რომელთა სათაურები იყო: *ნიშანი, რომელიც მოითხოვს ვერდიქტს, ჩემი რწმენა და ქრისტეს მსხვერპლი*. დავამთავრებდი თუ არა წიგნის კითხვას, ვწვავდი მას.

როდესაც ყველა წიგნი წავაკითხე, წავედი იმავე მაღაზიაში, რათა სხვებიც მეყიდა. ორი წიგნი ვიპოვე: *მონოთეიზმი და სამეხა და ბიბლიური თეოლოგია*. როდესაც ვნახე ამ წიგნების ფასი, მივხვდი, რომ არ მქონდა საკმარისი ფული მათ შესაძენად, ამიტომ დავაბრუნე ისინი თაროებზე. ამ მომენტში ერთი მხცოვანი კაცი მომიახლოვდა და მკითხა: „რატომ დაღე უკან ეს წიგნები?“

ვუბასუხე, „არ მინდა ისინი“.

„თუ არ გინდა, რატომ მოათავსე ისინი პირველ ადგილზე?“

„ეს არ არის თქვენი საქმე. დაკითხვაზე ვარ?“

მხარზე დამადო ხელი, სახეზე მშვიდობიანი ღიმილი დასთამაშებდა. მითხრა: „ჩემო მეგობარო, აიღე ეს წიგნები და მე გადავიხდი მათ საფასურს. მოგცემ ჩემს მისამართს. თუ მოგეწონება წიგნები, შეგიძლია, დამიბრუნო ფული. თუ არა, შეგიძლია, თაროზე შემოაწყო ანდა დაწვა, დამიჯერე, არაფერს არ კარგავ“.

ვკითხე, როგორ მიხვდა, რომ არ მქონდა ფული წიგნების შესაძენად. მითხრა, რომ ეს სულიწმიდამ უკარნახა. გულში ვიფიქრე რა შეიძლება იყოს ეს სულიწმიდა? ბევრს ვფიქრობდი ამ საგანზე. გავყევი სახლში, ჩამოვჯექით რამდენიმე წუთით. მეშინოდა, რომ ახლა მას არ მოეკითხა ჩემი პირადობა და არ გაეგო, ვინც ვბრძანდებოდი. მაგრამ არა, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მადლობა ღმერთს. იმ კაცმა ჩემი სახელიც კი არ იკითხა.

გულმოდგინედ ვკითხულობდი ამ წიგნებს და სხვებსაც, ხან სახლში ხანაც სასტუმროს ოთახში, რომელსაც ვქირაობდი, რათა დავმტკბარიყავი იმ დროით, რომელსაც კითხვას ვუთმობდი. იმდენად ვიყავი ჩაფლული კითხვაში, რომ საჭმელადაც კი ვერ ვიცლიდი. მსურდა, ქრისტეს მიერ ნათქვამი ყველა სიტყვა გულში ჩამებეჭდა, რათა ჩემი ახალი ცხოვრების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადამედგა. ხშირად ჩავდიოდი კაფეში, რომლის კლიენტებიც უმეტესად ქრისტიანები იყვნენ. ამიტომ იქაც შემემძლო იმ წიგნების კითხვა, რომლებიც შევიძინე. მიყვარდა ბიბლიის სწავლებები. უფრო ზუსტად, რომ ვთქვა, მიყვარდა ბიბლიაში აღწერილი პიროვნებები. ისე, რომ მეცხოვრა, როგორც იქ იყო ნათქვამი, დედამიწაზე მოსიარულე ანგელოზს დავემსგავსებოდი. ერთი კითხვა მაწვალებდა ძალიან: „უფალო, შესაძლებელია, რომ მიგიღო, ვიცხოვრო ბიბლიური სწავლების მიხედვით და უკეთესი გამხადო? შემიძლია, მყავდეს მეგობრები, თუნდაც ისე არ სწამდეთ, როგორც მე? შემიძლია მიყვარდეს დედა, მამა, ძმები და დები, თუნდაც არ მიიღონ ჩემი ახალი რწმენა? შემიძლია, მიყვარდეს მეგობრები, თუნდაც არ

გაიზიარონ ჩემი რწმენა და არ დაიჯერონ, რასაც მე ვეტყვი? შეგიძლია, გააკეთო ეს ჩემთვის, უფალო? შემიძლია, მიყვარდეს ჩემი ქვეყანა და ისეთივე ერთგული ვიყო მისი, როგორც სხვა ადამიანები?“ მინდა, რომ ეს შესაძლებელი იყოს.

როცა ვინმე ახალი მოვიდოდა ხოლმე ისლამურ ჯგუფში, პირველი ნაბიჯი, რომელსაც ისინი მიმართავდნენ, გახლდათ ერთგულების ამოძირკვა ყველაფრის და ყოველივეს მიმართ, იქნებოდა ეს ქვეყანა, ოჯახი, არა აქვს მნიშვნელობა. ადამიანი მხოლოდ ალაჰის ერთგული და ემირზე მიწებებული უნდა ყოფილიყო. აი, რატომ ვერ ვიჯერებდი, რომ შემეძლო შევცვლილიყავი ანდა სიყვარული მქონოდა. იმ ნათელხილვამ და პიროვნებამ, რომელმაც მითხრა: „ადექი, ქრისტე გეძახის!“ კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩამაყენა. ვიცოდი, რომ რომელიმე წინასწარმეტყველის ხილვა ღვთაებრივი წინამძღოლობის ნიშანი იყო, მაგრამ რა სახის წინამძღოლობა იყო ის, ამ განსაკუთრებულ მომენტში? ქრისტიანული რწმენისადმი იყო ეს წინამძღოლობა თუ მუსლიმური რწმენისადმი?

ჩემი გონება იმდენად იყო შეშფოთებული ამ აზვირთებული ფიქრებით, რომ ქუჩაში ჩემი სიარული სირბილს უფრო ჰგავდა, თითქოს ვიღაც მომდევდა. აღარ ვიცოდი თავი სად შემეფარებინა. ძალიან ძნელი დრო იყო ეს ჩემთვის. ბოლოს და ბოლოს, მივიღე გადაწყვეტილება, წავსულიყავი ეკლესიაში. მინდოდა, ის ადამიანი გავმხდარიყავი, რომელიც ღმერთს სურდა, რომ ვყოფილიყავი. გავიგონე შინაგანი ხმა, რომელიც მეუბნებოდა: მთელი შენი ცხოვრება ისლამურ რწმენაში გაატარე, მაგრამ ჯერ არ გიცხოვრია ქრისტიანული რწმენის მიხედვით, რომ იცოდე როგორია ის. შენ ჯერ არ გიცხოვრია ქრისტიანული რწმენით, რომ იცოდე რომელია უკეთესი და რომელია ღმერთთან უფრო ახლოს, ქრისტიანობა თუ ისლამი“. მრავალი ეკლესია მოვიარე, რისი გაკეთებაც სულ არ იყო ადვილი. მიწევდა ჭიდილი ღემონურ ძალასთან, როცა ვიდექი ეკლესიის წინ და ვაპირებდი შესვლას. ავი სული მეჩურჩულებოდა: „ამასაც მოვესწარით? რა სირცხვილია! რა დიდი განსხვავებაა, როდესაც ასე წელში მოხრილი შედიხარ

ეკლესიაში და როდესაც შედიხარ თავაწეული, რათა განადილო ალაჰის სიტყვა! დაგავიწყდა, რას უკეთებდი ეკლესიებს წარსულში? თუ დაგავიწყდა, შემიძლია, გაგახსენო. დაგავიწყდა, რომ ამბობდი: 'ჭეშმარიტება გამოცხადდა (ახლა), სიცრუე კი განადგურდა; ვინაიდან სიცრუე (თავისი ბუნებით) ახლოა განადგურებასთან.' სად არის ის ჭეშმარიტება, რომლისთვისაც მზად იყავი თავი გაგეწირა? შენ ახლა წასასვლელი არსად გაქვს, მხოლოდ ეკლესიაში – ულმერთობის, პოლითეიზმისა და მგმობელების ბუნაგში. იქნებ აპირებ, რომ ირწმუნო მრავალი ღმერთი თვინიერ ერთისა, როდესაც ერთგულებისა და რწმენის ასეთი გზა გადალახე? გამოიღვიძე; მონანიე და ითხოვე მიტევება; გაიმეორე ორი შეჰადასი (დამოწმება): „გამოწმებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მოციქული მისი“. აღქე, ჩამოირეცხე ეს ბოროტი ფიქრები და დაუბრუნდი ალაჰს, განაგდე ბოროტი“.

ამის შემდეგ დავინახე, რომ გაუცნობიერებლად (თითქოსდა მძინარე) დავდიოდი ეკლესიაში. ეს კვლავაც ძნელი იყო და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოსდა ვიღაც უკან მეწეოდა, რომ იქ არ შევსულიყავი. ხანდახან წამოვიყვირებდი ხოლმე: „მე უნდა წავიდე ეკლესიაში. უნდა წავიდე; ყოველგვარი მიზეზის გარეშე უნდა წავიდე“. ისიც საკმარისი იყო, რომ უკვე აღარ მყავდნენ მეგობრები და ოჯახის წევრებსაც გული აუცრუვდათ ჩემზე. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე შეწყალება და სიბრაღული უცხო ხილი იყო ჩემთვის. ვკლავდი და ვპარცვაავდი, ამიტომ დავრჩი ნათესავების, მეგობრების, თანამშრომლებისა და საერთოდ ყველას გარეშე. შეეძლო ღმერთს ბედნიერი ყოფილიყო ჩემით ასეთ მღვდმარეობაში? მოიწონებდა ღმერთი მკვლევლობას, სიძულვილს, მტრობასა და ვანდალიზმს მათ მიმართ, რომლებიც უარს ამბობდნენ მიელთ ის, რასაც ჩვენ ვამბობდით?

ვთქვი: „ღმერთო, შემიწყალე მე. უბადრუკი და მარტოსული ვარ. მინდა მქონდეს ნორმალური ცხოვრება, მინდა, მიყვარდეს ჩემი ქვეყანა, ოჯახი, მეგობრები, მაგრამ როგორ მივალწიო ამას? ამ ორი გზიდან, რომლით შევძლებ ამის მიღწევას?“

ამგვარად, გადავწყვიტე, წავსულიყავ ეკლესიაში, სიცოცხლის ფასადაც, რომ დამჯდომოდა. სწაფად მივაბიჯებდი ეკლესიისაკენ. ხუცესის დამოკიდებულება ისეთი არ იყო, როგორსაც მოველოდი. მან არ მომიხმინა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ბოროტის გამქირდავი ტონი ჩემდამი. როდესაც დავტოვე ეკლესია, იმ დღეს გარკვეული შინაგანი სიმშვიდე ვიგრძენი, მიუხედავად იმისა, რომ მარცხი განვიცადე, დამერწმუნებინა ხუცესი, მოესმინა ჩემთვის. ამან გამამხნევა და გადავწყვიტე კიდევ მეცადა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ყველა ცდა წარუმატებლად დამთავრდა. ვცდილობდი, რომელიმე ხუცესი მაინც დამლაპარაკებოდა და აეხსნა, რა უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რომ ქრისტეს ხსნა მიმეღო. ტექსტი ამბობს: „ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება“. მოსვენებას არ მაძლევდა კითხვა: როგორ უნდა ვირწმუნო? რა უნდა გავაკეთო? როგორ უნდა ვილოცო, ვიმარხულო, გავწიო პილიგრიმობა, ანდა გავილო მოწყალება?

უკანასკნელად როდესაც გამოვედი ეკლესიიდან, გულდამძიმებული ვიყავი, როგორც მათ თქვეს: „მწველი სირცხვილით დაფარულები“. სატანა კვლავ მეჩურჩულებოდა: „უარი გითხრეს, ხომ ასეა. ეს გაკვეთილია შენთვის. კიდევ უფრო მეტს იმსახურებ და ღმერთი კიდევ უფრო მწარე გაკვეთილებს ჩავიტარებს“. თუმცა დემონური ჩიჩინი დიდხანს აღარ გავრძელებულა. მოვისმინე წყნარი, ტკბილი ხმა, რომელიც შინაგანად მეუბნებოდა: „შენ ადამიანებს არ სცემ თაყვანს (ემსახურები), ნუ დაგაღონებს მათი დამოკიდებულება. ვინაიდან შენ ღმერთს სცემ თაყვანს, ის არ დაუშვებს შენს დაცემას. ის არასოდეს გაგიცრუებს იმედს და არასოდეს არ დაუშვებს იმას, რომ გზას ასცდეს. იყავი მომთმენი და როდესაც იპოვი, მაგრად ჩაეჭიდე. შენი ტანჯვის დღეები დიდხანს არ გავრძელდება. ღმერთი არასოდეს არ უგულებელყოფს თავის მაძიებლებს. განა არ წავიკითხავს, 'მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოვასვენებთ თქვენ' (მათე 11:28)?

უთხარი: „წამიკითხავს, უფალო, ახლა თუ არა, ბევრჯერ, როდესაც სამედიცინო სკოლაში დავდიოდი და ჩავუკლიდი

ხოლმე იმ ეკლესიის კედელს, რომელზედაც ის ეწერა“. გულით ვიცი ეს სიტყვები და თვალდახუჭულმაც ვიცი, რადგანაც ასე ვიქცეოდი, როცა ვცდილობდი, არ დამენახა და არ წამეკითხა ისინი. ხმამ მითხრა: „გადაეცი შენი ცხოვრება ღმერთს და ის დაგეხმარება მის გასრულებაში“.

ვთქვი: „ღმერთო, გწირავ ჩემს სიცოცხლეს. გთხოვ, დამიხსნა ამ გარემოებებიდან. მასწავლე შენი გზები. დაკარგული და დაბნეული ვარ. ეს ხშირად მეძარბება, უფალო“. ასე ხდებოდა, როდესაც მძიმე დრო დამიდგებოდა ხოლმე, მივმართავდი ბიბლიას, რათა მშვიდობა და შინაგანი სიწყნარე მეპოვა.

ბოლოსდაბოლოს ვიფიქრე, რომ დავლაპარაკებოდი ერთ-ერთ ქრისტიანს, რომელთანაც ვმუშაობდი, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო ამისათვის მზად. მათ ეშინოდათ ჩემი, ფიქრობდნენ, რომ ხაფანგს დავუგებდი და რაიმე ზიანს მივაყენებდი, როგორც წარსულში ვაკეთებდი ამას. ზოგიერთი ქრისტიანი კი იმიტომ არ მელაპარაკებოდა, რომ ეგონათ, ისლამზე ვაპირებდი მათ მოქცევას. თუმცა თუ ღმერთი რაიმეს მოისურვებს, ვერავინ ვერ შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას. ერთხელ გავყევი ჩემს მეგობარ ინჟინერს, რომელსაც ერთ-ერთი თავისი ამხანაგის ნახვა სურდა. უკან, რომ ვბრუნდებოდი, ხუმრობით მითხრა, გვენახა მისი ქრისტიანი მეგობარი. მან იცოდა, როგორ მძულდა ქრისტიანები. ჩანდა, რომ ფიქრობდა ჩემს დაცინვას, ამიტომ არ მოელოდა, რომ ასე სწრაფად დავთანხმდებოდი. კიდევ გამიმეორა: „დარწმუნებული ხარ, რომ გინდა ამ პიროვნების ნახვა? ის ქრისტიანია!“

დავუდასტურე: „ჰო, ვიცი და თანახმა ვარ, ვნახოთ ის“. მთხოვა, რომ თავდაჭერილი ვყოფილიყავი. შევპირდი, რომ ასეც მოვიქცეოდი. წავედით იმ ქრისტიანი კაცის სანახავად, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, ვინც ვიყავი. ქუჩაში ვხვდებოდი ხოლმე და სხვა მუსლიმებსაც ვაქეზებდი მის წინააღმდეგ, რათა ძალა დაეტანებინათ მისთვის გამხდარიყო მუსლიმი. როდესაც დამინახა კართან მდგარი, გაოცდა. მაშინვე დახურა კარი და შევარდა ოთახში. ჩემმა მეგობარმა განაგრძო კაკუნი, ის იძულებული გახდა, გაეღო კარი და საყვედურებით აავსო მეგობარი. უთხრა: „რამ გაფიქრებინა ამ

კაცის აქ მოყვანა? დაგავიწყდა, რა დღეში მაგდებდა? თუ ღმერთი გწამს, მშვიდობიანი კაცი ვარ და არ მინდა პრობლემები“.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ნება მოგვცა, შევსულიყავით შიგნით. მის სახლში დიდი ზომის ბიბლიამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ის მოთავსებული იყო შუა ოთახში მდგარ პატარა მაგიდაზე. ავიღე ბიბლია და გადავფურცლე. მოულოდნელად ვკითხე: „ეს არის შენი წმიდა წიგნი?“ ენის ბორძიკით მიპასუხა: „ჰო, არის; ყურანიც წმიდა წიგნია. ყველა წიგნი ღმერთისგანაა. ყველა კარგია – ყურანიც და ბიბლიაც, მუჰამედიც და ქრისტეც – ყველა კარგია“.

აშკარა იყო, რომ ეშინოდა. მას ისე ეშინოდა ჩემი, რომ როდესაც ვცდილობდი ახლოს მივსულიყავი მასთან, უკან იხევდა. გამოგვივიდა თამაში, მე ვუახლოვდებოდი ის უკან იხევდა. ოთახში წრეებს ვუვლიდით. ბოლოს და ბოლოს კუთხეში მივიმწყვდიე, წასასვლელი აღარსად ჰქონდა. ვკითხე: „ასე რატომ იქცევი? მე მხოლოდ შენთან საუბარი მსურს“.

ვიცოდი რა, რომ ჩემი მეგობარი მეორე ოთახში გავიდა დასასვენებლად, შევეცადე, გამომეყენებინა ჩემი შანსი და გამეხადე საუბარი ჩემს მასპინძელთან. ჩემი მიზანი იყო, მესწავლა ღვთისაკენ მიმავალი ქრისტიანული გზა, თუმცა ის თავს იკავებდა და არსებითს არაფერს მეუბნებოდა. შევეკითხე, თუ მოვახერხებდი და სხვა დროს მივიდოდი მასთან სასაუბროდ, იყო თუ არა თანახმა. დამთანხმდა, თუმცა თქვა, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით მარტონი. ვუთხარი, რომ ჩემთვის უკეთესიც იქნება, თუ ჩვენს საუბარს სხვებიც დაესწრებიან. დამიწერა მისამართი და დანიშნულ დროს ვეწვიე. ოთახში, რომ შევედი, ერთი ღუშინი მისი მეგობრები დავინახე. მას ძალიან ეშინოდა ჩემი. ცოტა ხანს ვესაუბრე მას და არ ვძალავდი, რომ მე ამ შემთხვევაში დამარცხებული მხარე ვიყავი, რომელიც ცდილობს მშვიდობიანი შეთანხმება დადოს გამარჯვებულ მხარესთან. თავდახრილი და შერცხვენილი ვიდექი მათ წინ.

გამახსენდა, რასაც წარმოვადგენდი. ახლა კი აქ ვიდექი და ვეხვეწებოდი ამ კაცს, ეთქვა ის სიტყვები, რომლებიც მიწინამძღვრებდნენ და დამეხმარებოდნენ ჩემს ბრძოლაში. ეს

იყო მშვიდობა ღვთისა და სურვილი ხსნისა, რომლებიც ზემოქმედებდნენ ჩემზე და მაიძულებდნენ, გამეწირა ყველაფერი იმისათვის, რათა მეპოვა ღვთის სასუფეველში შესასვლელი გზა, რომელსაც ასე დაუცხრომლად ვეძიებდი. ვეძიებდი ყოველ კუთხესა და კუნჭულში, ვეძიებდი მგზნებარედ და ველოლიავებოდი ნანინანატრ მიზანს. ახლა მხოლოდ ქვის სასროლ მანძილზე ვიყავი მიზნისაგან, რომელსაც სხვაგან ვერსად ვიპოვიდი გარდა იმ წიგნისა, რომელიც ეკუთვნოდა ჩემს ქრისტიან მეგობარს.

მზად ვიყავი, არც ერთი ქვა არ დამეტოვებინა გადაუბრუნებელი, სანამ უფლისაკენ მიმავალ გზას არ ვიპოვიდი. ჩემმა ახალმა მეგობარმა ბიბლია კარგად არ იცოდა, ამიტომ არ შეეძლო, ჩემთვის სრული ინფორმაციის მოცემა. გარდა ამისა, ოჯახური პრობლემებიც ჰქონდა. სხვებისაგან მოვისმინე, რომ თავისი ოჯახური პრობლემების მოგვარებას ისლამზე მოქცევით აპირებდა, რათა მიეღო უფლება მეორე ცოლის მოყვანისა. ასეთმა გადაწყვეტილებამ აღმაშფოთა. ცხადია, გულში ბზარი გამიჩნდა მის მიმართ და იმასაც ვგრძნობდი, რომ მას არ შეეძლო, მოეცა ჩემთვის ის, რაც მჭირდებოდა. გარკვეულ ხანს ჩემი ურთიერთობები მასთან განმტკიცდა და გამიჩნდა შესაძლებლობა, უფრო ხშირად მომენახულებინა. გამომიყო წყნარი ადგილი, სადაც თავისუფლად შევძლებდი კითხვასა და ფიქრს. არ ცდილობდა, რაიმე აზრი თავს მოეხვია ჩემთვის. გამაჩნდა ერთი სპეციფიკური ხედვა, რომელიც გულისხმობდა იესო ქრისტეს შემეცნებას, ყოველგვარი ფუნქციებისა და დენომინაციებისა გარეშე, რათა თავი ამერიდებინა იმისათვის, რაც ისლამში გადავიტანე.

საქმეები ისე არ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო. ჩვენი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა მისი მეშვეობით სხვა ქრისტიანს გავიცანი, რომელიც უკეთ იყო გათვითცნობიერებული ბიბლიაში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჩვენ ერთმანეთთან ვერ ვიყავით კარგად. წარსულში, როდესაც მან მთხოვა, რაღაც გამეკეთებინა მისთვის ჩემი სამუშაოს შესახებ, მცდარი ინფორმაცია მივეცი, მეტიც, სხვებიც გავაქეზე მის წინააღმდეგ. საჩუქრებსაც კი ვაძლევდი მათ, რომ მისთვის

ზიანი მიეყენებინათ. ამიტომ არ ველოდი, რომ მიმიღებდა. თუმცა ის მაინც დათანხმდა ჩემთან შეხვედრას ერთი თვის შემდეგ. მთხოვა, დამედასტურებინა ჩემი ვიზიტის შესახებ ერთი კვირით ადრე და დამერეკა. ვგრძნობდი, რომ წრე თანდათან პატარავდებოდა ჩემ გარშემო. ეკლესიის ხუცესებს არ სურდათ ჩემთან საუბარი, არც ცალკეული პიროვნებები იყვნენ ამისათვის მოწადინებულნი. ქრისტიანების თვალში საეჭვო ვიყავი. მათთვის ჩემი სახელის გაგონებაც კი უსიამოვნო გრძნობების აღმძვრელი გახლდათ. ყოველს, ვისაც უნდოდა სხვების დაშინება, შეეძლო უბრალოდ ეთქვა: „მე შევატყობინებ შენს შესახებ ამას და ამას“. იმ საფრთხობელასავით ვიყავი, რომლითაც ჩიტებს აშინებენ მინდორში. სამი კვირის შემდეგ ვცადე, დაგკავშირებოდი იმ კაცს, რათა დამედასტურებინა ჩემი ვიზიტი. რადგან სახლში არ მქონდა ტელეფონი, უნდა გავსულიყავი ქუჩაში და საზოგადო ტელეფონით მესარგებლა.

როდესაც სახლიდან გავდიოდი, თან მიმქონდა ჩემი ხელნაწერები, რათა ვინმეს არ ჩავარდნოდა ხელში. ეს თუ ასე მოხდებოდა, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ დავდებოდი, ვინაიდან ისინი ნახავდნენ ჩემს გამოკვლევებს ქრისტეს ღვთაებრიობაზე, ყურანის მცდარობაზე, მუჰამედის წინასწარმეტყველების უტყუარობაზე და ასე შემდეგ. ამ ფურცლებს და ბიბლიასაც პლასტიკურ ჩანთაში ვდებდი და ისე გავდიოდი გარეთ. მას შემდეგ, რაც დავურეკე ამ პიროვნებას ტელეფონის ერთ-ერთი ჯიხურიდან, რომელიც მატარებლების სადგურში იდგა, თავზარი დამეცა, ვინაიდან ვნახე, რომ ჩანთა ჩემთან აღარ იყო, ყველაფერი დაკარგულიყო – ჩემი საფულე, პირადობის მოწმობა, ბიბლია და ყველა გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, უცნაური სახის სიმშვიდე და სიწყნარე მქონდა, რომელიც უსაფრთხოების ოფიცრებთან და საიდუმლო პოლიციასთან ურთიერთობების დროს ავითვისე. ჩემი გონება ორ უმთავრეს საკითხზე ფიქრობდა.

პირველი, პიროვნებას, რომელმაც მოიპარა ჩემი ჩანთა შეეძლო, წაეკითხა ნამუშევრები და გაეგზავნა ისინი სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო დეპარტამენტში. ამის შემდეგ სულ ადვილი მისაწვდომი ვიქნებოდი მათთვის;

ქალღმერთებში ხომ ჩემი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტიც იყო. ყურანზე თავდასხმისათვის სასჯელი არ ამცდებოდა. ამ შემთხვევაში შესაძლო სასჯელი მხოლოდ სიკვდილით დასჯაა. თუმცა, ეს ფიქრი დიდად არ მამოფოთებდა, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ როდესაც ჩემს შემოქმედთან ჩემი შეხვედრის დრო დადგებოდა, წამითაც ვერ შევძლებდი მის გადაღებას. ცხადია, რომ ყოველმა არსებამ უნდა იგემოს სიკვდილი.

მეორე, საბაგელი ეჭვი და ეშმაკური ფიქრი შემოდგრა ჩემს გონებაში; რომ ღმერთს ძალიან ვუყვარვარ და ამიტომ სურს მკაფიოდ მიმანიშნოს, რომ ჩემი სვლა ქრისტიანობისაკენ მხოლოდ სიყალბე იყო. რაღაც ამღვრეული განცდა დაეუფლა ჩემს გონებას; რომ ქრისტიანობა სხვა არაფერია, თუ არა ბოროტის ბილიკი; სწორედ ამიტომ გააქარწყლა ღმერთმა ბიბლია და მისი გესლი და დაიცვა თავისი წმიდა ყურანი და თავისი მოციქული.

ეს ხმა მეჩუჩულებოდა: „ახლა შენ შეუმცდარი მტკიცებულება გაქვს იმისა, რომ იდექი ქრისტიანობის მცდარ გზაზე და გადაუხვიე ჭეშმარიტებას. ადექი და მოინანიე! არ დააყოვნო და ითხოვე მიტევა ღვთისაგან, ვინაიდან ის მრავლის მიმტევებელი და მოწყალეა მათ მიმართ, ვინც სინანულს განიცდის და სიკეთის გზას ადგება. ადექი ახლავე და თავი განიწმიდე იმ უგვანი ფიქრებისაგან, რომლებიც ბოროტისაგან მოდიოდნენ, გატყუებდნენ და მიგდრეკდნენ პოლითეიზმის, გმობისა და უღმერთობისაკენ!“ მე უარი ვთქვი ბოროტის რჩევებზე.

როდესაც ჩემმა ქრისტიანმა მეგობარმა შეიტყო იმის შესახებ, რაც დამემართა, შიშის ზარი დაეცა. მთხოვა, რომ აღარ მენახა და არც დამერეკა გარკვეულ ხანს, სანამ არ გავიდოდა რაღაც დრო და არ გაირკვეოდა რაიმე. კიდევ ერთხელ გამიჩნდა კითხვა, უნდოდა თუ არა ღმერთს, მიმეტოვებინა ეს რელიგია.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი გულით და სულით სიღრმემდე მსიამოვნებდა ბიბლიის ყოველი სიტყვა და მთელი ძალისხმევით ვცდილობდი, ყოველთვის დროულად წარმომოთქვა მამაო ჩვენო, ჩემს ხასიათში არსებითად არაფერი შეცვლილა. ქრისტიანების მიმართ კვლავ ვგრძნობდი მტრობასა და

სიძულვილს და არც არავის პატიება არ შემეძლო. დედისათვის „დილა მშვიდობისა“, რომ მეტყვა, ისიც კი არ შემეძლო. სახლიდან, რომ გავდიოდი სახეზე ყოველთვის მრისხანება, სიძულვილი და მტრობა მეხატა. შეგნებულად გამოვხატავდი მრისხანებას მშობლებისა და ძმების მიმართ, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ არიან უღმერთოები და ამ მიზეზის გამო მძულს ისინი. ამ დროს იმდენად ვიყავი სავეჯი ჯანყისა და მტრობის სულისკვეთებით, რომ ბიბლიის სიტყვების ჭეშმარიტებაშიც კი შემეპარა ეჭვი.

ყველა ეს ფაქტორი ჩემი ქალღმერთის დაკარგვას დაემთხვა; ეს იყო უმოწყალო შეტევა, რათა დანგრეულიყო ღმერთის შრომა ჩემში, მცდელობა იმისა, რომ გამქრალიყო ჩემი მიძღვნა და მხარდი სიყვარული ბიბლიისადმი. კვლავ ვემდურებოდი ღმერთს ყოველივე იმისათვის, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა. ამ გამოცდის ჟამს გამიჩნდა ფიქრი; მონაწილეობს თუ არა ღმერთი იმაში, რომ როცა ნაბიჯს ვდგამ მისკენ, ყველაფერი უკუღმა ტრიალდება. „უფალო, რატომ ხდება ყოველივე ეს? რატომ მე? რა გავაკეთე ისეთი, რომ ამას ვიმსახურებ? თუ იმისათვის მსჯი, რაც ადრე დაემართე ქრისტიანებს, გთხოვ, რომ მომიტევე, რადგანაც ვინანიებ ყოველივეს. გთხოვ, მოწყალე იყავი ჩემს მიმართ, შენ ხომ ჩემი გულისათვის მოკვდი ჯვარზე, ან იქნებ შენი ჯვარი არაფერია, არამედ ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ მასზე. ვინ ხარ შენ, რომ ნებას აძლევ ჩემისთანა პიროვნებას მოგიახლოვდეს? რა შემიძლია გავაკეთო იმისათვის, რომ გასიამოვნო? ჩემი სიცოცხლე მტვერს დაემსგავსა. და თუ ასე გაგრძელდება, მაშინ სიკვდილი გაცილებით ადვილი იქნება, ვიდრე ასეთი ცხოვრება. გთხოვ, ღმერთო წაიღო ჩემი სული. თუ არ შემიწყალებ, თავს მოვიკლავ და ჯოჯოხეთში წავალ; ვინაიდან თუ არ განფენ შენს წყალობას ჩემზე, დიდად არ დავზარალდები, მაინც ჯოჯოხეთია ჩემი ხვედრი“.

ვკენესოდი, ტკივილსა და აგონიაში ჩაფლული. ავდექი ცრემლიანი თვალებით. დედაჩემმა დამინახა და მხარზე ხელი მომიტათუნა, შემდეგ ჩემთან ერთად ატირდა. მკითხა, რა მემართებოდა. ვუთხარი: „დამტოვე მარტო. არ მინდა არავისთან ლაპარაკი. ერთხელ გელაპარაკე და გიჟად ჩამთვალე. ღმერთმა

მოგიტევოს“. შევედი ჩემ ოთახში, წყალი გადავივლე, მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, რათა განმეწმინდა ჩემი სხეული უწმინდურებისაგან, ანუ ქრისტიანული ფიქრებისაგან. მინდოდა ტანის დაბანაც ყოველივე იმის შემდეგ რაც გადავიტანე. ვაგრძელებდი ფიქრსა და განსჯას იმაზე, მომიტევენდა თუ არა ღმერთი იმას, რაც ვოტკვი მისი წინასწარმეტყველის მუჰამედისა და მისი წმიდა ყურანის მისამართით. ისე ვგრძნობდი, თითქოს ვილაც მელაპარაკებოდა და ამბობდა: „შენ არავისათვის არ შეგიტევია და არც არავისზე ვითქვამს სიცრუე. დასკვნები, რომელთაც შენ მიაღწიე, არ იყო შენგან გამომავალი; ისინი თავისთავად ცხადია“. ავდექი, გავშალე სამლოცველო ხალიჩა და გავიმეორე ორი ისლამური დამოწმება, რათა დავბრუნებულიყავი უკან, ისლამში. ვცდილობდი ლოცვას, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ვერ შევძელი სიტყვის დამოწმება ყურანიდან. ველარც შუბლის დაბლა დადება შევძელი. ამიტომ ხელები შემოვიწყე თავზე და ასე გავჩერდი.

შემდეგ გარეთ გამოვედი და მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიმეორებდი: „უფალო, თუ განრისხებული არა ხარ ჩემზე, აღარ არის საჭირო მეტი ტკივილი. თუ დამსჯი იმისათვის, რაც ახლახან გავაკეთე, გთხოვ, მაპატიო და შეამსუბუქო ჩემი სასჯელი. თუ ჩემი წინამძღოლობის წინააღმდეგი ხარ, ეს უცხოა შენი ბუნებისათვის. უფალო, მე უკვე აღარ მაქვს ძალა, გავუმკლავდე ჩემს მდგომარეობას. თუ თავს არ გამომიცხადებ, წარმავლობის გზას დავადგები. მიყვარხარ, უფალო. მე გავაკეთე ის, რაც მებრძანა, რომ გამეკეთებინა. გავაკეთე ის, რასაც სხვები ვერ აკეთებდნენ; გავაკეთე მხოლოდ იმიტომ, რომ შენთვის მესიამოვნებინა. როდესაც გამომიცხადე შენი ნათელი და მომიწოდე, არ დამიყოვნებია. როდემდე უნდა დამტოვო წყვილიაღში? ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, სიყვარულის გამოცდაა, რაც შენ მოამზადე ჩემთვის, რათა შენთან მიმიყვანო. შენ კეთილი მწყემსი ხარ. გთხოვ, უფრო დიდი სიყვარული მომცე შენდამი და მიწინამძღვრო და მომამზადო შენთან შესახვედრად!“

იმ ღამით ღრმად დამეძინა. ასე არასოდეს მძინებია ჩემს ცხოვრებაში. მესიზმრა: იდგა ერთი კაცი განიერი მხრებით,

სქელი წვერით, სპილენძისფერი სახით, გრძელი თმითა და ძალიან ლამაზი აღნაგობით. მხრები დამიჭირა, მსუბუქად შეძანჯღრია და თქვა: „კიდევ გაქვს ეჭვები ჩემში?“ ვუპასუხე: „ვინ ხარ შენ, რომ ეჭვები მქონდეს შენში? მე არ გიცნობ“. „მე ვარ ის, ვისაც ეძებ“. ვთქვი: „გთხოვ, გამოაცოცხლო ჩემი მახსოვრობა“. „წაიკითხე წიგნში. რატომ აღარ კითხულობ წიგნს?“ „არ იცი, რომ დავკარგე წიგნიც და მთელი ჩემი ქალაქდებიც, როგორღა შევძლებ წაკითხვას ახლა?“ „წიგნის დაკარგვა შეუძლებელია,“ თქვა მან „ადექი და გახსენი შენი ჩანთა და იქ იპოვი; დანარჩენი ქალაქდებიც ერთ კვირაში დაგიბრუნდება“. წამოვხტი და პირდაპირ პატარა ჩანთისკენ გავეშურე, რომელიც ჩემი ოთახის კუთხეში იდო. ჩემდა გასაოცრად, მართლაც იქ იყო ის წიგნი, რომელიც დავკარგე. აკანკალდი, თითქოს ზამთრის ცივი ღამე ყოფილიყოს. მაგრად ჩავიხუტე ბიბლია, როგორც ის ბავშვი, რომელიც დიდი ხნის განშორების შემდეგ დაუბრუნდა თავის დედას.

მაშინვე გავვარდი დედისაკენ, გავაღვიძე და კინაღამ დავახრჩე კოცნით. დიდი სიხარულით შევატყობინე იმის შესახებ, რაც მოხდა. ვთქვი: „აღარასოდეს მოგცემ იმის ნებას, რომ გიჟი დამიძახო“. მაგრად მივიხუტე მკერდზე და ცრემლიანი თვალებით ვუთხარი: „მაპატიე, დედა, ასე, რომ გექცეოდი. ეს, ალბათ, იმიტომ ხდებოდა, რომ ჭეშმარიტი რწმენის ძიებაში ვიყავი. თუმცა ახლა ვიცი, რა არის ჭეშმარიტი რწმენა. ნება მომეცი, ფეხები დაგიკოცნო, სხვა არაფერი მომდის ახლა თავში“. მან თქვა: „მითხარი შვილო, რა ამბავია შენს თავს?“

„ყველაფერს გეტყვი, მაგრამ შემომფიცე ის, რაც ძვირფასია შენთვის, რომ აღარ იფიქრებ გაგიჟდაო ჩემი შვილი. დედა, ღმერთი გამოძეცხადა“. მან მკითხა: „კი მაგრამ აქამდე სად იყავი?“ „ღმერთი, რომელიც მე გამოძეცხადა არ არის ის, რომელსაც ადრე მივეყვებოდი“. „არის კიდევ სხვა ღმერთი?“ „არის,“ ვუპასუხე. „არის ღმერთი, რომელიც მეუბნება, რომ მიყვარდე და დაგემორჩილო“. „ვინ არის ეს ღმერთი?“ ვუთხარი: „ქრისტე, ანუ ისა, როგორც ყურანი ეძახის მას“. შემეხვეწა: „გთხოვ, შვილო, ნუ იტყვი ამას შენს ძმებთან. ისინი იფიქრებენ,

რომ შენ მართლაც გაგიჟდი“. თავი დაუქნიე: „კარგი, ისე მოვიქცევი, როგორც მეუბნები, მაგრამ შენ გჯერა ჩემი?“

„რატომ არ უნდა დაგიჯერო? ეს ხომ აშკარაა; არასოდეს არ მომქცევინარ ასე ამ ოცი წლის მანძილზე. წადი და შენი ღმერთი იყოს შენთან. მაგრამ საიღუმლოდ შეინახე ეს“. ვუპასუხე: „აბა ყური დაადე ჩემს ფეხსაცმელს და მიხვდები იმას, რასაც ვგრძნობ. მინდა, რომ ვიდგე დიდ მოედანზე და მთელი ქვეყნის გასაგონად ვიყვირო, რომ ქრისტეა ღმერთი და მან შემცვალა მე. მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ვერ შესძლო მუჰამედის ღმერთმა“.

მან ხელი დამაფარა პირზე, რომ აღარაფერი მეთქვა. მოვიცადე, სანამ რიჟრაჟი დადგებოდა და მზე გამოჩნდებოდა, რათა გავსულიყავი გარეთ, ადამიანებთან, როგორც ახალდაბადებული ჩვილი, რომელმაც თვალი აახილა და დაინახა სამზეო. აღრიანად გავედი, ყველაფერს ვათვალისწინებდი; სხვა თვალთ ვუყურებდი და ვხედავდი მშვენიერებას. ყველა ადამიანი კეთილი ჩანდა ჩემს თვალში. ყველა შემხვედრს ხელს ვართმევდი, ნაცნობსა და უცნობს.

წავედი ქრისტიანული მაღაზიისკენ. ამ ადამიანს იმდენად ვაწუხებდი, რომ როდესაც დამინახა, იფიქრა თავდასხმისთვის მოვიდაო. დაიწყო ფაციფუცი, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაეკეტა მაღაზია. დავუძახე: „ნუ გეშინია“. შეცბუნდა და არაფერი უთქვამს. მოვეხვიე და პატიება ვთხოვე. ატირდა. რაღაც სიტყვები თქვა, რომელთა მნიშვნელობაც იმ წამს ვერ გავიგე; მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი მათ მნიშვნელობას. მან თქვა: „ალილუია, დიდება უფალს“. ვკითხე: „რა თქვი ახლახან?“ მიპასუხა: „მოვა დრო და შენ გაიგებ ამ სიტყვების მნიშვნელობას“. ამის შემდეგ ის წავიდა. ადამიანებს ახალი თვალთ ვუყურებდი. ადამიანები მაშტერდებოდნენ და უკვირდით ჩემი ცვლილება. ჩემი კოლეგებიც კი გაოცებულები იყვნენ ჩემი ქცევის ასეთი უეცარი, რადიკალური ცვლილებით. მათი გაკვირვებული თვალები ამბობდნენ: „ეს კაცი მტერივით გვიყურებდა გუშინ. ერთი შეხედეთ – ის ახლა მშვიდობიან კრავს ჰკავს! რა ხდება? იქნებ ეს ახალი ტაქტიკა ან გეგმაა ჩვენს წინააღმდეგ?“

მე ვხედავდი მათ დაბნეულ და გაოცებულ სახეებს, აწეულ წარბებსა და ფართოდ გახელილ თვალებს. მათ არ შეეძლოთ იმისი დაჯერება, რომ ჩემი ქცევა ასე ძალიან შეიცვლებოდა. მაგრამ დიდ ყურადღებას აღარ ვაქცევდი მათ სიტყვებს. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ პატიება მეთხოვა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ვებრძოდი, ვამცირებდი და შეურაცხყოფას ვაყენებდი. გული სიხარულით მევსებოდა და თითქოს ფრთები გამომესხა. პირველად ჩემს სიცოცხლეში თავმდაბლობამ და სიმშვიდემ აავსო ჩემი არსება.

ხანდახან მეგონა, რომ ლამაზ სიზმარს ვხედავდი. და არ მინდოდა ამ სიზმრისაგან გამოფხიზლება. თუმცა ეს ღმერთის ძალა იყო. მზად ვიყავი იმის გასაცხადებლად, რომ მე დროებით კი არა, სამუდამოდ შევიცვალე. განუწყვეტლივ ვფიქრობდი იმაზე, რაც იმ კაცმა მითხრა ხილვაში – რომ მე ერთ კვირაში ვიპოვიდი ჩემს დაკარგულ ქალღმერთებს. დღეები ერთმანეთს მისდევდა და გულში ეჭვი შემეპარა. შემემინდა, რომ ვეღარ ვიპოვიდი იმას, რაც დავკარგე. დავიწყე დღეების თვლა, დათქმულ დრომდე ერთი დღეა იყო დარჩენილი. იმ დღეს მატარებლების სადგურის ახლოს ვიყავი და მინდოდა დამერეკა, ამიტომ გადავწყვიტე, იმავე სატელეფონო ჯიხურში შევსულიყავი, სადაც დავკარგე ჩემი ნამუშევრები ერთი კვირის წინ. გარკვეულ ხანს ვყოყმანობდი. ჯიხურის მეპატრონემ შეამჩნია ჩემი ყოყმანი და მითხრა: „რა ხდება, რამე პრობლემა გაქვს?“

„ისეთი არაფერი,“ ვუპასუხე. „ეს ჯიხური ცუდი გამოდგა ჩემთვის. ერთი კვირის წინ ჩანთა დავკარგე აქ. ამიტომ აღარ მინდა შესვლა“. ჩამეკითხა: „შენი ჩანთა იყო ის?“ „ჰო, იცი სად არის?“ „ცოტათი მაინც აღმიწერე შენი ჩანთა, რათა დავრწმუნდე იმაში, რომ ის ნამდვილად შენია, შემდეგ კი გეტყვი, სადაც არის“.

ვუთხარი მას, რომ ეს იყო ქალღმერთის სავსე პლასტიკური ჩანთა, წიგნით, რომელიც ყურანს წააგავს, ჩემი პირადობის მოწმობით და ჩემი პასპორტით. ჩანთაში ფული არ ყოფილა. მან თავი დამიქნია და თქვა: „სწორეა“. მითხრა, მეორე დღეს მივსულიყავი და წამიყვანდა იმ კაცთან, რომელმაც იპოვა ეს ჩანთა.

მომდევნო დღე უკვე მეშვიდე დღე იყო ხილვიდან. ჩვენ წავედით სოფლისაკენ, რომელიც კაიროს გარეუბანში, სამხრეთით მდებარეობდა. შევხვდით იმ კაცს, რომელმაც იპოვა ჩანთა. დამიბრუნა. სწრაფად გავხსენი, მაგრამ წიგნი ვერ ვიპოვე. ვუთხარი იმ კაცს: „იქ წიგნი არ არის“. მიპასუხა: „ღმერთის სახელს ვფიცავ, რომ არაფერი ამიღია ამ ჩანთიდან. იქ იყო ქაღალდები, პასპორტი, პირადობის მოწმობა და ყურანი (წმიდა ბიბლია)“. გამიხარდა ამისი მოსმენა და ვუთხარი, რომ დიდად მადლობელი ვიყავი მისი. ეს ნიშნავდა იმას, რომ ღმერთმა ადასრულა თავისი პირობა, რომელიც მომცა, რომ დამიბრუნებდა იმ წიგნს, რომელიც დავკარგე.

მოწიწებით გავიმსჭვალე; მთელ ჩემს ისლამურ ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა, რაიმე მეთხოვა ღმერთისთვის და მიმელო პასუხი. ეს პატარა რამ დიდი სასწაული იყო ჩემთვის. ღმერთის მადლის წინაშე თავს ძალიან უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ ვთვლიდი. ვუთხარი ღმერთს: „ვინ ვარ მე, რომ ასე მექცევი?“ პასუხი მალევე მოვიდა: „ასე ვაკეთებდი და კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ მათთვის, ვისაც ღმერთი უყვარს“. გამიჩნდა სურვილი, რომ ღმერთს მოეცა ჩემთვის ის გამოცდილება, რომელიც კიდევ უფრო მეტად დამარწმუნებდა, რომ მე ნამდვილად შევიცვალე. ვილოცე და ვთხოვე ღმერთს, მოეცა ეს გამოცდილება.

ღმერთმა მალევე უპასუხა ჩემს ლოცვას. მივიღე პირველი გამოცდილება ჩემს ახალ ურთიერთობაში ქრისტესთან. იქ სადაც ვმუშაობდი, თანამშრომლები იღებდნენ პერიოდულ ფინანსურ საჩუქრებს, თითოეული თავისი რიგით. ადრე ვაშინებდი ხოლმე ფულის გამცემ პერსონალს, რათა მე სიის თავში დავეყენებინე. ასევე ვიღებდი პროცენტს ამ ფულიდან, რადგანაც ეს ფული ქრისტიან ულმერთოებს ეკუთვნოდა; ამიტომაც ის თანაბრად არ უნდა განაწილებულიყო.

და აი, დადგა ფულის აღების დანიშნული დრო. ერთ-ერთ ჩემს კოლეგას ძალიან რთული სიტუაცია ჰქონდა ოჯახში; ის მივიდა მენეჯერთან და სთხოვა ფული პირველად მისთვის მიეცა, რათა მოეგვარებინა მის წინაშე მდგარი ფინანსური დილემა. მენეჯერმა უპასუხა, რომ სია უკვე დაწერილია და ყველას

თავისი რიგი აქვს. შემდეგ დაამატა: „ბატონი N არის ამ სიის სათავეში. შენ კარგად იცი, რომ ის ბოროტი კაცია და ჩვენ უკან ვერ გადავწევთ მას. იცი ისიც, რომ ყველანაირად უნდა ვასიამოვნოთ მას, რათა ჩავაცხროთ მისი ბოროტება“.

ამ მომენტში შევედი მენეჯერის ოთახში და დავინახე, როგორ ეჩურჩულებოდა ჩემს კოლეგას. სწრაფად ვკითხე: „თქვენ, ალბათ, პრემიაზე ლაპარაკობთ?“ მენეჯერი შეიმშუშნა და უხერხულად მიპასუხა: „ჰო, მაგრამ ნუ დარდობ. შენი სახელი ამ სიის თავშია“. ვკითხე: „რა უნდა ჩემს კოლეგას?“ „მას უნდა, რომ პირველმა აიღოს ამ თვეში თავისი პრემია, თავისი ფინანსური სიძნელეების მოსაგვარებლად, თუმცა მე უარი ვუთხარი მას ამ თხოვნაზე“. „რატომ? შენ შეგიძლია, მისი სახელი ჩემი სახელის ადგილზე დასვა სიის თავში“. მენეჯერმა იფიქრა, რომ ვეზუმრებოდი. კვლავ გაიმეორა: „შენი სახელი სიის თავშია და ვერავინ ვერ გადაანაცვლებს მას“. ვუთხარი: „ჰო მაგრამ მინდა, რომ ამ თვეში მას დავუთმო რიგი“. ეს შეუძლებელია. თქვენ... თქვენ მართლა გინდათ, რომ ასე მოხდეს?“ „დაიხ, მინდა“ დავარწმუნე ის. „როგორ?“ „კიდევ გიმეორებ – გთხოვ, გადაანაცვლო ჩემი სახელი და ჩასვა მისი სახელი ჩემ ადგილას. კარგი იქნება ისიც, რომ ყველა თანამშრომელმა მას დაუთმოს თავისი რიგი!“

გავიგონე მისი ნათქვამი: „დიდება ღმერთს, რომელსაც შეუძლია გარემოებების შეცვლა. რა ხდება? რა ამბავია? მეორედ მოსვლაა დღეს? ეს პიროვნება ასე იქცევა? ვერ ვიჯერებ!“ ავუხსენი: „ღმერთი ყოვლისშემძლეა და მას შეუძლია, მისცეს მთხოვნელს ის, რასაც ის ითხოვს“. ცრემლი მომერიო; პირველად ჩემს ცხოვრებაში მოვიქეცი ასე. ყოველთვის ღმერთის წილს ვიღებდი ყველაფრისგან, კანონიერად თუ უკანონოდ. ახლა კი ქრისტემ მასწავლა, როგორ უნდა გამეღო. ამიტომ მომიცვა მღელვარებამ, როდესაც გავიგე, რას ნიშნავს გაღება.

ჩემმა ოჯახმაც შეამჩნია ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები. ისინი თიშავდნენ ტელევიზორს და გადიოდნენ ოთახიდან, როდესაც ჩემს მზერას აწყდებოდნენ, ეს განსაკუთრებით ჩემს დებს ეხებოდა. ტრანსფორმაციის იმ დღის შემდეგ შევედი სახლში და ნება მივეცი ჩემიანებს, ეყურებინათ

ტელევიზორისათვის. მხოლოდ ის ვთხოვე, ვულგარული პროგრამებისათვის აერიდებინათ თავი. მათ თქვეს: „ბიჭოს! შენ აღარ გვიშლი ტელევიზორის ყურებას? არ გვჯერა!“ ვუპასუხე: „რატომ არ გვჯერათ? რომ იცოდეთ, რას ვგრძნობ ახლა თქვენს მიმართ, მართლაც არ დამიჯერებთ; არ დამიჯერებთ რა ძალიან მიყვარხართ ყველა! გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი უხასიათობა და სისასტიკე თქვედამი“. ყველას გული აუჩუყდა.

როდესაც გავედიოდი სახლიდან, დაბრუნებისას ყოველთვის ვკოცნიდი დედას და მომქონდა მასთან საჩუქარი. ტირილი ერეოდა. მადლობა ღმერთს, რომ როდესაც ის გარდაიცვალა, ჩვენ უკვე კარგი ურთიერთობა გვქონდა და შშვიდობა იმის ნაცვლად, რაც წარსულში დავატეხე თავს. მაღლიერი ვარ ღმერთისა იმისათვის, რომ მან ღიმილი და მხიარულება დააბრუნა ჩვენს ოჯახში, როგორც მორწმუნეებში, ასევე ურწმუნოებში.

ჩემი ქრისტიანი მეგობრები თვალყურს ადევნებდნენ ყველა მოვლენას, რომელიც ხდებოდა და შიშობდნენ, რომ სოფლის მცხოვრებლები აღმოაჩენდნენ ჩემს მდგომარეობას; ეს კი მათ მიუბრუნდებოდათ უკან, ვინაიდან ჩემი მეგობრები იყვნენ. ამიტომაც მთხოვეს, დამეტოვებინა ეგვიპტე და საზღვარგარეთ წავსულიყავი, მაგრამ მე უარი ვთქვი ამაზე. ჯერაც კარგად მახსოვდა, რაც მე გავაკეთე ქრისტეს და ქრისტიანების წინააღმდეგ. ამიტომ ვუთხარი მათ; ჩემი მოქცევის პირველივე დღიდან ვთხოვე ქრისტეს, რომ ისევე ვემსახურო მას, როგორც ვეწინააღმდეგებოდი, როცა ვდევნინდი მის მიმდევრებს ეგვიპტეში, ამიტომ არ უნდა დავტოვო ეგვიპტე. შევპირდი მათ, რომ თუ მე დამაპატიმრებდნენ, მათ სახელებს არსად არ ვახსენებდი.

ერთ დღეს მთხოვეს, წავსულიყავი იმ ეკლესიაში, რომელშიც ადრე არასოდეს ვყოფილვარ, მაშინვე დავთანხმდი. იქ შევხვდი წინამძღოლებს და მოვუყევი მათ იმის შესახებ, რაც ღმერთმა გააკეთა ჩემს ცხოვრებაში. მათ სახეები გაუნათდათ და მღელვარებამ მოიცვა იმ საკვირველებათა გამო, რომლებიც ღმერთმა აღასრულა ჩემს ცხოვრებაში.

მინდოდა მონათვლა, ისინიც დამეთანხმნენ. მოვინათლე 1993 წლის 9 მაისს. ჯერაც მახსოვს ის დღე, ვინაიდან ის ჩემი ნამდვილი დაბადების დღედ ჩავთვალე. ეს დღე ახლო კავშირშია იმ დღესთან, როდესაც მეორედ დავიბადე.

რწმენის ნაყოფები

მე დეტალურად გესაუბრეთ მოქცევამდე ჩემი ცხოვრების შესახებ. ახლა კი გაცილებით უბრიანია, ვილაპარაკო ღმერთის საქმეებზე ჩემს ცხოვრებაში, ჩემი მოქცევის შემდეგ. არც ნათესავებს, არც მეგობრებსა და არც ნაცნობებს არ სჯერდოდათ, რომ ასე რადიკალურად შევიცვლებოდი. არც იმის დაჯერება შეეძლოთ, რაც მოხდა ჩემი აღორძინების შემდეგ. ფაქტიურად, ღმერთმა მრავალგვარი გამოცდილებით გაამდიდრა ჩემი ცხოვრება, არა მარტო იმისათვის, რომ თავად მე დამენახა ჩემი შეცვლა, არამედ უფრო მეტად იმისათვის, რომ მტკიცე ვყოფილიყავი მომავალი რთული გამოწვევების წინაშე. მე არ ამირჩევია ახალი გზა, არ ამირჩევია ქრიტესთან ცხოვრებაც კი. პირიქით, ვცდილობდი, უკუმეგდო ის, რასაც ვხედავდი. სწორედ ქრისტემ ამირჩია და დარწმუნებული ვარ, მას არ ავურჩევია ვარ შემთხვევით, არამედ გამიზნულად სპეციფიკური მიზნისა და მსახურებისათვის, რომელიც მან უკვე მოამზადა ჩემთვის. ასევე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ მან სწორედ ასეთი მსახურებისათვის მომამზადა. ამ კუთხით მინდა ვილაპარაკო იმ სახიფათო გამოცდილებათა შესახებ, რომელთაც შევხვდი და რომლებიც ღმერთმა დაუშვა ჩემს ცხოვრებაში.

ვმუშაობდი ოფისში სამ ჩემს კოლეგასთან ერთად. ჩვენ ცვლებში ვმუშაობდით, ამიტომ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გასაღები ჰქონდა პერსონალური ნივთების შესახებ. ერთ დღესაც აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთი ჩემი ნივთი ადგილზე არ იყო. არც ერთი ჩემი კოლეგის მიმართ არ მქონდა ეჭვი. მომდევნო დღეს იგივე მოხდა და ვნახე, რომ ზოგიერთი სხვა ნივთიც დაიკარგა. როგორც წესი, ასეთ დროს ჩემს ცოლს ვადანაშაულებდი ხოლმე, მაგრამ როდესაც იგივე მოხდა მესამეჯერ და მთელი ჩემი ხელფასი გაქრა, მივხვდი, რომ საკეტი იყო დაზიანებული. ახლა კი

დარწმუნებული ვიყავი, რომ ამაზე ერთ-ერთი ჩემი კოლეგა იყო პასუხისმგებელი.

მრისხანედ დავიწყე ფიცილი და გინება, როგორც ადრე ვიყავი მიჩვეული, ჩემს ხსნამდე. ვთქვი: „რადგან ქრისტე მივიღე და შენ ნახე, რომ წყნარ კრავს დავემსგავსე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია დამცინო და როგორც მოგეხასიათება, ისე მომექცე“. დავიფიცე, რომ მივწვდებოდი მათ და ორმაგად მივაგებდი. ვიფიქრე, გამეტუნა მათი საკეტები, ამელო მათი კუთვნილი ნივთები და დამეწვა, კარადები კი ღიად დამეტოვებინა, ისევე როგორც აბრაამმა გააკეთა ეს კერპებთან. მინდოდა, მათაც ეგრძნოთ ის, რასაც გრძნობს და განიცდის გაქურდული და გაძარცვული.

წავედი, ვიშოვე დიდი ჩაქუჩი, დავბრუნდი უკან ჩემი გეგმის განსახორციელებლად. დავკეტე ოფისი, დავრწმუნდი, რომ არავინ მხედავდა. შურისძიების წყურვილით შეპყრობილმა, ვტაცე ჩაქუჩს ხელი და შევმართე. კარადებისთვის რომ უნდა დამერტყა, გავიგონე წყნარი ხმა, რომელიც მეუბნებოდა: „ნუ მიაგებ ბოროტს ბოროტებით, შეურაცხმყოფელს შეურაცხყოფით, არამედ კურთხევით; იყავი მშვიდობისმყოფელი“.

მოვტრიალდი, რომ დამენახა, ვინ ლაპარაკობდა, მაგრამ არავინ იყო იქ. ჩემთვის ვთქვი: „უფალო, ეთანხმები იმას, რაც ჩემს თავს მოხდა? შენი ნება იყოს. გთხოვ, ჩააცხრო ჩემი სიშმავე და დააწყნარო ჩემი მრისხანება. თავის შეკავება მიჭირს. გთხოვ, მომანიჭო მშვიდობა.“ მოულოდნელად ვიგრძენი უცნაური სიმშვიდე, რომელმაც ამავესო, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს. უფალმა მიკარნახა და ასეთი სიტყვები დავწერე ფურცელზე:

ძვირფასო ძმაო, მოგმართავ შენ, რომელმაც გახსენი ჩემი კარადა, ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი შენი საჭიროებების დაკმაყოფილება. გთხოვ, მიაწერო ამ ფურცელს, რაც გჭირდება და მე, ღვთის მაღლით, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ დაგეხმარო. იმისათვის, რათა დავამტკიცო ჩემი კეთილი ზრახვები და პატიოსნება, არ ვცვლი გატეხილ საკეტს. მე ვიცი, რომ

ღვთის სიყვარული ძალიან დიდია ყველა ადამიანში. და ბოლოს, იმედი მაქვს, რომ ღმერთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიცავს შენს სიცოცხლეს სამუდამოდ.

შენი ძმა.

ამ წერილის დაწერის შემდეგ ჩავლე ის ჩემს კარადაში და დავტოვე როგორც იყო. ვილოცე და მადლობა გადაუხადე ღმერთს, რომელმაც დამიცვა და არ ავყევი სატანურ ფიქრებს. დავბრუნდი სახლში და გულში ჩავიხუტე ჩემი ცოლი, როდესაც მან კარები გამიღო. მითხრა: „ნუ გეშინია. თუ ღმერთი ჩვენთან არის, ვის შეუძლია დაგვიპირისპირდეს? რაც შეეხება მოპარულ ფულს, ბიბლია ამბობს, ‘ყმაწვილი ვიყავი, კიდეც მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული და მისი მოღგმა – პურზე ხელგაწვდილი’ (ფსალმუნი 36:25). ღმერთი აღავსებს ყველა ჩვენს საჭიროებას, ვინაიდან ის არის ჩვენი უზრუნველმყოფი“.

ორი დღის შემდეგ სიურპრიზი გველოდა. ერთ-ერთი ჩემი კოლეგა მოვიდა ოფისში ჩემი ცვლის დროს. ეს უჩვეულო იყო, ამიტომ ვკითხე: „აქ რამ მოგიყვანა ახლა?“ მიპასუხა: „შენთან საუბარი მსურს“. „კი ბატონო, რისი თქმა გინდა?“ მითხრა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ უფრო წყნარ ადგილს მოვძებნდილით სასაუბროდ. მოვძებნეთ, დავსხედით პირისპირ. თავი დაბლა დახარა და თქვა: „არ ვიცი, რა გითხრა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე“. ვკითხე: „მითხარი, რა მოხდა“. გახსნა პატარა ჩანთა და მაჩვენა ის საგნები, რომლებიც ჩემი კარადიდან იყო აღებული. თვალებს არ ვუჯერებდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამე შეიძლებოდა მომხდარიყო და ნივთები უკან დამბრუნებოდა. არც იმას მოველოდი, რომ ასეთი კაცი ქურდი იქნებოდა. ის რელიგიის მიმდევარი ადამიანი იყო და ლოცვებსაც გულმოდგინედ აღასრულებდა.

ამიხსნა: „ეს ის ნივთებია, რომლებიც შენი კარადიდან ავიდე; გთხოვ, დაიბრუნო და არავის უთხრა, რაც მოხდა. ფულს რაც შეეხება, ახლა ვერ დაგებრუნებ, ვინაიდან ჩემი შვილები ავად იყვნენ და ექიმს გადაუხადე. მაგრამ თანდათან დაგებრუნებ“.

„შენ შეგიძლია, ეს ნივთები დაიტოვო, რადგან ახლა ისინი შენია,“ ვუთხარი მას. „მე არ ვცრუობდი, როდესაც ის წერილი დავწერე. ღმერთი ამინაზლაურებს ყველაფერს; ფულიც არ მინდა. დარწმუნებული ვარ ღმერთი მეტს მომცემს. ამაში დარწმუნებული, რომ არ ვყოფილიყავი, არ დავტოვებდი ჩემს კარადას გატეხილი საკეტით“.

მან თქვა: „მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს. მინდა, რომ გულახდილად მიპასუხო“. „ოდესმე მომიტყუებინარ?“ „არა, – ვუპასუხე, – რა გინდა, რომ მკითხო?“ „შენ ქრისტიანივით ლაპარაკობ და ხშირად იმეორებ: ‘უფალო, უფალო.’ შენ იმავე სიტყვებსა და გამოთქმებს იყენებ, რომლებიც ხშირად მომისმენია გერგისგან, რომელიც ღურგალია, ჩემი მეზობელია და ქრისტიანია“. ვუპასუხე: „ცხადია, როდესაც ვნახე, რომ ჩემი ნივთები მოიპარეს, ორი არჩევანი მქონდა. ერთი აგრესიაზე აგრესიით პასუხი იყო, კბილი კბილისა წილ, იმ ჰადისის მიხედვით, რომელიც ამბობს: ‘ის, ვინც კვდება უფულოდ, მოწამეა,’ და ‘არც ერთი თქვენგანი არ უნდა იყოს მხდალი, დაიცავი შენი უფლებები და აღარაფერს მიაქციო ყურადღება.’ მეორე არჩევანი იყო, არ მიმეგო ბოროტებით ბოროტებისთვის და შური არ მეძია. თუ ვინმეს სურს, რომ წაიღოს ჩემი მოსასხამი, მას ჩემი სამოსიც უნდა ვავატანო. შენის აზრით, ამ ორი გზიდან რომელია უკეთესი?“ მან აღიარა: „ცხადია, მეორე გზაა უკეთესი“.

„სწორედ ასე მოვიქეცი მეც. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ სიყვარულისა და გულითადობის პრინციპები დამეცვა, მიუხედავად იმისა, თუ საიდან მოდის ამგვარი საქციელი – ისლამიდან, ქრისტიანობიდან თუ იუდაიზმიდან. თავისთავად ეს ქცევაა ფასეული. თუ მე მსგავს ნიმუშს ისლამში ვიპოვი, უყოყმანოდ მივყვები მას“.

ის კვლავ შემეკითხა: „საიდან მიიღე ეს, სად ისწავლე?“ „ამას მოგვიანებით გეტყვი. ახლა დაძაბული ხარ. მოგვიანებით, როდესაც დაწყნარებული იქნები, ყველაფერს გაგიზიარებ, შეიძლება ეს ორი დღის შემდეგ მოხდეს, შეიძლება ერთი თვის შემდეგ. თუ კიდევ გექნება ამისი ინტერესი, ყველაფერს უყოყმანოდ მოგიყვები“.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც თავისი ცვლა დაამთავრა, ჩემი კოლეგა მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ახლა ჩემი გული შედარებით დაწყნარდა და კვლავ მაინტერესებს, გავიგო შენი სწავლების წყარო, საიდან მომდინარეობს იგი“. ვუთხარი: „ხვალ შეგხვდებით და ყველაფერზე გიპასუხებ, რაც გაინტერესებს“. მომდევნო დღეს, ის შემხვდა და იმავე კითხვით მომმართა. ამოვიღე ბიბლია და ავუხსენი: „თუ მართლაც გსურს გაიგო, საიდან ვისწავლე ეს ყოველივე, წაიკითხე ეს წიგნი“. „ეს ხომ ბიბლიაა, ღმერთმა აგვიკრძალა!“ „ჰო, ეს ბიბლიაა და თუ გსურს იცოდე, რაც გაინტერესებს, უნდა წაიკითხო. შეგიძლია, თან წაიღო, თუ გინდა, თუ არა და შენი გადასაწყვეტია“.

მან ხელში აიღო ბიბლია და დაიწყო მისი გადაფურცვლა გაკვირვებულმა. ბოლოს აიღო ის და წამოდგა, რომ წასულიყო. ვუთხარი: „თუ რაიმე სიძნელე შეგხვდება, შეგიძლია, მკითხო“. ორი კვირის მანძილზე მოდიოდა ჩემთან სხვადასხვა კითხვებით. და აგრძელებდა ბიბლიის კითხვას მანამდე, სანამ დიდი ცვლილება არ შევნიშნე მის ცხოვრებაში. მისი სიყვარული ბიბლიისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ერთ დღეს მითხრა: „ეს წიგნი უდიდეს კურთხევას შეიცავს. კითხვის დაწყების შემდეგ ჩემი ურთიერთობები ცოლთან უკეთესი გახდა და ჩვენი უთანხმოებებიც გაქრა“. ვუთხარი: „გააგრძელე კითხვა, რათა შეიტყო, რა უნდა გააკეთო“.

სწრაფად გავიდა ბოლოში. ერთ დღეს მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ქრისტიანული ლოცვა მესწავლებინა მისთვის. უნდოდა სცოდნოდა, როგორი იყო ის. ვუთხარი, რომ ამ ლოცვას რაიმე განსაკუთრებული ფორმა არ გააჩნია. „შეგიძლია, როგორც გსურს და როგორც მიზანშეწონილად მიგაჩნია, ისე ილოცო“. სამი თვის შემდეგ მოვიდა ჩემთან და გამაოცა; ძმურად გადამეხვია და თბილად მომიკითხა. მკითხა, როგორ შესძლებდა მონათვლას. ჩემმა მეგობარმა მიიღო უფალი და დიდი კურთხევა მოუტანა მთელ თავის ოჯახს.

გახარებული ვიყავი იმით, რომ ღმერთმა ნამდვილად ამირჩია მე თავის ვენახში შრომისათვის და იმისათვის, რომ ერთ-ერთი მისი კრავი ვყოფილიყავი. დიდი პატივი იყო ის, რომ ვყოფილიყავი ერთ-ერთი მათგანი, რომელიც წინ უძღვის

ადამიანებს არა ცდომილებისა და სიცრუისაკენ, არამედ ხსნიისა და საუკუნო სიცოცხლისაკენ. წარსულში ვიჭერდი ადამიანებს იმისათვის, რომ ისინი განადგურების გზაზე დამეყენებინა, ახლა კი... რა მშვენიერია უფალთან შრომა, საუკუნეთა მამასთან, ჩვენს მხსნელ იესო ქრისტესთან.

პირველად ვიგრძენი, რომ მიყვარს ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი. შევიყვარე მიმტყვებლობა და შემწყნარებლობა. მე, მართლაც, ახალი ქმნილება გავხდი. ღმერთმა გამომიყენა იმისათვის, რომ მრავალი სული მიმეყვანა ქრისტესთან; გზააბნეულები დამებრუნებინა მასთან. მრავალ განსაცდელს გავუძელი, რამაც გამოამჟღავნა ძველი ბუნებიდან ჩემში დარჩენილი თვისებები. ამ შემორჩენილი ძველი თვისებების გამო მოუწია სწორედ ჩემს სულსა და სხეულს სატანის შემოტყვევის მოგერიება.

ერთ დღეს ჩავჯექი მიკროავტობუსში, ვაპირებდი ჩემი ოჯახის მონახულებას. გავიგონე მძღოლის ძახილი, რომელიც მოუწოდებდა მგზავრებს, დაეკავებინათ თავიანთი ადგილები. ავედი და მძღოლმა მიმიითთა სკამისაკენ, რომელიც სამი მგზავრისათვის იყო განკუთვნილი – მე კი მეოთხე ვიყავი. ჩემ გვერდით იჯდა მძიმე, წვერიანი, კუმჭი სახის რელიგიური კაცი, თავის შებურვილ მეუღლესთან ერთად. ის კაცი გამწყრალი მიყურებდა და თანდათან მავიწროვებდა. მან გაშალა მუხლები და ფაქტიურად წამართვა ადგილი. იძულებული გავხდი, ჩამოვსულიყავი. მძღოლმა მკითხა, რა ხდებოდა. ვუთხარი, რომ ჩემთვის ადგილი არ იყო. მან თქვა, რომ ეს სკამი ოთხი მგზავრისათვის იყო და სთხოვა შეიხს, რომ ადგილი მოეცა ჩემთვის. ვგრძნობდი, ამ კაცს არ უნდოდა, რომ ვინმე დამჯდარიყო მის გვერდით და შეეწუხებინა მისი ცოლი. ავტობუსი მაინც დავტოვე, გადავიხადე „მეოთხე“ ადგილისათვის და ვთხოვე მძღოლს, მთელი სკამი მათთვის დაეთმო, რათა არავის შეეწუხებინა ისინი. კაცმა შეამჩნია ეს და მასში უცებ გაიღვიძა რაინდობისა და თავაზიანობის გრძნობამ. მოითხოვა, რომ დამჯდარიყავი მათთან ერთად. ვუთხარი, არ არის-მეთქი საჭირო თქვენი შევიწროვება, მაგრამ მას უკან არ დაუხევია და საკმაო ადგილიც გამომიყო დასაჯდომად.

მას შემდეგ რაც მანქანამ გაიარა გარკვეული მანძილი, იმ კაცმა მოულოდნელი კითხვა დაძისვა: „შენ მუსლიმი ხარ თუ ქრისტიანი?“

ვუპასუხე: „რატომ გაინტერესებთ?“

„უბრალოდ, მსურს, ვიცოდე“.

„ქრისტიანი ვარ“.

ამოიხზრა: „შენ, რომ მუსლიმი ყოფილიყავი, შენი საქციელი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა“.

შევეკითხე: „მიცნობთ?“

„არა“.

„არც მე გიცნობთ, – ვთქვი წყნარად, – მაგრამ რას ფიქრობთ, რატომ მოგექეცით ასე?“

„ნამდვილად არ ვიცი“.

ვუთხარი, რომ ჩვენ გვაქვს ტექსტი ბიბლიაში, რომელიც მიგვითითებს, გვიყვარდეს ყველა ადამიანი, ისინიც კი, რომლებიც ტკივილს გვაყენებენ. შევამჩნიე, რომ უსიამოვნებას გვაყენებდით, ამიტომაც მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის სიყვარულის ის ფორმა, რომელიც არსებობს ჩვენში იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ვძულვართ. დახმარება არ შემიძლია, მაგრამ ასე მოქცევა შემიძლია“.

ის დაინტერესდა: „გაქვთ ის წიგნი?“

„მაქვს“.

„თაყვანს სცემ ღმერთს?“

ვუპასუხე: „აბა ვის უნდა ვცეთ თაყვანი?“

„მე ვიცი, რომ თქვენ თაყვანს სცემთ ქრისტეს, მღვდლებს, ბერებს, როგორც ყურანი ამბობს“.

„ყველაფერი, რაც ჩვენზე იცით, არ არის სწორი. სხვანაირად ვერ შეამჩნევდით ჩემს ქცევას თქვენს მიმართ. რაღაცის თქმა მინდა“.

მიპასუხა: „თქვით“.

მივეცი ბიბლია და ვუთხარი: „ამ წიგნში ძველი აღთქმაც არის და ახალიც. წაიკითხე და ნახე, რა არის შიგნით. თუ მოგეწონება ხომ კარგი, თუ არა და არაფერს კარგავ“. მივეცი მას ბიბლია და შევთანხმდით, რომ მოგვიანებით შევხვდებოდით. ვხვდებოდით ყოველ კვირას და ვმსჯელობდით მის კითხვებზე. ამის შემდეგ

ჩვენ ერთად დავიწყეთ ლოცვა. მას პრობლემები ჰქონდა ცოლთან და სურდა გაყრა. ვუთხარი, რომ გაყრა ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა. ჩვენ ვლოცულობდით მისი მეუღლისათვის. მისი ოჯახი მშვიდობითა და სიახლოვით შეიმოსა. ავუსხენი, რომ ქრისტიანობა ცხოვრების ის სტილია, რომელიც ადამიანებს, დაშორების ნაცვლად, ერთმანეთთან აახლოვებს; შემდეგ ციტატა მოვუყვანე ახალი აღთქმიდან: „ურწმუნო ქმარი განიწმიდება თავისი მორწმუნე ცოლით და პირუკუ“. ჩემი მეგობარი გაოცებული იყო ბიბლიის მოძღვრებით. უფალმა შეაბიჯა მის სახლში და შეიტანა სიმტკიცე, მშვიდობა და კურთხევა.

არ მინდა ჩემი დამოწმებების დამთავრება. ფაქტიურადაც, ეს ხომ მიმდინარე დამოწმებაა. რამდენადაც უფალი შრომობს ჩემში, დამოწმებებიც გრძელდება.

იმის თქმა მინდა, რომ ღმერთმა სიცოცხლე თავისუფლებისათვის მოგვანიჭა. თუ ჩვენ არასწორ არჩევანს გავაკეთებთ, ნგრევის, უბედურებისა და ცოდვის მეტს ვერაფერს ვიპოვით. სწორი არჩევანისას კი ღმერთი აღარ გაიხსენებს ჩვენს ცოდვებს და დავტკებთ თავისუფლებით, იმ თავისუფლებით, რომელსაც ძე გვანიჭებს. სიცოცხლე ქრისტია, სიკვდილი კი მისი შეტენა. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვარ ამ განცდით სავსე. წარსულში, სიკვდილი საზიზღარი, ზარდამცემი აჩრდილი გახლდათ. მეშინოდა საიქიო წამებისა და განსჯისა, ახლა კი სხვანაირადაა. მინდა დაგემშვიდობო ძვირფასო მკითხველო მანამდე, სანამ შევხვდებით იქ, სადაც უფლის საუკუნო, მშვენიერი და ღვთაებრივი საქმეებია და ვისაც შეუძლია, დაიცვას ისინი, ვინც მიენდო მას.

თქვენი პოლი

ურყევი ერთგულება

მოზაფარისგან
(არაბულიდან თარგმანის ამონარიდი)

ეს პოემა დავწერე იმ დროს, როდესაც დევნილი ვიყავი ჩემი ქრისტიანული რწმენის გამო. როდესაც მუსლიმი ბედავს ირწმუნოს ქრისტე, ის ამავე დროს მეორე გადაწყვეტილებასაც იღებს – ატაროს ჯვარი, ჩაებას სულიერ ბრძოლაში, რათა სიყვარულით წარადგინოს მესია, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს.

ჯვრის სირცხვილით დავდივართ... სირცხვილის
საწინააღმდეგოდ ვღვაკვართ
და ღვთაებრივი შთაგონებით ვწერთ... ქუჩის კიდეებზე
დავეხეტებით
ათეისტები... ჩვენ არ გვწამს ძალაუფლების, სიკვდილის
შავი წრეებისა და
უსასოობის ღმერთები...
შეაჩერეთ კუბოები და უთხარით მკვდრებს: „ადექით!“
გაიღვიძეთ და ჩამოიბერტყეთ თქვენი გაოცების მტკერი,
რათა დაინახოთ მშვენიერი ქალაქი!
ათეისტები, ათეისტები... ჩვენ არ გვწამს საფლავთა
ბასტიონები.
ეს ზეიმები იმამთა გარეშე ანდა ბოშათა პოეზია...

ჩემი გული ახალი რეკოლუციაა
და ჯერაც ვღვაკვარ ბავშვთა რიგებში სკოლებთან

და ტროტუარებზე ხეივნების ქვეშ, გორგოლაჭებს შორის
ქუჩებში... და ტრაგედიებში.

მყარი ერთგულება... მყარი ერთგულება
მაშინაც კი, თუ ისინი კუბოებს გააკეთებენ;
მაშინაც კი, თუ ისინი ბომბს ჩაღებენ ყველა სიმღერაში;
მაშინაც კი, თუ ისინი ჩვენს მბუჟტავ ჩირაღდნებს გარეთ
გადაყრიან;
მაშინაც კი თუ ისინი დახურავენ ღარიბთა მაღაზიებს და
ფეხსაცმელს შეაჭმევენ მათ.

მყარი ერთგულება... მყარი ერთგულება...
მთელი ჩვენი გულით ვიბრძოლებთ
ბიბლიის ფურცლებთან ერთად,
ქრისტეს აღთქმებთან ერთად;
ვიბრძოლებთ და გამოვიყენებთ მთელი სამყაროს თეთრ
იარაღს,
ქებითა და ლოცვით ვიბრძოლებთ ჩვენ...

მყარი ერთგულება... მყარი ერთგულება,
მაშინაც კი, თუ ისინი შეეცდებიან შეგვკვრან თივის
ზვინივით,
მაშინაც კი, თუ ისინი ალყაში მოგვაქცევენ და
განიზრახვენ ჩვენს მოხრჩობას,
არსებობს სახლი რევოლუციის მილიონობით კედელს
გადაღმა,
არსებობენ ისინი, რომლებიც უპირისპირდებიან ჩვენს
ირგვლივ მყოფებს და მარცხდებიან
და რომელთაც არასოდეს უგემიათ გამარჯვება მხოლოდ
ჩუმი ტყვიებისგან.
დავდგეთ ერთად და ვემსგავსოთ ძლიერ კედელს
და ვიცოდეთ, რომ თქვენ ხართ ღირსეულნი და არა
მპარავნი,
დავდგეთ ერთად; დროა, ერთად შევუტიოთ პატარა
სიმღერებს; ისინი ომის დინამიტები,

რომელბიც აავსებენ თქვენს სარდაფებს ყავით, [ყოველი
 დროის მოწმობებით]
 ჩიტების ფრთებითა და არწივთა ძახილით.
 ომის დროა... და არა გაქცევის

ურყევი ერთგულება... მყარი ერთგულება
 კუთხეებში
 ხაზებს შორის... აბრიალებულ სამსხვერპლოებზე.
 ომის დროა.
 მათ სურთ, მოკლან აბრაამი და ისაკი.
 ნუ თრთით, მეგობრებო, და ნუ გაიქცევით.
 ჩვენ შეგვიძლია მისი დაპყრობა.
 ნუ უარყოფ მას მისი მოწაფეების მსგავსად ჯვართან.
 ჩვენ შეგვიძლია, მეგობრებო,
 ჯვარზე ჩვენ ვიმღერებთ ახალ სიმღერას
 და თითოეული ჩვენი სიმღერა მოითანს
 მსგავსად ათასობით მოწამისა, ტირანი ნერონის ხელში,
 ლომების ხაროში, იქ არიან კაცები... და ღუმელში
 ქრისტესთან ერთად, ჩვენ შეგვიძლია მისი დაპყრობა.
 მოდით, დავჭექოთ.
 ჩვენ ხმა ვართ მღალადებლისა უდაბნოში.

მყარი ერთგულება... მყარი ერთგულება
 ნუ გაჩუმდები, რევოლუციის მეგობარო,
 კედელს მიანარცხე სიჩუმის ბოთლი შენს ბაგეებში,
 ამ მისიისთვის ხარ შექმნილი
 და არ არის დრო წელში მოხრისა... ადექი,
 გაიმართე და ესროლე ქვები. მხოლოდ დავითი გოლიათს
 მხოლოდ დავითი მოკლავს... შენ ხარ ის!
 ატარე ჩირაღდანს და ატარე ბუკი,
 ნუ ატარებ ხარახურას!
 ისწრაფე ბრძოლის ველზე სახარებით ჩაისუნთქე და
 მიიღე კურთხეული სიკვდილი!

მყარი ერთგულება... მყარი ერთგულება!
 უკან დახვევის დრო არ არის... სირცხვილი მხდალ სიკვდილს!
 გუშინ მამაცი იყავი,
 ჩვენ ვიცნობთ მას, რომელიც გუშინ,
 დღეს და უკუნისამდე არსებობს.
 არ არის გაქცევის დრო!
 მშიერნი გიხმობენ შენ... ტყეები, ყვავილები და ბაღები!
 არ არის გაქცევის დრო... ჩვენ უნდა მოვკვდეთ!
 არ არის გაქცევის დრო... უნდა ვეწამოთ!
 მოდით, დავტოვოთ ჩვენი არსობა კუბოში
 და შევევებოთ ქრისტეს ყოველ სიმღერაში, ყოველ
 სახლში და ყოველ სიჩუმეში...

მყარი ერთგულება... მყარი ერთგულება
 მაშინაც კი, თუ ისინი შეეცდებიან გამოგვცადონ
 დაგვემუქრონ ანდა გვაცდუნონ.
 ყველა ცდუნება დამარცხებაა... ჩვენ არ გავყიდით ჩვენს
 ოცნებებს
 და არ დავივიწყებთ ღვთისმოსაობას... არ დავივიწყებთ
 ღვთისმოსაობას!
 – არაფერი გვაცდუნებს ჩვენ, მხოლოდ ფეხები
 ბავშვებისა და თვალები ღარიბებისა!
 შიმშილი ადამიანებისა სახარებისთვის და წყურვილი
 მიწისა წვიმებისთვის!
 მორწყე გამომშრალი მიწა!
 ოფლი ღვარე, რომ მიიღო მოსავალი,
 ბარაქიანი მოსავალი!
 აკეთე სიკეთე და გაათავისუფლე ტყვეები!
 წინ გასწი! ცოცხალი წყლის ნაკადულებით... ხარების
 დროა!
 არ შეშინდე... საშიში დროა!
 სიყვარულით აივსე გული... სიყვარულის რეკოლუცია
 განაგდებს შიშს!
 ყველა სხვა ღმერთი ბოროტია – ობიუმი კაცთათვის და
 მიაძინებობა გონებისთვის;

შენი ქრისტეა გზა გარდაქმნისა და მზე განათლებისა,
 ნუ გეშინია... შენი მტრების წყლები დაშრაღია...
 შეთეთრებული სამარხები... მორთული... ქალაღლები,
 რომღებზეღაც სიკვღიღია დაწერიღი.

მყარი ერთგუღება... მყარი ერთგუღება!
 ჩვენ მახარებღები ვართ
 ჩვენს კელიებში, ჩვენ ვახარებთ
 მარტოობის საკნებში, ჩვენ ვახარებთ ჩვენი სხეუღლის
 უჯრეღებს
 ჩვენ ვახარებთ ჰაერს... მოვნათღავთ საკნის გისოსებს და
 გაღავარჩენთ კეღლებს... ჩვენ გაღვანათებთ საფღავებს
 შენი ნათელით!
 ჩვენ არ ვართ ჩუმაღ მაშინაც კი,
 როღესაც ვღუძვართ; ღუმიღი თავაღ მოაქცევს
 მიწას... ცას... მთებს... მწვერვაღებს... ჩიღებს ხეებს...
 სიყვარულს... წვიმას... მოაქცევს ციხის საკნებს!
 მოგვმკე ჩვენ... მოგვმკე ჩვენ!
 ჩვენმა სისხღმა ისწავღა მიწის მორწყვა!
 ჩვენ გაღვარჩენთ კაცს, რომელიც შემართული იღგება...
 მოგვმკე!
 ისინიც გვიღდა, რომ გაღვამრავღოთ... ეს არის გზა!
 მოგვმკე ჩვენ... არავითარი შიში ანღა დაღმარცხება!
 მთელი ძალითაც რომ დაგვიპირისპირღე,
 გ ზას დაღადგებით და ჩავივღლით შენი ცხვირის წინ.
 ჩვენი ღმერთი უძღლიერესია და ვინ აღუღგება წინ?
 ჩვენი ღმერთი მეფეთ მეფეა და უფაღთა უფაღია!
 ის არის ყოვღაღ მართაღლი!..

მყარი ერთგუღება... მყარი ერთგუღება
 ჩვენ ვახარებთ!
 გათავისუფღლით, ისმაღლის ძენო,
 დაბრუნღლით უკან და ყირაზე დააყენეთ მსოფღლიო!

დასკვნა

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო,

ის რაც ახლახან წაიკითხეთ, არ არის ჩვენი გამონაგონი ანდა ფანტაზიის ნაყოფი. ეს სინამდვილეა. ჩვენ გადავიტანეთ ეს ყველაფერი; ეს ჩვენი ცხოვრებაა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ქრისტეზე იმას, რაც არ ვიცით, არამედ ვლაპარაკობთ იმას, რაც ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ... ხელით შევეხეთ... გონებით გავაცნობიერეთ... და გულით შევიგრძენით.

იმის გამო, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც არ გვაძლევს თავისუფლებას გვწამდეს ჩვენი უფალი და მხსნელი იესო ქრისტე, ჩვენ არ შეგვიძლია, გამოვაქვეყნოთ ჩვენი სახელები, მისამართები, ფოტოები. მიუხედავად ამისა, დაე ყველა ადამიანი იცოდეს, რომ ამ ქვეყნებში, რომლებშიც შეურაცხყოფენ ქრისტეს და არ აღიარებენ მას უფლად და ღმერთად, ათასობით მუხლი იხრება, ეთაყვანება და ცხოვრობს იესო ქრისტესთვის.

იესო ქრისტეს, როგორც უფლისა და მხსნელის რწმენა არც ისეთი ძნელია, როგორც თქვენ შეიძლება ფიქრობდეთ! თქვენ მხოლოდ გესაჭიროებათ:

- ვწამდეთ, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი და მხსნელი, ვინაიდან მხოლოდ ის არის ერთადერთი გზა,

ჭეშმარიტება და სიცოცხლე. არ არსებობს სხვა!
მხოლოდ ის და არც სხვა ღმერთები არსებობენ.

- გამოაცხადო შენი სინანული შენი ცოდვების, თავკერძობისა და ყოველივეს გამო, რაც ხელს ვიშლიდა მასთან სიახლოვეში.
- მიიღო თავისუფალი გადაწყვეტილება, რომ იცხოვრო მისთვის, ნება მისცე მას გაწმინდოს ზრახვები შენი გულისა და შეცვალოს შენი ყოფა-ქცევა. ის შენ სინათლედ გაქცევს სიბნელეში და მიწის მარილად გაგხდის.

ძვირფასო ძმებო და დებო, მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი უფალი და მხსნელი იესო ქრისტე არ გვაიძულებს მონებივით ვემსახუროთ მას. მას არც ის უნდა, რომ ყველას თვალწინ ვილოცოთ და თავი მოვაჩვენოთ ამველ-ჩამველულებს. მას ასევე არ უნდა, მარხვის დროს მივიღოთ მწუხარე სახეები, რათა სხვებმა დაინახონ, რომ ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც მარხულობენ.

ჩვენი უფალი და მხსნელი იესო ქრისტე სიამაყის, სიცრუის, ყალბი მანერიზმისა და თვალთმაქცობის წინააღმდეგია. ის, ისეთი ღმერთია, რომელიც ხედავს გულის ფარულ სურვილებს და ადამიანის შინაგან სინამდვილეს. ის მოითხოვს, რომ თქვენი რწმენა იყოს გულიდან გამომავალი და მარხვაც და ლოცვაც დაფარული. თქვენი ურთიერთობა მასთან პერსონალური მეგობრობაა და ეს ძალიან შორს არის ცარიელი, ყალბი ლოზუნგებისაგან.

რა სარგებელი ექნება ადამიანს, თუ მთელ ქვეყანას შეიძენს, თავის სულს კი დაღუპავს? (მათე 16:26)

ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძებეთ და იპოვით. დარეკეთ და გაკელბათ. ვინაიდან ყველა, ვინც ითხოვს, ღებულობს, ვინც ეძებს პოულობს და ვინც რეკავს, გაელება.

(მათე 7:7)

შინაარსი

შესავალი	5
მონანიება მეჩეთის წინ.....	7
კურთხეულია ერი ეგვიპტისა	18
ჩადრის უკან	33
ქრისტეს მშობლიური მიწიდან	43
ქრისტეს რჩეულები.....	52
ქრისტიანობიდან ისლამისაკენ და კვლავ ქრისტესაკენ.....	55
მკვდარი ვიყავი, მაგრამ ახლა ცოცხალი ვარ.....	60
როგორ მივედი ღმერთის შემეცნებასთან.....	65
ურყევი ერთგულება.....	151
დასკვნა.....	156